ნოე ხოზრევანიძე
NOE KHOZREVANIDZE

მთიანი რეგიონების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ევროპის ქვეყნებში

STATE POLICIES FOR DEVELOPMENT OF MAOUNTAIN REGIONS IN THE EUROPEAN COUNTRIES

თბილისი 2000
TBILISI 2000

ნაშრომი განკუთვნილია მთის პრობლემატიკაზე მომუშავე სპეციალისტებისათვის, თუმცა, იგი ამავე დროს უეჭველად კეთილ სამსახურს გაუწევს მთით დაინტერესებულ ფართო წრეს.

რედაქტორი – **გოგოთურ აგლაძე**, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი.

რეცენზენტი – აკადემიკოსი **თენგიზ ონიანი,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიის თავმჯდომარე.

© ნოე ხოზრევანიძე

შინაარსი

შესავალი 5

მთიანი რეგიონების განვითარების
პოლიტიკა ევროპულ კონტექსტში 8
მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნული პოლიტიკა... 16
ავსტრია 16
იტალია 21
პოლონეთი 39
საფრანგეთი 41
შვეიცარია 50
უკრაინა 66

ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთისა
და სამხრეთის მთიანი რეგიონების ქვეყნები 69
ალბანეთი 73
ბულგარეთი 89
იუგოსლავია 104
რუმინეთი 118
საბერძნეთი 145

ევროპაში მთიანი რეგიონების განვითარების
პოლიტიკის რეგიონალური ასპექტები: 156
ალპური კონვენცია 156
პირენეების დაცვის ქარტია 160
მთიანი რეგიონების განვითარების
ევროპული პოლიტიკა 162
ევროპული კავშირის მთიანი რეგიონების
განვითარების პოლიტიკა 162
ევროპის საბჭო: ევროპის მთიანი რეგიონების ქარტია 163
ევროპის მთიანი რეგიონების
ასოციაცია „ევრომონტანა“ 181

საქართველო 194
საქართველოს მთიანი რეგიონების განვითარების
პოლიტიკა: მოთხოვნები, მიზნები და პრიორიტეტები 196
საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების
სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული
განვითარების შესახებ 198
დასკვნა 213

შესავალი

რა არის მთიანი რეგიონი? „მთის“ ან „მთიანი რეგიონის“ საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრა არ არსებობს და, ალბათ, შეუძლებელიც არის. ვინაიდან სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებსა და ქვეყნებში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სრული წარმოდგენა მთების შესახებ ცვალებადობს ფართო საზღვრებში. თუმცა, არსებობს მთელი რიგი კრიტერიუმებისა, რომლებიც განასხვავებენ „მთიან“ ტერიტორიას „არამთიანისაგან“. უპირველეს ყოვლისა, ეს არის:

- აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან და რეგიონის ფარგლებში ფარდობითი სიმაღლეების განსხვავება,

ზედაპირის დახრის კუთხე (ფერდობების დახრილობა),

- მცენარეული საფარისა და ლანდშაფტების ვერტიკალური სარტყელიანობა.

კლიმატური პირობების ცვალებადობა. კონტრასტულობა და სიმკაცრე.

- ტერიტორიის ცალკეული უბნების ძნელად მისადგომლობა.

- სიმაღლის ფიზიოლოგიური ზეგავლენა ცოცხალ ორგანიზმებზე. მათ შორის, ადამიანზე (მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ.)

საკუთრივ მთიანი რეგიონების გამოყოფის საკითხი სრულიად არ წარმოადგენს თეორიულ ინტერესს. კაცობრიობის ცივილიზაციების მთელი ისტორია ამტკიცებს, რომ ცხოვრება და მეურნეობის წარმართვა მთებში მნიშვნელოვნად განსხვავდება დაბლობის ტიპისაგან. როგორც წესი, ეს პირობები დიდი სიძნელეებითა და შეზღუდვებით ხასიათდება მთის მოსახლეობისათვის, რაც გამოიხატება მთიანი რეგიონების ეკონომიკისა და სოციალური განვითარების მნიშვნელოვან ჩამორჩენაში ვაკე რეგიონებთან შედარებით. ამ დისპროპორციების არსებობა ყოველთვის სვამდა კითხვას მთიანი ქვეყნების მთავრობებისა და საზოგადოების წინაშე: რა არის ამ დისპროპორციების მიზეზი და რა საშუალებით შეიძლება შევამციროთ ეს განსხვავება? ასეთ კონტექსტში მთიანი

რეგიონების ცნებისა და საზღვრების დადგენა პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს.

1998 წელს ევროპული თანასაზოგადოების ეკონომიკურმა და სოციალურმა კომიტეტმა დაამტკიცა ექსპერტთა ჯგუფის „პოლიტიკა მაღლობებისათვის“ - ანგარიში, რომელიც სხვა თემების გარდა შეიცავდა ევროპაში მთიანი რეგიონების სხვადასხვა დეფინიციების ანალიზს.

კონტექსტზე დამოკიდებულებით, ტერმინი „მაღლობები“. „მაღლობი რაიონები“, „მაღლობი ტერიტორიები“ და „მაღლობების ხელისუფლება“ მიეკუთვნება სტატისტიკურ, ადმინისტრაციულ, გეოგრაფიულ და ეკონომიკურ რეგიონებს, ან დაკანონებულ ცნებებს (ტერიტორიები, რომლებსაც მიესადაგება არსებული სპეციფიური წესები).

ევროპული თანასაზოგადოებისათვის ერთიანი ცნება მთიანი (მაღლობი) ტერიტორიების ან მაღლობი ტერიტორიების საზღვრების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შესაგროვებლად დღემდე არ არსებობს; ფაქტიურად, ევროპული თანასაზოგადოების ზოგიერთ ქვეყანას არ გააჩნია ასეთი განსაზღვრები ან დაყოფა, ასე რომ, სწორედ მთიანი (მაღლობი) ტერიტორიებისთვის შეუძლებელი გახდა რეალური სტატისტიკის შეგროვება; ასევე დადგინდა, რომ ევროპული თანასაზოგადოების ზოგიერთ ქვეყანაში არსებობდა მთიანი რაიონების სტატისტიკის შეგროვებისათვის ცალკე გამოყოფა, რომელიც განსხვავდებოდა დაბლობი რეგიონების სტატისტიკური მაჩვენებლებისგან.

მთიანი ტერიტორიების სტანდარტული განსაზღვრის (დეფინიციის) ფორმულირების მიმართ, სულ ცოტა, მიდგომის პოვნის საშუალებად აღიარებულ იქნა ევროპის მთებისთვის დამახასეათებელი ფიზიკური, კლიმატური, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების ძალიან ფართო ნაკრების მართვის პრინციპი.

ბუნებრივი ლანდშაფტების, სოციალურ-ეკონომიკური და სივრცობრივი განსხვავებების და დისბალანსების ანალიზის შემდეგ ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ იქნა შემდეგი ფორმულირება:

„მაღლობ (მთიან) ტერიტორიას წარმოადგენს ფიზიკური,

ეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და ჰუმანიტარული რეგიონები, რომლებშიც სიმაღლითა და სხვა ბუნებრივი ფაქტორებით განსაზღვრული არახელსაყრელი მდგომარეობა მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედებას, სივრცობრივ დისბალანსსა და ეკოლოგიურ დეგრადაციასთან შეხამებით".

გეოგრაფიული, კლიმატური და გეოლოგიური კრიტერიუმების საფუძველზე ევროპის თანასაზოგადოების ფარგლებში გამოიყოფა შემდეგი მთის მასივები:

კალედონიის მაღლობები. დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში გამოიყოფა დაბალი მაღლობები (200-300- დან 600-700 მ-მდე ზღვის დონიდან) და დაბალი-საშუალო (600-700მ-დან 1300 მ-მდე). მკაცრი კლიმატი, დაშორება, იზოლირება და გაუდაბნოება - კალედონიის მაღლობების განმასხვავებელი ნიშნებია. მიწების ეკონომიკური გამოყენება ხშირად წინაარმდეგობაში შედის ეკოლოგიურ მოთხოვნებთან.

- *ჰერცინის მაღლობები* იყოფა:

- *დაბალ მაღლობებად* (ბელგია, ლუქსემბურგი, სამხრეთი გერმანია), სიმაღლით - 350-დან 700 მ-მდე, სადაც ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობები შედარებით სტაბილურია.

საშუალო მაღლობებად - ვოგეზის კომპაქტური მასივები საფრანგეთში, შვარცვალდი, ბავარიის ტყე და ჰარცი გერმანიაში. ბუნებრივი პირობები უფრო რთულია, სასოფლო ადგილების პირობები ნაკლებ ხელსაყრელია.

- *იურა,* რომელიც იყოფა ფრანგულ იურად, მისთვის დამახასიათებელი კარგი ტყეებითა და დემოგრაფიული სტაბილურობით და შვაბის იურად (გერმანია) - ნაკლებ ხელსაყრელი ეკონომიკურ-სოციალური სიტუაციით.

გერმანიის მაღლობების მთავარ პრობლემას წარმოადგენს მყავე წვიმები.

- *ალპები* (საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია, ლიხტენშტეინი, გერმანია, ავსტრია, სლოვენია) წარმოადგენს „ნამდვილ მთებს", ნიადაგების ეროზიის ტიპიური პრობლემებით, მეწყერებითა და სხვა. დამახასიათებელია კლიმატური და სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებების ფართო სპექტრი. სერი-

ოზულ პრობლემას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო აქტივობის დაქვეითება მაღალმთიან რეგიონებში და მასთან დაკავშირებული დეპოპულაცია, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც სუსტადაა განვითარებული ტურიზმი. ზამთრის (სათხილამურო) ტურიზმის არაკონტროლირებადი განვითარება აღნიშნულ რეგიონში სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემებს ქმნის.

- *პირენეები* - ესპანეთისა და საფრანგეთის გამყოფი მთები, სადაც დომინირებს დეპოპულაციის პრობლემები.

ხმელთაშუაზღვისპირეთის მთები:

- *აპენინები* (იტალია). აპენინების სამხრეთი ნაწილისათვის დამახასიათებელია წყლისმიერი ეროზია და მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები;

სიცილიის, სარდინიისა და კორსიკის კუნძულების მთები.

ჩვენ ქვემოთ არაერთხელ დავუბრუნდებით ევროპაში მთიანი რეგიონების საზღვრების დადგენისა და გამოყოფის საკითხს (ეროვნული, რეგიონალური და ევროპული მიდგომების თვალსაზრისით). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ *მყარი განვითარების, დაგეგმვისა და მართვის კონტექსტში მთიანი რეგიონების საზღვრების დადგენისა და გამოყოფის პრინციპები და კრიტერიუმები პირველად და პრიორიტეტულ ელემენტს წარმოადგენს მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკასა და კანონმდებლობაში, რომელიც ამ პოლიტიკის შემდგომ განხორციელებას უზრუნველყოფს.*

მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა ევროპულ კონტექსტში

ბოლო წლებში ევროპის მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა განვითარების რეგიონალური პოლიტიკის ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად იქცა. *რეგიონალური განვითარების პოლიტიკას ტრადიციულად წამყვანი ადგილი უჭირავს ევროპის კონტინენტზე, რომელიც ევროპული მთის ქვეყნების განვითარების ფუნდამენტალურ რეალიებს ასახავს: საბაზრო ეკონომიკას, მიწაზე კერძო საკუთრებას, ადგილობრივი კომუნების როლს ტერიტორიების მართვაში, საუკუნეე-*

ბის მანძილზე ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ ტრადიციებს გადაწყვეტილებათა მიღებასა და მართვაში.

განვითარების დასახელებული პრინციპები ევროპული ქვეყნების მართვისა და განვითარების საერთო მექანიზმის მხოლოდ ნაწილს ასახავს, მაგრამ ისინი მუდამ უნდა ჰქონდეთ მხედველობაში ევროპული სტანდარტების ნიადაგზე რეგიონალური განვითარების მოდელების, ადაპტაციის გზებისა და საშუალებების მაძიებელ ექსპერტებს, პოლიტიკოსებსა და ქვეყნების მმართველებს.

ევროპაში მთიანი რეგიონების პრობლემები პირველად რეალურად შეფასებული იქნა მე-19 საუკუნის შუა პერიოდში და დაკავშირებული იყო, პირველ რიგში, ხეობის მოსახლეობისთვის სტიქიური უბედურებების (მეწყერი, ზვავები) საშიშროებასთან, რომლებიც წარმოიშვა მთის ტყეების გაჩეხვის შედეგად. ევროპაში პირველი კანონები „მთის" შესახებ სწორედ მთის ტყეების შენარჩუნებას შეეხებოდა (შვეიცარია, 1870 წ., საფრანგეთი, 1880 წ.).

მე-20 საუკუნის 60-იან, 70-იან წლებში მთის მოსახლეობისა და ბარის მოსახლეობის ცხოვრების დონეებს შორის სხვაობის ზღვარის ზრდასთან ერთად ევროპაში იზრდებოდა მთიანი რეგიონების პრობლემები. ევროპის მთიანი რეგიონების პრობლემებს სხვადასხვა გამოვლინება ჰქონდა, რაც პირველ რიგში, დაკავშირებული იყო „მთის ბუნებრივი სიტუაციები"-ს დიდ მრავალფეროვნებასთან, განვითარების სხვადასხვა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პრინციპებთან. ეს მრავალფეროვნება არ იძლეოდა იმ პრობლემების უნიფიცირებისა და ზედმეტი გენერალიზების საშუალებას, რომლებთანაც უხდება შეჯახება ევროპის მთიან რეგიონებს. მიუხედავად ამისა, ევროპელი ექსპერტები მთელი რიგი გენერალური პრინციპების კონსტატირებას ახდენენ, რომლებიც ახასიათებს მთიან რეგიონებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად გამოცხადებულია ჰუმანიტარული ფასეულობის პრინციპი:

ევროპის მთის მოსახლეობა წარსულშიც და დღესაც კაცობრიობის უძვირფასეს მონაპოვარს წარმოადგენს უმდიდრესი ტრადიციებით, კულტურით, შრომისმოყვარეობითა და

ოსტატობით. ყოველივე ეს მუდამ იყო კეთილდღეობის წყარო და მის გარეშე ევროპის კონტინენტის ისტორიის წარმოდგენა შეუძლებელია. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპელი ექსპერტები მტკიცედ არიან დარწმუნებულები და ამასვე იზიარებს ადგილობრივი საზოგადოებრივი აზრიც, რომ მთიანი რეგიონების პრობლემა, პირველ რიგში, მთის მოსახლეობის პრობლემაა, რომელიც მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული გარემოსა და მის ბუნებრივ რესურსებთან.

ბუნებრივია, ევროპის მთიანი რეგიონების განვითარების არახელსაყრელობისა და სიძნელეების ხარისხი კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნებსა და გეოგრაფიულ რეგიონებში საკმაოდ განსხვავებულია. ეს ართულებს სიტუაციის ზუსტ შეფასებას, მაგრამ არ ხსნის თვითონ „მთის პრობლემის" არსებობას. მთის რეგიონების პრობლემების წარმომშობი მიზეზების ძირი ისტორიულ წარსულში ძევს და დაკავშირებულია განვითარებისა და ურბანიზაციის ინდუსტრიულ მოდელთან, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურებისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან. ამ პროცესებმა მიიყვანა მთიანი რეგიონები მარგინალიზაციამდე, ეკონომიკის კრიზისამდე, ბუნებრივ რესურსებსა და მათ მართვაზე ადგილობრივი მოსახლეობის კონტროლის დაკარგვამდე. გარედან ინიცირებული ურბანისტული განვითარების მოდელები მთიანი რეგიონების მოსახლეობისა და მათი საცხოვრებელი გარემოსათვის ნაკლებ მისაღები აღმოჩნდა. ეს მიზეზები მიჩნეულია განვითარების დისპროპორციებამდე მიმყვან „კლასიკურ", მაგრამ არა ერთადერთ მიზეზებად.

ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის გენერალური დირექციის მიერ 90-იანი წლების დასაწყისში მომზადდა დოკუმენტი „ევროპა 2000", რომელშიც ცალკე განიხილებოდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთიანი რეგიონებიც.

ამ რეგიონებს უჭირავს 650 000 კვ. კმ-ზე მეტი ფართობი (თანასაზოგადოების ტერიტორიის 27%) და მათი მოსახლეობა 25 მილიონ კაცს შეადგენს (7-5%), დასახლების სიმჭიდროვით - 42 კაც/კვ. კმ-დან 2-3 კაც/კვ. კმ-მდე.

დოკუმენტში კონსტატირებულია, რომ თანასაზოგადოების სხვა ტერიტორიებთან შედარებით, მთიანი რეგიონების

მოსახლეობის ცხოვრების დონე უფრო დაბალია. მათგან სულ ცოტა ნახევარში ეკონომიკური განვითარების ინდექსი ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის 35-75% შეადგენს.

ყველაზე ნაკლებად განვითარებულ მთიან ტერიტორიებად მიჩნეულია: შოტლანდიის მთების ჩრდილო ნაწილი, საბერძნეთის, სამხრეთ იტალიისა და ჩრდილო-დასავლეთ პორტუგალიის მთიანი რეგიონები, ესპანეთის კანტერბერიის მთები.

საშუალოდ განვითარებულად დასახელებულია პირენეები, საფრანგეთის ცენტრალური მასივი, ვოგეზები, ინგლისის, უელსისა და სამხრეთ შოტლანდიის მაღლობები, სიერა-ნევადა ესპანეთში, ჰარცი სამხრეთ გერმანიაში.

განვითარებულ მთიან რეგიონებს მიაკუთვნებენ ალპებსა და გერმანიის დასავლეთ მაღლობებზე განლაგებულ ტერიტორიებს, რაც აიხსნება ამ რეგიონების გეოგრაფიული მდებარეობითა და ევროპის ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრებთან მათი სიახლოვით.

ზემოთ მოყვანილი შეფასებები ეხება ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს. თუკი განვიხილავთ სხვა ევროპულ ქვეყნებს, მაშინ კარპატის (რუმინეთი, უკრაინა), ბალკანეთისა და დინარიდის (ბულგარეთი, ყოფილი იუგოსლავია), ტატრების, სუდეთისა და სხვა მთის მასივები დახასიათებულ იქნება ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით, მოსახლეობის სიღარიბით და სხვადასხვა ეკოლოგიური პრობლემების სიჭარბით.

დსთ-ს სივრცის მთიანი რეგიონები - კავკასია, ურალი, ხიბინები, - აქამდე არ მოხვედრილან მთიანი რეგიონების განვითარების დონისა და პრობლემების შემფასებელი ევროპელი ექსპერტების მხედველობის არეში. ეს სამუშაო ევროპულ კონტექსტში კიდევ შესასრულებელია.

ევროპის ქვეყნებისთვის სპეციალური მთის რეგიონების პოლიტიკის ჩამოყალიბება განისაზღვრება შემდეგი მიზეზებით:

- *განსახლება და ეკონომიკური სივრცე:* მოსახლეობის მაღალი კონცენტრაციისა და მაღალი ეკონომიკური აქტივობის მქონე ურბანიზირებული ვაკეებისგან განსხვავებით, მთის რეგიონები წარმოადგენს დისპერსული განსახლების მაგალითს.

მთიანი ტერიტორიები, როგორც საცხოვრებელი და ეკონომიკური საქმიანობის სივრცე, საჭიროებს მხარდაჭერას. მრავალფეროვანი და დინამიური ეკონომიკა, თანამედროვე სოციალური ინფრასტრუქტურა და კულტურული მოსახლეობის დაცვა წარმოადგენს ტერიტორიაზე გაბნეული მოსახლეობის მხარდაჭერის აუცილებელ საფუძველს. ამ მხარდაჭერის და განვითარების რეალიზება შეიძლება მოხდეს გამოკვეთილად ჩამოყალიბებული მიზნებისა და პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში.

სოფლის და სატყეო მეურნეობა: ფერმერობა და სატყეო მეურნეობა არა მარტო მთის ლანდშაფტების ელემენტებს წარმოადგენს, არამედ იცავს ტურიზმისა და რეკრეაციისათვის გამოყენებულ ტერიტორიებს, უზრუნველყოფს მთებზე გამავალი ტრანზიტული გზების უსაფრთხოებას, იცავს ინჟინერულ და ენერგეტიკულ ნაგებობებს. ეს ფუნქციები არ შეიძლება გაიზომოს რაოდენობრივად, მაგრამ ისინი დიდ სოციალურ და საზოგადოებრივ როლს ასრულებს. ბუნებრივია, სოფლის და სატყეო მეურნეობები აწარმოებენ საბაზრო საქონელს. წარმოებული სასურსათო პროდუქტების ხარისხი სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს.

- *გარემოს შენარჩუნება:* მთებში სოფლის და სატყეო მეურნეობების ორგანიზაცია ინტეგრირებული უნდა იყოს გარემოს დაცვის მიზნებთან, ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასთან.

- *ტურიზმი და რეკრეაცია:* ტურიზმისა და რეკრეაციის ინფრასტრუქტურა ინტეგრირებული უნდა იყოს ბუნებათსარგებლობის ტრადიციულ ფორმებთან. არაკონტროლირებად განვითარებას შეუძლია დაანგრიოს ტურისტების მიზიდვის ძირითადი ფაქტორის - მთის ლანდშაფტების სტრუქტურა. ტურიზმი წარმოადგენს საბაზრო საქონელს, რომელზეც გამუდმებით იზრდება მოთხოვნა. მთიან ტერიტორიებს ამ მოთხოვნის განმტკიცება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნებული იქნება ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტები.

- *აღდგენითი ენერგეტიკული რესურსებისა და ნედლეულის შენარჩუნება:* ამ რესურსებისა და ნედლეულის წყარო, რომ-

ლებიც წარმოადგენს მთელი ეკონომიკის ინტერესს, არის მთები. მათი მომხმარებელი არის არა მთის მოსახლეობა, არამედ ეკონომიკურად განვითარებული დაბლობი რეგიონები. ამ რესურსების ამოღებას თან ახლავს ისეთი ნეგატიური ფაქტორები, როგორიცაა: ეროზია, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და ა.შ. საკომპენსაციო ღონისძიებები ჩვეულებრივ არ ფარავს ამ რესურსებისა და ნედლეულის ამოღებით მთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის მიყენებულ ზარალს.

ევროპულ კონტექსტში მოყვანილი არგუმენტები მიჩნეულია საკმარისად, მთიანი რეგიონების განვითარების მხარდასაჭერად სპეციალური პოლიტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობისათვის - ანუ, **მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკისათვის**. ამასთან, მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის ქვეშ იგულისხმება პირობებისა და მიზნების სპეციფიურობა და, აგრეთვე, ამ მიზნების მიღწევისათვის ხელშემწყობი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შერჩევა. ეს პოლიტიკა უნდა დაეხმაროს მთიან რეგიონებს მარგინალობისა და სიღარიბის შემცირებაში. მთიან რეგიონებს არ მიიჩნევენ თავიდანვე „ღარიბ“ რეგიონებად. მათთვის აუცილებელია განვითარების ისეთი სპეციფიური გზის არჩევა, სადაც სხვადასხვა დონის საზოგადოებები და კომუნები აიღებენ პასუხისმგებლობას განვითარებაზე. სხვა სიტყვებით, დეკლარირებულია კონცეფცია - მთები წარმოადგენს „საზოგადოებრივ აქტივებს“, და მათ ფასეულობას აყალიბებს არა მარტო ბუნებრივი ხიბლი, არამედ მთის მოსახლეობის ყოველდღიური შრომაც. მთელი საზოგადოების მიერ გამოყენებული ეს „საზოგადოებრივი აქტივები“ შეადგენენ საზოგადოების, ასე ვთქვათ, „მორალურ ვალს“ მთიანი რეგიონების წინაშე. მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკას შეუძლია უზრუნველყოს ამ ვალის დაბრუნება.

მთიანი ტერიტორიების მქონე ყოველი ევროპული ქვეყანა, როგორც წესი, აყალიბებს თავისი რეგიონალური განვითარების მისეულ ეროვნულ პოლიტიკას, რაზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ამ თავში ჩვენ მოკლედ შევეხებით საერთოევროპულ პრინციპებსა და დეკლარაციებს მთიან რეგიონებთან მიმართებაში, ევროპაში ინტეგრაციული პროცესების ძლიერი

ტენდენციების გათვალისწინებით.

პირველ რიგში, სავალდებულოა გვახსოვდეს ევროპის მთიანი რეგიონების დიდი განსხვავებების შესახებ. ეს განსხვავებები დამოკიდებულია როგორც ბუნებრივ, ეთნო-კულტურულ და სოციალურ-

-ეკონომიკურ ფაქტორებზე, ასევე მთიანი რეგიონების მართვისა და განვითარების პოლიტიკაზე, ანდა მის არ არსებობაზე. დოკუმენტი „ევროპა 2000" აღნიშნავს, რომ ევროპაში „მთის სიტუაცია" რთულია და მთიანი რეგიონების საერთოევროპული პოლიტიკის ჩამოყალიბებულ და საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

აგრეთვე, ევროპელი ექსპერტების აზრით, ტერიტორიების მართვაში ადგილობრივი კომუნების როლის ზრდის მიუხედავად (პირველ რიგში, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში), კვლავინდებურად რჩება ცენტრალური ხელისუფლების „ინტერვენციონისტული პოლიტიკის" ტენდენციები.

ევროპული თანასაზოგადოების ეკონომიკისა და სოციალური განვითარების კომიტეტის მოხსენებაში მკაფიოდ იყო აღნიშნული მთის რეგიონების საერთოევროპული პოლიტიკის ჩამოყალიბების წამქეზებელი მოტივები:

მთის ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება;

- ტერიტორიასთან საზოგადოების ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომელიც ხელს შეუწყობს ტრადიციული წყობის დაცვას ცხოვრების თანამედროვე ცივილიზირებულ ფორმებთან შეხამებაში;

მყარი განვითარების პოლიტიკის მიყოლა, რომელიც, სადაც კი ეს შესაძლებელია, მიმართული უნდა იყოს სტრუქტურულ ცვლილებებზე, და არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის გაუქმებაზე;

- მთებში ცხოვრების პირობების კონკურენტუნარიანად გადაქცევა დასაქმების, მომსახურებისა და კომუნიკაციების განვითარების სფეროს პრობლემების გადაწყვეტით, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული ფასეულობების დაცვისთვის განსაკუთრებული ყურადღების მინიჭებით.

მთიანი რეგიონების ევროპული პოლიტიკის სახელ-

მძღვანელო პრინციპები შემდეგი სახით ყალიბდება:

- საყოველთაო ინტეგრალური მიდგომა განვითარების პროგრამების მიმართ, რომლებიც მოიცავენ ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ ასპექტებს;
- ხელის შეწყობა მწარმოებელი სტრუქტურებისა და მეწარმოებისათვის, რომლებსაც, საჭიროებისამებრ, შეუძლიათ ადგილობრივი მეწარმეობის შეთავსება საგარეო ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ დახმარებასთან;
- ტერიტორიის მთელი ბუნებრივი, ეკონომიკური და ჰუმანიტარული რესურსების გამოყენება;
- სათანადო ტექნოლოგიების გამოყენება და, საჭიროებისამებრ, ადგილზე კვლევითი საქმიანობის განვითარება;

არა მარტო ეკოლოგიური ბალანსის, არამედ „თანასწორუფლებიანობის" მიღწევა განვითარებასა და გარემოს შენარჩუნებას შორის, სადაც „შენარჩუნებაში" იგულისხმება არა შეზუდვა, არამედ რესურსი, რომლის გამოყენებაც აუცილებელია განვითარების პროცესში.

ზემოთ აღნიშნულის შეჯამებისას, შეიძლება ვთქვათ, რომ მთიანი რეგიონების ევროპული პოტიკისათვის ხდება ორი ფუნდამენტალური პრინციპის დეკლარირება:

- მთიანი რეგიონების პრობლემების სპეციფიკის აღიარება სტრუქტურირებისა და სექტორალური (დარგობრივი) და სიერცითი განვითარების პოლიტიკის პრინციპების გამოყენების კონტექსტში;

„ადგილობრივი (ენდოგენური) განვითარების" განსაზღვრა, რომელიც ღიაა საგარეო ეკონომიკური დაბანდებებისთვის, როგორც ფაქტორისა, მთიან რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში; მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკისადმი ეს მიდგომა ნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობის უფლებას, თავად აირჩიოს საკუთარი ტერიტორიის განვითარების გზები.

ამ პრინციპების დადასტურება და განვითარება მოხდა 1996 წელს ორ ევროპულ კონფერენციაზე:

- ევროპის მთიანი რეგიონების მყარი განვითარების შესახებ ევროპულ სამთავრობათაშორისო კონსულტაციებზე

(ავიმორი და ტრენტო),

ევროკავშირის სასოფლო განვითარების ევროპულ კონფერენციაზე (ირლანდია- 1996 წლის ნოემბერი), რომელზეც მიღებულ იქნა კორკის დეკლარაცია. ამ დეკლარაციაში ევროკავშირის სასოფლო რაიონების განვითარების პროგრამისთვის ჩამოყალიბებული იყო 10 პრინციპი.

ამ რეკომენდაციებისა და დეკლარაციების პრაქტიკული რეალიზება ხდება ევროკავშირის მთელ რიგ პროგრამებში (ევროკავშირის ფულით), მაგალითად ისეთებში, როგორიცაა:

სიერცითი განვითარების ევროპული პროგრამა,

გარემო და სოფლის მეურნეობა ევროპის მთიან რეგიონებში (1996–1997 წ.წ.)

მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნული პოლიტიკა

წარმოდგენილ ნაწილში განიხილება ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. შევეცადეთ, მხედველობის არეში მოგვექცია თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამთო პრობლემებით ყველაზე განსხვავებული ევროპული ქვეყნები.

ავსტრია

ავსტრიის ტერიტორიის დაახლოებით 70% უჭირავს ალპებს, სადაც განლაგებულია დასახლებული პუნქტების 5-%-ზე მეტი და ცხოვრობს მოსახლეობის 42% (მსხვილი ალპური ქალაქების - გრაცის, ინსბრუკის, კლაგენფურტის, ლინცის და ზალცბურგის გამოკლებით). კლასიფიკაციის თანახმად, ავსტრიის ალპებში გამოიყოფა სასოფლო ტერიტორიების სამი ტიპი: *შორეული* (იზოლირებული), *შუალედური* და *ინტეგრირებული* (შედარებით) ეროვნულ და გლობალურ ეკონომიკასთან.

შორეულ მთიან რეგიონებში არის მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე, დაბალი შემოსავლები, მოსახლეობის დაბერება. მათთვის დამახასიათებელია დეპოპულაციის პროცესები.

ინტეგრირებულ რეგიონებში მოსახლეობის ანაზღაურება და დასაქმება მაღალია, მომსახურეობის სექტორის ეკონომიკის - ტურიზმის განვითარებულ ფერმერობასთან შეხამების შედეგად. უკანასკნელი საკმაოდ სტაბილურია, ფერმერობის სტრუქტურისა და მეურნეობის წარმართვის მრავალვარიანტობის შესახებ კვლევების შედეგების გამოყენების წყალობით.

ავსტრიის მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა ასოციირდება მთაში სოფლის მეურნეობის განვითარებასთან. ამაში მდგომარეობს მისი განსაკუთრებულობა.

ქვეყანაში ყველა კომუნის სტატუსი კანონმდებლობით არის გაფორმებული. სასოფლო რაიონებში გამოიყოფა კომუნების სამი ჯგუფი:

1. მთიანი რეგიონები (1,256 კომუნა, ავსტრიის გამოსაყენებელი სასოფლო-სამეურნეო მიწების 58,11%)
2. ნაკლებ ხელსაყრელი (160 კომუნა, 5,90%) და
3. პატარა რაიონები (188 კომუნა, 4,62%)

მთის ფერმერობა. სოფლის და სატყეო მეურნეობა ალპებში არახელსაყრელ კლიმატურ და გეოგრაფიულ პირობებში ვითარდება. ავსტრიის ალპების სოფლის და სატყეო მეურნეობაში სიტუაციის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ფერმერული მეწარმეობის 36% მოიცავს მთელი ტერიტორიის 60%—ზე მეტს, გამოსაყენებელი სასოფლო-სამეურნეო მიწების 44% და ტყეების დაახლოებით 50%. ამასთან ერთად, მათ ჰყავთ ძროხისა და ცხვრის 60%-ზე მეტი და უჭირავთ მთის საძოვრების 70%. სამარცვლე მიწათმოქმედებას შეზღუდული განვითარება აქვს და მხოლოდ სანახევროდ უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს. მეღორეობა, მეფრინველეობა და კვერცხის წარმოება ბოლო 40 წლის განმავლობაში მცირდება.

ავსტრიაში მთის ფერმერობის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით და ფასდება სხვა ფაქტორების მიხედვითაც:

ბუნებრივი რესურსების დაცვა (ნიადაგები, წყალი, ატმოსფერო),

- ძველი აგროლანდშაფტების დაცვა და შენარჩუნება,

- მთიან რეგიონებში განსახლებისა და ინფრასტრუქტურის ქსელის მხარდაჭერა,
- დასაქმებისა და საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველყოფა,
- ეკოლოგიური მრავალფეროვნების უზრუნლემყოფელი და სტიქიური უბედურებების რისკის შემამცირებელი სასოფლო-სამეურნეო მიწების, როგორც „პროდუქტიული ნაკრძალების" შენარჩუნება.

ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე, ავსტრიაში მთის ფერმერობა მიმართულია მთიანი რეგიონების მრავალფუნქციონირების მხარდაჭერისკენ.

ავსტრიაში მთის ფერმერობის მხარდაჭერა.

რძის წარმოების რეგულირებისა (ევროკავშირის რძის კვოტა) და ავსტრიაში სოფლის მეურნეობის ფერმერული მოდელის მხარდაჭერასთან დაკავშირებული ხორცის მრეწველობისთვის პრემიების გარდა, არსებობს მხარდაჭერის სხვა მექანიზმებიც:

1. პირდაპირი გადახდა (ე.წ. ფედერალური გრანტი მთის ფერმერებისათვის)
2. მესაქონლეობის სისტემების შეცვლა და მიწის დამუშავების ეკოლოგიურად უსაფრთხო, შეთავსებადი მეთოდების გამოყენება,
3. ღონისძიებები საკუთრების დაცვისათვის, ტრადიციული საინვესტიციო სუბსიდიების გამოყენებით ინდივიდუალური ფერმებისთვის და სასოფლო ინფრასტრუქტურის მხარდაჭერისა და განვითარებისათვის,
4. ევროკავშირის ეკონომიკური მექანიზმების გამოყენება 5 კრიტერიუმის მიხედვით.

ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი მხარდამჭერი მექანიზმი მიმართულია განსხვავებების შემცირებაზე მთიან რეგიონებსა და დაბლობ ტერიტორიებს შორის, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს.

ეს გახდა ავსტრიაში 70-იანი წლების დასწყისში ე.წ. *ფედ-*

ერალური გრანტი მთის ფერმერებისთვის დაწესების მიზეზი:
ზრუნვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე,
- არახელსაყრელი ფაქტორების შემცირება,
- დამოკიდებულება ფერმერულ შემოსავალზე,
- მიწის დამუშავების ღირებულების განსაზღვრა.

გრანტის მისაღებად ფერმერმა უნდა იცხოვროს ფერმაზე მთელი წელიწადი. ეს ასახავს გრანტის სოციალურ მიმართულობას: მთებში მოსახლეობის სავალდებულო სიმჭიდროვის ხელშეწყობას. მეორეს მხრივ, *გრანტი განიხილება, როგორც მთელი საზოგადოების, ქალაქის მოსახლეობის ჩათვლით, საფასური ისეთი საერთოეროვნული ავლადიდების (მონაპოვრის) შენარჩუნებისა და მომსახურეობისათვის, როგორიცაა მთიანი რეგიონები.*

ზონების მიხედვით მთის ფერმების კლასიფიკაცია ბუნებრივი პირობების სირთულის კრიტერიუმის შესაბამისად („ზონებად დაყოფა“).

საფუძველი: ეს დადგენილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მთის ფერმები შესაბამის ფედერალურ პროვინციებში. მთის ფერმების სტატუსის დადგენა ხდება შემდეგი თანმიმდევრობით: რაიონი, კომუნა, სოფელი, სოფლის ნაწილი, სახლის ნომერი.

მთის ფერმა დასახლებული უნდა იყოს მთელი წლის განმავლობაში და უნდა ჰქონდეს, უკიდურეს შემთხვევაში, 1,0 ჰა დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მიწა (დაუმუშავებელი საძოვრების, მოუვლელი მდელოების, ალპური საძოვრების, მთის მდელოების გამოკლებით), რომელსაც დამოუკიდებლად ამუშავებს მესაკუთრე, რათა მიეკუთვნოს დადგენილი (რთული) ოთხი ზონიდან ერთ-ერთს.

ზონებად დაყოფა: 1974 და/ან 1985 წლების სახელმძღვანელო (4 ზონა)

მთავარი კრიტერიუმი: შიდა ინფრასტრუქტურა.

გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგეს მოუხერხებელი ფართობის /განსაკუთრებით მოუხერხებელი ფართობის არსებობა ფერმერის მიერ დასამუშავებელი მთელი სასოფლო-სამეურნეო ფერმერული მიწის ფარგლებში. დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოუხერხებელი/ განსაკუთრებით

მოუხერხებელი ფართობის ქვეშ იგულისხმება ფართობები, სადაც ფერდობის დახრა შეადგენს 25%-იდან 50%-მდე.

მოუხერხებელი ფართობების არსებობის შემთხვევაში ფერმა განისაზღვრება, როგორც მოუხერხებელი ზონა 1, თუკი მოუხერხებელი ფართობები 40%-ზე ნაკლებია.

ფერმა განისაზღვრება, როგორც მოუხერხებელი ზონა 2, თუკი მოუხერხებელი ფართობები მეტია 40%-ზე, მაგრამ ნაკლებია 80%-ზე.

ფერმა განისაზღვრება, როგორც მოუხერხებელი ზონა 3, თუკი მოუხერხებელი ფართობები 80%-ზე მეტია.

მთის ფერმები, რომელთა მიწების 40% ან მეტი განსაკუთრებით მოუხერხებელ მიწებს შეადგენს, მიეკუთვნება მოუხერხებელ ზონა 4.

თუკი 40%-ზე ნაკლებია,

ფერმა განისაზღვრება, როგორც მოუხერხებელი ზონა 1

ტოლია ან მეტი 40%-ზე, მაგრამ ნაკლებია

80%-ზე. ფერმა განისაზღვრება, როგორც

მოუხერხებელი ზონა 2

ტოლია ან მეტი 80%-ზე,

ფერმა განისაზღვრება, როგორც მოუხერხებელი ზონა 3

მთის ფერმები, რომლებიც მიეკუთვნებიან

ამ კლასიფიკაციის მოუხერხებელ ზონა 3-ს,

გააჩნიათ ნაწილი განსაკუთრებით მოუხერხებელი

მიწებისა 40% ან მეტი ოდენობით, შეიძლება

მიეკუთვნონ მოუხერხებელ ზონა 4

დამატებითი კრიტერიუმები: (ერთობლივად გამოყენება შესაძლებელია)

გარე ინფრასტრუქტურა

მთის ფერმები, რომელთაც არ გააჩნიათ სატვირთო მანქანებისა და ფურგონებისათვის მისადგომი გზები, შეიძლება მიკუთვნებულ იქნეს ერთით უფრო მაღალ საფეხურს შიდა სტრუქტურის კლასიფიკაციის კრიტერიუმებით.

ჰექტარზე სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობა (ჰექტარზე პროდუქტიულობის მაჩვენებელი, როგორც შეფასების საფუძველი) 1970 წელს მიღებული ძირითადი შეფასების თანახმად.

მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნული პოლიტიკის ახალი მიმართულებები

ევროკავშირში ავსტრიის შესვლის შემდეგ ხდება მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნული პოლიტიკის გადაფასე-

ბა, ვინაიდან მთიანი რეგიონების მიმართაც გამოყენებული ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა იგება რამდენადმე განსხვავებულ საფუძვლებზე. მას საფუძვლად უდევს არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებისთვის საკომპენსაციო გადასახადების ფილოსოფია. გარდა ამისა, მთიანი რეგიონების გამოყოფის კრიტერიუმები ევროკავშირში განსხვავდება ავსტრიის კრიტერიუმებისაგან.

თანამედროვე სიტუაცია ავსტრიის ალპებში, ავსტრიის ექსპერტების აზრით, მოითხოვს ახალ მიდგომებს, რადგან მთიანი რეგიონების პრობლემები არ შეიძლება გადაწყდეს სასოფლო-სამეურნეო საბაზრო პოლიტიკით და არასრული გადასახადებით. ალპებში სასოფლო რაიონების მნიშვნელობის გათვალისწინებით, იზრდება ინტერესი სივრცითი ასპექტების მიმართ ავსტრიაში, განსაკუთრებული ყურადღებით სასოფლო-სამეურნეო/ტურისტული ინიციატივების, ეროვნული პარკების განვითარებისათვის და ა.შ. პირდაპირი გადასახადების მიმართ. იზრდება ინტერესი „ალპური კონვენციის" მიმართაც, რომელიც ასევე ხელმოწერილ იქნა ევროკავშირში და კარგ საფუძველს იძლევა ალპური რეგიონის შემოხაზვისათვის.

ავსტრიაში მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის რეფორმირების გენერალური ხაზები განისაზღვრება სამი მიმართულებით:

- სასოფლო-სამეურნეო რაიონებიდან - ფერმერული მეურნეობებისკენ (როგორც ინვესტირებისა და განვითარების „ელემენტარული" ობიექტებისკენ);
- ერთჯერადი ზომებიდან ჰარმონიზაციის პროგრამებისკენ;
- დარგობრივი აგრარული პოლიტიკიდან ინტეგრალური რეგიონალური პოლიტიკისკენ.

იტალია

იტალიაში ორი ძირითადი მთის მასივია: აპენინები და ალპები. ამ ნაწილში ანალიზი უკეთდება სიტუაციას ალპებში.

იტალიის ალპები თავისებური „თაღით" ერტყმის ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს. ისინი ხასიათდება ბუნებრივი, ეთნო-

კულტურული და ისტორიული პირობების დიდი მრავალფერ-ოვნებით და, ასევე, კონსტიტუციური სტატუსით. ზოგიერთ პროვინციას (ტრენტინო, ბოლცანო, აოსტა) აქვს ავტონომიის სტატუსი.

ალპური კონვენციის შესაბამისად, ალპებში გამოიყოგა 4 ვერტიკალური სარტყელი; 1. 30-499მ; 2. 500-999მ; 3. 1000-1499მ; 4. 1500-2042მ. 1 სარტყელში განლაგებულია 729 კომუნა, რომელთაც უკავიათ 15,6 ათასი კვ.კმ. შესაბამისად, მე-2 სარტყელში - 735/21,9 ათასი კვ.კმ; მე-3 სარტყელში - 198/11 ათასი კვ.კმ; მე-4 სარტყელში - 27/2,4 ათასი კვ.კმ.

იტალიელი ექსპერტების შეფასებით, რომლებმაც 30 კრი-ტერიუმის (დემოგრაფიული, ტერიტორიული, ეკონომიკური, ცხოვრების ხარისხი) და 65 ფაქტორის მიხედვით (მაგალითად, ელექტროუზრუნველყოფა, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურა, საავტომობილო მოძრაობის დინამიკა და ა.შ.) გაუკეთეს ანალიზი იტალიის მთიანი რეგიონების მდგო-მარეობას, იტალიის 4188 მთის მუნიციპალიტეტი გაიყო 5 ჯგუფად.

- აყვავებული (83 მუნიციპალიტეტი)
- განვითარებადი (405)
- მუნიციპალიტეტები ინტეგრირებული ეკონომიკით (1.168)
- მარგინალური (730)

სასოფლო-სამეურნეო და „ქვემოთ დაწეული“ ფართ-ობები

როგორც ამ კლასიფიკაციიდან ჩანს, იტალიის ალპების მთის მუნიციპალიტეტების ნახევარზე მეტი განვითარებაში სერიოზულ პრობლემებს განიცდის. ეს მდგომარეობა საკმაოდ უცნაურად გამოიყურება, ვინაიდან ჯერ კიდევ 1929 წელს პი-რველად იქნა ჩამოყალიბებული იტალიის მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის პრინციპები: ისინი შეეხებოდა საგადასახადო პოლიტიკას მთის ფერმერობის მიმართ.

იტალიაში მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბების ისტორია საკმაოდ საჩვენებელი და ტიპიურია ალპური ქვეყნებისთვის (მაგალითად, საფრანგეთი). პირველ რიგში, მას ჰქონდა სექტორალური (დარგობრივი) ხასიათი და მიმართული იყო სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად. მთის

ფერმერებს ეძლეოდათ სხვადასხვა სუბსიდიები, ექსტრემალურ პირობებში მეურნეობის გაძღოლის სირთულეების საკომპენსაციოდ. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს 1952 წელს მიღებული იტალიური კანონი № 991, რომელიც რეგულარული ფინანსური უზრუნველყოფის არქონის მიუხედავად, მაინც მოქმედებდა 20 წლის განმავლობაში. მისი მთავარი მიზანი იყო სოციალური და სასოფლო ინფრასტრუქტურის მატერიალური მხარდაჭერა: საცხოვრებლების მშენებლობა, ელექტროგადაცემის ხაზების, სასოფლო გზების აგება და ა.შ. თუმცა, მისი შედეგები სახარბიელო არ იყო, რაც დაკავშირებულია მთებიდან მოსახლეობის მასობრივ მიგრაციებთან ცალკეულ წლებში.

აგრარული სექტორის მხრდაჭერა მთებში შეტანილი იყო ეროვნულ სასოფლო-სამეურნეო გეგმაშიც (1979-1984), რომელიც მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების წაქეზებას. *ამ გეგმის ერთ-ერთ სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენდა მთის ფერმერების, როგორც მთის დამცველების როლის დამტკიცება.* ამ თეზისს არ მისცეს ეკონომიკურად სერიოზული მხარდაჭერა, თუმცა, მთიანი რეგიონების მხარდაჭერის ოფიციალური პოლიტიკის პოზიციებიდან იგი დაბეჯითებით გამოიყენებოდა მართვის რეალურ პრაქტიკაში. მაინც, ამ გეგმების შესრულება არაეფექტური აღმოჩნდა, რაც აიხსნებოდა მესაკუთრეობის, ფერმერული მეურნეობებისა და იმ ფერმერული მეურნეობების სტრუქტურების პრობლემებით, რომლებიც ტექნიკურად ცუდად იყვნენ მომზადებულნი ამ ინოვაციებისათვის.

იტალიის მთის რეგიონების კანონმდებლობა

1971 წელს იტალიამ მიიღო *სპეციალური კანონი მაღლობების განვითარების შესახებ (კანონი 1102, 1971წ.).* იტალიის კონსტიტუციაში არის დებულება მაღლობების განვითარების შესახებ. კანონი 1102 პასუხობს ამ მოთხოვნებს და პირველი მარეგულირებელი კანონია, რომელიც მოიწონა პარლამენტში წარმოდგენილმა ყველა დემოკრატიულმა პარტიამ. ეს კანონი უძველესია ევროპულ თანასაზოგადოებაში.

იტალიელი ექსპერტების აზრით, ამ კანონის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში:

მოიცავს მაღლობებისა და მთიანი რეგიონების განვითარების ყველა ასპექტს,

- ადასტურებს მათი დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და ლანდშაფტების ოპტიმალური გამოყენების მნიშვნელობას (ცვლის რა წინამორბედ განვითარების სექტორალურ კონცეფციას „მაღლობები - სოფლის მეურნეობა", რომელიც ზღუდავდა მთის რეგიონების განვითარების ეროვნულ პოლიტიკას),

მთიანი რეგიონების განვითარების ორგანოების (Upland Development Authorities - UDA) შექმნა აძლევს შანსს მთის მაცხოვრებლებს, განვითარების მათი საკუთარი პოლიტიკის მართვისათვის; ცენტრალიზებული, ბიუროკრატიული და კორპორაციული მმართველობის ნაცვლად შემოდის დემოკრატიული მმართველობა. დელეგატებისაგან განცალკევებით, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ამ საკითხებზე ადმინისტრაციულ რეგიონებში, UDA-ს ეკისრება პასუხსაგებლობა რეგიონელურ დაგეგმვაზე.

მთების შესახებ 1102 კანონში ხაზგასმულია, რომ მთიანი რეგიონების განვითარების ორგანოების მიერ შემუშავებული განვითარების გეგმები უნდა პასუხობდეს კომპლექსურ ინტეგრალურ პრინციპებს. კანონის ერთ-ერთ მუხლში (16) ცენტრალურ მთავრობას შეეთავაზება მთიანი რეგიონებისთვის აუცილებელი სახსრების გამოყოფა, მათი დაგეგმვისა და ეკონომიკური განვითარების მიზნით.

მთების შესახებ 1102 კანონის თანახმად, მთიანი რეგიონების განვითარების ორგანოებს შეუძლიათ მიწის ყიდვა, მათ შორის სატყეო მეურნეობის წარმართვისათვის. ასევე, კანონი 1102 ყოველ ადმინისტრაციულ რეგიონში მთიანი რეგიონების განვითარებისა და დაგეგმვის შესახებ კანონების „გამრავლების" საშულებას იძლევა.

თუმცა, მიღებულ კანონს მთების სესახებ მოსალოდნელი შედეგები არ მოუცია, იმის გამო, რომ:

1. ცენტრალური მთავრობა არ გამოყოფს აუცილებელ დაფინანსებას;

2. ეროვნული და რეგიონალური ხელისუფლებების რეგიონალური დაგეგმვის მეთოდები და პრინციპები წინააღმდეგობაში შედის მთიანი რეგიონების განვითარების ორგანოების გეგმებთან; კანონში არსებული ნაკლები ასახავენ უფრო ფუნდამენტალურ ხარვეზებს იტალიური დაგეგმვის პოლიტიკაში;

3. კანონში არაადექვატურადაა შემუშავებული დავალებების კოორდინაციის, ფუნქციების და დაფინანსების პრინციპები. დაგეგმვაზე უფლებების გადაცემა არ იყო გამაგრებული გადაწყვეტილებების მიღებაზე უფლებების გადაცემით. მთიანი რეგიონების თითქმის ყველა ორგანოში დაგეგმვა შემოიფარგლებოდა სოციალურ-ეკონომიკური გეგმების შემუშავებით, რომლებიც ცუდად ეფარდებოდა ეროვნული რეგიონალური ხელისუფლებების გამგებლობაში არსებულ დარგობრივ გეგმებს.

და მაინც, კანონი 1102 გარკვეულ პოზიტიურ როლს თამაშობს. მთიანი რეგიონების განვითარების ორგანოების მიერ სოციალურ-ეკონომიკური გეგმების შეზღუდული პრაქტიკული შესრულების მიუხედავად, განვითარების რეგიონალური და ეროვნული გეგმების დაკაბადონებისას, ადგილობრივ გეგმებში დადგენილი მთიანი რეგიონების განვითარების არასანუგეშო ტენდენციები თავის ასახვას ჰპოვებს რეგიონალურ და ეროვნულ გეგმებში. ამით, თუნდაც ნაწილობრივ, ზოგიერთი პრობლემა პოულობს თავის გადაწყვეტას.

ავტონომიური პროვინციები

იტალიაში არის სამი მთიანი რეგიონი, რომლებიც თავიანთი სტატუსით, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული განვითარებით კარდინალურად განსხვავდებიან დანარჩენი მთიანი ტერიტორიებისგან. ეს არის პროვინციები: აოსტა, ბოლცანო (ან ზემო ტიროლი, ან ზემო ადიგე) და ტრენტინო. ეს ის შემთხვევაა, როდესაც შვეიცარიასთან და ავსტრიასთან (ბოლცანო და ტრენტინო) მოსაზღვრე ტერიტორიები თავისი ეთნიკური, ენობრივი და კულტურული ნიშნებით არსებითად განსხვავდება საკუთრივ იტალიისაგან. თავისი ისტორიის მანძილზე ამ რეგიონების მოსახლეობა სხვადასხვა სახელმწიფ-

ოების შემადგენლობაში შედიოდა და არაერთხელ ქცეულა ამ ტერიტორიების ფლობის უფლებისთვის ომების არენად (მეორე მსოფლიო ომის ჩათვლით). ევროპისა და იტალიის უახლეს ისტორიაში ამ პროვინციებისათვის მიღწეულ იქნა კონსენსუსი: მათთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება, ფართო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით. ეს უფლებები საოცრად ეფექტურად იქნა გამოყენებული| თანამედროვე ევროპაში ეს არის ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული რეგიონთაგანი. ამის მიღწევა მოხდა ორი ძირითადი მომენტის წყალობით:

1. იტალიის მთავრობისა და პროვინციის მთავრობის მიერ ხელმოწერილი კონვენციის თანახმად, პროვინციის ტერიტორიაზე მოკრებილი გადასახადების 90% პროვინციაში რჩება,

2. ინდუსტრიულად განვითარებულ ჩრდილო იტალიასა და ცენტრალურ ევროპულ ქვეყნებს შორის გეოპოლიტიკური (გეოგრაფიული) მდებარეობის გამოყენება და, ასევე, განვითარების განსაკუთრებულად მოქნილი და რაციონარული პოლიტიკა.

ქვემოთ მოყვანილია ტრენტინოს პროვინციის მთიანი რეგიონების განვითარების და მისი საკანონმდებლო უზრუნველყოფის პოლიტიკის ანალიზი.

ავტონომიური პროვინცია ტრენტინო განლაგებულია იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით დოლომიტის ალპებში, სამხრეთით მას ესაზღვრება პროვინცია ვენეტო, ჩრდილოეთით ბოლცანო. მასზე გადის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კორიდორი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ტერიტორიის ფართობი - 6218 კვ. კმ-ია, მოსახლეობა - (1992) 447 ათასი კაცი, დასახლების სიმჭიდროვე 72 კაცი კვ. კმ-ზე, შრომისუნარიანი მოსახლეობა 179.500 ადამიანი. დარგების მიხედვით დასაქმება: აგრარული სექტორი - 9%, ინდუსტრია - 29%, მომსახურების სფერო - 61%. უმუშევრობის დონე - 5% (1989 წლისათვის).

ავტონომიური პროვინცია ტრენტინო

როგორც უკვე აღინიშნა, პროვინცია ტრენტინო 100%-ით მთის ზონაში მდებარეობს. ევროპული თანასაზოგადოების რეგიონალური პოლიტიკის „სასოფლო ზონების განვითარების“ გამოყენება შეიძლება პროვინციის ფართობის მხოლოდ მცირე ნაწილისათვის, მაგრამ ევრო გაერთიანების პოლიტიკასთან მიმართებაში. ამ პროვინციის მთელი ტერიტორია განიხილება, როგორც მთის ზონა.

რეგიონალური შემოსავლები შეადგენს 4000 ეკიუს ერთ სულზე, და აღემატება შვეიცარიის ვოდის, ბერნის და ვალეს კანტონების ამ მაჩვენებლებს და პრაქტიკულად ისეთივეა, როგორც კანტონ გრიზონისა. ეს აიხსნება გაზრდილი შემოსავლებით, რომლებსაც უზრუნველყოფს პროვინციასა და სახელმწიფოს შორის გადასახადების განაწილების სისტემა. სახსრები საკმაოდ უხვია, თუმცა, უკანასკნელი წლების განმავლობაში იწყო შემცირება. პროვინცია სახსრების გონივრულად გამოყენების პოზიციას ემხრობა.

განვითარების გეგმა განსაზღვრავს პრიორიტეტებს

ამ მიზნის მიღწევისათვის პროვინცია გამოიყენებს განვითარების დაგეგმვის ინსტრუმენტებს, რომლებიც აფიქსირებს მიზნებს, პრიორიტეტებს, სტრატეგიებს და რეგიონის გეგმებს ეკონომიკური განვითარების მიმართ 3-დან 5 წლამდე პერიოდისთვის. მიღებული პროვინციული პოლიტიკის ეს სისტემა შეიძლება განიხილოს, როგორც მთის ზონების განვითარების პოლიტიკა და, ამ შემთხვევაში, შესაძლოა ვილაპარაკოთ გლობალურ მიდგომაზე მთიანი რეგიონების კომპლექსური განვითარების მიმართ. ეკონომიკური მხარდაჭერის განსაკუთრებულ დარგებს წარმოადგენს: სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა, რომლებმაც მიიღეს 93.1 მლნ. ეკიუ, 1989 წელს; ინდუსტრია, კუსტარული წარმოება და კომერცია - 121.7 მლნ. ეკიუ; ტურიზმი - 33.4 მლნ. ეკიუ. საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხელშეწყობას ასევე დიდი ყურადღება ენიჭება, ვინაიდან ამ მიზნით გათვალისწინებულმა თანხამ 82.4 მლნ. ეკიუმდე აიწია.

მთის რეგიონებთან ინტეგრირებული მრავალმხრივი მიდგომა

1990 წლის 12 მარტის პროვინციის კანონი №7, 1990-1992 წ.წ. პერიოდისათვის განვითარების გეგმის აპრობაციის შესახებ. 300 გვერდზე მეტი მოცულობის ეს კანონი განსაზღვრავს პროვინციის განვითარების სისტემას აღნიშნული პერიოდისათვის. კანონი იყოფა სამ ნაწილად: I. -სტრატეგიის მიზნები და ძირითადი ელემენტები; II. - პროგრამები; III. -პროექტები.

განვითარების ეს გეგმა წარმოადგენს პროგრამას. ფაქტიურად, ეს არის საბაზო კანონი, რომელიც აისახება სხვა კანონებში; ნამდვილად, იგი თავაზობს რეფორმებს, იძლევა ახალი კანონების შემუშავების რეკომენდაციას და ითვალისწინებს ავტონომიურ პროექტებს. პრაქტიკულად, ეს კანონი კონცეფციის როლს თამაშობს, რაც ნიშნავს ყოველი წინადადების კონკრეტიზაციის არასავალდებულობას (მისი გაფორმება). პრინციპში, დაფინანსების სავალდებულო რეგლამენტაცია არ არის განსაზღვრული.

მიზანი - ეკონომიკის აღზევება

პირველ ნაწილში განსაზღვრულია განვითარების წინამორბედი გეგმის გადაფასებაზე დამყარებული ძირითადი მიზნები, პროვინციაში საზოგადოებრივ-ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით. მითითებულია შემდეგი მიზნები:

- არსებული შემადგენლობის გადაწყობა (კანონმდებლობის მოდერნიზაცია, მიმდინარე საქმიანობის ხარისხობრივი გაუმჯობესება).

- ევროკავშირის შიდა ბაზრის ცვლილებასთან დაკავშირებით მრავალრიცხოვან მიმღებთა შემოსავლების გაზრდაზე მიმართული დახმარების ღონისძიებების და ეკონომიკური ზრდის ზომის შეცვლა (ადაპტაცია და ინოვაცია). ეს ნიშნავს, საწარმოთა მფლობელებისათვის ნაკლებ ინდივიდუალურ დახმარებას და საწარმოთა სისტემაში არაპირდაპირი ჩარევის უპირატესობას, ინოვაციებისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სრულყოფის, კომერციალიზაციისა და ა.შ. დახმარების მეშვეო-

ბით. ინფრასტრუქტურასთან მიმართებაში ეს ნიშნავს პრიორიტეტების გადანაცვლებას შემთხვევითი ღონისძიებებიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართული მოქმედებებისკენ (ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი, „მძიმე ინფრასტრუქტურა"). დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადმიანურ რესურსებს.

სტრატეგია

განსაზღვრულია 7 ძირითადი პუნქტი:
- ზომები დამფუძნებელი რეგლამენტაციის დარგში ეკონომიკის ორიენტაცია პროვინციის დონე'ზე
- აქტიური პოლიტიკა გარემოს მიმართ
- ქსელის მოწყობაზე მიმართ'ული პოლიტიკა სოციალური სამსახურების გაუმჯობესება
- ადამიან'ური რესურსებისადმი მიძღვნილი პოლიტიკა
- ადმინისტრაციის ეფექტურობა

ეკონომიკის განვითარების პროგრამა

II ნაწილში აღწერილია სტრატეგიის ყოველი ძირითადი პუნქტის მიზნების მიღწევაზე მიმართ'ული პროგრამები. რაც შეეხება ეკონომიკის ორიენტაციის ძირითად პუნქტს, აქ უნდა სრულდებოდეს შემდეგი პროგრამები: საწარმოებისთვის პირდაპირი ხელშეწყობა: საწარმოების შემოქმედებითი საქმიანობა: ტექნოლოგიების ძიება და ინოვაცია; დახმარება საგარეო ექსპორტისათვის; სოფლის მეურნეობის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფუნქციები; მეტყევეობაში ტიპიური საქმიანობის გადაფასება; ენერგია; ტურიზმის პოლიტიკა; გადამანაწილებელი სექტორი; კოოპერატივებისათვის ხელის შეწყობა; შრომითი მოწყობის ბაზრის და პროფესიონალური განათლების პოლიტიკა.

ინდუსტრიული კრიზისის გაკვეთილები

ინდუსტრიული პოლიტიკისადმი მიძღვნილი პროგრამა წარმოიშვა მაშინ, როდესაც პროვინციის ინდუსტრიული სექტორი

ღრმა კრიზისში იმყოფებოდა. სიტუაცია კვლავ გამოსწორდა 80-იანი წლების მეორე ნახევარში, უშუალოდ პროვინციის მიერ წამოწყებული ძალისხმევების წყალობით. მიუხედავად ამისა, ინდუსტრიაში რჩება სტრუქტურული პრობლემები, რაც დაკავშირებულია საწარმოთა გაერთიანებების სუსტ ინტეგრაციასთან, საგარეო ეკონომიკისათვის სუსტად გახსნასთან (ქვეყნის სხვა რეგიონებისა და საზღვარგარეთისათვის) და, აგრეთვე, სუსტ კონკურენტუნარიანობასთან.

ამ პროგრამის მიზნები ძალაში რჩება, პირველ რიგში - ინდუსტრიული სექტორის რეინდუსტრიალიზაცია და კონსოლიდაცია. მიზნების მიღწევა უნდა მოხდეს ინვესტიციებისთვის ხელის შეწყობით, რესტრუქტურიზაციითა და ტექნოლოგიების ინოვაციებით.

და ბოლოს, განვითარების გეგმის III ნაწილი შეიცავს პროექტებს, რომელთა შორის მოიპოვება არსებული პროექტებიც, რომელთა შინაარსიც გადახედილ იქნა და, აგრეთვე, ახალი პროექტებიც. შეიძლება მათი მიმართვა II ნაწილის ერთ-ერთ პროგრამაზე, ან ჰორიზონტალური (სივრცითი) განხორციელება მრავალრიცხოვანი პროგრამების ფარგლებში. გათვალისწინებულია მიმდინარე 21 პროექტი 12 ადაპტირებული და გაგრძელებული ქვეპროექტის გათვალისწინებით; 13 პროექტი 17 ქვეპროექტით ახალია.

საწარმოების არაპირდაპირი დახმარება

ინდუსტრიული პოლიტიკისადმი მიძღვნილ პროგრამაში გამოიყოფა 2 პროექტი: ერთი, უკვე არსებული - რეინდუსტრიალიზაციის შესახებ და მეორე - ახალი პროექტი, „საწარმოებისთვის მიწოდების“ შესახებ. ახალი პროექტის აუცილებლობა განპირობებულია რიგი მიზეზებით: გარე კონკურენციის ზრდის ზეწოლა, პროვინციის ამ ნაკლის მეტჯერ არშემჩნევის პოლიტიკური სურვილი და საწარმოებში არაპირდაპირ ჩარევაზე განსაკუთრებული ყურადღების მიმნიჭებელი ევროკავშირის პოლიტიკა.

პროექტის მიზნები, მოთხოვნებთან მიმართებაში, მოიცავს შემდეგს: საწარმოების დაინტრესება სპეციალური საგარეო

მიწოდებებით (ბაზრის ანალიზი, კომერციალიზაცია, რჩევები საწარმოების ორგანიზაციის თაობაზე და ა.შ.) და საწარმოს სისტემაში მიწოდებების ხარისხობრივი გაუმჯობესებისთვის ხელის შეწყობა, სემინარებისა და კურსების ორგანიზაციის, სრულყოფის მხარდაჭერის და ა.შ. მეშვეობით. რაც შეეხება აღჭურვას, მიზანს წარმოადგენს საწარმოს განზრახვების შესახებ საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესება (მონაცემთა ბანკები), ადგილობრივ დონეზე საწარმოების შექმნის სურვილი და სერვისის სექტორის საწარმოებსა და კვლევით ცენტრებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა.

ამ მოკლე ჩამონათვალის დასამთავრებლად საჭიროა აღინიშნოს, რომ პროვინციის მხარდაჭერა ძირითადად უნდა მდგომარეობდეს სახვადასხვა სახის ფინანსურ წახალისებებში. პროექტის რეალიზაცია მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას ეკონომიკისთვის ხელის შემწყობ ორგანიზაციებსა და პროფესიონალურ ასოციაციებს შორის. პროექტის განხორციელებისათვის უნდა შეიქმნას კანონი ამ საკითხის შესახებ.

სექტორული (დარგობრივი) მიდგომა მთიან რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო ზონების სისტემა.

აოსტის ხეობისგან განსხვავებით, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის კონტექსტში, ტრენტოს პროვინციაში რამდენიმე ზონაა, თუმცა, მისი ტერიტორია, ისევე როგორც აოსტის ხეობა, მთლიანად მთიან ზონაში მდებარეობს. პირდაპირი დახმარების მეტი ნაწილი გულისხმობს დიფერენცირებულ საგადასახადო დაბეგრვას, არახელსაყრელობის ხარისხზე დამოკიდებულებით. არსებობს კანონები და დადგენილებები: 1989 წლის 9 იანვრის სამთავრობო დადგენილება №99 და 1981 წლის 31 აგვისტოს №17 და 1976 წლის 26 ნოემბრის №39 პროვინციული კანონები.

1989 წლის 9 იანვრის №99 სამთავრობო დადგენილება შეეხება 1989-1991 წ.წ. პერიოდის სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარების გეგმის გადახედვის მოწონებას. ამ გეგმამ უნდა შეძლოს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმით ფორმულირებული მიზნების მიღწევა, სხვა ყველაფერთან

ერთად, გეგმა განსაზღვრავს ზონების საზღვრებს.

გამოყოფილია სამი ზონა: ნორმალური (ჩვეულებრივი), არახელსაყრელი და უკიდურესად არახელსაყრელი ზონები. საზღვრების დადებისათვის გამომუშავებული იყო როგორც ფიზიკური, ისე ეკონომიკური მაჩვენებლები. ლაპარაკია სიმაღლებრივ დონეზე, რელიეფზე, წყლის მისაწვდომობაზე, ცხოველური პროდუქციის წარმოებით დაკავებული საწარმოების წილზე მეურნეობის საერთო რიცხობრივ მაჩვენებელში, ნახირის, ფარებისა და ჯოგების სიდიდეზე და ინფრასტრუქტურაზე. ნორმალურ ზონაში იმყოფება 6400 მეურნეობა (55,5%), არახელსაყრელ ზონაში 2900 (25%) და უკიდურესად არახელსაყრელში - 2250 (19,5%).

სოფლის მეურნეობის მუშაკების საარსებო პირობების გაუმჯობესება

1981 წლის 31 აგვისტოს პროვინციული კანონი №17 (მრავალრიცხოვანი მოდიფიკაციებით) შეეხება მაკოორდინებელ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობაში. კანონის მიზანია, სოფლის მეურნეობის მუშაკების საარსებო პირობების გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, საოჯახო საწარმოებისა და კოოპერატივების მხარდაჭერა. ის, რაც უნდა კეთდებოდეს სოფლის მეურნეობაში მისაღებ ღონისძიებებზე და არახელსაყრელი ზონებისთვის სპეციალურ ღონისძიებებზე საერთო კოორდინაციის მიერ.

დიფერენცირებული მხარდაჭერა დასახულ მიზნებთან შეთანხმებით

ნორამურ (ჩვეულებრივ) ზონებში მეურნეობების მხარდაჭერა უნდა გამოიყოს საწარმოს რენტაბელობის კრიტერიუმების თანახმად, რაც არ წარმოადგენს პერველხარისხოვანს არახლსაყრელ ზონებში. არხელსაყრელ ზონებში მიზნები მდგომარეობს მოსახლეობის რაოდენობის, გარემოს მდგომარეობის, ადგილობრიეი რესურსების გამოყენების და არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობაში. განმსაზღვრელია

ჩამოთვლილი მიზნების მიღწევისთვის სახსრების გამოყოფა.

კანონი ითვალისწინებს აგრეთვე პრიორიტეტებს, შესაძლო მიმღებების თანმიმდევრობაში. პირველ ადგილზე იმყოფება კოოპერატივები (არაპირდაპირი დახმარება სასოფლო-სამეურნეო მუშაკებისათვის), მეორეზე მეპატრონის მქონე საწარმოები (საწარმოები მმართველის ხელმძღვანელობის ქვეშ), მესამეზე - დანარჩენები.

დოტაციები და შენატანები ინფრასტრუქტურის ინტერესებისათვის

პროვინცია აძლევს თავის მხარდაჭერას ყველა გათვალისწინებულ ღონისძიებას, ან შენატანის სახით სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სასარგებლოდ, ან უანგარო (დაუბრუნებელი) დახმარების სახით. გარდა ამისა, პროვინციამ მოაწერა ხელი თავდებობას.

ეტაპობრივად წარმოებული რეორგანიზაცია იღებს მხარდაჭერას (სუბსიდიებმა შეიძლება მიაღწიოს 100%). ამასთან ერთად, ლაპარაკია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ზომებზე, როგორიც არის: გზების, სადრენაჟო სისტემების და ა.შ. მშენებლობა (სუბსიდიები აღწევს 70%), ფერმებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობა (სუბსიდიები აღწევს 35-55%-ს ზონისა და ზომების შესაბამისად), რაც შეეხება მაღალმთიანი საძოვრების (ალპური მდელოების) გაუმჯობესებას, სუბსიდიები აღწევს 85%-ს. დიდ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობის მუშაკებისთვის მიწოდების შემთავაზებელი ორგანიზაციების დახმარება, როგორიცაა კოოპერატივები, სასოფლო-სამეურნეო ასოციაციები, ტექნიკური ჯგუფები და ა.შ. მათი მიმდინარე ხარჯები სუბსიდირდება 70%-მდე. თუ კოოპერატივები ყიდულობენ ტექნიკას (ტექნიკური თანასაზოგადოება), მაშინ სუბსიდიები იზრდება შეძენისთვის საჭირო ხარჯების 50-70%-მდე, ზონაზე დამოკიდებულებით.

1976 წლის 26 ნოემბრის პროვინციული კანონი №39 (შეიცავს მრავალრიცხოვან მოდიფიკაციებს) შეეხება აგრარული სტრუქტურის ეფექტურობის შესახებ ევროკავშირის წესების (წესდების) დანერგვას. თავის პირველ ნაწილში ეს კანონი

ადგენს და განსაზღვრავს მოქმედების არეს, ევროკავშირის სუბსუდიების გადასახადებს და პროვინციების აუცილებელ მონაწილეობას ამ მხრივ 2328/91 დებულების ფარგლებში (ევროკავშირის წესდების).

მეორე ნაწილში კანონი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის დახმარების საზოგადოებრივი მართვის სამსახურის შექმნას, რომლის ამოცანა მდგომარეობს სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის პროფესიონალურ და ტექნიკურ მხარდაჭერაში. ამასთან, სამსახურს შეუძლია ნაკვეთების და ნაგებობების ყიდვა და გაყიდვა, კოოპერატივების მხარდაჭერა, სემინარების ორგანიზება და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა

1989 წელს დანახარჯები სასოფლო-სამეურნეო მშენებლობაზე, სტრუქტურების დამუშავებაზე (ზედაპირი, წარმოების საფუძვლების გაფართოება და ა.შ.) და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიმდინარე დანახარჯების მოკლევადიან დაფინანსებაზე გაიზარდა 26.9 მლნ. ეკიუმდე. დანახარჯები ინფრასტრუქტურასა და მიწის გაუმჯობესებაზე გაიზარდა 24.5 მლნ. ეკიუმდე, ხოლო სოფლის მეურნეობაში თანამშრომლობის ხელშეწყობასა და მხარდაჭერაზე დანახარჯებმა მიაღწია 21.2 მლნ. ეკიუს.

დღეისათვის ტრენტინოს პროვინციის პარლამენტის მიერ განიხილება ახალი კანონი მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის შესახებ. განვითარების გეგმის ამოცანებზე დაყრდნობით, შემუშავებულ იქნა ახალი პროექტი - „მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობა". რამდენიმე მოქმედი კანონის რევიზიის გარდა პროექტი ითვალისწინებს მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობაზე მიმართული ღონისძიებების სისტემის მოწესრიგებას.

პროექტი ისწრაფვის გაითვალისწინოს მთიანი ზონების მუდმივი არახელსაყრელი გარემოებები და ითვალისწინებს მხარდამჭერი ღონისძიებების მთელ სერიას, ასევე, ჩარევის მოქმედი საშუალებების გაძლიერებას. ამ სპეციალური ღონისძიებებით უნდა ისარგებლონ ყველაზე არახელსაყრელმა მეურნეობებმა.

საჭიროა მოხსენიებულ იქნას სესხები, რომლებიც გაიცემა სოფლის მეურნეობის მუშაკებზე მდელოების შენახვისა და ექსპლოატაციისათვის, კონტრაქტების საფუძველზე; ეს შენატანები აღწევს არსებული ინფრასტრუქტურის, როგორიცაა, მთის გზები, საძოვრების კეთილმოწყობა, ირიგაცია და ა.შ., შესანახი ხარჯების 80%-ს. სპეციალურად უნდა წახალისდეს მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის მუშაკების „აგროტურისტული" საქმიანობაც: ერთის მხრივ, პირდაპირი შესაბამისობით შენატანებთან მიწების სტრუქტურებისათვის ინვესტიციებში და განათლებასა და დახელოვნებაში და, მეორეს მხრივ, დამატებითი ღონისძიებების მთელი სერიის მხარდაჭერით (ინფრასტრუქტურა, რეკლამა და სხვა).

პროვინციის მოთხოვნით, ევროკავშირმა სცნო პროვინციის ალპური ზონის სისტემა, როგორც „ეკოლოგიურად მგრძნობიარე ტერიტორია", რაც საშუალებას იძლევა, მისთვის გამოყენებულ იქნეს სპეციალური ღონისძიებები ბაჟისა და ალპური მდელოების შენახვის ხარჯებისათვის. ამ მომენტამდე, პროვინციის მიერ დადგენილი იყო მთიანი რეგონების სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის საკომპენსაციო ანაზღაურებების თანმიმდევრობა ეფექტურობის შესახებ ევროკავშირის დადგენილების სისტემაში. ყველაზე დაბალი თანხა შეადგენს 27 ეკიუ/სულზე, ყველაზე მაღალი 130 ეკიუ/სულზე. ეს ჯგუფები შემცირდება ორამდე „მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის პროექტის" თანახმად, რათა სოფლის მეურნეობის უფრო მრავალრიცხოვანმა მუშაკმა მიიღოს უფრო მაღალი შენატანები (კონტრიბუციები).

გ) სამრეწველო მიდგომა მთიანი რეგიონების მიმართ სატყეო მეურნეობა

პროვინციას აქვს კანონი ტყის შესახებ (1978 წლის 23 ნოემბერი, № 48; მოდიფიცირებული 1986 წლის 16 დეკემბერს, № 33), რომელიც მიმართულია სატყეო მეურნეობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ხის მასალის წარმოებასა და გადამუშავებაზე. სატყეო მეურნეობის პრობლემების გადა-

წყვეტისთვის (ნაწილობრივ მაინც), პროვინციამ მოამზადა პროექტი „ტყე“, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილი კანონების ადაპტაციის შემწეობით გააჩნია შემდეგი მიზნები:

ტყის გამოყენება თვითონ მეპატრონეების მიერ (კერძო პირის ან საზოგადოებრივი სამსახურის მიერ),

- საბაზრო მიწოდებების თანამედროვე დანაწევრებულობის აღმომფხვრელი კომერციალიზაციის სისტემების მომზადება,

სამუშაო ძალის განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება,

ხარისხის მკაცრი კრიტერიუმის შემოღება.

1989 წელს გამოყოფილი 14 მლნ. ეკიუდან დაახლოებით 1.5 მლნ. წავიდა დახმარებაზე კერძო ტყეების მფლობელებისთვის.

ინდუსტრია და ხელოსნური წარმოება

ხელოსნურ და ინდუსტრიულ საწარმოებს ხელი ეწყობათ სხვადასხვა ღონისძიებებით, რომელთა ბაზას რეგიონალური კანონები წარმოადგენს, როგორც მაგალითად, - 1987 წლის 3 აგვისტოს რეგიონალური კანონი №13. მრავალრიცხოვანი ღონისძიებები აიოლებენ ინდუსტრიული საწარმოების მართვას (კრედიტები). გადასახადების შემცირება ხელს უწყობს ახალი ინვესტიციების დაფინანსებას. პროვინცია თვითონ ყიდულობს, ანდა დახმარებას უწევს ინდუსტრიული უბნების შესყიდვას. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და წარმოების სტრუქტურის განახლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელოსნების ფენის მხარდაჭერაში.

1989 წელს ინდუსტრიული წარმოების ხელის შეწყობისთვის რეგიონის ხარჯები გაიზარდა დაახლოებით 46 მლნ. ეკიუმდე; ინდუსტრიის ორიენტაციის შეცვლა დაჯდა 25.5 მლნ. ეკიუმდე, ხოლო ხელოსნების დახმარება - 31.5 მლნ. ეკიუმდე. სულ პროვინციამ დახარჯა 320 ეკიუ ერთ სულ მოსახლეზე, რაც თითქმის 10-ჯერ მეტია, ვიდრე ვალეს ოლქში, რომელიც ამ გამოკითხვის ოთხი შვეიცარიული ოლქიდან ყველაზე მეტად უჭერს მხარს ინდუსტრიას.

ტურიზმი

მთავრობამ შეიმუშავა ტურიზმის მიმართ პოლიტიკის გეგმა, რომელიც ხაზს უსვამს განვითარების გეგმის საერთო მიმართულებებს. ტურიზმისათვის მხარდაჭერა დაფუძნებულია სხვადასხვა კანონებზე, როგორც მაგალითად, 1990 წლის 13 დეკემბრის კანონი № 33, მიწების სტრუქტურების ტევადობის შეზღუდვის შესახებ, 1986 წლის 4 აგვისტოს კანონი № 21, ტურიზმისათვის ხელშეწყობის რეორგანიზაციის შესახებ, 1988 წლის 22 აგვისტოს კანონი № 27, სასასტუმრო მეურნეობის მხარდაჭერის შესახებ და 1988 წლის 15 ნოემბრის კანონი № 35, საბაგირო დაკიდული გზებისა და სათხილამურო ტრასებისთვის დახმარების შესახებ.

დახმარება მიმდინარეობს, ძირითადად, ორი მიმართულებით: ტურისტული საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. 1989 წელს პირველი მიმართულებით ხარჯებმა მოიცვა დაახლოებით 16.7 მლნ. ეკიუ. ლოკალურმა ტურისტულმა სამსახურებმა მიიღეს ეს დახმარება; ტარდებოდა სარეკლამო კამპანიები, ფინანსდებოდა ბაზრობების მოწყობა და ასეთი გამოსვლების ორგანიზება. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ეს არის, ძირითადად, განახლება, გაზრდა და ახალი სასტუმროების მშენებლობა, რომლებიც ერთობლივად ფინანსდებოდა (დაახლოებით 7.5 მლნ. ეკიუ), გამოიყოფოდა დახმარება კემპინგების კეთილმოწყობისათვის (დაახლოებით 0.7 მლნ. ეკიუ) და გაცემული იყო დახმარება საბაგირო გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის დაყენებისათვის, ხელოვნური თოვლისათვის ზარბაზნების შეძენა, სამუშაოები სათხილამური ტრასებზე და ა.შ. (დაახლოებით 1.3 მლნ. ეკიუ). 1990 წელს გრიზონის კანტონმა, რომელიც ყველაზე მეტად უწყობს ხელს ტურიზმს, ამ მიმართულებით დაახლოებით 3 მლნ, ეკიუ დახარჯა.

საცხოვრებელის მშენებლობის მხარდაჭერა

ბევრი კანონის ტექსტი განსაზღვრავს პროვინციის ფინანსურ შენატანებს ამ დარგში. გამოიყოფა ღონისძიებათა სამი

ტიპი: იაფი საცხოვრებელის მშენებლობა ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობისათვის; კონტრიბუციები კერძო პირებისა და კოოპერატივებისათვის დოტაციების ან საცხოვრებელი სახლების და სართულების კერძო ფლობით საცხოვრებელის ყიდვასა და მშენებლობაზე გამოყოფილი კრედიტის შემცირების ფორმით; იმ საცხოვრებლის განახლების ხელშეწყობა, რომელიც არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება, პირველ რიგში ჰიგიენური ნორმებით. ამ პოლიტიკას წმინდა სოციალური ხასიათი გააჩნია და არ წარმოადგენს რეგიონალური პოლიტიკის ნაწილს.

ეკონომიკის ხელშემწყობი სხვა მრავალგვარი ღონისძიება ტარდება კომერციაში, მაღაროებში (შახტებში) და ა.შ.

დ)კომენტარი

თავისი სტატუსით, პროვინცია ტრენტო შეიძლება გაუტოლდეს აოსტის ხეობას, რაც მათი პოლიტიკური ავტონომიის ხარისხის შესადარობას ნიშნავს. თუმცა, ტრენტოს მოსახლეობის შემოსავლები აშკარად უფრო დაბალია. ეკონომიკის ხელშეწყობა არ აღწევს ისეთ ზომებს, როგორც აოსტის ხეობაში, და მაინც, იგი აღემატება ვალეს, ბერნის და ვოდის ოლქებისას.

აოსტის ხეობის პოლიტიკასთან შედარებით, ტრენტოს პოლიტიკა პრინციპულად განსხვავებულია იმ საკითხში, რომელიც შეეხება მისაწვდომი სახსრების ეფექტური გამოყენებისა და გარკვეული პრიორიტეტების თანახმად მათი შენატანებისთვის მოხმარებულ ძალისხმევებს. ეკონომიკური ზრდის კონცეფცია აოსტის ხეობის კონცეფციის ანალოგიურია: ეკონომიკის მხარდაჭერა ხდება, რეგიონთაშორის დონეზე კონკურენტუნარიანობის მიღწევის პირდაპირი მიზნით. პირიქით, მოცემულ ნაშრომში განხილულ სხვა რეგიონებთან შედარებით, ტრენტო ხარჯავს მეტ სახსრებს (აბსოლუტური გამოხატულებით) ინდუსტრიაზე, ხელოსნებზე და კომერციაზე და ნაკლებ სახსრებს - სასოფლო-სამეურნეო მეტყეეობაზე.

სახსრების ეფექტური გამოყენების მიზნით მოხმარებული ამ ძალისხმევების გარდა, ტრენტო შეფიქრიანებულია მისი

მხარდაჭერის პოლიტიკის შესაბამისობით ევროპულ დონესთან. ასე, ხელშეწყობა მეტად უნდა იყოს მიმართული მომავალზე (დახმარებაზე უარის თქმა); ინოვაციები პრიორიტეტების მიხედვით უნდა განაწილდეს და აუცილებელია პირდაპირი დახმერებიდან საწარმოებისთვის არაპირდაპირ მხარდაჭერაზე გადასვლა.

ეკონომიკის პირდაპირმა ზრდამ დღემდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. ისევე როგორც აოსტის ხეობაში, დიდი მნიშვნელობა აქვს არსებული სამუშაო ადგილების მხარდაჭერას ახლების შექმნისას და მცირე ხელოსნური საწარმოების შენარჩუნებისას.

ვინაიდან დახმარება მიდის მცირე და საშუალო საწარმოებში, რომლებიც „უმნიშვნელოებს" წარმოადგენს საერთო ევროპულ ბაზარზე, ევროკავშირი უშვებს ამ მხარდაჭერის პოლიტიკას. მიუხედავად ამისა, ტრენტოს ფუნქციონერებთან დისკუსიებმა გამოაშკარავეს, რომ კონფლიქტები ევროკავშირთან არსებობდა. მიმართულია ძალისხმევები მათ ასაცილებლად, შეძლების და გვარად.

სოფლის მეურნეობის ძლიერ დიფერენცირებული დახმარების ღონისძიებები ამტკიცებს, როგორც არსებული სტრუქტურების მხარდაჭერის სურვილს, ასევე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მხარდაჭერას ყველგან, მთიან ზონებში, მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის არაპროდუქტიული ამოცანების რეალიზაციის მიზნით. ზონების მიხედვით ეს დიფერენციაცია წარმოადგენს აგრეთვე უფრო ნიშანდობლივ განსხვავებებს მხარდაჭერის პოლიტიკასთან აოსტის ხეობაში.

პოლონეთი

პოლონეთში არ არსებობს იურიდიულად გაფორმებული კრიტერიუმები მთიანი რეგიონების დადგენისათვის. საერთოდ, ტერმინი მთიანი რეგიონი შეეხება ზღვის დონიდან 350 მ ნიშნულზე მაღლა მდებარე ტერიტორიებს. მათ შორის გამოიყოფა 500 მ-ზე მაღლა მდებარე რეგიონები. ამ კრიტერიუმებიდან გამომდინარე, პოლონეთის ტერიტორიის დაახლოებით 8% უჭირავს მთებს და მაღლობებს, რომლებიც

შედიან კარპატების, სუდეთის და სვეტოკრუიზსკის მთიან მასივებში. მიუხედავად იმისა, რომ მთებს ქვეყნის მცირე ტერიტორია უჭირავს, ისინი დიდ როლს თამაშობენ არა მარტო რეგიონალურ დონეზე, არამედ საერთოევროპულ მასშტაბშიც. მთიანი რეგიონების ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციებია:

წყლის ჩადინების ფორმირება (მთელი წყლის რესურსების 30%),

სატყეო მეურნეობა (მთის ტყეებით დაფარულია მთების 40%),

- ტურიზმი,

სასოფლო-სამეურნეო პრდუქცია.

პოლონეთის მოსახლეობის 45% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. შესაბამისად, მთიან რეგიონებში მიწების 50% დაკავებული აქვს აგრარულ სექტორს. დომინირებს მცირე ფერმერული მეურნეობები. ფერმების საშუალო სიდიდე კარპატებში არის 3 ჰა, სუდეთის მთებში 8 ჰა. ფერმების სტრუქტურაში მარცვლოვანებს უჭირავს დასამუშავებელი მიწების 50%, კარტოფილს - 16%. ბუნებრივი მდელოების და სათიბების ფართობი დიდი არ არის (20-50%). სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეფექტურობა მთებში ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის 25-40%-ს შეადგენს.

1990-იან წლებამდე პოლონეთში არ არსებობდა მკვეთრად გამოხატული პოლიტიკა მთიანი რეგიონების მიმართ. მათი განვითარება პირველ რიგში უკავშირდებოდა აგრარული სექტორის განვითარებას. საბაზრო ურთიერთობებზე ეკონომიკის გადასვლასთან ერთად საჭირო გახდა მთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიის რევიზია. პოლონელი ექსპერტების აზრით, მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის ფორმირება უნდა გამოდიოდეს მრავალფუნქციონირების პრინციპიდან, რომელიც ასახავს საკუთრივ მთების ბუნებას. ამ კონტექსტში მთიანი რეგიონების განვითარების ახალი პრიორიტეტების დეკლარირება ხდება:

- ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნება და ხელშეწყობა,

მთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის ძვირადღირებული მიგრაციის თავიდან აცილება აგრარული საქმიანობიდან შე-

მოსაელიანობის გაზრდისათვის პირობების შექმნის გზით,

პროდუქტიული პოტენციალის ხელშეწყობა, კერძოდ, აგრარულ სექტორში მიწის რესურსების.

პოლონელი ექსპერტები დიდ იმედებს ამყარებენ პოლონეთის ეკონომიკის ინტეგრაციაზე, მათ შორის, მთიანი რეგიონების რეგიონალურ პოლიტიკაში, ევროკავშირთან.

საფრანგეთი

საფრანგეთის მთელი ტერიტორიის 23% მთებს უჭირავს. მთებში განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო მიწების 15% და ტყეების 32%. საფრანგეთის მოსახლეობის 7% მთებში ცხოვრობს. მისი მთიანი ტერიტორიები ხასიათდება ბუნებრივი და ეთნო-კულტურული დიდი მარავალფეროვნებით.

მაღალ პირენეებში და ალპებში (უმაღლესი წერტილი მონბლანი - 4807 მ) თაავმოყრილია საქვეყნოდ ცნობილი ტურისტული ცენტრები. ცენტრალური მასივი წარმოადგენს ვრცელ პლატოს, განვითარებული სასოფლო და სატყეო ეკონომიკის სექტორებით. უფრო დაბალი ვოგეზი და იურასათვის დამახასიათებელია განვითარებული სამრეწველო და ტყის გადამამუშავებელი დარგები. კორსიკის კუნძულოვან მთებში განვითარებულია სოფლის და სატყეო მეურნეობა, მესაქონლეობა, ტურიზმი.

საფრანგეთი, შეეიცარიასა და იტალიასთან ერთად, მიეკუთვნება ევროპულ ქვეყნებს, სადაც განვითარების რეგიონალურ პოლიტიკას, მათ შორის მთიანი რეგიონების მიმართ, დიდი ხნის ტრადიციები აქვს. პირველი კანონი, მთის ტყეების დაცვის შესახებ, მიღებულ იქნა 1880 წელს.

მთიანი რეგიონების ცნების და მათი საზღვრების, როგორც დაგეგმვისა და მართვის ობიექტების, მკაფიო განსაზღვრის აუცილებლობის გათვალისწინებით, საფრანგეთში არსებობს იურიდიულად (კანონმდებლურად) დადგენილი ცნება მთიანი რეგიონების შესახებ, მათი კლასიფიკაცია და ამა თუ იმ მთიანი ზონისთვის მიკუთვნებული კომუნების სია. ასე მაგალითად, 1961 წლის 23 ივნისის დეკრეტში მოცემულია მთიანი ზონის შემდეგი განსაზღვრა, დაკავშირებული დარეგ-

ისტორირებული 1845 კომუნის ეკონომიკასთან:

„მთიანი ზონა მოიცავს კომუნების ტერიტორიას, რომელთა ფართობის არანაკლებ 80% განლაგებულია ზღვის დონიდან 600 მ-ზე მეტ სიმაღლეზე, ან რომლებშიც დასამუშავებელი მიწების ქვედა და ზედა საზღვარს შორის სიმაღლეთა სხვაობა არანაკლებ 400 მ-ს შეადგენს.

კომუნები, რომლებიც არ პასუხობენ სიმაღლის ან სიმაღლეთა სხვაობის ზემოთმოყვანილ კრიტერიუმებს, მაინც შეიძლება მიკუთვნებულ იქნეს მთიანისთვის, თუკი მათი ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული მომიჯნავე კომუნების ეკონომიკასთან, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე მუხლში განსაზღვრულ პირობებს“.

საფრანგეთში არსებობს მთიანი რეგიონების იურიდიულად გაფორმებული კლასიფიკაცია, რომლის საფუძველზეც კომუნები მიკუთვნებული არიან ამა თუ იმ კატეგორიას. ეს სია რეგულარულად გადის რევიზიას და ზუსტდება, საკანონმდებლო შესწორებებთან დამოკიდებულებაში. საფრანგეთის მთიან ზონაში გამოიყოფა:

- მაღალი მთები
  უბრალოდ მთები
  მშრალი მთები (ეს კატეგორია არ წარმოადგენს ექსკლუზიურს სხვებისაგან)

მაღალი მთების კომუნები მთის კომუნების საერთო რიცხვის 10%-ს შეადგენს. მაღალი მთების ფართობს უჭირავს მთელი მთების 17,7%, მაშინ როდესაც, მათი მოსახლეობა შეადგენს 8,4%-ს; მთიანი ზონის 35,5% კლასიფიცირებულია, როგორც მშრალი.

მთების კატეგორია

მაღალი მთების ზონა

გამოიყოფა მაღალი მთების ორი ტიპი, გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის თავისებურებების შესაბამისად:

1973 წლის დადგენილების საფუძველზე, მთიანი რეგიონების სპეციალური კომპენსაციის შესახებ, გამოყოფენ

„მაღალი მთების“ ზონას, სადაც მოსახლეობა იღებს საკომპენსაციო გადასახდელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცირკულარის შესაბამისად.

გამოყენების სფერო: მაღალი მთების ზონა მოიცავს კომუნებს ან კომუნების ნაწილებს, რომლებიც მდებარეობს 1200 მ-ზე მეტ სიმაღლეზე, პირუტყვის სულადობის სიმჭიდროვე აღემატება 0,2 სული/ha, იგი გამოყოფილია მხოლოდ ალპებსა და პირენეებში და მოიცავს მთის კომუნების 10%-ს, ანუ საფრანგეთის მთიანი ზონის საერთო ფართობის დაახლოებით 18%-ს.

1977 წლის 22 ნოემბრის დეკრეტი № 77-1281, რომელიც დადებითად აფასებს მთების დაცვასა და კეთილმოწყობაზე მიმართულ ეროვნულ დირექტივას, აწესებს მაღალმთიან ზონაში სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და სატყეო მეურნეობის სფეროში უფრო აქტიური მოქმედებისათვის საერთო ღონისძიებების გაძლიერებას.

მაღალმთიანი ზონა დადგენილია სხვადასხვა მთიანი მასივებისათვის: ვოგეზები - 800 მ; იურა 1100 მ; ალპები - 1600 მ; პირენეები - 1400 მ; ცენტრალური მასივი - 1200 მ; კორსიკა - 1100 მ.

1985 წელს მიღებულმა კანონმა მთის შესახებ არ დაადასტურა ეს გაყოფა.

უბრალო მთები

„უბრალო მთები“-ის კატეგორიას მიეკუთვნება ტერიტორიები, კლასიფიცირებული, როგორც მთიანი ზონა, რომელიც არ განეკუთვნება მაშალი მთების კატეგორიას.

მშრალი მთები

ტერმინი „მშრალი მთები“ შეესატყვისება მთიანი ზონების ნაწილს, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც მშრალი ზონა (1985 წლის 27 აგვისტოს დადგენილება განსაზღვრავს მშრალ ზონებში განლაგებული კომუნების ჩამონათვალს).

არ არსებობს ამ ზონების გამოყოფის ერთიანი კრიტერიუ-

მი. რომელიც განაცალკევებდა მთიან და არახელსაყრელ (ევროკავშირის კატეგორია) ზონებს: 1985 წელს 2291 კომუნა იქნა მიკუთვნებული მშრალი ზონებისთვის, შემდეგ ამ სიას დაემატა კიდევ 70 კომუნა (1986 წლის 12 მარტის სამინისტროთაშორისი დადგენილებით). ჯამში, მშრალი ზონისათვის მიკუთვნებულია 2362 კომუნა, მათი ფართობი შეადგენს საერთო ფართობის 5 475 000. ჰა-ს (საფრანგეთის ტერიტორიის 10%) ან დასამუშავებელი მიწების 1 346 000 ჰა-ს (საფრანგეთის დასამუშავებელი მიწების 4,3%). მათგან კომუნების სამი მეოთხედი განლაგებულია მშრალი მთების ზონაში, დანარჩენები - არახელსაყრელ ზონაში, მთების გარეთ.

მთიანი რეგიონების მშრალი მთების ზონისთვის მიკუთვნების კრიტერიუმებს წარმოადგენს: ნალექების არასაკმარისი რაოდენობა და არახელსაყრელი ნიადაგური პირობები (კირქვიანებზე, ძლიერი გამფილტრავი თვისებებით).

საფრანგეთში კანონთან შეთანხმებით, ყველა კომუნა მიეკუთვნება ამა თუ იმ ზონას, ზემოთმოყვანილი კალსიფიკაციის შესაბამისად. *მაღალ მთებში* განლაგებულია 620 კომუნა, 22 ათას კვ. კმ ფართობზე (მთელი მთიანი ზონის 17%), 363 ათასი მოსახლით (მთელი მთის მოსახლეობის 8,4%).

„უბრალო მთებში“ განლაგებულია 5508 კომუნა, 102 ათას კვ. კმ ფართობზე (82%), 3975 ათასი მოსახლით (91,6%). მათ შორის *„მშრალ მთებში“* განლაგებულია 1717 კომუნა, 43 ათას კვ. კმ ფართობზე (35%), 835 ათასი მოსახლით (19,3%).

სულ მთიან ზონაში განლაგებულია 6128 კომუნა, 124 ათას კვ. კმ ფართობზე, 4 338 ათასი მოსახლით.

საფრანგეთის მთიანი რეგიონების კანონმდებლობა

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საფრანგეთში არსებობდა მთიანი ტერიტორიების განვითარების პრობლემის გაგება და არსებობდა მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნული პოლიტიკის ელემენტები. 1985 წლამდე ამ პოლიტიკას სექტორალური (დარგობრივი) ხასიათი ჰქონდა, რომელიც ორიენტირებული იყო, პირველ რიგში, სამთო ფერმერობის მხარდაჭერაზე.

1985 წელს მიღებულ იქნა *კანონი მაღლობების განვითარებისა და დაცვის შესახებ* (1985 წლის ე.წ. კანონი მთების შესახებ №85-30), რომელიც შეიცავს მთიანი ზონის შემდეგ განსაზღვრას:

მთიანი ზონა შეიცავს კომუნებს ან კომუნების ნაწილებს, რომლებიც ხასიათდებიან მიწების გამოყენების შესაძლებლობების მნიშვნელოვანი შეზღუდვით და სამუშაოთა ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდით, შემდეგი მიზეზების გამო:

- სიმაღლე (ყველგან მინიმუმ 700 მ, ვოგეზის მასივის გარდა - 600 მ და ხმელთაშუაზღვისპირეთის მთები - 800 მ); მძიმე კლიმატური პირობები, გამოვლენილი არსებითად შემოკლებულ ვეგეტაციის პერიოდში;

- ტერიტორიის მეტ ნაწილზე (არანაკლებ 80%-ისა) ნაკლებ სიმაღლეზე ციცაბო ფერდობების არსებობა (20%-ზე მეტი), რაც არ იძლევა ტექნიკის გამოყენების საშუალებას, ან ძვირადღირებულ მასალებს საჭიროებს.

კანონმა აგრეთვე შემოიტანა ცნება ***მასივი,*** განსაზღვრული, როგორც მთიანი ზონისა და მასთან მიმდებარე ტერიტორიების მომცველი ტერიტორია, რომელიც აყალიბებს ერთიან გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციალურ სივრცეს. ამ კონტექსტში *მასივებს* მიეკუთვნება 8622 კომუნა, 162 ათასი კვ.კმ ფართობით (31%, ანუ 31%-ით მეტი საკუთრივ მთების ფართობზე), 7700 ათასი მოსახლით (შესაბამისად, 77%). ამ პრინციპთან შესაბამისობაში, გამოყოფილ იქნა 7 მასივი, რომლებიც მოიცავდა უფრო ვრცელ სივრცეებს, ვიდრე მანამდე გამოყოფილი მთიანი ზონები. აღმატებამ შეადგინა +30% ფართობის მიხედვით და +77% მოსახლეობის მიხედვით. ეს მასივებია: ვოგეზები, იურა, ჩრდილოეთ ალპები, სამხრეთ ალპები, ცენტრალური მასივი, პირენეები, კორსიკა. ჯამურად ისინი ფარავენ საფრანგეთის ტერიტორიის 30%-ს ან სასოფლო-სამეურნეო მიწების 21%-ს და მოიცავენ მთელი მოსახლეობის 14%-ს.

ეს მასივები წარმოადგენს 1985 წლის მთების შესახებ კანონის მიერ მიღებული დამფუძნებელი დადგენილებისა და სპეციალური პროცედურების საფუძველს. კანონის შესაბამისად, ყოველ მასივს აქვს განვითარების საკუთარი პოლიტიკა და

მართავს საკუთარი კომისარიატი კომისრის მეთაურობით. კომისარიატის როლი მდგომარეობს განვითარების გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში, რისთვისაც იდება კონტრაქტი მთავრობასთან, ერთის მხრივ, და პროვინციებისა და რეგიონების მთავრობებთან, მეორეს მხრივ. ამასთან, კომუნების როლი განვითარების დაგეგმვაში უმნიშვნელოა, რაც წარმოადგენს განმასხვავებელ ნიშანს ისეთი მთიანი ქვეყნებისაგან, როგორც შვეიცარია და ავსტრიაა და, მთლიანად, ევროკავშირის პოლიტიკისაგან.

ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის კონტექსტში საფრანგეთი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მთიან ზონებად დაყოფის საკითხის გადაწყვეტისას. იგი იყენებს ზონებად დაყოფის ორ მოდელს: ეროვნულს (რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი) და ევროკავშირის (დირექტივა 75/268). უკანასკნელის მიხედვით, გამოყოფენ მთიან ზონებს და არახელსაყრელ ზონებს, სოფლის მეურნეობის წარმართვის კრიტერიუმის მიხედვით. ამ დირექტივის თანახმად, საფრანგეთმა აირჩია საზღვრების დადგენა, მთიანი ზონის გარდა ზონების ორი დანარჩენი ტიპისათვისაც, რომლებიც იღებენ მხარდაჭერას ევროკავშირისგან, ოღონდ სოფლის მეურნეობისათვის სპეციალური დახმარების პროგრამებით: 1. უბრალო არახელსაყრელი ზონები და 2. მთისწინეთის ზონები.

უბრალო არახელსაყრელი სასოფლო-სამეურნეო ზონებისთვის მიკუთვნებული ტერიტორიები (არახელსაყრელი ზონის ცნება შეეხება მხოლოდ სამიწათმოქმედო ასპექტებს) განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმებით, რომლებმაც ერთდროულად უნდა უპასუხონ შემდეგ მოთხოვნებს:

- საბოლოო სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ჰექტარზე ნაკლები ან ტოლი უნდა იყოს საშუალო ეროვნული მაჩვენებლის 80%-ის;

მეურნეობისგან მიღებული მთლიანი შემოსავალი ერთ სულ მშრომელზე ნაკლები ან ტოლი უნდა იყოს საშუალო ეროვნული მაჩვენებლის 80%-ის;

მოსახლეობის საერთო სიმჭიდროვე ნაკლები ან ტოლი უნდა იყოს საშუალო ეროვნული შემოსავლის ნახევრის, ანდა მოსახლეობის რაოდენობის შემცირების პროცენტი ტოლი

უნდა იყოს, როგორც მინიმუმ, 0,5%-ის.

კომუნების მიკუთვნება მთისწინეთის ზონისათვის წარმოებს გეოგრაფიული მდებარეობის კრიტერიუმით და სიმაღლის და დახრის კუთხის მაჩვენებლების შემათაესებელი კრიტერიუმით (ასე მაგალითად, „განდიკაკპის" კოეფიციენტი, ან არახელსაყრელობის ფაქტორი, უნდა აღემატებოდეს ან ტოლი იყოს 1,5). კომუნების კლასიფიკაციისა და ამა თუ იმ ტიპისათვის მათი მიკუთვნების დროს, გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატორები:

მთიანი რეგიონების მდგომარეობისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შეფასების ინდიკატორები, რომლებიც გამოიყენება მართვისა და განვითარების მიზნებისათვის.

მოსახლეობის სიმჭიდროვე (ერთი სული/კვ. კმ-ზე) 1990: მოსახლეობა/ფართობი

მიგრაციული სალდოს საშუალო წლიური პროცენტი (%) 1990: საშუალო წლიური მიგრაციული სალდო, ამ პერიოდში მოსახლეობის საშუალო რაოდენობის მიმართ;

75 წლის და კიდევ უფროსი ასაკის მოსახლეობა (%) 1990: 75 წლის და კიდევ უფროსი ასაკის მოსახლეობა, მოსახლეობის საერთო რაოდენობის მიმართ;

კადრები და შუალედური პროფესიები (100 დასაქმებულზე) 1990: დასაქმებულთა საზოგადოებრივ-პროფესიონალური კატეგორიები, უმაღლესი ინტელექტუალური და შუალედური პროფესიები, ყველა დასაქმებულთა მიმართ (პენსიონერები და დაუსაქმებელი მოსახლეობა გამორიცხულია),

ორგანიზებულია საწარმოები 1000 მოსახლეზე 1981-1988: 1981 წ-დან 1988 წ-მდე შექმნილ და 1988 წლის 1 იანვრისათვის არსებულ არასასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რიცხვი 1000 მოსახლეზე (20 ათასზე მეტი მოსახლეობის რაოდენობის მქონე კომუნა-აგლომერაციების გამოკლებით);

დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში (%) 1990: დასაქმება სასოფლო-სამეურნეო სექტორში, დასაქმებულთა საერთო რაოდენობის მიმართ;

დასაქმება მრეწველობაში (%) 1990: სამრეწველო სექტორში დასაქმება, დასაქმებულთა საერთო რიცხვის მიმართ;

მე-2 დონის მდებარეობა (კმ) 1988: შუალედური დონის

ზოგიერთ ობიექტებამდე საშუალო მანძილი (სკოლა, საავადმყოფო ...);

მე-2 დონის მდებარეობის შეცვლა (%) 1980-1988: მე-2 დონის ობიექტების შეფარდებითი შეცვლა ორ ინვენტარიზაციას შორის:

საშუალო დაბეგვრილი შემოსავალი 1990: ოჯახის სუფთა დაბეგვრილი შემოსავალი, დაბეგვრადი მეურნეობების რიცხვის მიმართ;

საცხოვრებელის მშენებლობა 1982-1990 წ.წ. პერიოდში (%): 1982 წლის შემდეგ აშენებული საცხოვრებლების რიცხვი, 1990 წ. საცხოვრებლების საერთო რაოდენობის მიმართ;

ტურისტული მიღების უნარი 100 მოსახლეზე, 1988: ტურისტების მიღებისა და მათთვის საცხოვრებელის მიქირავების უნარი, მოსახლეობის რაოდენობის მიმართ;

მეორადი საცხოვრებელი ადგილის რიცხვის შეცვლა (%) 1982-1990: მეორე სახლების რიცხვის შეცვლა;

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რიცხვის შეცვლა (%) 1979-1990: საწარმოთა რიცხვის შეფარდებითი შეცვლა;

35 წლამდე ასაკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა რაოდენობა (%): 1979 და 1988 წლებს შორის მცხოვრები 35 წლამდე ასაკის სოფლის მეურნეობის მუშაკები, 1988 წელს დასაქმებულთა საერთო რაოდენობის მიმართ.

მთიანი რეგიონების ეროვნული პოლიტიკის რეალიზაციისათვის *საფრანგეთში მოქმედებს მინისტრთა კაბინეტთან არსებული სამთო საბჭო. იგი შედგება 40 კაცისაგან და მის სათავეშია პრემიერ-მინისტრი.*

დიდ როლს თამაშობს მთიანი რეგიონების რჩეულ წარმომადგენელთა ეროვნული ასოციაცია (ANEM). აღსანიშნავია ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის კონცეფცია: „ჩვენს დროში, საზოგადოებაში ცვლილებების ფუნდამენტალურ ფაქტორებს წარმოადგენს არა რეგულირება, დაგეგმვა, დირექტივები, არამედ, ინდივიდუალური და კოლექტიური ინიციატივები და ინოვაციები, რომლებსაც შეუძლიათ გადამწყვეტი როლის შესრულება და, რომლებიც უნდა იყვნენ მხარდაჭერილნი და მიზანმიმართულნი და, თუკი ეს აუცილებელია, საზოგადოებრივმა წარმომადგენლებმა უნდა მოახდინონ

მათი რეგულირება და კორექტირება". მთები, როგორც განსაკუთრებული მიწა, უნდა იქცეს „უმაღლესი ხარისხის ტერიტორიად". ამ განცხადებებთან შესაბამისობაში, განვითარების ფრანგული გზის ფილოსოფია შეიძლება ფორმულირებულ იქნეს შემდეგნაირად: „პრობლემებიდან - რესურსებისაკენ".

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის განკარგულებით შექმნილმა საერთაშორისო ექსპერტების სპეციალურმა კომისიამ 1995-1996 წლებში ჩაატარა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მთიანი რეგიონების ეროვნული პოლიტიკის რეგიზია (1985 წლის მთების შესახებ კანონის მიღების შემდეგ). კომისიის დასკვნები მოთავსებულია დეტალური ანგარიშის ორტომეულში და საკმაოდ კრიტიკულად აფასებს მთიანი რეგიონების განვითარების რეზულტატებს. ამ ნაკრების გაერთიანება შეიძლება სამ ჯგუფში:

1. არ არის მთიანი რეგიონების ეროვნული პოლიტიკის მიზნების მკაფიო განსაზღვრა;

2. ადგილობრივი მოსახლეობა რეალურად არ იყო ჩართული დაგეგმვის მართვის და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში;

3. მთელი ყურადღება ეთმობოდა იმ რეგიონებს, სადაც ყველაზე მძაფრი სოციალური პრობლემები იყო, ნაცვლად იმისა, რომ შექმნილიყო განვითარების თანაბარი შესაძლებლობები ყველა მთიანი რეგიონისათვის.

მთიანი რეგიონების ეროვნული პოლიტიკის გატარებაში ეს შეცდომები სავსებით ასახსნელია, თუკი გავითვალისწინებთ საფრანგეთის განვითარების საერთო პოლიტიკის თავისებურებებს: სახელმწიფოს დიდი როლი და, ამასთან დაკავშირებული, მმართველობის ცენტრალიზაცია.

დღეს საფრანგეთში მუშავდება მთიანი რეგიონების ეროვნული პოლიტიკის ახალი კონცეფცია.

მთიანი რეგიონების მყარი განვითარების შესახებ ევროპულ სამთავრობათაშორისო კონსულტაციებზე (1996) საფრანგეთის ეროვნულ განცხადებაში შეტანილია მთიანი რეგიონების ეროვნული პოლიტიკის მიმართ ახალი მიდგომების ზოგიერთი „კონტური":

- მთის ფერმერობის მხარდაჭერა.

ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის გათვალისწინებით, ფინანსური მხარდაჭერა ექნებათ მთის პირობებთან ტრადიციულად ადაპტირებულ წარმოების მეთოდებს, პირუტყვის სულადობის რაოდენობის (50 სული), სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობის (50 ჰა) შეზღუდვით.

ფერმერებისთვის, გარემოს დაცვის მოთხოვნებთან შეთავსებადი მეურნეობის წარმართვის ახალი წესების სწავლება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იდენტიფიკაცია, პროდუქტებზე „ადგილისა და ხარისხის იარლიყების პრინციპის" ფართო გამოყენების გზით; „ყლორტების", ინიციატივების, მყარი განვითარების ადგილობრივი გეგმების და ა.შ. სუბსიდირება.

- ტურიზმის ინდუსტრიის მეთოდების მისადაგება მთიანი რეგიონებისათვის, როგორც ეროვნული საკუთრებისა და მემკვიდრეობისათვის.

- სატყეო მეურნეობის „რბილი" წესებისკენ დაბრუნება.

- მისაღები სატრანსპორტო პოლიტიკის შემოღება.

შვეიცარია

განხილულ ევროპულ ქვეყნებს შორის შვეიცარიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მთიანი რეგიონების პოლიტიკის და კანონმდებლობის კონტექსტში შეიძლება დასახელებულ იქნას შემდეგი ხასიათის ნიშნები:

1. მთიანი რეგიონების ეროვნული პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში, ვინაიდან მთიანი რეგიონები გამოირჩეოდნენ განვითარების დაბალი დონით;

2. შვეიცარიაში რეგიონალური პოლიტიკა მეტნაკლებად თანმიმდევრულად ტარდება, რაც განმტკიცებულია ქვეყნის კონსტიტუციაში ფუნქციების გამოკვეთილი (მკაფიო) დანაწილებით კონფედერაციას, კანტონსა და კომუნებს შორის;

3. რეგიონალური პოლიტიკის ფუნდამენტალურ პრინციპს წარმოადგენს **დეცენტრალიზაციის** *პრინციპი, რომლითაც განმსჭვალულია ქვეყნის მთელი პოლიტიკური, ეკონომიკური*

და სოციალური ცხოვრება;

4. შვეიცარია, არ არის რა ევროკავშირის წევრი (გაერო-სიც კი!), ატარებს მთიანი რეგიონების განვითარების საკუთარ პოლიტიკას, ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის ფარგლებს მიღმა, რისი უფლების მიცემაც თავის თავისთვის არ შეუძლია სხვა ევროპულ მთიან ქვეყნებს (მაგალითად, საფრანგეთს, იტალიასს); ამავე დროს, შვეიცარია აქტიურად მონაწილეობს მთიანი რეგიონების განვითარების ყველა ევროპულ პროგრამაში და წამყვან როლს თამაშობს მათში, მუდმივი ფინანსური შეტანების წყალობით ყველაზე მრავალგვარ პროექტებში, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივში.

შვეიცარიის ტერიტორიის ორი მესამედი (41,3 ათასი კვ. კმ) მთებს უჭირავს: ალპები და იურა. ამასთან, მთლიანი ეროვნული პროდუქციის 80% იწარმოება ტერიტორიის 1/3-ზე, ორ მთიან მასივს შორის მდებარე დაბლობ სარტყელში. შვეიცარიის მოსახლეობის 4/5 ცხოვრობს და მუშაობს ამ მცირე ფართობზე, სადაც თავმოყრილია დიდი ქალაქები, განვითარებულია ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა. ინვესტიციების 90% სწორედ აქ არის თავმოყრილი.

ქვეყნის დანარჩენი ნაწილი მთებს უჭირავს. აქ ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 4,25%. განვითარებულ დაბლობ ტერიტორიებთან შედარებით, მთიან რეგიონებს თავის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მრავალგვარი პრობლემა აქვთ (ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარების ეს „დაბალი" დონე ხშირ შემთხვევაში უფრო მაღალია, განვითარებული ევროპული ქვეყნებისაზე).

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წყობა

შვეიცარია წარმოადგენს კონფედერაციას, ხელისუფლების სამი დონით: ცენტრალური, კანტონური (26 კანტონი) და კომუნალური (3072 კომუნა). „თითქმის პირდაპირი" დემოკრატიის რეჟიმი საშუალებას აძლევს მოსახლეობას პირდაპირ - რეფერენდუმის საშუალებით - შეიტანოს ცვლილებები ფედერალურ კონსტიტუციაში (თუკი ეს ინიციატივა ხელმოწერილია 10 000 მოქალაქის მიერ).

ცენტრალურ მთავრობას არ გააჩნია ყოვლისმომცველი უფლებები. ასე, „რეგიონალური პოლიტიკის" განხორციელება მთავრობის მიერ ხდება მხოლოდ რამდენიმე ოლქში, რაც დაფიქსირებულია კონსტიტუციაში: მიწათსარგებლობის დაგეგმვა, ეკონომიკურად სუსტ რაიონებში ჩარევა, ფინანსური კომპენსაციები.

თვითოეულ 26 კანტონს (სახელმწიფოს) აქვს საკუთარი კონსტიტუცია (ფედერალურ კანონებთან შეთანხმებით), ქარმომადგენლობითი და შემსრულებელი ხელისუფლება. კანტონის კანონები ძალაშია მთელ მის ტერიტორიაზე და ბატონობს კომუნალურ ხელისუფლებაზე.

შვეიცარიული კომუნების ავტონომიას იცავს კანტონების კონსტიტუციები: კომუნებმა უნდა გასწიონ მართვა საკუთარ ტერიტორიაზე კანტონალური კანონების ფარგლებში. გარდა ამისა, შვეიცარიაში გამოყენებული ე.წ. „დამატებითობის" პრინციპი გულისხმობს თითოეული პრობლემის, პირველ რიგში, ქვედა სტრუქტურებში რეგულირებას.

და ბოლოს, გადასახადების გაცემა (გადახდა) და განაწილება ხდება ხელისუფლების ყველა სამივე დონით: 26% მიდის ფედერალურ ბიუჯეტში, 41% - კანტონალურში და 33% კომუნალურში.

არსებობს ტერიტორიული მოწყობის კიდევ ორი დონე: *184 რაიონი პრეფექტის თავმჯდომარეობით,* რომელიც აირჩევა ზოგიერთ კანტონში და ასრულებს კომუნასა და კანტონს შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას; *54 მთიანი რეგიონი,* შექმნილი რამდენიმე კომუნის ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე, საინვესტიციო პოლიტიკის რეალიზაციისათვის ინვესტიციების შესახებ 1974 წელს მიღებული სამთო კანონის ფარგლებში.

მთიანი რეგიონების განვითარების შვეიცარიული პოლიტიკის ევოლუცია.

1942-1944 წ.წ.: პირველი იმპულსი მთიანი რეგიონების მხარდაჭერისათვის გაკეთდა მეორე მსოფლიო ომის დროს. ეს გამოწვეული იყო ომიანობის პერიოდში სასურსათო წყაროე-

ბისგან შეეიცარიის სრული იზოლირებით. ამასთან დაკავშირებით, მთებში კარტოფილის მოყვანა მთელი ქვეყნის გადარჩენის ფაქტორი იყო. ამიტომ, სამთო ფერმერობის მხარდაჭერისათვის, რომელიც უკიდურესად მძიმე პირობებში იმყოფებოდა, შემუშავებულ იქნა სამთო ფერმების განვითარების სპეციალური ფედერალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა შეღავათიან სესხებს საცხოვრებელის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

ამასთან ერთად, კანონმდებლობით იყო შემუშავებული ფერმების მთიანი რეგიონებისათვის მიკუთვნების კრიტერიუმები, რაც შეღავათიან სესხებზე უფლებას იძლეოდა. ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს: სიმაღლე (> 600 მ-ზე), ფერდობების დახრილობა, კლიმატური პირობები (სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა), სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების მდგომარეობა, შიდასამეურნეო გზების არსებობა. კომუნის მთიანისთვის მიკუთვნების გადაწყვეტილება გამოჰქონდათ კომუნებისა და კანტონების წარმომადგენლებისაგან შემდგარ შერეულ კომისიებს.

1953 წელს კონსტიტუციაში შეტანილ იქნა სპეციალური შესწორება მთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის შესახებ, სუბსიდიების, პირუტყვის შესანახად ფერმერებისთვის პირდაპირი დამატებითი გადასახადების გზით. შევსებულ იქნა კომუნების სამთო სტატუსის დადგენის კრიტერიუმები: მანძილი უახლოეს ბაზრამდე, რძის ჩაბარების პუნქტამდე, სკოლამდე. მიღებულ იქნა სპეციალური კანონი ზონებად დაყოფის შესახებ. მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის არსი იმ ხანად მდგომარეობდა შემდეგში: ფედერალური მთავრობა (ხელისუფლება) კომპენსაციას უკეთებს (იხდის) ფერმერების ხარჯებს 1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის რთულ პირობებში, 2. ლანდშაფტებისა და ნიადაგების დაცვისათვის ეროზიისგან (კომპენსაციები გამოუყენებლი მიწებისათვის ციცაბო ფერდობებზე).

60-იანი წლების დასაწყისიდან მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნული პოლიტიკის ახალი ვერსიის თანდათანობითი ფორმირება ხდებოდა, თუმცა, მიღებულ კანონებს სექ-

ტორალური (დარგობრივი) ხასიათი ჰქონდა: 1961 წელს მიღებულ იქნა ფედერალური კანონი 914.4, სოფლის მეურნეობაში ინვესტიციებისა და გლეხური მეურნეობების დახმარებისათვის კრედიტების შესახებ; 1966 წელს მიღებულ იქნა ფედერალური კანონი 935.12, სასოფლო ოტელებისა და კურორტების განვითარებისათვის საკრედიტო დახმარების შესახებ; იმავე 1966 წელს იღებენ კანონს 451, ბუნების და ლანდშაფტის დაცვის შესახებ, რომელშიც არაერთხელ იქნა შეტანილი დამატებები (1966 წლამდეც კი).

ფორმირებადი მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის ძირითად მიზნებს წარმოადგენდა:

- მთებში მოსახლეობის შენარჩუნება,
  კულტურული ლანდშაფტების, როგორც საერთო ეროვნული საკუთრების შენარჩუნება,
- მთიანი რეგიონების, როგორც ეკონომიკურად პროდუქტიული ზონების შენარჩუნება.

1974 წელს მიღებულ იქნა ფედერალური კანონი 901.1 მთიან რეგიონებში ინვესტიციების შესახებ, რომელმაც ღირსშესანიშნავი როლი შეასრულა შვეიცარიის მთიანი რეგიონების განვითარების თანამედროვე პოლიტიკაში. მან შეინარჩუნა თავისი ძალა დღემდეც, თუმცა, 1997 წელს მთიანი რეგიონების განვითარების ახალი სტრატეგიული კანონი მიიღეს.

1974 წლის კანონი მთების შესახებ

ამ კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მთიანი რეგიონების რეგიონალური განვითარების ხელშეწყობა უფრო დაბალანსებულ საფუძველზე, ვიდრე ეს მოხდებოდა „განვითარების ბუნებრივი გზით". პრაქტიკულად ეს ნიშნავდა არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი რაიონებისთვის პირობების შექმნას, ბიზნესისა და „ახალი მსახიობების" მიზიდვისათვის მთიან რეგიონებში, იმ ანგარიშით, რომ ეს მრავალმხრივ ეფექტს მოიტანდა.

ამ რეგიონალური პოლიტიკის შექმნისათვის კონფედერაციამ დააარსა ახალი შუალედური ტერიტორიული წარმონაქმნები, რომლებსაც უჭირავთ მდგომარეობა კომუნებსა და

კანტონებს შორის - რეგიონი (ე.წ. LIM (ლიმ) - რეგიონი). LIM-რეგიონი წარმოადგენს ფუნქციონალურ წარმონაქმნს, შექმნილს შეთანხმებული განვითარების პოლიტიკისათვის ნებაყოფლობით საფუძველზე გაერთიანებული კომუნების დაჯგუფების გზით. ეს გაერთიანება უნდა ხდებოდეს ყველა მონაწილის თანხმობით, რელიეფის კრიტერიუმების, რეგიონალური ინფრასტრუქტურის - უკვე არსებულის ან აუცილებელის, მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაციების, ენობრივი, კულტურული და რელიგიური სიახლოვის, რეგიონების განვითარების აუცილებლობისა და მისი პოტენციალის გათვალისწინებით. რეგიონებში შეიძლება შევიდეს კომუნები, რომლებიც სხვადასხვა კანტონებს ეკუთვნიან.

LIM-რეგიონები არ წარმოადგენს იურიდიული უფლებების მქონე ტერიტორიულ ორგანიზაციებს. მათ არა აქვთ საკანონმდებლო ხელისუფლება ან ორგანო და არ შეუძლიათ გადასახადების ამოღება. მათ ბიუჯეტს ოპერაციული ხასიათი აქვს და იქმნება კომუნების შენატანების ხარჯზე, კანტონებიდან და კონფედერაციიდან სუბსიდიებთან ერთად. მათი მთავარი როლი მდგომარეობს განვითარების რეგიონალური პროგრამის შექმნასა და მის განხორციელებაში. LIM-რეგიონების ხელმძღვანელობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონსენსუსის საფუძველზე დგინდება. მათი ხელმძღვანელობა შეუძლია: 1. კერძო არასამთავრობო ორგანიზაციებს, 2. კომუნათა საბჭოს, 3. კომუნებს. რეგიონის ხელმძღვანელობას ამტკიცებს კონფედერაციის მთავრობა. რეგიონის ხელმძღვანელ ორგანოებზე დაკისრებულია პასუხისმგებლობა განვითარების კონცეფციის შემუშავებასა და განვითარების რეგიონალური პროგრამის შემქმნელი და მისი რეალიზაციის შეფასების განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის ფორმირებაზე. სამუშაო ჯგუფის ბიუჯეტი ყალიბდება ფედერალური და კანტონალური რესურსებიდან, პროპორციით 50:50. პრაქტიკულად იგი შეადგენს 200 ათას - 300 ათას შვეიცარიულ ფრანკს და იხარჯება განვითარების რეგიონალური პროგრამების შემუშავებაზე, პრიორიტეტებისა და ბიუჯეტის (კრედიტების) ფიქსაციით.

განვითარების რეგიონალური პროგრამა წამყვან ინსტრუ-

მენტს წარმოადგენს მთიანი რეგიონების რეგიონალური განვითარების მიზნების მიღწევისათვის. LIM-კანონთან შესაბამისობაში 1987 წლისათვის შეიქმნა 54 LIM-რეგიონი (მთიანი). განვითარების პროგრამა გათვალისწინებულია 15 წელიწადზე.

განვითარების პროგრამაში შეტანილ პროექტებს განსაზღვრავს რეგიონები (რეგიონების მიერ დაქირავებული „სეკრეტარიატების" მეშვეობით) და ამტკიცებს კომუნები და კანტონები. ამგვარად, კონფედერაციის რეგიონალური პოლიტიკა დამყარებულია შედარებით დეცენტრალიზებულ გადაწყვეტილებებზე. თუმცა, შემუშავებული რეგიონების განვითარების პროგრამები ძალაში შესვლამდე ჯერ მოწონებული უნდა იყოს კონფედერაციის მიერ. ამ პროგრამების შეფასებას და მათ შესახებ დასკვნებს ამზადებს მრეწველობის, ხელოსნობის, ვაჭრობის და დასაქმების ფედერალური სამსახური, რეგიონალური ეკონომიკური განვითარების ცენტრის მეშვეობით. ცენტრი აფასებს პროექტების შესაბამისობას „მთის სასოფლო რაიონებიდან ნელ-ნელა წარმავალი მოსახლეობის სტაბილიზაციის, შესაბამისი სტრუქტურების მხარდაჭერის და ეკონომიკურად განვითარებულ და დაბალგანვითარებულ რეგიონებს შორის განსხვავებების შემცირების" კრიტერიუმებთან.

ამგვარად, რეგიონებსა და კონფედერაციას შორის არსებობს, პროცესში ჩაბმული, კანტონის მესამე ადმინისტრაციული დონე. ეს ჩაბმა უშუალოდ ეხება კანტონალურ ხელისუფლებებს, რომლებიც პასუხს აგებენ რეგიონალური განვითარების პრობლემებზე და მივყევართ კანტონებში ეკონომიკური პოლიტიკის დამატებითი გაფართოების სტრუქტურის წარმოქმნისაკენ.

ინვესტიციების შესახებ სამთო კანონის მიერ მიღწეული მიზნები, ჩვეულებრივ, მიიღწევიან მომსახურე და ტურისტულ სექტორებში ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კერძო მეწარმეობის დახმარებისათვის შეღავათიანი სესხების სახით გრანტების გადაცემის გზით. 1975 წლიდან დაწყებული 1990-იან წლებამდე კონფედერაციამ გასცა 1 მლრდ. შვეიცარიულ ფრანკზე მეტი თანხის სესხები, რომლებიც ინვესტირებული იყო თითქმი 4 ათას პროექტში.

ახალი კანონი მთების შესახებ, რომლის მიღებაც დაგეგმილია 1997 წელს, ვარაუდობს მთიან რეგიონებს შორის ინვესტიციებისთვის კონკურენციის გაძლიერებას, რაც, მისი ავტორების აზრით, სტიმულირებას გაუკეთებს რეგიონების აქტიურობას და, ბოლოს და ბოლოს, ხელს შეუწყობს შვეიცარიის რეგიონებს შორის განსხვავებების შემცირებას.

მთიანი რეგიონების შვეიცარიის ჯგუფი - SAB

1. SAB-ის ორგანიზაციათა უფლებამოსილება

SAB იცავს მთიანი რეგიონების მოსახლეობის ინტერესებს და აუმჯობესებს ცხოვრების პირობებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში. მთის რეგიონთა პრობლემებს განიხილავს გლობალურად.

2. SAB-ის ძირითადი პრინციპები:

ეროვნული კეთილდღეობა დამოკიდებულია ჰარმონიულ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე.

ეკონომიკურად და სოციალურად ძლიერი მთიანი რეგიონები ხელს უწყობენ ქვეყნის კეთილდღეობას:

– ნიადაგის, წყლის, ბუნებრივი რესურსების და პეიზაჟის გამართლებული გამოყენებით: სოფლის მეურნეობა, ალპური ეკონომიკა, სატყეო მეურნეობა და ტურიზმი, პასუხისმგებელნი არიან მათ მართვაზე.

– თავისი კულტურული, სოციალური და პოლიტიკური თავისებურებით, რაც მათი ეროვნული იდენტურობის შემადგენელი ნაწილია.

– პლატოსა და ქალაქებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებით.

მთიანი რეგიონების მოსახლეობამ ძალისხმევა უნდა იხმაროს რთული ბუნებრივი პირობების წინააღმდეგომისათვის, მართოს რთული სატრანსპორტო გზები, გამოასწოროს კომუნიკაციასა და მოშორებით მყოფი განვითარებისა და კვლევის ცენტრებთან არსებული ნაკლოვანებები.

3. მიზნები:

SAB-ის მიზანია, მხარდაჭერა აღმოუჩინოს მთიანი რეგიონების მოსახლეობას შემდეგ საკითხებში:

მთიანი რეგიონების, როგორც სასიცოცხლო გარემოსა და ეკონომიკური საქმიანობის არეალის გაძლიერება.

მთიანი რეგიონების მოსახლეობის თანასწორუფლებიანობის განხორციელება.

არსებული რესურსების სწორედ გამოყენება და მთის მოსახლეობისთვის გარანტირება თანამედროვე ტექნოლოგიების, ასევე კვლევისა და განვითარების ხელმისაწვდომობის სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

მთიან რეგიონებში ეკონომიკის, საზოგადოებისა და გარემოს შორის არსებული წონასწორობის გარანტირება.

ხელისშეწყობა მთის მოსახლეობისათვის ავტონომიის, პასუხისმგებლობისა და თვითგამორკვევის საკითხებში.

4. საერთო პირობები

SAB თავის თავზე იღებს მთიანი რეგიონების მოსახლეობის ხელსაყრელი საერთო პირობების გაუმჯობესებას. იგი ეხმარება მათ საზოგადოებას და მათ ეკონომიკას, რათა წარმოაჩინონ თავისი პასუხისმგებლობა სოციალურ და გარემოს დაცვის ასპექტში.

ევროპის თვალსაზრისით

SAB-ის მხრიდან აქტიური მხარდაჭერა აქვს შვეიცარიისა და ევროპის მთიანი რეგიონების მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობას, რომლის მიზანია, ღირებული გახადოს მთიანი რეგიონების სპეციფიურობები და შექმნას მათი ეროვნული და საერთაშორისო განვითარებისათვის საჭირო მხარდაჭერის საშუალებები. საექსპორტო ბაზარზე მთიან რეგიონებს აქვთ გასვლის საშუალება: საჭიროა მისი გამოყენება.

ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლებათა ზრდის დეფიციტთან, კითხვის ქვეშ აყენებს მთიანი რეგიონების კეთილდღეობისაკენ მიმართულ დღევანდელ პოლიტიკას. უამრავი იურიდიული ვალდებულება ხელს უშლის მთიანი რეგიონების მოსახლეობას ოპტიმალურად გამოიყენოს არსებული რესურსები. რეგიონებში თანაბარი გადანაწილების ფედერალურმა პოლიტიკამ უნდა აანაზღაუროს ლოკალიზაციით გამოწვეული დანაკლისი და გააუმჯობესოს მთიან რეგიონთა პირობები. ეს განვითარება ძირშივე წამოსული ინიციატივაა და ადგილობრივი უპირატესობისათვის ღირებულების მინიჭების საუკეთესო საშუალებაა, რაც უწინარესად გამოიწვევს მთიან რეგიონებში ახალგაზრდების ცხოვრებას და მუშაობას. საჭიროა მოხდეს ამ ასპექტში პოლიტიკის რეორიენტირება და გაძლიერება.

SAB-ს სურვილი აქვს გააძლიეროს საერთაშორისო და საერთოკომუნალური თანაბარი ფინანსური გადანაწილება რეგიონებისთვის ოლქებისა და კომუნების ავტონომიისა და იდენტურობის გათვალისწინებით.

რეგიონალურმა პოლიტიკამ ინფრასტრუქტურის განვითარების გარდა მხარი უნდა დაუჭიროს მეორად და მესამეულ სექტორში სამუშაო ადგილების შექმნას. თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა, ტელეკომუნიკაცია, ისეთივე ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მთის მოსახლეობისათვის, როგორც აგლომერაციაა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის ეკონომიკაში სამუშაო ადგილთა შენარჩუნებას. კონფედერაციისა და ადგილობრივი ოლქების რაიონულმა პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს მთიან რეგიონთა განვითარება. შეფასება უნდა მიეცეს რაიონებში მიღებულ ყველა ზომას, რაც რეგიონელური განვითარების შედეგებს იძლევა და იგი უნდა უთანხმდებოდეს რეგიონალურ პოლიტიკას.

უნდა დაიმსხვრეს ცენტრალიზებული ტენდენცია კელევაძიებასა და მომზადებასთან დაკავშირებით. SAB-ი თავის თავზე იღებს მთიან სოფლებში სკოლების შენარჩუნებას. კელ-

ევა-ძიებამ უნდა დანერგოს მთის პირობებისათვის მისადაგებული მეთოდები ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, რაც საშუალებას მოგვცემს ოპტიმალურად გამოვიყენოთ არსებული რესურსები.

5. მთის ეკონომიკური სექტორი

სოფლის მეურნეობა, ალპური ეკონომიკა, სატყეო მეურნეობის ეკონომიკა, ტურიზმთან ერთად მთიან რეგიონთა დამუშავებული ლანდშაფტის შენარჩუნებისა და ეკოლოგიური წონასწორობის საწყისს წარმოადგენენ. ეს SAB-ის საქმიანობის მთავარი ამოცანებია. გარემოებათა მიხედვით, SAB-ი სხვადასხვა პრიორიტეტებს აკუთვნებს ამ სექტორში.

მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობა

SAB-ი მოუხმობს ყველა ურთიერთდახმარების ზომას, რომელიც მიმართულია აგრესიული სექტორის ბაზრის შემსუბუქებისაკენ, მთაში მოსახლე გლეხობის შემოსავლების გაუმჯობესებასა და პროდუქციის ფასთა კლებასთან.

SAB-ი აქტიურად მოქმედებს მთის სოფლის მეურნეობის გამრავალფეროვნებისთვის და ხელს უწყობს მთის პროდუქციის ბაზარზე გატანას. ამას შესაძლოა ხელი შეუწყოს, როგორც პროდუქციის ორიგინალური სახელის შენარჩუნებამ, ასევე რეგიონში გარდაქმნებმა და კომერციალიზაციამ. უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს ბუნებრივ პირობებს მისადაგებულ პროდუქციას. მთაში წარმოებული საკვების მოხმარება ოპტიმალურად უნდა მოხდეს ადგილზე. რქოსანი პირუტყვის გამრავლების შემთხვევაში ჯიშების შენარჩუნება უნდა მოხდეს ორი მიზნის გათვალისწინებით (რძე და ხორცი). ასევე უნდა შენარჩუნდეს სხვადასხვა ადგილობრივი და რეგიონალური ჯიშები, რათა დაცული იქნას ბიოლოგიური მრავალფეროვნება.

SAB-ი ხელს უწყობს საპასუხისმგებლო მოქმედებას თანამედროვე ბიოტექნოლოგიურ მეთოდებთან დაკავშირებით. იგი მოითხოვს საკანონმდებლო ბაზას, თვით აკრძალვებსაც,

თუკი ამ ტექნოლოგიათა დანერგვა გამოიწვევს გარემოსა და ბაზარზე ზეწოლას, მოითხოვს გადასახადებში სხვაობას მთასა და ბარს შორის ან არანაირ ეკონომიკურ უპირატესობას არ მოგვცემს გარდა ექსპლუატაციათა შეზღუდული რაოდენობისა.

თავიდან უნდა ავიღოთ მთაში წარმოებული პროდუქციის ბარისაკენ დელოკალიზაცია. სასიცოცხლო ექსპლუატაციათა შენარჩუნება, მუდმივად, ძირითადი ან მეორეხარისხოვანი სახის არის გარდაუვალი პირობა მთიან ზონაში საცხოვრებლისა და დამუშავებული რელიეფის შენარჩუნებისათვის.

SAB-ი იზიარებს სოფლის მეურნეობის სექტორში გავრცელებული პირდაპირი გადასახადის შემოტანას, მაგრამ იგი მოითხოვს მთიანი რეგიონებისათვიის სპეციფიკურ დახმარებასა და ბუნებრივი პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა არსებობას (პირუტყვისა და ნიადაგისათვის საჭირო კონტრიბუციები). SAB-ი მოითხოვს, რომ სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივ საბჭოებში სამსახურისთვის მომზადება და მათი პოპულარიზაცია მთაში მოსახლე გლეხისათვის იყოს მიზანმიმართული, რათა მათ შეძლონ კვალიფიციურად სამუშაოს შესრულება არა მარტო სოფლის მეურნეობის სექტორის ფარგლებში. მომზადება უნდა განხორციელდეს ამ ამოცანების გათვალისწინებით.

მიღებული უნდა იქნას ზოგიერთი დადგენილება ტერიტორიული მოწყობის შესახებ, რათა ხელი შეეწყოს მთიან რეგიონში სოფლის მეურნეობის სფეროში მრავალმხრივ მუშაობას.

სატყეო ეკონომიკა

SAB-ი აქტიურ მხარდაჭერას უცხადებს მთიანი რეგიონების ტყის ექსპლუატაციას, ტყის, როგორც გარემოს დამცავის. ასევე მისი გამოყენების თვალსაზრისით. იგი იბრძვის იმ საზოგადოების წინააღმდეგ, რომლის მოქმედებაც მიმართულია გარემოსა და ტყის საზიანოდ. იგი ზარალისათვის მოითხოვს ანაზღაურებას.

ტყე შენარჩუნებული უნდა იქნეს იმისათვის, რომ გამო-

ვიყენოთ მისი გარემოს დამცავი თვისებები. ამ მიზნით მთებში აუცილებელია არსებობდეს ტყით მისასვლელი გზები. მათი გაყვანა უნდა მოხდეს ალპური მიწათმოქმედებისა და ალპური ეკონომიკის გათვალისწინებით. ხელისუფლებამ ამისათვის უნდა გაიღოს საჭირო ხარჯები.

ტყის მესაკუთრეთა მიერ მიღებული ზომები და სახელმწიფოს სასარგებლოდ გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურებული იქნას. ხელი უნდა შეეწყოს ხე-ტყის, როგორც თანამედროვე პირველადი მასალისა და ენერგიის წყაროს გამოყენებას. ამგვარად მოხდება ტყის ექსპლუატაციის ხარჯების საუკეთესოდ დაფარვა, აგრეთვე შეიქმნება შესაძლებლობა დეცენტრალიზებულად სამუშაო ადგილების შექმნისა სატყეო ეკონომიკისა და ხე-ტის გადამუშავების სფეროში.

ტურიზმი

მთის უმეტესი რეგიონებისათვის ტურიზმი ეკონომიკის ყველაზე მეტად საჭირო დარგია. SAB-ი მხარს უჭერს მაღალი მაჩვენებლის მქონე ტურიზმს, რომელიც პასუხობს სტუმრებისა და მიმღები რეგიონების მოთხოვნებს, მოსახლეობის, გარემოსა და ლანდშაფტის გათვალისწინებით. იგი რეკომენდაციას იძლევა არსებული საშუალებების უკეთ გამოყენებისა და შეღავათების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

იგი იღწვის იმისათვის, რომ ტურისტული საქმიანობა უფრო მყარად დამკვიდრდეს რეგიონებში. თავდაპირველად საჭიროა შეიქმნას სამუშაო ადგილები ნახევარ განაკვეთზე მუშაობისთვის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გამოყენებისათვის, ფასი დაედოს რეგიონში წარმოებულ პროდუქციას და ხელი შეეწყოს სასოფლო ტურიზმს.

ტურისტული რეკლამა საზღვარგარეთ, სასტუმროებისა და საკვები ობიექტების პირობების გაუმჯობესება, ასევე ამ სექტორში კადრების მომზადება და მიღება უნდა გახდეს სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი მხარდაჭერის ობიექტი. არსებული მეორადი საცხოვრებელი უნდა იქნეს ათვისებული. უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა მეორადი საცხოვრებლის მშენებლობის შეხღუდვისათვის, ან ტერიტორიული მო-

წყობის გზით, ან ფისკალური პოლიტიკით და სავალდებულო გაქირავების გზით, რათა საშუალება მიეცეს ადგილობრივ ხელისუფლებას ამ ასპექტში ღონისძიებების გატარებისა.

ენერგეტიკა

SAB-ი მოითხოვს ენერგეტიკის აღდგენითი წყაროების ხელახალ შეფასებას, როგორიცაა ჰიდრავლიკური (წყლისა) და ხე-ტყის ენერგია და შემცირდეს წვის შედეგად წარმოქმნილი ენერგიის მოხმარება. ამისათვის მისთვის მისაღებია წვის შედეგად წარმოქმნილი ენერგიის გაძვირება და ენერგეტიკის სფეროში სისტემური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

ხანგრძლივი დროით ჰიდრავლიკური ენერგიის კომპენსირება უნდა ხდებოდეს საბაზრო ფასების ბაზაზე. დანადგართა ხელახალი ათვისება კოლექტივების მიერ უნდა გაიოლდეს შესაბამისი ზომების შედეგად. ლაპარაკია არსებული დანადგარების გამოყენებაზე შემოსავლიანობის გაუმჯობესების მიზნით. ახალი ჰიდრავლიკური სადგურები შესაბამისობაში უნდა იყოს ლანდშაფტთან და გარემოსთან.

კელევით ცენტრებსა და წარმოებას უნდა გადაეცეს საჭირო საშუალებები ალტერნატიული ენერგიის განვითარებისათვის, როგორიცაა მზის, ქარის, გეოთერმიული ენერგია, აგრეთვე ბიომასიდან წარმოებული ენერგია. ბაზარზე მათმა გატანამ უნდა უზრუნველყოს ასევე მათი გამოყენება. პატარა ელექტრო ქარხნებისათვის უნდა გამოყენებულ იქნას შესაბამისი აღჭურვილობა.

ტრანსპორტი

SAB-ი მონაწილეობს პერიფერიებისა და მთიანი რეგიონების ტრანსპორტით უზრუნველყოფაში, როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი უპირატესია კერძოსთან შედარებით ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით. საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა უნდა გააუმჯობესოს მოსახლეობისა და ტურისტების მომსახურება (მატარებელი, საბაგირო გზა, ავტობუსი).

იგი მოითხოვს სატვირთო მიმოსვლების შემსუბუქებას ლიანდაგის საშუალებით ალპურ ველებზე. ამ მიზნით ხელსაყრელია ახალი სარკინიგზო გზების მშენებლობა ალპების გასწვრივ, ასევე პროექტის „ლიანდაგი 2000"-ის განხორციელება. სწორედ ამ მიზნით უნდა დასრულდეს ნაციონალური გზების ქსელის გაყვანა.

გადასახადები საწვავსა და მძიმე ტვირთებზე შესაძლებლობას იძლევა ვიქონიოთ კაპიტალი მთიანი რეგიონების ერთმანეთთან უკეთ და საიმედოდ დაკავშირებისათვის და ასევე საგზაო მიმოსვლის დროს წარმოქმნილი ხარჯების დაფარვისათვის. ეს შემოსავალი უმთავრესად უნდა მოხმარდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სარკინიგზო გზების მშენებლობასა და „ლიანდაგი 2000"-ის დაფინანსებას, აგრეთვე მთის კანტონთა საგზაო ანგარიშის ყველაზე მძიმე გადასახადების ანაზღაურებას (მათ შორის სატყეო და სამეურნეო მომსახურებას).

მრეწველობა და ხელოსნობა

სამრეწველო და სავაჭრო საწარმოები მთის მოსახლეობას სთავაზობენ სამუშაო ადგილებს. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ეკონომიკური წინსვლის მიუხედავად გავაუმჯობესოთ მთიან რეგიონებში მათი დანერგვის პირობები. ხელი უნდა შეეწყოს მიწების შესყიდვას, უპირატესად კვლევითი ინსტიტუტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების, ინოვაციების დანერგვას, აგრეთვე ბაზრობებისა და გამოფენების გამართვას.

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის უნდა შეიქმნას ევროკავშირის იდენტური აპარატი, რომელიც ემსახურება კონკურენტული უნარის განმტკიცებას და სტრუქტურული ადაპტაციის გაყოლას.

ჯარის ნაწილების ყოფნა

მთის ზოგიერთ რეგიონებში განლაგებულია ჯარის ნაწილები, ისე რომ მათი მხრიდან რეგიონებში არ ხდება შესაბამისი კომპენსაცია. სხვა რეგიონებში, სამუშაო ადგილების

მნიშვნელოვან ნაწილს იკავებენ სამხედრო ფედერალური დეპარტამენტთა საწარმოები. სამხედრო ფედერალური დეპარტამენტის ჯარების რეფორმის პროგრამა მოიცავს სამუშაო ადგილების მასიურ დაკარგვას. შესაბამისი რეგიონები ეერდნობიან სამხედრო ფედერალური დეპარტამენტის აქტიურ დახმარებას რესტრუქტურიზაციის დროსა და მნიშვნელოვანი დანაკარგისას კომპენსაციისათვის. დახმარება უნდა მოხდეს მთიან რეგიონებში ჯარის ნაწილისათვის საჭირო სამსახურების ანაზღაურებისათვის.

მომსახურების მომარაგება და დახმარება

SAB-ი მოითხოვს, რომ არსებული მოხმარების მომსახურების მომარაგება სარგებელსა და სერვისში გარანტირებული უნდა იყოს მთის რეგიონებსა და სოფლებში. შეთავაზებული ფასები უნდა შეესაბამებოდეს აგლომერაციის ,ფასებს. ეს მომარაგება ეწინააღმდეგება ვრცელ ზედაპირზე მზარდ ექსპანსიას და აგლომერაციის დანაწილების დარგში საწარმოთა კონცენტრაციას. ნებაყოფლობითი ხელშეკრულებებისა და კანონიერი ზომებისაგან დამოუკიდებლად დიდმა დისტრიბუტერებმა უნდა გაინაწილონ დეცენტრალიზებული მომსახურების პასუხისმგებლობა და მოგება.

კონფედერაციის საწარმოებს, რომლებიც სარგებლობენ მონოპოლიით, უმთავრესად კი ფოსტა-ტელეგრაფების, მოვალეობაა უზრუნველყონ დეცენტრალიზებული მომსახურების ქსელი, რომლებიც ფარავდა მთელ დასახლებულ ტერიტორიას. ესენია: საფოსტო ოფისები, კურიერთა განაწილება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეთავაზება, აღჭურვილობა მონაცემთა გადაცემისათვის და ათვისებული ტერმინალები. მოშორებულ სოფლებში, სადაც ეს მომსახურება არ ხერხდება მთელი დროით, ეკონომიკური ფაქტორების გამო, უნდა ვეძებოთ ორიგინალური გამოსავალი სხვა დარგთან მათი ნაწილობრივი დროით ან დამატებითი შეთავსებისათვის (მაგ. ბანკი, სკოლა, საცალო ბაზრობა).

მთის მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს კვლევის შედეგები, ინფორმაცია და სწავლება. მონა-

ცემთა გადაცემის თანამედროვე ქსელის, სწავლების დეცენტრალიზებული შეთავაზებითა და ინოვაციების საკითხში მომსახურებისა და რჩევების საშუალებით. მთის აქტიური მოსახლეობისა და ახალგაზრდების ფორმირება და ჩამოყალიბება არის გარდაუვალი პირობა თანაბარი შანსების გარანტირებისათვის.

6. SAB-ის მუშაობის მეთოდები

SAB-ის კომიტეტი, მმართველი კომიტეტი და თანამშრომლები წარმოადგენენ მთის მოსახლეობის ინტერესებს ხელისუფლების, ასოციაციათა და ინსტიტუტთა წინაშე. ისინი SAB-ის მიზნებს ახორციელებენ შემდეგი საშუალებით:

ფედერალური პარლამენტების, კონფედერაციის ადმინისტრაციის, მთის კანტონთა და მასმედიის ინფორმირებით.

სამუშაო ჯგუფთა მონაწილეობით კომისიებში.

მათი უფლებებისა და მიზნების ფარგლებში, ფედერალური პოლიტიკის ამოცანებში პოზიციათა დაკავებით.

კვლევის, ძიების, პუბლიკაციის, რჩევების საშუალებით.

აქტიური თანამშრომლობითა და მხარდაჭერით იმ ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც მსგავსი მიზნები აქვთ.

ეს მიმართულებები მიღებულ იქნა SAB-ის კომიტეტის სხდომაზე 1992 წლის 16 აგვისტოს.

უკრაინა

უკრაინის ტერიტორიაზე ორი მთიანი მასივია: უკრაინის კარპატების და ყირიმი.

უკრაინის კარპატებს უჭირავთ აღმოსავლეთ კარპატების დიდი ნაწილი და მათი ფართობი შეადგენს 37 ათას კვ. კმ-ს. ქედების საშუალო სიმაღლე დაახლოებით 1000 მ-ია, ექვსი მწვერვალი აღემატება 2000 მ-ის ნიშნულს. უკრაინის კარპატების 55% ტყეებითაა დაფარული. მთიან რეგიონებში დაახლოებით ხუთი მლნ. კაცი ცხოვრობს. ბევრი მათგანი დაკავებულია სატყეო მეურნეობის სექტორში.

საბჭოთა პერიოდში, ცენტრალიზებული დაგეგმვისა და განვითარების დოქტრინის შესაბამისად, არსებობდა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამები: მაგალითად, სამეცნიერო-ტექნიკური რეგიონალური პროგრამა „უკრაინის კარპატები". როგორც ცნობილია, რეგიონალური განვითარების საბჭოთა მოდელები ძირეულად განსხვავდებოდა ანალოგიური ევროპული მოდელებისაგან. მთავარი და პრინციპული განსხვავება მდგომარეობდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების იგნორირება'ში განვითარების მი'ზნებისა და გზების განსაზღვრისას და, აგრეთვე, ადგილობრივი თანასაზოგადოებების გამორიცხვა'ში გადაწყვეტილებების მიღების და მართვის პროცესებიდან.

ევროპულ სამთავრობათაშორისო კონსულტაციებზე უკრაინის ეროვნულ განცხადებაში (1996) გამოიყოფა უკრაინის კარპატების განვითარების შემდეგი პრობლემები:

- ტყეების სტრუქტურის შეცვლა და ტყეების საზღვრების დაწევა, ალპურ სარტყელში პირუტყვის საძოვებლად გადარეკვის შედეგად;
- ქიმიური დაბინძურებისა და მჟავე წვიმების საშიშროების გაზრდა;
- კატასტროფული ბუნებრივი პროცესების განმეორებადობის სიხ'შირის ზრდა (მეწყრები, წყალდიდობები), ტყის საფარის დარღვევის შედეგად;
- მთის მოსახლეობის დაბალი ცხოვრების დონე, ახალგაზრდა თაობებში სამთო ფერმერობის ტრადიციების დაკარგვა;

ადგილობრივი მოსახლეობისთვის საძოვრების მართვის ახალი მეთოდების სწავლების აუცილებლობა და ადგილობრივი ადმინისტრაციის მხრიდან დახმარება.

უკრაინის მეორე მთიანი მასივი - მთიანი ყირიმი - დაფარულია მთებით 155,7 ათას ჰა ფართობზე. ყირიმში ადამიანის მიერ მთის ათვისების ისტორია მრავალ ათასწლეულს ითვლის და ბევრი საერთო აქვს ხმელთაშუაზღვისასთან. ყველაზე მეტი ზემოქმედების ქვეშ ექცეოდნენ მთის ტყეები.

განცხადებაში მითითებულია ადმინისტრაციული და იურიდიული ნორმების ახალი სისტემის დადგენის აუცილებლობაზე, ბუნებრივი რესურსების ათვისებისას და ბუნების

დაცვისას. დღეისათვის, დაცული ტერიტორიების არსებულ ქსელს (3 სახელმწიფო ნაკრძალი, 1 სამონადირო მეურნეობა, 15 აღკვეთილი და ბუნების ძეგლი) არ შეუძლია უზრუნველყოს ბუნებრივი ეკოსისტემების მყარი დაცვა რეკრეაციული დატვირთვისაგან.

მთიანი რეგიონების კანონმდებლობა

უკრაინაში მიღებულია სახელმწიფო კანონი „მთიანი დასახლებული პუნქტების შესახებ უკრაინაში" (1995 წ.).

კანონი მიმართულია მთიანი დასახლებული პუნქტების სოციალურ დაცვაზე. მთიან დასახლებულ პუნქტებს მიეკუთვნებიან ადგილობრივი ტიპის სამოსახლოები, სასოფლო დასახლებული პუნქტები, რომლებიც განლაგებულია მთიან ადგილას, აქვთ არასაკმარისად განვითარებული მომსახურეობის სფერო, გაძნელებული სატრანსპორტო კავშირები.

დასახლებული პუნქტების მიკუთვნება მთიანისათვის შემდეგი კრიტერიუმებით ხდება:

დასახლებული პუნქტის, ან მისი ნაწილის, რომელშიც ცხოვრობს ამ პუნქტის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ზღვის დონიდან 500 მ და მეტი სიმაღლის მქონე ტერიტორიაზე განლაგება, რომელსაც ახასიათებს ძლიერ დანაწევრებული რელიეფი და მოცემული პუნქტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო საეარგულების 60 და მეტი პროცენტის განლაგება 15 და მეტი გრადუსი დახრილობის მქონე ფერდობებზე;

სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,15 ჰა მიწაზე ნაკლები;

- მკაცრი კლიმატური პირობები: ცივი და ხანგრძლივი ზამთარი (სასაშუალო ხანგრძლივობა - არანაკლებ 155 დღისა, ცელსიუსის მინუს 4 გარდუსი საშუალო ტემპერატურით), გრილი, ხანმოკლე ზაფხული (საშუალო ხანფრძლივობა - არა უმეტეს ორი თვისა, საშუალო ტემპერატურა არ აღემატება ცელსიუსის 20 გრადუსს), ნალექების დიდი რაოდენობა (თხევადი და მყარი ნალექების საშუალო წლიური ჯამი არანაკლებ 600 მმ-ის), ახასიათებს ღვარცოფული მოვლენები, მეწყერები.

მთიანი დასახლებული პუნქტის სტატუსის დადგენის წესი: მთიანი დასახლებული პუნქტის სტატუსის მინიჭების შესახებ წინადადებებს უკრაინის მინისტრთა კაბინეტს გადასცემს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და სახალხო დეპუტატების საოლქო რადები (საბჭოები).

მთიანი სტატუსის მქონე დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი მტკიცდება უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მიერ. ამ სტატუსის ჩამორთმევა ხდება იგივე მიმდევრობით.

სახელმწიფო იძლევა მთიანი სტატუსის მქონე დასახლებული პუნქტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარანტიას.

მთიანი დასახლებული პუნქტებისთვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო იძლევა შემდეგ გარანტიებს:

1. საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა სამგზავრო ტრანსპორტის, საგზაო მეურნეობის, ელექტროქსელების, ტელე და რადიოკომუნიკაციების სისტემების, გაზიფიკაციის და ადგილობრივი გაზის და ნავთობის საბადოების დამუშავების, სამედიცინო მომსახურების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საეაჭრო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისთვის და აგრეთვე, მიწების ნაყოფიერების ამაღლების, ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარების პროექტების დაფინანსება;

2. სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებისთვის ხელშეწყობა;

3. დამატებითი გადასახადის დაწესება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებაზე, რომელიც იწარმოება მთიანებისთვის მიკუთვნებულ ადგილებში და რომელიც მიეყიდება სახელმწიფოს ამ დასახლებული პუნქტების მუშაკების მიერ;

4. ცენტრალიზებული წესით მოსახლეობისთვის აუცილებელი პროდუქციის მიწოდების უზრუნველყოფა, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი მოცულობით;

5. ელექტროენერგიის გადასახადი მოსახლეებისთვის სასოფლო ადგილებში გადასახადის ოდენობის შესაბამისად დგინდება.

საშეღავათო დაკრედიტება. მთიან დასახლებულ პუნქტებში, რომლებსაც აქვთ ეს სტატუსი, მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებისთვის საბანკო კრედიტები გაიცემა. საშეღავათო პირობებით.

კანონში ჩაწერილია მოქალაქეების მთიანი დასახლებული პუნქტების მოსახლეების კატეგორიისთვის მიკუთვნების პროცედურა და წესი. უკანასკნელს მოსდევს რიგი სოციალური შეღავათები: მინიმალური ხელფასები, პენსიების, სტიპენდიების და სხვ. სიდიდე, გაზრდილი 20%-ით (წამატებები).

ეს კანონი დამტკიცებული იყო 1995 წლის თებერვალში უკრაინის პრეზიდენტის მიერ. უკრაინის უმაღლესი რადის დადგენილებაში გათვალისწინებულია ორი წლის მერე კანონში დამატებების შეტანა, კერძოდ, მთიანი კატეგორიისთვის დასახლებული პუნქტების მიკუთვნების კრიტერიუმების დამაზუსტებელ პუნქტში.

შეიძლება დავუშვათ, რომ უკრაინაში მიდის მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნული პოლიტიკის ფორმირების პროცესი, რასაც მოწმობს მთების შესახებ კანონის მიღება. ამას, უდავოდ, ხელი უნდა შეუწყოს უკრაინის ინტეგრაციამ კარპატების ფარგლებში განლაგებულ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან (რუმინეთი, სლოვაკია) და ევროპის მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნულმა პროგრამებმა, რომლებიც აქტიურად ვითარდება.

ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთისა და სამხრეთის მთიანი რეგიონების ქვეყნები

ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ყველა ქვეყანამ, საბერძნეთის გარდა, მძიმე ათწლეული გამოიარა, რომელიც აღინიშნა ომით, ძალადობითა და არასტაბილურობით. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ამ ქვეყნებში მთიანი რეგიონების განვითარება ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტებს არ მიეკუთვნებოდა. ამგვარად, ეკონომიკისა და საზოგადოების ახალი ორიენტაცია, სოფლის მეურნეობის რეფორმა, ისეთი სახის მინიმალური ინფრასტრუქტურების რეკონსტრუქცია

თუ ხელახლა შექმნა, როგორებიცაა ჯანდაცვა და განათლება პოლიტიკის ძირითადი საზრუნავი გახდა. თუმცა, ხშირად შედეგების მიღწევამდე ჯერ ადრეა.

ყოველივე ამის გამო რთულია ისეთი დაწესებულებებისა თუ კადრების მოძებნა, რომლებსაც შესწევთ უნარი იმუშაონ ამ რეგიონების ინტეგრალურ განვითარებაზე. ინტეგრალური განვითარება გულისხმობს, რომ საჭიროა ხელი შევუწყოთ იმგვარად განვითარებას, როდესაც ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისას გათვალისწინებული იქნება სოციალური და კულტურული ასპექტები, აგრეთვე გარემოს დაცვის პრობლემები ან სულ მცირე გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი მახასიათებლების სტაბილიზაცია. ამგვარად, უმთავრესი ცნებაა შენარჩუნება.

სხვადასხვა ქვეყნების მთიანი რეგიონების შესახებ დაწერილი სტატიები ასახავს ავტორების პროფესიულ თვალსაზრისს: მეტყევეობის სპეციალისტი (მეცნიერი) უპირველეს ყოვლისა ზრუნავს ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და მთის ტყეების ხარისხზე; ვეტერინარი ცხოველების ნაყოფიერებაზე, რეგიონალური დაგეგმვის სპეციალისტი - სოფლის მეურნეობაზე, მრეწველობასა და ტურიზმზე; აგრონომი - ფერმების სიდიდესა და ფერმერების შემოსავლების დონეზე. არც ერთი ავტორი არ ამახვილებს ყურადღებას მთიანი რეგიონების განვითარებაზე ინტეგრალური თვალსაზრისით. ევროპის მთის თითქმის ყველა მკვლევარი მთიანი რეგიონების განხილვისას რატომღაც საერთო ერთიანი მიდგომებით განიხილავს მთებს, როგორიცაა:

- მთიანი რეგიონები ხასიათდება განსაკუთრებული და ფართოდ გავრცელებული სიღარიბით. მთის მოსახლეობა შეფარდებითი ავტოკრატიით ხასიათდება და არ იღებს მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

  მთის მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება ისეთ სახელმწიფო მომსახურებაზე, როგორიცაა საავადმყოფოები, დაწყებითი სკოლები ან კულტურული საქმიანობა.

- მთიანი რეგიონები ხასიათდება ისეთი ინფრასტრუქტურის ნაკლებობით, როგორიცაა გზები, ტელეკომუნიკაცია თუ ელე-

ქტრომომარაგება. სისტემები, რომლებიც ერთ დროს ფუნქციონირებდა, მაგ. ირიგაციის სისტემა, კანალიზაცია ან ცენტრალური გათბობა (გათბობის ქსელები) საბოლოოდაა მწყობრიდან გამოსული.

- უმუშევრობა, თუმცა ნაწილობრივ ფარული, ძალზე მაღალია, არასრული სტატისტიკის შემთხვევაშიც კი.

სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები - რომლებიც ყველა ღონეს ხმარობენ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის მთიან რეგიონებში ხშირად საერთოდ არ არსებობს.

ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მთიან რეგიონებს და მათ მოსახლეობას ხშირად არ ითვალისწინებენ, ამას გარდა, მათ არ გააჩნიათ სათანადო დონის წარმომადგენლობებიც.

ხშირად მთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის ემიგრაცია ხდება, თუმცა ზოგან მნიშვნელოვნად მატულობს მოსახლეობის რაოდენობა ქალაქებიდან გადასული ადამიანების ხარჯზე, რაც განპირობებულია ოჯახისა და სოციალური სტრუქტურების სიძლიერით და იმ ფაქტით, რომ ეკონომიკური მდგომარეობა ქალაქებში ზოგჯერ უარესიც კია.

ყველა მკვლევარს მიაჩნია, რომ „მთიანი რეგიონების" საკითხი თითოეული სახელმწიფოსათვის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი უნდა იყოს, ხოლო მიზანი უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო ეკონომიკურ ზრდას, არამედ სოციალურ, კულტურულ და ეკოლოგიურ ასპექტებსაც.

თუმცა, მკვლევარები არ გვთავაზობენ ერთნაირ, დეტალურ სტრატეგიას. მათ ამ პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე სხვადასხვა გზა დასახეს: კანონმდებლობა მთიანი რეგიონებისათვის (კანონი მთის შესახებ), სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა, მდიდარი ტურისტების მიერ შემოწირული ფინანსური სახსრები, რომლებიც კიდევ მიაღწევს ამ რეგიონებამდე. ავტორები ცოტას ამბობენ საჭიროებების, პროფესიული ტრეინინგის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შესახებ.

ალბანეთი

ალბანეთი მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში. მის სამხრეთით საბერძნეთია, აღმოსავლეთით მაკედონია და კოსოვო, ჩრდილოეთით მონტენეგრო (ჩერნოგორია), ხოლო დასავლეთით - ადრიატიკისა და იონიის ზღვები. ალბანეთის საერთო პერიმეტრია 1 094 კმ, აქედან 316 კმ სანაპირო ზოლს წარმოადგენს. ქვეყნის ფართობია 28 748 კვადრატული კმ, აქედან 6 995 კვ. კმ სავარგულებია, 10 250 კვ. კმ -ტყეები, 4 456 კვ. კმ - მთის ბუნებრივი საძოვრები, ხოლო 7 037 კვ.კმ - სხვა დანიშნულების მიწა.

მოსახლეობა და ადმინისტრატიული სტრუქტურა

1997 წ. ალბანეთში 3,4 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, მათგან 54% -სოფლის მოსახლეობა. მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი წელიწადში 1,8%-ია, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა - 73 წელი.

ალბანეთის რესპუბლიკა შედგება 12 პრეფექტურის, 36 რაიონის და 315 კომუნისაგან. ტირანას (დედაქალაქი) მოსახლეობა 600 000-ს შეადგენს.

კლიმატი და რელიეფი

ალბანეთზე გავლენას ახდენს ხმელთაშუა ზღვის კლიმატი, თუმცა, ქვეყნის დასავლეთით მდებარე ზღვისა და სამხრეთით მთიანი მასივის გამო კლიმატი ძალზე მრავალფეროვანია. ალბანეთი ტიპიურ მაღალმთიან ქვეყანად ითვლება. საშუალო სიმაღლე 708 მ-ია, რაც ორჯერ აღემატება ევროპის კონტინენტის საშუალო სიმაღლეს.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც ალბანეთში მოჰყავთ, მოიცავს: ხორბალს, სიმინდს, კარტოფილს, ბოსტნეულს, ხილს, ზეთისხილს, თამბაქოს, ბამბას, ყურძენსა

და ბრინჯს. მეცხოველეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს ცხვარს, თხებსა და მცირე რაოდენობით მსხვილფეხა საქონელს მთაში, ხოლო დაბლობებზე - ძროხას, ფრინველს, ღორსა და მცირე რაოდენობით ცხვარს.

მთიანი რეგიონი ეროვნული თვალსაზრისით

ალბანეთის ფიზიკურ რუქაზე ერთი თვალის შევლებით ჩანს, რომ ტიპიური მთიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის 75%-ზე მეტს მთები და მწვერვალები შეადგენს, რომელთა სიმაღლე 2 762 მეტრს აღწევს. ამ თვალსაზრისით ქვეყანა შეიძლება 10 ზონად დაიყოს. მათგან მხოლოდ პირველი ორი არის ვაკეებზე, ხოლო დანარჩენები მთიანია. ზონების დახასიათება ქვემოთაა მოცემული.

1-ლი ზონა. სამხრეთის სანაპირო დაბლობები და მიმდებარე გორაკები - 476 000 ჰა.

ამ ნაწილში განვიხილავთ დაბლობებსა და დაბალ გორაკებს საშუალო დახრილობის ფერდობებით. აქვეა რამდენიმე ლაგუნა, თევზჭერისათვის ძალზე კარგი პირობებით. 1950-იანი წლების ბოლომდე აქ ბევრი ტბორი და ჭაობი იყო, რომლებიც დააშრეს და ამჟამად აქტიურად იყენებენ სავარგულებად. აქ უმთავრესად მოჰყავთ მარცვლოვანი კულტურები, საკვები კულტურები, ბოსტნეული, ლობიო, ბახჩეული, ბამბა, თამბაქო, სოიო და მზესუმზირა დაბლობებში, ხოლო ზეთისხილი, ყურძენი, ხეხილი - ატამი, ლეღვი, ალუბალი და ციტრუსი უმთავრესაც გორაკებზეა გაშენებული. ბუნებრივი მწვანე საფარი მრავალფეროვანია, თუმცა, ყველაზე ტიპიურია ხმელთაშუა ზღვის ბუჩქოვანი მცენარეები. აქ ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი სასოფლო-
-სამეურნეო სავარგულებია.

სიმაღლე ზღვის დონიდან 0-დან 600-მდე მეტრია; ჩვეულებრივ ფერდობების დახრილობა 7%-ია ან ნაკლები. მიწის ნაწილი, სანაპიროსთან ახლოს, ზღვის დონეზე დაბლაა და იტბორება. თუ სადრენაჟე სისტემები ნორმალურად არ მუ-

შაობს. დანარჩენი ტერიტორია უჭირავს გორაკებსა და დაბალ მთებს, 10 - 30% დახრილობის ფერდობებით. სათანადო საკონსერვაციო დამუშავების გარეშე ფერდობებზე აღგილი აქვს ნიადაგის ეროზიას.

საშუალო წლიური ნალექები 900 - 1 100 მმ-ია, მათგან 80% ოქტომბრიდან მარტამდე მოდის. ზაფხულის სამი თვის პერიოდში ხანგრძლივი მშრალი სეზონია. საშუალო წლიური ტემპერატურა 17 18^{0}C-ია. ზაფხულის საშუალო ტემპერატურა 26^{0}C-ია, ხოლო საშუალო ტენიანობა - 60%; ზამთარი გრილი და ნესტიანია, დეკემბრისა და იანვრის საშუალო ტემპერატურა 10 - 12^{0}C-ია. ყველაზე ცივი თვეებია იანვარი და თებერვალი, ყველაზე თბილი - ივლისი და აგვისტო.

მე-2 ზონა. ჩრდილოეთის სანაპირო დაბლობები და მიმდებარე გორაკები - 217 000 ჰა

ამ ნაწილში ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები ძალზე წააგავს წინა ზონაში აღწერილს. მას დასავლეთის სანაპირო დაბლობის ნაწილად მიიჩნევენ. მე-2 ზონა ასევე მოიცავს მბიშკოდრას დასავლეთის ბრტყელ ვაკეებს, ტბა სკუტარის გარშემო. ტერიტორიის ნაწილი ნოტიო მიწებს უჭირავს, თუმცა, ამ მიწების უმეტესობა სასოფლო-სამეურნეო სავარულებადაა გადაქცეული. სწორედ ამ ნაწილშია სიმინდის საუკეთესო მოსავალი, ასევე კარგია ხორბლის, ბრინჯის, მზესუმზირის, საკვები კულტურების, ბახჩეულის, ბოსტნეულის, ყურძნის, ზეთისხილისა და ხილის მოსავალიც.

ვაკე, დაბალი ტერიტორიები ხშირად იტბორება, ამიტომ აქ მოწყობილია წყალსაქაჩი სადგურები, წყლის ჭარბი რაოდენობის მოსაცილებლად. მიმდებარე გორაკების სიმაღლე 200 - 650 მეტრია, 30 - 40%-იანი ფერდობებით.

ეს ტერიტორია 1-ლი ზონისაგან ძირითადად ნალექებით განსხვავდება. სანაპირო ტერიტორიების ცენტრალური და ჩრდილოეთ ნაწილები უფრო ნესტიანია, განსაკუთრებით შკოდერში, სადაც წლიური ნალექები 2 000 მმ-ს აღწევს. სხვა მახასიათებლები, როგორიცაა ნალექების არათანაბარი განაწ-

ილება წლის განმავლობაში, 1-ლი ზონის ანალოგიურია. საშუალო წლიური ტემპერატურა 17 18^{0}C-ია.

მე-3 ზონა. სამხრეთ-დასავლეთის მთები და მიმდებარე ველები - 112 000 ჰა

მე-3 ზონა მოიცავს ტერიტორიას ვიორას სამხრეთ ნაწილიდან ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ რეგიონებამდე სარანდაში. ეს ზონა შედგება დამრეცი გორაკებისა და მთებისაგან ჩრდილოეთ ნაწილში და ბრტყელი ველებისაგან სამხრეთში. მთების ნაწილი დაფარულია ბუნებრივი წიწვოვანი ტყით, ხოლო დაბლობებს ინტენსიურად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. ამ მხარეში ყველაზე ტიპიურია ციტრუსებისა და ზეთისხილის მოყვანა, რომლებიც უხვმოსავლიანობით ხასათდება.

მთების სიმაღლე 600-დან 2 045 მ-მდე მერყეობს. მთების დიდი ნაწილი უჭირავს კლდოვან ნიადაგებს. სამხრეთის ველები ხასათდება ღრმა, კარგად მორწყული ნიადაგებით ფერდობებზე და ალუვიალური ნიადაგებით დაბალ ვარდნილებსა და ველების ფსკერის გასწვრივ.

წვიმის საშუალო წლიური რაოდენობა 900 1 200 მმ-ია. წვიმების განაწილება ერთ.1 და 2-ის ანალოგიურია, მშრალი ზაფხულითა და ნესტიანი ზამთრით.

საშუალო წლიური ტემპერატურა 18 20^{0}C-ია. ტერიტორიები ვიორადან სარანდამდე საუკეთესოა ციტრუსებისათვის, რადგან ყინვები აქ ძალზე იშვიათია.

მე-4 ზონა. სამხრეთ-აღმოსავლეთის ტერასები და მიმდებარე ველები - 66 000 ჰა

მე-4 ზონა მოიცავს კორსას ველს და მის გარშემო არსებულ ტერასებს. ველის ზედა ნაწილი იწყება დვორანში და გრძელდება ჩრდილოეთით, კორსას გავლით, პოგრადეკამდე. ამ ზონის დასავლეთი მოიცავს ტერასებს და დეკოლის ველს, იგი საბერძნეთის საზღვრამდე ვრცელდება. მთის ძირში რამდენიმე სოფელი მდებარეობს. როგორც კორსას ეაკე, ასევე

დევოლის ველი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებია, აქ მოდის ხორბლის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ხახვის და ლობიოს (პარკოსნების) უხვი მოსავალი, თუმცა არსებობს ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალიც. გორაკების უმეტესობაზე გაშენებულია ვაშლის, ქლიავისა და ალუბლის ბაღები და ვენახები. კორსას და დეეოლის ველების სიმაღლე 800 მეტრიდან 1000 მ-მდე მერყეობს. მიმდებარე გორაკები და მთები გაცილებით უფრო მაღალია. ადრე არსებული ჭაობები კორსას ველის ცენტრალურ ნაწილში ამჟამად მთლიანად დამშრალია. სხვა ნიადაგები ამ ველებზე ალუვიალური წარმოშობისაა. ქედების გვერდით ფერდობებსა და გორაკებს შორის კოლუვიალური ნიადაგებიც არის.

წვიმების წლიური რაოდენობა 600 - 1 000 მმ-ს შეადგენს. თითქმის ყოველ წელს ველებზე თოვლია, ხოლო მთებში კიდევ უფრო მეტი. მშრალი სეზონი ჩვეულებრივ ერთ ან ორ თვეს გრძელდება, ხანდახან მეტ ხანსაც. ნალექების 85% ზამთრის თვეებზე (ოქტომბერი მარტი) მოდის. უფრო დაბალი ტერიტორიები ნაწილობრივ მშრალია, ხოლო მაღალი მიწები - უმეტესად ნესტიანი. საშუალო წლიური ტემპერატურა 14 - 17^{0}C-ია. ზაფხული ზომიერია, ხოლო ზამთარი - ცივი, განსაკუთრებით დიდ სიმაღლეებზე.

მე-5 ზონა. ჩრდილო-აღმოსავლეთის მთები და მიმდებარე ველები - 194 000 ჰა

მე-5 ზონა კუკესისა და პეშკოპის რაიონების უმეტესობისაგან შედგება. იგი მდ. დრინის ველს მოიცავს (400 - 600 მ ზღვის დონიდან), ალუვიალური წარმოშობის რამდენიმე ბრტყელი „ჯიბით", აგრეთვე გიალიცას და კორაბის მთებს (2762 მ. ზღვის დონიდან). ეს მთები ყველაზე მაღალია ალბანეთში. ველებზე მიწა ძირითადად გამოიყენება ხორბლის, სიმინდის, სამყურასა და პარკოსნების მოსაყვანად. მიმდებარე გორაკებზე ვაშლისა და ქლიავის ბაღებია, სადაც ძალზე კარგი მოსავალი მოდის. მაღალ მთაში მცენარეები ნაკლებადაა.

წვიმების წლიური რაოდენობაა 1 000 - 1 600 მმ, ხოლო განაწილება წლის განმავლობაში არათანაბარია. უფრო ნაკ-

ლებ სიმაღლეებზე ყოველ წელს რამდენიმე სანტიმეტრიანი თოვლია ზამთარში, ხოლო სიმაღლის ზრდასთან ერთად თოვლის რაოდენობა მატულობს. მთაში, ზოგ ადგილებში თოვლის მუდმივი საფარველია. საშუალო წლიური ტემპერატურა 14-დან 18^{0}C-მდე მერყეობს. მშრალი სეზონის ხანგრძლივობა 2 თვეა.

მე-6 ზონა. ალბანეთის ალპები - 114 000 ჰა

ამ ზონას ქვეყნის ჩრდილოეთი უჭირავს და შედგება რამდენიმე მაღალი მთისაგან. მათი უმეტესობა ძალზე ციცაბოა, კლდოვანი ძარღვებით, ან უბრალოდ შიშველი კლდეებით. აქ მხოლოდ ცალკეული ტერიტორიები გამოდგება სოფლის მეურნეობისათვის, უმთავრესად ხეხილისათვის (ვაშლი, ქლიავი, წაბლი, კაკალი). ფართოდაა გავრცელებული წიწვოვანი ტყეები. უფრო დიდ სიმაღლეებზე ალპური საძოვრებია, რომლებიც მხოლოდ ზაფხულშია გამოსადეგი. ალბანეთის ალპებში პოტენციურად ძალზე კარგი პირობებია ზამთრის სპორტისათვის და ტურიზმთან დაკავშირებული სხვა საქმიანობისათვის.

მთების სიმაღლე 1 600-დან - 2650 მეტრამდე მერყეობს. მოსახლეობა მთებს შორის მდებარე ბრტყელ ადგილებში ცხოვრობს. საძოვრები უმთავრესად ბრტყელია ან ოდნავ დამრეცი.

წვიმების წლიური რაოდენობა 2 000 მმ-ია, ზამთარში 20-დან 40 სმ-მდე თოვლია. მაქსიმალური ტემპერატურა ზაფხულში (ივლისი და აგვისტო) 25^{0}C-ს არ აღემატება, ხოლო ზამთარში (იანვარი, თებერვალი) მინიმალური ტემპერატურა შეიძლება -25^{0}C-მდეც კი დაეცეს.

მე-7 ზონა. სამხრეთ-აღმოსავლეთის მთები - 363 000 ჰა

მე-7 ზონა მოიცავს მთებს ლიბრაჟდში, გრამშში, პოგრადეკში, კორსასა და კოლონიაში. მთებს შორის რამდენიმე პატარა ველია. მოსახლეობის უმეტესობა ამ ველებზე ცხოვრობს, სადაც მოდის ხორბალი, ჭვავი, შვრია, ქერი, და ხილი. საქონელი უმეტესად ცხვარი და თხებია და შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ტერიტორიის უმეტესი

ნაწილი დაფარულია წიწვოვანი და მუხის ტყეებით. ტყეებს ინტენსიურად მოიხმარებენ მრეწველობაში და აუცილებელია ხელახალი გატყიანება.

სიმაღლე ზღვის დონიდან 1600-დან 2352 მეტრამდეა ოსტროვიცაზე. მცირე რაოდენობით ბრტყელი ტერიტორიებია ველების ქვედა ნაწილებსა და მთის ძირებში, სადაც აკუმულირდება ეროზიის შედეგად დაგროვილი მასალები.

წლიური ნალექები 1 000 - 1 100 მმ-ია. წვიმების უმეტესობა შემოდგომაზე, ზამთარსა და გაზაფხულზე მოდის. ჩვეულებრივი ამბავია დიდთოვლობაც. ყველაზე მშრალი თვეებია იელისი და აგვისტო. საშუალო ტემპერატურა ზაფხულში 25^{0}C-ს არ აღემატება, ხოლო ზამთარში ტემპერატურა -20^{0}C-მდეც კი ეცემა. ზამთარში ზოგჯერ იყინება ნიადაგი.

მე-8 ზონა. სამხრეთის ველები და მიმდებარე მთები - 36 000 ჰა

მე-8 ზონა მოიცავს მდ. ვიოსას და დრინოს ველებს და მიმდებარე მთებს - დჰემბელს, ნუმერკეს, ლუნქსჰერის და მალი იგიერეს. ამ ველებს ინტენსიურად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, უმთავრესად ხორბლის, სიმინდის, ბოსტნეულისა და საკვები კულტურებისათვის. მთების უმეტესი ნაწილი შიშველი კლდეებია, ტყეებით დაბალ და საშუალო სიმაღლეებზე. ამ ტყეების დიდი ნაწილი ბოლო 30 წლის განმავლობაშია დარგული და განახლებას საჭიროებს.

ველები ზღვის დონიდან დაახლოებით 300 400 მეტრ სიმაღლეზეა. ისინი უმეტესად შეიცავს ალუვიალურ ჩამონატანებს და კოლუვიალურ ნიადაგებს, რომლებიც ეროზიული პროცესების შედეგად ჩამოყალიბდა. ფერდობები 3 - 10% -ს შორის მერყეობს. მთები გაცილებით უფრო მაღალია, 1 800-დან 2 485 მეტრამდე, მაია ე დრიტესზე, მუნერკას მთაზე.

ვიოსას ველი უფრო მშრალია ვიდრე დრინოს ველი დროპულში. წლიური ნალექები ამ ველებზე 600 - 1 000 მმ-ია, უმეტესად ოქტომბრიდან მარტამდე. საშუალო წლიური ტემპერატურა 17 - 21^{0}C-ია. ზაფხული მშრალია და ცხელი, ხოლო ზამთარი - ცივი და ნოტიო.

მე-9 ზონა. სამხრეთის ფერდობები და მიმდებარე ველები 690 000 ჰა

ეს დიდი ზონა მოიცავს ტერიტორიას ტირანადან და ელბასანიდან, ცენტრალურ ალბანეთში, ტეპელენემდე და გიროკასტერამდე, სამხრეთში. მისი უმეტესი ტერიტორია ზომიერად ციცაბო ან ციცაბოა, რამდენიმე გორაკითა და მთით. მათ შორის მცირე სიდიდის ველებია, სადაც განლაგებულია სოფლები. აქ მოჰყავთ ხორბალი და სხვა მარცვლეული კულტურები, აგრეთვე სიმინდი, პარკოსნები, ბოსტნეული და საკვები კულტურები. ფერდობები გამოყენებულია ხეხილის და ზეთისხილის ბაღებისა და ვენახებისათვის. უფრო მაღალი ტერიტორიები უკავია ტყეებს.

ამ ზონის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 600 - 1 000 მეტრია, თუმცა არის უფრო მაღალი მწვერვალებიც, მაგალითად 2416 მ. სიმაღლის მალი ი ტომორიტ. ნარჩენი ნიადაგების თხელი ფენა შეიმჩნევა ქედებისა და მთების თავზე, ხოლო ფერდობებზე კოლუვიალური ნიადაგებია. ადგილი აქვს ამ ნიადაგების ეროზიას, რომელიც ხშირად უფრო ძლიერია ვიდრე სხვა ერთეულებში. ამდენად საჭიროა ხელახალი გატყიანება და მიწის სათანადოდ მართვა.

წვიმები უმთავრესად ოქტომბრიდან მარტამდე მოდის. თოვლი არ არის ხშირად, გარდა მაღალმთიანი ადგილებისა. ზაფხული ცხელია, ხოლო ზამთარი - არც ისე ცივი. საშუალო წლიური ტემპერატურა 15^{0}C-ია. ფერდობებზე უმთავრესად კლდოვანი ნიადაგია ყავისფერი მიწით, ან შიშველი კლდე. საშუალო სიმაღლის ველებზე უფრო წმინდა ფაქტურისა და გრანულარული სტრუქტურის მქონე ფლუვენტები, №№-ა. ნიადაგის სინესტის რეჟიმი ასტიკურია, ხოლო ნიადაგის ტემპერატურული რეჟიმი - თერმული.

მე-10 ზონა. ჩრდილოეთის დამრეცი ფერდობები და მიმდებარე ველები 606 000 ჰა

ამ ზონის ტერიტორია ვრცელდება ტირანას ჩრდილოეთით, მატის, მირდიტის, პიუკის, ჰასის რაიონებზე, იგი აგრეთვე

მოიცავს შკოდერისა და მალესი ე მადჰეს რაიონების ნაწილსაც. ერთეულ 9-სთან შედარებით ფერდობები ნაკლებად დამრეცია და გაცილებით უკეთესი ბუნებრივი მცენარეული საფარი გააჩნია. სოფლის მეურნეობაზე საერთო შემოსავლის შედარებით მცირე ნაწილი მოდის, რადგან შემოსავლის ძირითადი წყაროები მაღაროები და ხე-ტყის მრეწველობაა. ველებზე მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, პარკოსნები და ბოსტნეული. გორაკებსა და დაბალ ფერდობებზე გაშენებულია ხეხილი. მთების უფრო მაღალი ფერდობები დაფარულია წიფლისა და წიწვოვანი ტყეებით.

სიმაღლე 400 - 1 100 მეტრია, თუმცა არის რამდენიმე მწვერვალი, რომელთა სიმაღლე 2 246 მეტრს აღწევს. (მაია ე დეიესი, მასუკული). დიდ სიმაღლეზე ნიადაგური საფარი თხელია და ეროზიის მუდმივი საფრთხის ქვეშაა. საშუალო სიმაღლეზე გაცილებით უფრო ღრმა ნიადაგური საფარია, რომელიც ჩამოყალიბებულია ჩამონატანების (ალუვიონის) დაგროვებებისა და ეროზიის პროდუქტებისაგან. ველების დახრილობა 3 - 10%-ა, ხოლო დამრეცი ფერდობებისა - 40 - 50%.

ნალექების წლიური რაოდენობაა 1 000 - 1600 მმ/წ, რომელიც ზამთარში უმეტესად თოვლის სახით მოდის. მშრალი სეზონი ორ თვეს გრძელდება ივლისსა და აგვისტოში, ხოლო შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზე ხანგრძლივი ნალექების პერიოდია. მე-10 ზონა უფრო გრილია, ვიდრე მე-9 ზონა, აქ საშუალო წლიური ტემპერატურაა 13^0C. ზოგიერთი რაიონებისათვის (ლუფ-ქერეტი, პიუკე) დამახასიათებელია ცივი ქარები.

მიწათმოწყობის სტრუქტურა და კულტურების სისტემები მთიან რეგიონებში

ქვეყანაში მიწით სარგებლობის სტრუქტურა ასეთია: სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 24%, ტყეები 36%, საძოვრები 15% სხვა დანიშნულების მიწა 25%. მთიან ზონებში ეს სტრუქტურა სხვაგვარია: სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 14%, ტყეები 52%, საძოვრები და სხვა დანიშნულების მიწა - 34%. ამგვარად, მთიან ზონებს უმთავრესად ტყეები და

საძოვრები გააჩნია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წილი ძალზე მცირეა, ამასთან იგი დანაწევრებულია. აქედან გამომდინარე, ამ ზონებში სამეურნეო საქმიანობა და შემოსავლის წყაროები უმთავრესად მოიცავს მეტყეველობას, ხე-ტყის გადამუშავებას, მეცხოველეობას (ძირითადად ცხვარი და თხები), ხელოსნობას, მეხილეობას, საკვები კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანას.

„კანონი მიწის შესახებ", რომელიც 1991 წლის ივლისში დაამტკიცა პლიურალისტურმა პარლამენტმა, ითვალისწინებდა ალბანეთში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სრულ პრივატიზაციას. რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელდა რადიკალური რეფორმა, რომლის შედეგადაც სოციალისტური სისტემა (654 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და სახელმწიფო ფერმა, საშუალო სიდიდით 1 420 ჰა) გარდაიქმნა 460 000 კერძო ფერმად, რომელთა სიდიდეა 0,5 - 3 ჰა ერთ ოჯახზე, ზონის შესაბამისად. კანონის დებულებების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სახელმწიფო ფერმების მიწა უნდა განაწილებულიყო თითოეულ სოფლის ოჯახზე. თუმცა, სხვადასხვა ზონების გეოგრაფიული თავისებურებების გამო განსხვავებები ძალზე დიდია; დაბლობებზე, სადაც პირობები ძალზე კარგია, ფერმების სიდიდეა 2,5 - 3,5 ჰა, ხოლო მთიან ზონებში - მხოლოდ 0,2 - 1 ჰა.

გარდა ამისა, მთიან რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მცირე ნაკვეთების სახითაა დანაწევრებული, უმთავრესად თითოეულ ფერმაზე ორიდან რვამდე ასეთი მონაკვეთი მოდის, რომელთა შორის მანძილი ხშირად 3 - 4 კმ-ია. ამ დაშორებების შედეგად საჭირო ხდება დიდი რაოდენობით დამატებითი შრომის გაწევა, რადგან გზები ძალზე ვიწროა და ტრანსპორტირება შესაძლებელია მხოლოდ ცხოველების დახმარებით ან თვითონ ფერმერების მიერ. აქედან გამომდინარე, ნაკვეთები, რომლებიც ახლოსაა სახლებთან ან სხვა ძირითად შენობებთან, გაცილებით უფრო ინტენსიურად დამუშავდება ვიდრე სხვები. მოშორებული ნაკვეთები ხშირად დასამუშავებელი რჩება. მთის ფერმები ხშირად დამოკიდებულია მეცხოველეობისა და მემცენარეობის

(ბოსტნეული, ხილი, კარტოფილი, მარცვლეული) პროდუქტების წარმოებაზე, უმთავრესად ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. ოჯახებში 1 3 მსხვილფეხა რქოსანი საქონელია, 10 - 20 ცხვარი ან 10 15 შინაური ფრინველი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მექანიზაციის დონე და მოსავალი მთიან რეგიონებში

მთაში, მიწების უდიდეს ნაწილზე მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი და საკვები კულტურები და მხოლოდ მცირე ფართობებზეა ბოსტნეული, პარკოსნები და კარტოფილი. ამ ზონებში ფერმერების გამოკითხვამ ცხადყო, რომ მარცვლეულის წარმოება უმთავრესად საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფიებისათვის ხდება და ოჯახები იშვიათად ყიდიან მას ბაზარზე. ასევე ფურაჟიც, ძირითადად სამყურა, მოჰყავთ საკუთარი საქონლის გამოსაკვებად და იშვიათად ყიდიან. თითქმის ყველა ოჯახს მცირე ფართობებზე მოჰყავს ბოსტნეული და პარკოსნები, ჩვეულებრივ იმ ნაკვეთებზე, რომლებზეც კარგი პირობები და წყალია და ძალზე ახლოსაა სახლთან. ხეხილი და ვენახები ძალზე მნიშვნელოვანია. მიღებულ პროდუქტებს ძირითადად ისევ ოჯახები მოიხმარენ. მხოლოდ ზოგიერთ ფერმას, რომელიც ახლოსაა დასახლებულ პუნქტებთან, ადგილობრივ ბაზრებთან, ჩამბარებელ და გადამამუშავებელ ცენტრებთან ან მაგისტრალებთან, გააჩნია პროდუქციის ნამატი გასაყიდად.

ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება მიწის მხოლოდ გარკვეულ ნაწილზეა შესაძლებელი. გარდა იმისა, რომ ტრაქტორების რაოდენობა მცირეა, შემზღუდავი ფაქტორები მოიცავს მიწის არასტაბილურობას, ნაკვეთების მცირე ფართობს, დიდ დაშორებებსა და მექანიზაციით სარგებლობის მაღალ ფასებს. ამიტომ ფართოდ გამოიყენება პირუტყვი და მრავალი ოჯახი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებს ხელით. გამოკითხვის მიხედვით, ტრაქტორებს უმთავრესად მიწის მოსამზადებლად იყენებენ, თესვა კი 'უმთავრესად ხელით' ან პირუტყვის დახმარებით ხდება; სხვა სამუშაოები, როგორცაა გამარგვლა, სასუქების

შეტანა და მოსავლის აღება, თითქმის ყოველთვის ხელით სრულდება.

სხვა პრობლემები, რომლებიც დამახასიათებელია ალბანეთის მთიან ზონებში პროდუქციის წარმოების პროცესისათვის, ასეთია:

ფერმერებს უჭირთ ნებისმიერი სახის თესლების შოვნა, რაც ამცირებს მწარმოებლურობას, ზრდის მგრძნობიარობას დაავადებების მიმართ და ამცირებს მოსავალს.

სასუქებისა და პესტიციდების შეზღუდული გამოყენება, რაც განპირობებულია როგორც არასაკმარისი ფინანსური რესურსებით, ასევე ხშირად ბაზარში ჩასვლის შეუძლებლობით.

- ძალზე შეზღუდული დანერგვა-გავრცელების სამსახურები სათანადოდ ვერ აკმაყოფილებს ფერმერების მოთხოვნებს; გამოკითხვამ აჩვენა, რომ ფერმერების 50%-ს არ გააჩნია კონტაქტები დანერგვა-გავრცელების სამსახურების ქსელთან.

- ბანკიდან ან სხვა კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებიდან სესხის აღების შეუძლებლობა. ასეთი სესხის აღება მხოლოდ ფერმერების 2%-ს შეუძლია, მაგრამ მხოლოდ 1 000 - 2 000 აშშ დოლარის ფარგლებში. ფერმერების დაკმაყოფილება ბანკების მიერ ვერ ხერხდება და ისინი ხშირად ითხოვენ, რომ ბანკების მომსახურება უფრო ფართოდ გავრცელდეს სოფლად.

ამ ფაქტორების გამო მემცენარეობის (გარდა კარტოფილისა) და მეცხოველეობის მწარმოებლურობა უფრო დაბალია, ვიდრე დაბლობ ზონებში.

ტყეები - ტყის სიმდიდრე და უმთავრესი რეზერვი

ტყეები მთის უმნიშვნელოვანეს რესურსებს მიეკუთვნება. აქ არის მცენარეების 3 200, ცხოველების - 50 და ფრინველების 400 ჯიში, ტყეებს უჭირავს 1 045 540 ჰა: ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 36% (მთიან რეგიონებში ტყეებს 51% უჭირავს). ხეების ჯიშები უმთავრესად ცენტრალური და ჩრდილო ევროპული წარმოშობისაა, მაგრამ ბევრია ენდემური ჯიშიც. ტყეები შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: პრო-

დუქტიული ტყეები, დამცავი ტყეები და საძოვრად გამოსადეგი ტყეები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ალბანეთს დარჩა ტყეები, რომლებშიც უმთავრესად ძველი ნარგავები იყო. კომუნისტურ პერიოდში მიაჩნდათ, რომ ამ ტყეების შენარჩუნება არ იყო აუცილებელი და გაკაფვა 2-3-ჯერ აღემატებოდა ზრდას. 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ყოველ წელს 2,5 მილიონი კუბური მეტრი იჩეხებოდა. გაცილებით უფრო ნაკლები იყო დარგული ხეების რაოდენობა. ამ პოლიტიკის შედეგად, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო და დასახლებული ტერიტორიების გაზრდის მიზნით ტყეების გაჩეხვის პოლიტიკის, ხანძრებისა და სხვა მიზეზების გამო ტყეების ფართობი შემცირდა 290 000 ჰა-ით, რაც საწყისი საერთო რაოდენობის 21%-ს შეადგენს. ამავე პერიოდში დაირღვა ეკოსისტემის ბიოლოგიური წონასწორობა და შემცირდა ბიოლოგიური მრავალფეროვნება.

1990 წლის შემდეგ მიღებული იყო სხვადასხვა ზომები ადმინისტრირებისა და დაცვის გაუმჯობესების რიგი მიზნებისათვის:

- ტყეებისა და იქ მიმდინარე ბუნებრივი პროცესების დასაცავად, ეფექტიანი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერისათვის, აგროტურიზმის სტიმულირებისათვის, ნატურალური ლანდშაფტისა და ბიოლოგიური წონასწორობოს დასაცავად;
- ტყეების კაფვის კონტროლისათვის და ტყეების ფართობის ზრდისათვის შორეულ პერსპექტივაში;

ეროვნული პარკების შექმნისა და მათი ინტეგრირებული განვითარებითვის; მინისტრთა საბჭოს №96 (21.22.1996) გადაწყვეტილების შესაბამისად დიდი ტურისტული სამეცნიერო ღირებულების მქონე ექვსი ტყის მასივი ეროვნულ პარკებად გამოცხადდა: ლოგარა, დივიაკე, დრენოვა, დაიტი, ლურა და თეტი;

- მეტყევეობის არქივების შექმნის და მოდერნიზირებისათვის;

გადაშენების რისკის წინაშე მდგომი ველური ფაუნის პოპულაციების დაცვისა და გავრცელებისათვის და ნადირო-

ბის პოტენციალის დადგენისათვის.

ბოლო წლებში, ტყიან მთის ზონებში ეკონომიკური აქტივობისა და შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნეოდა, განსაკუთრებით ხე-ტყის გადამამუშავებელ საწარმოებში, ავეჯის და სხვა პროდუქციის წარმოებაში, ნადირობაში, სასოფლო ტურიზმში და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტიციების გამო. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ზოგიერთი პრობლემატური საკითხი, მათ შორის ტყეების სტატუსისა და მფლობელობის დადგენა, არალეგალური და გაუმართლებელი კაფვის შეწყვეტა, ტყეების ღირებულებისა და როლის განსაზღვრასთან დაკავშირებული განათლება და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ტყეების მართვის პროცესებში.

მოსახლეობა და მთიდან ბარის სოფლებში შიდა მიგრაცია

1990 წლამდე, ძალზე მკაცრი დემოგრაფიული პოლიტიკის გამო, ალბანეთის მთიანი ზონები ნორმალურად იყო დასახლებული, ქვეყნის სხვა რეგიონების მსგავსად. შემდეგში, მოსახლეობის თავისუფალი მოძრაობის შესახებ კანონის გამოყენების შედეგად, მთებიდან ქალაქებში, ვაკეებზე და სანაპირო რაიონებში ემიგრაცია ძალზე გაძლიერდა, მოაში ცუდი საცხოვრებელი პირობების, განვითარების ძალზე დაბალი დონისა და ინფრასტრუქტურის ნაკლებობის გამო. მაგალითად, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 1990 წ. დეკემბრიდან 1997 წ. იანვრამდე პერიოდში, ჩრდილო-აღმოსავლეთი მთიანი ზონის მოსახლეობა 10 - 15%-ით შემცირდა და ამ ზონებისა და რეგიონების სხვადასხვა მუნიციპალიტეტებმა თავისი მოსახლეობის 60 80% დაკარგა. ამ მოვლენების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ტერიტორიები შეიძლება მთლიანად დაცარიელდეს.

ამ მოვლენებს მრავალი მიზეზი გააჩნია, სახელდობრ:

მომსახურების ძალზე დაბალი დონე (საავადმყოფოები და სამედიცინო დახმარების სხვა ცენტრები ძალზე ცუდ მდგომარეობაშია, არ არსებობს კავშირგაბმულობა ტელეფონი, ფაქსი და ა. შ.);

- სკოლების ძალ'ზე მცირე რაოდენობა და სწავლის ძალ'ზე ცუდი პირობები;

- სირთულეები წყლის მიწოდებაში;

სატრანსპორტო გზების ძალ'ზე ცუდი მდგომარეობა, საერთოდ ინფრასტრუქტურის ძალ'ზე ცუდი მდგომარეობა;

- სოფლის მეურნეობის გარდა სხვაგან დასაქმების ალტერნატივის სრული არარსებობა;

- ძალ'ზე დაბალი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე და ერთ ოჯახ'ზე (3 - 4-ჯერ დაბალი ვიდრე ქვეყნის სხვა რეგიონებში);

- ფრაგმენტირებ'ული (დანაწევრებული) სასოფლო-სამეურნეო მიწა და სავარგულები, ძალ'ზე დაბალი მოსავალი და მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობაში, ძალ'ზე დიდი მანძილები ქალაქებამდე და ბაზრებამდე;

ქარხნების, საწარმოებისა და მაღაროების უმეტესობის დახ'ურვა და მთავრობის მკაფიო პოლიტიკის არარსებობა ამ ზონების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. ძალ'ზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი ისაა, რომ ჩრდილოაღმოსავლეთის მთიანი ზონის ოჯახების 60%-ზე მეტი მთავრობის სოციალურ დახმარებას საჭიროებს.

მთიანი ზონებიდან, განსაკუთრებით ახალგაზრდების მუდმივი მიგრაციის შედეგად, იზრდება უფროსი ასაკობრივი კატეგორიების პროცენტ'ული ზრდა, ინტელექტ'უალ'ური პოტენციალისა და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის შემცირება.

მთიან რეგიონებში სიღარიბე სოფლად ისევ პრობლემად რჩება.

სოფლად სიღარიბის ძირითადი მაჩვენებელია ფერმების მცირე სიდიდე, ერთ ოჯ'ახზე საქონლის შეზღ'უდ'ული რაოდენობა და დაბალი შემოსავალი არაფერმერ'ული საქმიანობიდან, ხელფას'ზე მომ'უშავეთათვის. შეფასებ'ულია, რომ სოფლის მოსახლეობის ერთი მეოთხედი ცხოვრობს ფერმებ'ში, რომლებიც ძალ'ზე პატარაა ცხოვრების საშ'უალო დონის შესაქმნელად. ამ ოჯ'ახების დიდი უმრავლესობა ცხოვრობს დიდ სიმაღლეზე, მთებ'ში და მათი ფერმების

სიდიდე ნახევარ ჰექტარს არ აღემატება. მოსახლეობის ყველაზე ღარიბი 10% სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლებით ცხოვრობს და ეს შემოსავლები წელიწადში 170 აშშ დოლარს არ აღემატება და მათ არ შეუძლიათ დაიკმაყოფილონ სურსათზე მოთხოვნილებაც კი, მთელი წლის განმავლობაში. ისინი დამოკიდებულნი არიან სუბსიდირებული ხორბლისა და ფქვილის მიწოდებაზე ზამთრის თვეებში და გადარიცხულ თანხებზე, რომელთაგან უდიდესი ნაწილი პენსიები და სოციალური დახმარებაა. მთისწინეთისა და სანაპირო ვაკეებზე მაცხოვრებელ მოსახლეობაშიც არიან ღარიბი ოჯახები, მაგრამ მათი რაოდენობა ნაკლებია. ამ ძალზე ღარიბი ოჯახების გარდა არის სხვებიც, რომელთა მიწის სიდიდე არ არის საკმარისი (ერთ ჰა-ზე ნაკლები) იმისათვის, რომ შეიქმნას მნიშვნელოვანი ნამატი პროდუქტი ბაზარზე გასატანად, რაც ზღუდავს მათ ფულად შემოსავლებს.

არაფერმერულ შემოსავლებს კრიტიკული მნიშვნელობა გააჩნია მრავალი საოჯახო ფერმისათვის, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო შემოსავლების ერთ მეხუთედს ან ერთ მეოთხედს შეადგენს. თუმცა, შეუძლებელია ამის ზუსტად განსაზღვრა რიცხობრივად (მონაცემების ნაკლებობის გამო), შეფასების მიხედვით კი სოფლის საოჯახო მეურნეობების 70 90% დამოკიდებულია შემოსავლებზე, რომლებიც არ არის მიღებული ფერმერული საქმიანობიდან. ამას გარდა, პენსიები და სოციალური დახმარებები დაბალია. არაფერმერული შემოსავლის სიდიდის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ფულადი გზავნილები, რომლის შემდეგაც მოდის მუშაობა ხელფასით და არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესის შემოსავალი. სავარაუდოა, რომ როგორც არასასოფლო-სამეურნეო შემოსავლების წყაროები და განსაკუთრებით ფულადი გადარიხცვები, უფრო მეტად განაპირობებს სოფლის შედარებით მაღალშემოსავლიანი ფენების არსებობას, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო შემოსავლები. თუმცა, მიწის კონსოლიდაციისა და ბაზრებზე გასვლის შესახებ არსებულმა „სცენარებმა“ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს შემოსავლები სოფლად.

ბულგარეთი

ბულგარეთის მთებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. თუმცა მთების უმეტესობის მდგომარეობა ამჟამად ძალზე სერიოზულია. ეს ის ტერიტორიებია, რომლებსაც ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მტკივნეულად შეეხო; როგორც ეკონომიკური აქტივობა, ასევე ცხოვრების დონე საკმაოდ დაბალია. ამდენად, საჭიროა ამ ნეგატიური პროცესების დაძლევა, სერიოზული ძალისხმევა მათი დაცვისა და განვითარების ეფექტიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის. ამ პოლიტიკამ უნდა მოიცვას მთიან რეგიონებთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: დასახლების შემცირება (დეპოპულაცია), ეკონომიკური ფუნქციებისა და ტრადიციული საქმიანობების შემცირება, სახნავი მიწის ნაკლებობა; ეროვნული რესურსების არაადექვატურად გამოყენება; ტყეების ინტენსიური გაკაფვა; ლანდშაფტების დაზიანება; ბიოლოგიური წონასწორობის დარღვევა, წყლის რესურსების კარგვა; არაადექვატური მშენებლობები და ზედმეტი ექსპლუატაცია ტურიზმისა და ურბანიზაციის მიზნით.

რელიეფი და ტოპოგრაფია

ბულგარეთის მთები ხასიათდება კომპლექსური ბუნებრივი და გეოგაფიული პირობებით: სიმაღლით, ფერდობებითა და ჩამორეცხილი რელიეფით. ამდენად მათი სოციალური, ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარება გართულებულია.

მთის რეგიონების დასახლებებისათვის იყენებენ ძირითად და დამატებით კრიტერიუმებს და ინდიკატორებს, რომლებიც დამტკიცებულია მინისტრთა საბჭოს 1996 წლის გადაწყვეტილებით. მთიანი რეგიონების დადგენის პრინციპული, საერთაშორისო კრიტერიუმია სიმაღლე ზღვის დონიდან. ბულგარეთში მთიან რეგიონებად ითვლება რეგიონები, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 600 მეტრზე მეტია. მთიანი რეგიონების დადგენის დამატებითი კრიტერიუმებია:

რამდენად დახრილია რელიეფი - მოცემულ ტერიტორი-

აზე ყველაზე მაღალი და დაბალი წერტილების სიმაღლეების შეფარდება. დამტკიცებულია ტოპოგრაფიული ინდექსი; მისი სიდიდე ტოლია იმ რიცხვისა, რომლითაც ერთ კვ.კმ-ზე ყველაზე მაღალ და დაბალ წერტილებს შორის სხვაობა მეტია 200-ზე.

რელიეფის ჩამორეცხვის სიმკვრივე. სადრენაჟო ქსელის სიგრძე (მდინარის კალაპოტები, ხეობების მშრალი კალაპოტები) იზომება კილომეტრებში ერთ კვ. კმ-ზე. ამ კრიტერიუმისათვის გამოყენებულ ინდექსს მნიშვნელობა აქვს, როდესაც ეს სიმკვრივე 2 კვ/კმ-ზე მეტია;

ტერალური ცვალებადობა - რელიეფის ჩამორეცხვის ხარისხსა და სიმკვრივეს შორის შეფარდება. ამ კრიტერიუმისათვის დამტკიცებულ ინდექსს აზრი აქვს 200-ზე ზემოთ.

ზღვის დონიდან სიმაღლე - ძირითადი მაჩვენებელია მთიანი რეგიონების დადგენისათვის. როდესაც დამატებითი კრიტერიუმების მაჩვენებლები არადამაკმაყოფილებელია, განიხილება მათი მნიშვნელობა ამ ძირითად კრიტერიუმთან მიმართებაში. იქ, სადაც ამ ინდიკატორებს მაღალი მნიშვნელობები აქვს, ტერიტორიები, რომლებიც 600 მეტრზე დაბლა მდებარეობს, „მთიან ტერიტორიებად" ითვლება; იქ, სადაც ინდიკატორების მნიშვნელობა დაბალია, 600 მეტრზე მაღალი ტერიტორიები არ შეაქვთ ამ კატეგორიაში. კრიტერიუმები და ინდიკატორები, რომლებიც გამოიყენება „მთიანი ტერიტორიების" განსაზღვრისათვის, სტატიკურია, რაც ცალსახად განსაზღვრის გარანტიას იძლევა. ამ კრიტერიუმებისა და ინდიკატორების სისტემის გამოყენებით და დიდი მასშტაბის მქონე ტოპოგრაფიული რუქებით განისაზღვრა 2 172 მთის დასახლება (ქვეყანაში დასახლებების საერთო რაოდენობის 41,8%) და მთის მუნიციპალიტეტი (ქვეყანაში მუნიციპალიტეტების საერთო რაოდენობის 40%).

განვითარების პოლიტიკის განხორციელებისათვის, მთიანი რეგიონების კლასიფიკაციის ორი სხვადასხვა საიდენტიფიკაციო სისტემა გამოიყენება:

სისტემა, რომელიც დასახლებებს ეყრდნობა და შეესაბამება დამტკიცებულ კრიტერიუმებს. ეს კლასიფიკაცია გამოიყენება დამცავი ღონისძიებების განსაზღვრისათვის, რო-

მლებიც დაკავშირებულია ამ რეგიონების განვითარებასთან, მაგალითად, სასურველ სატრანსპორტო ტარიფებთან;

- სისტემები, რომლებიც მუნიციპალიტეტებს ეყრდნობა, როდესაც ამ მუნიციპალიტეტებში შემავალი კომპაქტურად განლაგებული მთის დასახლებების რაოდენობა 50%-ს აღემატება. ამ კლასიფიკაციით სარგებლობენ, როდესაც აყალიბებენ გარკვეული კომპაქტური რეგიონის განვითარების რეგიონალურ პოლიტიკას.

მთიანი რეგიონების განვითარებისა და ადმინისტრირების კანონპროექტის ფარგლებში ვარაუდობენ სამ ზონას:

- დაბალ-მთიანი ზონა, 600 1 000 მეტრამდე სიმაღლით. განვითარების პრიორიტეტებია მთის მიწათმოქმედება და მეცხოველეობა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელი სამრეწველო საწარმოები და ტურიზმი;

- საშუალო (ზომიერი) სიმაღლის მთიანი ზონა 1 000 - 1 500 მ სიმაღლით, განვითარების პრიორიტეტებია მეტყეველობა, მთის მეცხოველეობა და ტურიზმი;

მაღალმთიანი ზონა 1 500 მ-ზე ზემოთ. ამ ზონისათვის გათვალისწინებულია ეროვნული რესურსების დაცვისა და შეზღუდვის რეჟიმის პრიორიტეტული ღონისძიებები.

მთიანი ტერიტორია ბულგარეთის ფართობის 36%-ს იკავებს. აქ დასახლებულია დაახლოებით 2,5 მლნ ადამიანი - ქვეყნის მოსახლეობის 28,2%. ისინი მოიცავს სავარგულების 25%-ს, სხვა დანიშნულების მიწის 75%-ს, არასასოფლო-სამეურნეო მიწის 83%-ს, და ტყეების 82%-ს. ამ მიწებს გააჩნია მინერალური რესურსების მნიშვნელოვანი პოტენციალი და მრავალფეროვანი არამინერალური რესურსების დიდი რაოდენობა: ანტრაციტის 95,7%, თუთიისა და ტყვიის მადნის 89,7%, სპილენძის მადნის 76%, პერლიტის 74,2% და დოლომიტის 69,5%. ისინი ასევე მდიდარია ჰიდროლოგიური რესურსებით, თერმული წყლებით და რეკრეაციული რესურსებით. იმ მთის მუნიციპალიტეტების წილი, რომლებიც მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში შედის, 50-დან 80%-მდე მერყეობს. არის აგრეთვე მრავალი ტერიტორია მართვის სპეციალური რეჟიმით: ექვსი ეროვნული პარკი (საერთო ფართობი 271 000 ჰა); 35 ნაკრძალი (8 600 ჰა); 134 ესთეტიური მნიშვნელობის

მქონე ხელუხლებელი ბუნებრივი ლანდშაფტი, როგორც ბუნების ფენომენი (6 800 ჰა) და 72 რეზერვაცია (68 800 ჰა).

წყლის რესურსების განაწილება მთაში საკმაოდ არაერთგვაროვანია. ზოგადად ისინი ხასიათდება მდინარეების მაღალი სიმჭიდროვით და მაღალი და შედარებით სტაბილური სიუხვით (წყალუხვობით). მათზე მოდის საერთო ჩამონადენის 81,3% და მოიცავს ქვეყნის წყლის რესურსების 70%-ს. მთიანი ტერიტორიები ძალზე მდიდარია თერმული მინერალური წყლებით. აღმოჩენილია წყაროები 3 მ³/სმ წარმადობით, თუმცა გამოყენებულია არაუმეტეს მათი ნახევრისა. რილა, პირინი, დასავლეთი და ცენტრალური სტარა პლანინა, დასავლეთ როდოპი და აღმოსავლეთ როდოპის სამხრეთ ნაწილი განსაკუთრებით მდიდარია ზედაპირული წყლებით; რილა და პირინა მდიდარია ტბებით, აქ 280-ზე მეტი ტბაა. მდინარეები განსაკუთრებით მაღალი წყალ-სიუხვით ხასიათდება დასავლეთის საზღვრის გასწვრივ, სრედნა გორა, სტრანდია და საკარი.

ინფრასტრუქტურა

მთის მაცხოვრებლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურის სისტემებს - ტრანსპორტს, წყლის მიწოდებას, კომუნიკაციებსა და ენერგიის მიწოდებას.

მთიანი რეგიონების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ზოგადად ასე ხასიათდება:

- ავტოსაგზაო ქსელი უფრო განვითარებულია ვიდრე სარკინიგზო, რადგან იაი უფრო ადვილად ადაპტირებადია მთის პირობებთან;

ავტოსაგზაო ქსელის სიმჭიდროვე ძალზე ცვალებადია, არის მთელი რეგიონები, სადაც სიმჭიდროვე ქვეყანაში საშუალოზე დაბალია: სამხრეთ-დასავლეთის მთები, დასავლეთ როდოპი, სტრანდია, საკარი, დასავლეთ სტარა პლანინა;

- მთიანი ტერიტორიის დიდი ნაწილის დაშორება სარკინიგზო ქსელიდან (ქვეყანაში რაციონალურ მინიმუმზე მეტი), განსაკუთრებით როდოპში, სტრანდიიასა და საკარში;

რკინიგზების უმრავლესობა ჩიხით მთავრდება და ამგ-

ეარად მცირდება გავრცელების არე.

კომუნიკაციები ასევე ავლენს სპეციფიურ მახასიათებლებს, მათი ხელმისაწვდომი რაოდენობისა და მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით. მოსახლეობისა და ბიზნესის მომსახურება არ არის სათანადო დონეზე, განსაკუთრებით მაღალ მთაში და შორეულ მთის დასახლებებში, დიდი ქალაქებიდან შორს.

მთის რეგიონები ზოგადად ხასიათდება შემდეგით:

- სატელეფონო ქსელის დაბალი და არაერთგვაროვანი სიმჭიდროვე (საერთო ეროვნულის ნახევარი);
- რადიო და ტელეგადაცემების გავრცელების პრობლემები.

არის აგრეთვე სირთულეები კომუნალურ მომსახურებაში. თითქმის ყველა დასახლებას გააჩნია წყლის მომარაგება, თუმცა ზოგიერთ მათგანში შეზღუდვებით (გრაფიკით). ელექტროენერგიით მომარაგების ქსელი შედარებით კარგადაა განვითარებული. თუმცა, მთიანი რეგიონების დიდ ნაწილში კომუნალური ქსელის სიმჭიდროვე საშუალოზე ნაკლებია. საერთო ენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე ასევე საშუალოზე დაბალია.

ეკოლოგიური მდგომარეობა

გარემოზე ანთროპოგენული ზეგავლენის ზრდამ გამოიწვია რიგი ეკოლოგიური პრობლემები მთაში, ბევრი მთის ტერიტორია ეკოლოგიური საფრთხის ქვეშაა. ეს პრობლემები გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

ნედლეულის ეკოლოგიურად დაუშვებელი რაოდენობის მოპოვება და გადამუშავება;

ძლიერ მომწამლავი ქარხნების განლაგება ველებზე, სადაც განიავების საშუალება შეზღუდულია;

- ეროზიული პროცესების განვითარება;

ტექნიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს დაშვებული დარღვევები;

- რიგ მთის დასახლებებში წყალგაყვანილობის ავარიული მდგომარეობა;

სამრეწველო ნარჩენების დიდი რაოდენობის დაგროვება;

ტურიზმით გამოწვეული მნიშვნელოვანი ეროზია, ბუნებრივ ეკოსისტემაზე უარყოფითი ზეგავლენით, ნაკრძალების არასათანადო მუშაობისა და დაცვის გამო.

მიუხედავად ამისა, პულგარეთის მთების უმეტესობა კარგ ეკოლოგიურ მდგომარეობაშია, კარგად წარმოდგენილი ბუნებრივი და განსაკუთრებით მდიდარი ლანდშაფტებით.

სოციალური და ეკონომიკური განვითარება

მთის მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა ასახავს მთის ეკონომიკურ ფუნქციებს. წამყვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობასა და ტურიზმს, რის გამოც ამ დარგებში დასაქმებულთა რაოდენობა - 40%-ზე მეტია. სტატისტიკური მონაცემები არ ასახავს სოფლის მეურნეობაში დასაქმების არსებულ სურათს, რამდენადაც სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი რაოდენობა მათ მფლობელებს დაუბრუნდა. მიწის მეპატრონეთა გარკვეული ნაწილი შემოსავალს თვითდასაქმებით იღებს. მათი რიცხვი ცვალებადია და სტატისტიკური მონაცემები არ არის აღვილად მოსაპოვებელი.

მთაში უმუშევრობის დონე (18 29%) გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში (13%). სოფლის მეურნეობაში, მეტყევეობასა და ტურიზმში სეზონურ დასაქმებას დიდი მნიშვნელობა აქვს შემოსავლებისათვის.

სოფლის მეურნეობა

დაბლობებში წარმოების შესაძლებლობები უფრო შეზღუდულია, თუმცა რამდენიმე ძირითადი კულტურა მაინც იწარმოება. მთების უფრო მაღალი რეგიონები ხასიათდება მონოკულტურული წარმოებით. არის რეგიონალური სპეციალიზაციის რამდენიმე ტიპი:

მეცხოველეობა და მრავალწლიანი კულტურები, ძირითადად ხილი: დასავლეთ და ცენტრალური სტარა პლანინა;

მეცხოველეობა, ვენახები და ხილი: სრედნია გორა, სტრანდია და საკარი;

- თამბაქო, კარტოფილი და მეცხოველეობა: დასავლეთ როდოპი, რილა და პირინი;

მეცხოველეობა, მარცვლეული კულტურები, ბოსტნეული და მრავალწლიანი კულტურები: ოსოგოვო, ბელასიცა და კრაიშტე.

მთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უშლის ბუნებრივი, კლიმატური და ეკონომიკური პირობები, რომელთა დაძლევა საკმაოდ რთულია. დაბლობებთან შედარებით პროდუქციის ერთეულზე და ფართობის ერთეულზე გაწეული ადამიანის, პირუტყვისა და მექანიკური შრომა უფრო მეტია. რთული და ტეხილი რელიეფი, მინდვრების დახრილობა განაპირობებს ხარჯების მნიშვნელოვან არაეფექტიანობას. ეს ნიშნავს, რომ გამოშვებული პროდუქციის ერთეულზე საჭიროა მეტი დაბანდებები და შემდგომში ეს კიდევ უფრო გაამწვავებს წარმოების ეფექტიანობის პრობლემას. ამას გარდა, საწვავის, სასუქების, ქიმიკატების, სათესლე მასალის და საქონლის საკვების მიწოდების ცენტრებიდან დაშორება და ტრანსპორტირების უფრო მაღალი ხარჯები განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის არახელსაყრელობას. შორეული დასახლებებიდან არავინ ყიდულობს რძეს, კვერცხს, დასაკლავ საქონელს, მატყლს, ხილს და სხვ.

ეს არის ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც აიძულებს ზოგიერთ ფერმერს მთაში, მიატოვოს მიწა და სხვაგან ეძებოს უფრო მაღალი შემოსავალი და ცხოვრების უკეთესი პირობები. მათი წასვლა კიდევ უფრო ამძიმებს პირობებს დარჩენილებისათვის. სკოლები იხურება, რადგან არ არის სასკოლო ასაკის ბავშვების საკმაო რაოდენობა; არ არის სათანადო დონეზე ჯანდაცვა, გზების თოვლისაგან გაწმენდა. სასოფლო სამეურნეო მიწა მიტოვებულია და ნიადაგის ეროზია მკვეთრად მატულობს. ეს ტენდენციები გვიჩვენებს, რომ საჭიროა სპეციალური პოლიტიკა მთიანი რეგიონებისათვის, განსაკუთრებით შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებით.

მეტყევეობა

ეკონომიკური პოტენციალის თვალსაზრისით, მეტყევეობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მთებში., აღმოსავლეთ სტარა პლანინაში (მუხის ტყეების 41%), სტრანდიასა და საკარში (43%), აგრეთვე ლუდოგორიოეში (16%). ყველაზე ლამაზი წიფლის და წიწვოვანი ტყეები ასევე მთებშია, 600-დან 2000 მეტრამდე. პოტენციური სამშენებლო ხე-ტყის სამი მეოთხედი სტარა პლანინაში, სრედნა გორაში და როდოპშია კონცენტრირებული. პირველი ორი რეგიონი ხე-ტყის ყველაზე დიდ პოტენციალს ფლობს მთელს ქვეყანაში და შესაძლებლობა აქვთ აწარმოონ 1 600 000 m^3 მერქანი. როდოპსაც მნიშვნელოვანი ხე-ტყის პოტენციალი გააჩნია. რილასა და პირინთან ერთად ისინი ბულგარეთის წიწვოვანი ხე-ტყის 90%-ზე მეტს აწარმოებენ. ხე-ტყის დიდი რესურსები ხე-ტყის მოპოვებისა და გადამუშავების, როგორც ამ რეგიონების მნიშვნელოვანი სამრეწველო ფაქტორის, წინაპირობაა.

ტურიზმი

ბულგარეთის მთებში მრავალი სახის რეკრეაციული პოტენციალი არსებობს, მაგრამ იგი მხოლოდ ნაწილობრივაა რეალიზებული. მთებში ძირითადი ტურისტული რესურსის ტყეებია, რომელთა გარკვეული ნაწილი სპეციალურად ამ დანიშნულებისაა. ისინი მთის ტყეების დაახლოებით 30%-ს იკავებენ, რომელთაგან 70% დასავლეთის ტყეებშია.

მთებში არსებული ბალნეოლოგიური რესურსები რამდენჯერმე აღემატება არსებულ და მომავალ მოთხოვნას. სანდანსკის, მარიკოსტინოს, ჰისარიას, დევინის, ველინგრადის და საპარევა ბანიას რეგიონებში მდიდარი, მრავალფეროვანი და კონკურენტუნარიანი რესურსებია. მიუხედავად იმისა, რომ აქ ხელმისაწვდომია ჰიდრომინერალური და სამკურნალო ტალახის რესურსები, ამასთან ამ სახის სამედიცინო მომსახურებით დაინტერესებაც არსებობს, დამსვენებელთა რიცხვი მაინც ძალზე დაბალია. ამის ძირითადი მიზეზებია დაუმთავრებელი ნაგებობები, არაადექვატური რეკლამა და

ტურიზმის, ბიზნესის, ენერგიის გენერაციისა და საზოგადოების კეთილდღეობის მიზნებისათვის მინერალური რესურსების ექსპლუატაციაში დაშვებული შეცდომები.

მთების რეკრეაციული პოტენციალით სარგებლობასა და მის ამოქმედებასთან დაკავშირებით წარმოიშვა რიგი პრობლემები, მაგალითად:

- ბუნებრივი რეკრეაციული პოტენციალის ზედმეტი ექსპლუატაცია დიდ კურორტებზე, როგორიცაა ბოროვეცი და პამპოროვო;
- ნაკრძალებთან ძალზე ახლოს ტურისტული ნაგებობების (რესტორნებისა და სასტუმროების) მშენებლობაზე ნებართვის გაცემა;
- ტურისტული ნაგებობების მშენებლობისას ესთეტიკის პრინციპების მიმართ უყურადღებობა, ზოგიერთი მათგანი არ შეეფერება ლანდშაფტს;
- საზოგადოებრივი კვების საწარმოების (კაფეების, რესტორნების და ა. შ.) ზედმეტი კონცენტრაცია კურორტებზე, ტურისტული სეზონის დროს ისინი ხშირად დიდ ქალაქებს ჰგავს, ხოლო თვით ტურიზმს აკლდება ყურადღება;
- ტექნიკური ინფრასტრუქტურის დაბალი დონე, სახელდობრ კურორტებზე მისვლა გართულებულია;
- გეოთერმული და მინერალური წყლების გარკვეული სახეების არასკამარისად გამოყენება.

ტურიზმის პოტენციალის შემდგომი ექსპლუატაცია დამოკიდებული იქნება ახალ პოლიტიკაზე ტურიზმთან დაკავშირებით, რომელიც შექმნის პირობებს ტურიზმის განვითარებისათვის და უზრუნველყოფს ხელმისაწვდომი რესურსების დაზოგვას და გარემოს დაცვას.

მრეწველობა

მთიან რეგიონებსა და დასახლებებში მრავალი სხვადასხვა სახის სამრეწველო საწარმოა, რომლებიც მთიანი რეგიონების ეკონომიკის მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს, თუმცა, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი ზემოქმედება განსაკუთრებით მწვავედ მთიან რეგიონებში

მრეწველობის განვითარებაზე აისახა.

მთიან რეგიონებში მრეწველობის სტრუქტურა უმთავრესად წარმოებისა და გადამუშავების სექტორებს მოიცავს: მოპოვებას, სამშენებლო მასალების, სასურსათო პროდუქტების სასმელების და ქსოვილების წარმოებას. მთიან რეგიონებში წარმოების შემცირებასთან ერთად დაიხურა მთელი რიგი საწარმოები, რამაც მრეწველობაში დასაქმებულთა უმუშევრობა გამოიწვია.

დემოგრაფიული მდგომარეობა

მთიანი რეგიონები შემდეგი დემოგრაფიული პროცესებით ხასიათდება:

გაძლიერებული მიგრაცია, სახელდობრ სტაბილური მიგრაციული ნაკადი მთიანი რეგიონებიდან;

- სოფლის მოსახლეობის საშუალო ასაკის მატება და ასაკობრივი სტრუქტურის რღვევა, რაც განაპირობებს მოსახლეობის შემცირებას არა მარტო ცალკეულ სოფლებში და დასახლებებში, არამედ რეგიონებში მთლიანად;

- როგორც სოფლის, ასევე ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის ბუნებრივი ზრდის მაჩვენებლის მუდმივი შემცირება, ხშირად ზრდის მაჩვენებელი უარყოფითია და მოსახლეობის რაოდენობა მცირდება;

- როგორც შობადობის, ასევე ზრდის მაჩვენებლების შემცირების ტენდენცია მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე აისახება, ამის შედეგად მთიანი რეგიონების ზოგიერთ ნაწილში ასაკობრივი სტრუქტურა რეგრესირებს.

1986 - 1997 წლებში მოსახლეობის რაოდენობა სტაბილურად მცირდებოდა როგორც ბულგარეთში მთლიანად, ასევე მეზობელ მთიან რეგიონებშიც. ქვეყნის მოსახლეობა საშუალოდ 0,75%-ით შემცირდა; მთიანი რეგიონებისათვის ეს მაჩვენებელი თითქმის ნულის ტოლი იყო. ბუნებრივი ზრდის მაჩვენებელი დადებითი იყო მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა ერთნიკურად შერეული იყო და ზრდის ტემპი - მაღალი. 1992 წლიდან მთიან რეგიონებზეც გავრცელდა მოსახლეობის კლების არსებული ტენდენცია. მოსახლეობის

სიმჭიდროვე მთებში ქვეყანაში საშუალო სიმჭიდროვის ნახევარია: სოფლად 38,4 მოსახლე/კმ^2 (საშუალო ეროვნული მაჩვენებელი 74,2 მოსახლეა/კმ^2-ზე).

მთის მოსახლეობის განათლების დონე საზოგადოდ უფრო დაბალია ვიდრე საშუალოეროვნული. უმაღლესი განათლება მხოლოდ 4,2%-ს აქვს, ეს საშუალოეროვნული მაჩვენებლის (10,4%) ნახევარზე ნაკლებია. სრული საშუალო განათლება მხოლოდ მოსახლეობის 21,6%-ს აქვს.

დასახლებათა ქსელი

მთის სოფლები დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან მოსახლეობის რაოდენობისა და დომინანტური ფუნქციების თვალსაზრისით. მათი უმეტესობა ძირითადად სოფლის მეურნეობასთან და მეტყევეობასთანაა დაკავშირებული; უფრო იშვიათია ხელოსნობა და სოფლის ტურიზმი. რამდენადაც მთიანი რეგიონები კომპაქტურადაა განლაგებული, განცალკევებული დასახლებები იშვიათია. ეს ამარტივებს ძირითადი - ვაჭრობის, ჯანდაცვის, განათლების, კულტურის და ადმინისტრირების მომსახურებათა მიწოდებას. პატარა ქალაქებს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს წამყვანი დარგებისათვის ტურიზმის, სასურსათო და სასმელების მრეწველობის, ტყის ჩეხვისა და ტყის გადამუშავებისათვის. სოფლის მოსახლეობისათვის ისინი განათლების, ჯანდაცვის, საბანკო, კულტურული და ა. შ. მომსახურების ცენტრებს წარმოადგენს. სოფლისა და ქალაქის დამოკიდებულება ხორციელდება უმთავრესად მთის მოსახლეობის სამუშაო თუ კულტურული ვიზიტებით ქალაქში, ისინი აქ ჩამოდიან უფრო მაღალი ხარისხის მომსახურების მისაღებად.

საზოგადოებრივი მომსახურება

ბოლო ათწლეულებში მთიან რეგიონებში შეიქმნა სოციალური თუ ტექნიკური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი რაოდენობა. სოციალური მომსახურების სფეროში ყველაზე კარგად განათლების ინფრასტრუქტურაა განვითარებული. ყვ-

ელა მთის სოფელში, სადაც ბავშვების რაოდენობა საკმაოდ ბულო მინიმუმზე მეტია, არის ბავშვთა მოვლის დაწესებულებები და საშუალო სკოლები. რაც შეეხება ჯანდაცვის ინფრასტრუქტურას, ყველაზე გავრცელებულია პოლიკლინიკები, არის აგრეთვე დამხმარე სამედიცინო ცენტრები, სამედიცინო ცენტრები და ა. შ. ბევრია კულტურული დაწესებულებებიც, კულტურის სახლები, საჯარო ბიბლიოთეკები, კლუბები და ა. შ. სოციალური მომსახურების პრობლემა მდგომარეობს არა იმაში, რომ დაწესებულებების ნაკლებობაა, არამედ იმაში, რომ ეს დაწესებულებები არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ.

პატარა ქალაქები წარმოადგენს სერვის-ცენტრებს სოფლის მოსახლეობისათვის, აქ არის უმაღლესი სკოლები, პოლიკლინიკები (ზოგჯერ საავადმყოფოებიც კი), კინო და სპორტული კომპლექსები.

მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა

მთიანი რეგიონები ბულგარეთის დიდ ნაწილს შეადგენს და ეროვნულ პოლიტიკაში მათ ყოველთვის სათანადო ყურადღებას უთმობდნენ. ბოლო ათწლეულებში მინისტრთა საბჭომ 15 დადგენილება მიიღო, რომლებიც ითვალისწინებდა ზოგიერთი მთიანი რეგიონის, უმთავრესად სამხრეთ და დასავლეთ საზღვრების გასწვრივ, მოსახლეობის სამუშაო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. სახელმწიფო სუბსიდიები და სხვა ღონისძიებები უმთავრესად მიმართული იყო ხელფასების, სახლიდან სამუშაო ადგილამდე მიმავალი ტრანსპორტისა და გარკვეული კატეგორიის სპეციალისტებისათვის ადმინისტრაციული პრივილეგიების უზრუნველსაყოფად. თუმცა, მრავალი სხვადასხვა მიზეზის გამო მოსალოდნელი შედეგების მიღება ვერ მოხერხდა.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებამ და ბულგარეთში ჩატარებული გამოკვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ახალ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში მთიანი რეგიონების პრობლემების უმეტესობის გადასაჭრელად საჭიროა სპეციფიური პოლიტიკის გატარება. 1992 წლის თებერვალში

36-ე ეროვნული ასამბლეის №7 დადგენილებით დაარსდა მთიანი რეგიონების განვითარების დროებითი საპარლამენტო კომისია. 1995 წელს, ბულგარეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 20-ე და 79-ე მუხლების თანახმად, 37-ე ეროვნულმა ასამბლეამ შექმნა მთიანი, ნახევრად მთიანი და სასაზღვრო რეგიონების საკითხების საპარლამენტო კომისია. ამ გადაწყვეტილებამ გამოავლინა საკანონმდებლო ორგანოების აქტიური დაინტერესება მთიანი რეგიონების პრობლემებით. ეს დაინტერესება შემდგომში გამოვლინდა რიგი დადგენილებების სახით, რომელთა ეფექტიანი განხორციელება აღმასრულებელ ორგანოებზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ნორმატიული აქტები (წესები), რომლებიც შეეხებოდა მთიანი რეგიონების დასახლებების კრიტერიუმებს, ინდიკატორებსა და ფარგლებს, აგრეთვე იმ კრიტერიუმებისა და ინდიკატორების სისტემის დამტკიცება, რომლებიც განსაზღვრავს „მთიან რეგიონს" და ამ რეგიონების დასახლებების ნუსხას. ამას გარდა, გარანტირებულია სპეციალური დანიშნულების ყოველწლიური სუბსიდიების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მინისტრთა საბჭოს შესაბამისი ბრძანებულებები მთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს:

პურ-ფუნთუშეულის პროდუქციის მთიან რეგიონებში და შორეულ დასახლებებში მიწოდების სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებას ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის;

მთიანი რეგიონებისათვის ფონდების გამოყოფა იმ ფონდებისა და ეროვნული პროგრამების საშუალებით, რომლებიც შეიქმნა ბრძანებულებებით და მოიცავს:

- „მთიან რეგიონებში ეკოლოგიური პროექტების" სპეციალურ ფონდს, რომელიც შემდგომში მიუერთდა „გარემოს დაცვის ეროვნულ ფონდს". ეს ფონდი აფინანსებს გარემოს დაცვის ღონისძიებებს და ეკოლოგიურად სუფთა მრეწველობის განვითარებას;
- „რესპუბლიკის საგზაო ფონდს", რომლის დანიშნულებაა თანხების მიზნობრივი გამოყოფა სამთო-საგზაო ქსელის მშენებლობის, რემონტისა და ზამთრის პერიოდში მოვლისათვის;

„სასოფლო-სამეურნეო ფონდი", საიდანაც გამოიყოფა

თანხები სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების სუფსიდირებისა და დაკრედიტების პროექტების დაფინანსებისათვის, შემდეგი დანიშნულებით: ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება და დაცვა; სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება, მეცხოველეობის ფერმების დაარსება, საჯიშე საქონლის შესყიდვა; ეკოლოგიურად დასაშვები (სუფთა) პროდუქციის წარმოება;

- სხვა ფონდებს, რომლებიც უზრუნველყოფს დასაქმებასთან, წარმოების საშუალებებისა და მომსახურებების განვითარებასთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსებას.

1999 წელს დამტკიცდა რეგიონალური განვითარების აქტი. ამ კანონის ძირითადი ამოცანებია, უზრუნველყოს მთლიანად ქვეყნის ბალანსირებული განვითარების წინაპირობები და შეამციროს შემოსავლისა და დასაქმების შეუსაბამობანი. კანონი განასხვავებს რეგიონების სხვადასხვა ტიპებს ზრდის რეგიონებს, განვითარების რეგიონებს, საზღვარგარეთთან თანამშრომლობის რეგიონებს და სპეციალური პრიორიტეტების მქონე რეგიონებს, რომელთათვისაც სახელმწიფო სპეციალურ დახმარებას უზრუნველყოფს. მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ბრძანებულება, რომელიც განსაზღვრავს ამ რეგიონებს და მათ შორის მოხდა მთიანი რეგიონებიც. „სპეციალური პრიორიტეტების მქონე რეგიონებთან" დაკავშირებით შეტანილია დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს სპეციალურ ღონისძიებებს მთიანი რეგიონების განვითარებისათვის. თუმცა, ამ რეგიონების განვითარების ძიხნობრივი პოლიტიკა მაინც არ არის საკმარისად ჩამოყალიბებული. მომავალი ეროვნული და რეგიონალური პოლიტიკის ჩამოყალიბებისას გასათვალისწინებელია მთიანი რეგიონების განვითარების ევროპული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

მთიანი რეგიონების განვითარების პერსპექტივები

მთიანი რეგიონების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ბულგარეთში მიმდინარე რეფორმების საყოველთაო პროცესთან და ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების კრიტიკული ელემენტების დაძლევასთან. მთიან

რეგიონებს ქვეყნის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უჭირავს და განვითარების პერსპექტივები მრავალფეროვანია, როგორც რეგიონალური, ასევე ქვე-რეგიონალური მასშტაბით.

ყველაზე კარგი პერსპექტივები იმ რეგიონებს აქვთ, სადაც ზამთრისა და ბალნეოლოგიური ტურიზმის განვითარების პოტენციალია თავმოყრილი, სახელდობრ რილას, პირინს და სტარა პლანინას. უფრო მეტი სირთულეებია მოსალოდნელი საზღვრისპირა მთიან რეგიონებში როდოპში, სტრანდიასა და საკარის ზოგიერთ ნაწილში. სამთო-მომპოვებლური მრეწველობის მიმდინარე რესტრუქტურიზაცია, სოფლის მეურნეობისათვის სათანადო პირობების ნაკლებობა და შედარებით ნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურა მოითხოვს სპეციალური მიზნობრივი პოლიტიკის გატარებას ამ რეგიონების გადარჩენისათვის.

მთიანი რეგიონების განვითარება და მათი თავისებურებების შენარჩუნება განვითარების კრიტერიუმების შესაბამის კომპლექსურ პოლიტიკას საჭიროებს. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია მთიანი რეგიონების კანონის ჩამოყალიბება, სადაც შევა დებულებები მთიანი რეგიონების განვითარებისა და ადმინისტრირების შესახებ.

ეროვნული პოლიტიკა მთიანი რეგიონებისათვის, მისი განხორციელების ეფექტიან ღონისძიებებთან ერთად, უზრუნველყოფს არსებული კრიზისის დაძლევისათვის და მომავალი განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას ისეთი ზომების საშუალებით, როგორებიცაა:

მთიანი რეგიონების მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარებისა და კონსოლიდაციის ხელშეწყობა. აუცილებელია ეკონომიკური და სოციალური დახმარების ღონისძიებების გატარება მთის მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების გასაუმჯობესებლად;

ბუნებრივი და ეკოლოგიური ბალანსისა და სიცოცხლისუნარიანობის მიმართ ყურადღების გამახვილება, ტერიტორიის, რესურსების, მიწისა და ტყეების შეზღუდული და რაციონალური გამოყენების საშუალებით, მათ შორის დაცული ტერიტორიებისა და ეროვნული პარკების წილის გაზრდით;

- ტურიზმისა და მთაში სხვა ახალი საქმიანობების განვითარების რაციონალური პოლიტიკის შემუშავება, რაც უნდა უკავშირდებოდეს და არ ეწინააღმდეგებოდეს მთიელი ხალხის ტრადიციულ საქმიანობას;

მდიდარი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის და მთის იმ დასახლებების დაცვა, რომლებიც მთიელი ხალხის ტრადიციულ ცხოვრების წესს ინარჩუნებს, მათ კულტურულ ფასეულობებს, ტრადიციებსა და ადათ-წესებს.

მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა ინტეგრირებული უნდა იყოს და მიმართავდეს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და ადმინისტრაციულ საკითხებს. იგი შეთანხმებული და კოორდინირებული უნდა იყოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა ხელი შეეწყოს სხვადასხვა ორგანოებს, დაწესებულებებსა და პიროვნებებს შორის თანამშრომლობას, ჰარმონიულ ურთიერთობებს ადამიანთა შორის და ჰარმონიას ადამიანის საქმიანობასა და ბუნებას შორის. აქედან გამომდინარე, ამგვარი პოლიტიკა უნდა იყენებდეს ისეთი მექანიზმებისა და მარეგულირებლების სისტემას, რომელიც დაეხმარება იმ ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, რომლებიც მთიანი რეგიონების განვითარებასთანაა დაკავშირებული. აუცილებელი ინსტიტუციონალური სტრუქტურა მკაცრად უნდა განსაზღვრავდეს უფლებებისა და პასუხისმგებლობების დეცენტრალიზაციას და მათ განაწილებას სხვადასხვა ხელმძღვანელ ორგანოს შორის.

იუგოსლავია

იუგოსლავიის სამხრეთი უმეტესად მთაგორიანია და ქვეყნის ყველაზე ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს მიეკუთვნება. აქ ძალზე სწრაფად მცირდება მოსახლეობის რაოდენობა, თუმცა ბუნებრივი რესურსები ხელუხლებელია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყოფილი იუგოსლავია მრეწველობასა და ურბანიზაციაზე იყო ორიენტირებული, რამაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და სოფლების დეგრადაცია განაპირობა, განსაკუთრებით მთებში. მთიანი რეგიონების ხელახალი გამოცოცხლება ოცი წლის წინ დაიწყო და სოფლის

მეურნეობაში, მეწარმეობასა და ტურიზმში საშუალო შედეგები იქნა მიღებული. ყველა განვითარებულ მთიან რეგიონში მრეწველობა ძირითადი სამეურნეო საქმიანობაა. სახელმწიფოს დახმარების პოლიტიკა (უმთავრესად სოციალური) ნაკლებად განვითარებული თემებისათვის, განაპირობებდა ადგილობრივი ინიციატივის ნაკლებობას; ბუნებრივი რესურსების საფუძველზე მომუშავე წარმოების განვითარების მცდელობა არ ყოფილა. კერძო საკუთრების შეზღუდვამაც გარკვეულად განაპირობა მთიანი რეგიონების სტაგნაცია და განვითარების დაბალი დონე.

მთიან რეგიონებში შედის შუა სერბეთის 35 თემის ტერიტორია, 12 კოსოვოსა და მეტჩიაში (კოსმეტი) და 11 ჩერნოგორიაში. ეს ანგარიში აგებულია სერბეთის სივრცობრივი რუქის და ჩერნოგორიის ფიზიკური რუქის საფუძველზე, რომლებიც იუგოსლავიის მთიანი რეგიონების განვითარებისა და ორგანიზების კვლევებისა და დაგეგმვისათვის ყველაზე სრულყოფილ საფუძველს ქმნის. არ არსებობს მისაღები საგეგმო დოკუმენტი მთლიანად იუგოსლავიისათვის. გამოყენებულია აგრეთვე სტატისტიკური მონაცემები სერბიისა და ჩერნოგორიის სტატისტიკური წიგნებიდან, 1991 1995 წლებისათვის.

უკანასკნელი მოვლენების შემდეგ - მკაცრი ეკონომიკური სანქციების, კოსოვოში და მეტოჰიაში ომის და ბოლოს ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვის და ამ ყველაფრით გამოწვეული ძირეული ცვლილებების შემდეგ, წინამდებარე ანგარიში უფრო ისტორიული ხასიათისაა ვიდრე არსებული მდგომარეობის ამსახავი. მიუხედავად ამისა, იუგოსლავიის განვითარების ოფიციალური მიზნები და ამოცანები მაინც ძალზე ოპტიმისტურია და ახლა მიმართულია ორი რესპუბლიკის ბალანსირებულ განვითარებაზე: ეკონომიკურ გარდაქმნებზე (პრივატიზაცია); თავისუფალი ბაზრისა და ხარისხის სტანდარტების შემოღებაზე; ბუნების, კულტურული და ეკოლოგიური ფასეულობების დაცვაზე და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობაზე. მთიან რეგიონებში უმთავრესი საზრუნავია მოსახლეობა, ეკონომიკა და დასახლებების რეაბილიტაცია, ბალანსირებული განვითარების თვალ-

საზრისით, ტურიზმი და მასთან დაკავშირებული საქმიანობა, სოციალურ-ეკონომიკური პირობები სოფლად და ინფრა-სტრუქტურა.

მთიანი რეგიონები - არსებული მდგომარეობა, ბუნებრივი და ანთროპოგენური პირობების გამოყენება და დაცვა, რესურსები, სახსრები და სტრუქტურები

იუგოსლავიის მთები უმთავრესად ალპებისა და დინარის გეოსისტემის ნაწილია. ისინი ჩერნოგორიას ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადაკვეთს და შემდეგ სერბიის სამხრეთ-დასავლეთ და ცენტრალური ნაწილისაკენ მიემართება. აქედან ქედების უმეტესობა ორიენტირებულია ჩრდილო-აღმოსავლეთის ან ჩრდილოეთისაკენ; სარა პინდამდე სამხრეთში და კარპატებისა და ბალკანეთის რკალისაკენ აღმოსავლეთ სერბეთში. სამხრეთ-აღმოსავლეთ სერბეთში არის უფრო მცირე მასივებიც.

სერბეთის მთები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

- აღმოსავლეთ რეგიონი: (სტარა პლანინა (2 169 მ), ბეიანიკა, კუსაისკე პლანინე და ა. შ.;

სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონი: სუვა პლანინა, სემერნიკი, ვარდენიკი, ბესნა კობილა (1 923 მ), დუკატი და ა. შ.;

- ცენტრალური რეგიონი: კოპაონიკი (2 017 მ) და ზელენი, გოლია (1 833 მ) და რადოსელო, აგრეთვე სუმადიას მთები;

დასავლეთ რეგიონი: პესტერი, ჯადოვნიკი (1 733 მ), ზლატარი, ზლატბორი, ტარა, ვალიევსკე პლანინე და ა. შ. (ყველა ცენტრალურ სერბეთში);

- სამხრეთ-დასავლეთ რეგიონი: სარპლანინა (2 640 მ) და იეხერსკა, ცარი და ნეროდიმსკა, კორიტნიკი, პასტრიკი და პროკლეტიე (2 656 მ), დიერავიცას, ბოგისევიცას, კოპრივნიკის, ჰალიას, მოკრა გორასთან ერთად და ა. შ.

ჩერნოგორიის მთები შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

- მაღალი მთებისა და პლატოების ჩრდილოეთი რეგიონები: გოლია, ეოინიკი, მაგანიკი, დურმიტორი (2 523 მ), სინიაიევინა, მაგლიკი. ვ�ულეიაკი, ბიოკი, ლიუბისნია;

ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონი: ბიელასიკა, კომოვი (2 484 მ), ვიზიტორი, პროკლეტიე (ბოგისევაკთან, მოკრა პლანინასთან, ჰალიასთან და მოკრა გორასთან ერთად).

მართალია 500 მეტრზე ზემოთ ტერიტორიის საერთო ფართობი დიდია (დაახლოებით 44 626 კმ^2; იუგოსლავიის მთელი ტერიტორიის 43,7%; შუა სერბეთის 43%; კოსოვოსა და მეტოჰიას 81%; ჩერნოგორიის 80%), ეს ანგარიში 1 000 მეტრზე ზემოთ მდებარე თემების ტერიტორიების გათვალისწინებით დაიწერა.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით შუა სერბეთის მთიანი რეგიონები 35 თემისაგან შედგება, რომლებიც 13 რაიონს ეკუთვნის. კოსოვოსა და მეტოჰიაში 12 თემია 4 რაიონში. ჩერნოგორიაში მთიან რეგიონებს მიეკუთვნება 11 თემი. ამ თვალსაზრისით მთიანი და მიმდებარე რეგიონების საერთო ფართობია 36 084 კმ^2, რაც ქვეყნის ტერიტორიის 44,7%-ს შეადგენს, ვოივოდინას ჩათვლით (შუა სერბეთის 41,9%; კოსოვოს და მეტოჰიას 49,1%); სერბეთის 32,6% (ვოივოდინას გარეშე); და 7 305 კმ^2, ჩერნოგორიის 52.9%. ფართობის ძირითადი მთის თემები ყველაზე პატარაა კოსოვოსა და მეტოჰიაში და ყველაზე დიდი - შუა სერბეთში, რადგან ზოგადად მათი სიდიდე იზრდება სიმაღლის მატებასთან ერთად.

ავტონომიური პროვინციები, რაიონები და თემები სერბეთში და თემები ჩერნოგორიაში იუგოსლავიის ადმინისტრაციული ერთეულებია. რეგიონები არ არის ადმინისტრაციულად დაყოფილი - ისინი ტრადიციულ ადგილას ძეგ-ნაკლებად სპონტანურად შექმნილ სივრცობრივ და ფუნქციონალურ ერთეულებს წარმოადგენს. ამდენად, მთების დაყოფა ხდება კომპლექსური კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც მოიცავს პროვინციების და თემების ტერიტორიებზე ადმინისტრაციულ იურისდიქციას.

ცენტრალურ სერბეთში მთის თემები თერთმეტი ტერიტორიისა და მთლიანი რაიონების ტერიტორიას მოიცავს. ისეთ განვითარებულ რეგიონალურ ცენტრებთან ერთად, როგორებიცაა ვალიევო, უზიცე, კრაიევო, ნოვი პაზარი, ვრანიე და პიროტი, ცენტრალური სერბეთის რაიონებად დაყოფის შესაძლებლობასაც განიხილავენ. ამ დაყოფით შესაძლებელია,

თუმცა არა აუცილებელი, მთიანი და დაბლობის რეგიონების დიფერენციაცია. კოსოვოსა და მეტოჰიის მთიან რეგიონებში ცენტრებია პეკი, რიზერნი და კოსოვსკა მიტროვიცა; ხოლო ჩერნოგორიაში - პლიევია, ბიელო, პლოიე და ბერანე. ეს ცენტრები ჩერნოგორიის ჩრდილო რეგიონის შექმნის ინიციატორებია.

მთაში მიწათსარგებლობის ძირითადი სახეებია სოფლის მეურნეობა და მეტყეობა. ტყეების წილი ყველაზე ნაკლებია ცენტრალურ სერბეთში და ყველაზე მეტია ჩერნოგორიაში. მერქნის მოცულობა, მაღალ ტყეებში დაახლოებით 200 - 250 $მ^3$/ჰა-ის ტოლია, ხოლო ტყეებისათვის მთლიანად 100 - 150 $მ^3$/ჰა-ის. გადაგვარებამ და გვალვამ ტყის დიდი ფართობები დააზიანა. კოსოვოსა და მეტოჰიაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები მცირეა; ჩერნოგორიაში - კიდევ უფრო ნაკლები. ჩერნოგორიაში არის მთის საძოვრების ყველაზე დიდი წილი (20%), კოსოვოსა და მეტოჰიაში ყველაზე ნაკლები. ტყის ხილი და სამკურნალო და სურნელოვანი მცენარეები მნიშვნელოვან რესურსებს წარმოადგენს. ყუის ნადირი ნაკლებადაა საინტერესო ეკონომიკური თვალსაზრისით, მცირერიცხოვანების გამო.

ცენტრალური სერბეთის მთიანი რეგიონები მდინერეების კოლუბარას, დრინას, დასავლეთ მორავას, ლიმის, იბარის, სამხრეთ მორავას და ტიმოკის სისტემებს ეკუთვნის; კოსოვოსა და მეტოჰიაში მიედინება თეთრი დრიმი, იბარი, ლაპენაკი და ბინაკა მორავა. ჩერნოგორიაში მთის მდინარეებია: მორაკა, ზეტა, პივა, ტარა, სეჰოტინა, ლიმი და იბარი. საშუალო ჩამონადენი 15 ლ/წმ/$კმ^2$-ს აღემატება, რაც ამ რეგიონებს წყლის პირველად წყაროდ აქცევს. მთის მდინარეებსა და ნაკადულებს მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია: დაახლ. 9 ტერევტ.სთ/წელიწადში ცენტრალურ სერბეთში და 8 ტერევტ.სთ/წელიწადში - ჩერნოგორიაში. თუმცა ამ პოტენციალის დიდი ნაწილი არ არის ათვისებული.

ცენტრალური სერბეთის მთებში წიაღისეულის მარაგები მოიცავს ლითონების მადანს აღმოსავლეთ სერბეთში, კრაისტეკში. ჩრდილო კოპაონიკში და ვალიევსკეს მთებში. კო-

სოფოსა და მეტოჰიაში მადნეული სამხრეთ კოპაონიკ'მია, ხოლო ჩერნოგორიაში - უმეტესად ბიელასიკას რეგიონში, პლავისა და ბერანეს მიდამოებ'ში.

ცენტრალური სერბეთის მთებ'ში ენერგიის წყაროები მოიცავს როგორც ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს, ასევე თერმო-მინერალურ წყაროებს, ურანსა და შავ ქვანახ'შირს. ჩერნოგორია'ში მნიშვნელოვანი მარაგები მხოლოდ პლიეველიას აუზში მოიპოვება. მთებში ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა და განახლებადი ენერგიის წარმოების წყაროები არსებობს (წყალი, ტყეები, ქარი, მზის ენერგია).

მთის გარემო საზოგადოდ ძალზე ხელსაყრელია სხვადასხვა რეკრეაციული საქმიანობისათვის. ლანდ'შაფტი მდიდარია კლდეებით, პიკებით, კანიონებითა და ხეობებით, ტყეებით, მდელოებითა და გარეული ფლორითა და ფაუნით. ჩერნოგორიის, კოსოვოსა და მეტოჰიას მაღალი მთის ტოპოგრაფია, გამდინარე წყლები, ყინულოვანი ტბები განსაკუთრებით ხელსაყრელია ტურიზმისათვის. კლიმატი შეესაბამება ყველა სახის სამთო საკურორტო საქმიანობას, განსაკუთრებით ცენტრალურ სერბეთში. მაღალი მთები კოსმეტ'ში და ჩერნოგორიაში ჩვეულებრივ უფრი ციცია და მზიანი დღეები აქ ნაკლებადაა (ჩერნოგორია განსაკუთრებით ღრუბლიანია).

ბუნებრივი გეოგრაფიული და ბიოლოგიური სიმდიდრე მნიშვნელოვან თვისობრივ საფუძველს ქმნის მთიანი რეგიონების განვითარებისათვის, მაგრამ მისი სათანადო დაცვა უზრუნველყოფილი არაა. ცენტრალურ სერბეთ'ში მთებში ორი ეროვნული პარკია (კოპაონიკი და ტარა), ცხრა ბუნებრივი პარკი, უმეტესობა 69 ბუნებრივი რეზერვაციიდან, უმეტესობა 179 ბუნებრივი მონუმენტებიდან: ეს საერთო ფართობის 4%-ს იკავებს. კოსმეტში მთებში არის ერთი ეროვნული პარკი, (სარპლანინა), ორი ბუნებრივი პარკი, თერთმეტი ბუნებრივი რეზერვაცია და 32 ბუნებრივი მონუმენტი: საერთო ფართობის 8%. ჩერნოგორიაში ორი ეროვნული პარკია (დურმიტორი - იგი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შედის და ბიოგრადსკა გორა), მდ. ტარას აუზი (იუნესკო, ბიოსფეროს რეზერვი) და სამი ეროვნული მონუმენტი: საერთო ფართობის 9%.

ბუნებრივი და ანთროპოგენური შემთხვევები მოიცავს დიდ შტორმებს, ნიადაგის ეროზიას და მიწისძერებს. ნიადაგის ეროზია დიდ ტერიტორიებს აზიანებს (განსაკუთრებით კრაისტეში). მიწისძვრის თვალსაზრისით საშიში მთიანი რეგიონები უმთავრესად ცენტრალურ სერბეთშია კოპაონიკი, გოლია, ვალიევო და სამხრეთ სუმადია, აგრეთვე ჩერნოგორიის ნაწილშიც.

მართალია უფრო დაბალ მთიან რაიონებს და მთისწინეთებს იუგოსლავიაში უფრო ნაკლები ტურისტული პოტენციალი გააჩნია, ვიდრე რესურსებით მდიდარ მაღალმთიან რაიონებს, ისინი მაინც ძალზე მნიშვნელოვანია. აქ არის 3 061 მთის დასახლება, მათ შორის 67 ქალაქი, რომელთაგან 29-ის მოსახლეობა 5 000-ზე ნაკლებია. დასახლების ყველაზე დიდი სიმჭიდროვე კოსმეტშია; ცენტრალურ სერბეთში, კოსოვოსა და მეტოჰიაში 500 მეტრზე ზემოთ დასახლების საშუალო სიდიდე 500 მოსახლეს არ აღემატება, ჩერნოგორიაში კი კიდევ უფრო ნაკლებია.

იუგოსლავი მეცნიერების გამოკვლევების მიხედვით, მაღალ მთაში ზამთრის ტურიზმს განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია, განსაკუთრებით პროკლეტიესა და სარპლანინაში, დურმიტორში, ბიელასიკაში, კოპაონიკში და სტარა პლანინაში. 1980-იანი წლების დასაწყისიდან ამ პოტენციალის ათვისება დაიწყო, თუმცა ზაფხულის ტურიზმი არ არის განვითარებული. უფრო დაბალმთიან ადგილებში (ცამანრიკი ან ვლასტინა, ზლატიბორი, ტარა და ვალიევოს მთები ცენტრალურ სერბეთში) საზაფხულო სეზონი დომინირებს, ტარდება სპორტული შეჯიბრებები, განსაკუთრებით ქალაქებში. მთის მინერალურ წყაროებს დიდი მნიშვნელობა აქვს ზაფხულის ტურიზმისათვის, განსაკუთრებით ცენტრალურ სერბეთში. ამას გარდა, უფრო დაბალ მთებში მნიშვნელობას იძენს სპონტანური „სასოფლო" ტურიზმი.

სახელმწიფო სექტორში ქალაქებში, მინერალურ წყლებზე და სხვა ტურისტულ ცენტრებში საწოლების რაოდენობა 43 016-ია (1995 წ. მონაცემებით); 36 751 (38,7%) ცენტრალურ სერბეთში; 4 093 (66,6%) - კოსმეტში და 2 752 - ჩერნოგორიაში (3%). ამჟამად ისინი ნაწილობრივ პრივატიზებულია და არსე-

ბობს სრული პრივატიზაციის ტენდენცია. ცენტრალურ სერბეთში, სამთო ცენტრებში დაახლოებით 19 461 საწოლია (აქედან 8 239 ძირითადი კატეგორიის); კოსმეტში - 1756 (818): ხოლო ჩერნოგორიაში - 2 500 (ყველა ძირითადი კატეგორიის). საწოლების მცირე რაოდენობა კოსოვოში, მეტოჰიასა და განსაკუთრებით ჩერნოგორიაში მიგვანიშნებს განვითარების დაბალ დონეზე, აგრეთვე ადგილობრივ მაცხოვრებელთა მიერ მთის პოტენციალის არასრულად გაცნობიერებაზე. კერძო სექტორში ტურისტული სიმძლავრეები (უიკენდის სახლები, სახლები დროებითი ცხოვრებისათვის და ა. შ.) მნიშვნელოვანია. ზუსტი ინფორმაცია არსებობს მხოლოდ საკურორტო და რეკრეაციული კერძო საცხოვრებლის შესახებ (1991 წ. ცენტრალურ სერბეთში 32 702 ბინა იყო, დაახლოებით 130 000 საწოლით; ჩერნოგორიაში 4 003 ნომერი 16 000 საწოლით, კოსმეტის შესახებ მონაცემები არ არის).

ინფრასტრუქტურა მთაში გაცილებით უფრო დაბალ დონეზეა განვითარებული, ვიდრე სხვაგან, გარე სამყაროსთან დაკავშირება დაბალი ხარისხის ადგილობრივი გზებით ხდება; მთიან რეგიონებში კოლალური საგზაო ქსელი ძალზე მწირია. საერთოდ ნაკლებად განვითარებული სატრანსპორტო ქსელის ძირითადი თვისებაა ცუდი გზები და მოძრაობის სიძნელე. რკინიგზების ნაკლებობა ძალზე მწვავეა, განსაკუთრებით ჩერნოგორიაში, აგრეთვე კოსოვოსა და მეტოჰიაში. მდგომარეობა ოდნავ უკეთესია ცენტრალურ სერბეთში (პირველი კლასის გზები 5 კმ/100კმ^2, რეგიონალური გზები 15 კმ/100 კმ^2 და ლოკალური გზები 35 კმ/100კმ^2).

წყალმომარაგების რეგიონალური სისტემები მუშაობს ან განვითარების პროცესშია შემდეგ თემებში: ვრანიე, უზიცე, ნოვა ვაროს, პრიბოი, პრიეპოლიე, კრალიევო, ალექსანდროვაკი (ცენტრალური სერბეთი), ზუბინ პოტოკი, კოსოვსკა მიტროვიცა (კოსოვო და მეტოჰია). სხვა მთიან რეგიონებში წყალმომარაგების საკითხი გადაწყვეტილია - მომარაგება ადგილობრივი ჭებიდან ხდება. საკანალიზაციო სისტემები გაცილებით უფრო ცუდადაა განვითარებული, ვიდრე წყალმომარაგების სისტემა - მისი შედეგები მთისძირის ქალაქებსა და ტურისტულ ცენტრებში იჩენს თავს. მრეწველობა აბინძურებს და საფრთხეს

უქმნის მრავალ მდინარეს (ტიმოკი, კოლუბარა, იბარი და ლიმი ცენტრალურ სერბეთში, თეთრი დრიმი, ლაბი და სტრიკა კოსოვოსა და მეტოჰიაში; სეჰოტინა, ლიმი და ტარა ჩერნოგორიაში). მთიანი რეგიონები ელექტროენერგიით ცუდად მარაგდება, განსაკუთრებით ყველაზე განუვითარებელ და განცალკევებულ ადგილებში. არ არის სათანადოდ განვითარებული კავშირგაბმულობის სისტემაც, თუმცა, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით სატელეფონო სისტემა უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ინფრასტრუქტურის სხვა სისტემები. სატელევიზიო და რადიოგადაცემების მიღებაც ძალზე დაბალ დონეზეა, ნატოს ჯარების მიერ დაბომბვის შემდეგ კი პრაქტიკულად აღარ ხდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ფასეულობები ცენტრალური სერბეთის მთიანი რეგიონებიდან იბარ რასის ველზეა (კოპაონიკი), გოლიას სამონასტრო კომპლექსი სტუდენიცაში (შესულია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში) და ოლდ რასის კომპლექსი. მნიშვნელოვანია ეთნიკური მემკვიდრეობის ზონებიც; სოფლები და სეზონური დასახლებები (ბასიე). კოსოვოსა და მეტოჰიაში ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობა პროკლეტიეშია (პეკას საპატრიარქო, დეკანის მონასტერი) და სარპლანინაში (პრიზრენი თავისი მონუმენტებით). ჩერნოგორიაში, მრავალი კულტურული მონუმენტია და ისეთი ქალაქები, როგორიცაა პლიეველია, კოლსანი და ანდრიევიცა, აგრეთვე დიდი ეთნოგრაფიული მნიშვნელობის მქონე სოფლები და სეზონური დასახლებები (კატუნესი).

მთიან რეგიონებში ეკოლოგიური მდგომარეობა კარგია, თუ არ ჩავთვლით მთისწინეთის დიდ სამრეწველო და ენერგოგენერაციის ცენტრებს. პირობები უმჯობესდება სიმაღლესთან ერთად, უფრო ნაკლებად განვითარებული მთის თემებისაკენ. ცენტრალურ სერბეთში წყლისა და ჰაერის დაბინძურება ძალზე დიდია ბორის სამრეწველო და სამომპოვებლო კომპლექსის გამო; კოსოვოსა და მეტოჰიაში - კოსოვსკა მიტროვიცადან, ხოლო ჩერნოგორიაში პლიეველიადან (ელექტროენერგიის წარმოება და წიაღისეულის მოპოვება). გარემოს დაცვა ჯერაც ძალზე დაბალ დონეზეა.

მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება - დასახლება, წარმოება და სოციალური სტანდარტები

მოსახლეობა

1991 წელს იუგოსლავიის მთის თემებში 2 274 880 ადამიანი ცხოვრობდა (ქვეყნის მოსახლეობის 21,9%). ცენტრალური სერბეთის მოსახლეობის 11%, კოსოვოსა და მეტოჰიას მოსახლეობის 72% და ჩერნოგორიის მოსახლეობის 50% ზღვის დონიდან 500 მეტრზე ზემოთ ცხოვრეობს. ცენტრალურ სერბეთში დასახლების სიმჭიდროვეა 53 ადამიანი/კმ^2, კოსოვოსა და მეტოჰიაში - 149,1 ადამიანი/კმ^2, ხოლო ჩერნოგორიაში 33,3 ადამიანი/კმ^2.

მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა ყველაზე დიდია კოსოვოსა და მეტოჰიაში, ზომიერი - ჩერნოგორიაში და კრიტიკულად დაბალი ცენტრალურ სერბეთში. თუმცა, ინტენსიური ემიგრაციისა და დაბალი შობადობის მიუხედავად ცენტრალური სერბეთის მოსახლეობა სტაბილურად იზრდება, ქალაქის დასახლებებში არსებული დადებითი ტენდენციების გამო; თუმცა სხვა დასახლებებში ეს ტენდენცია უარყოფითია. ამიტომ მოხუცებულთა პროცენტული წილი მაღალია. მოსახლეობის ზრდა ყველაზე დიდია კოსოვოსა და მეტოჰიაში, აქ მოხუცებულთა რიცხვი ყველაზე ნაკლებია, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობაც ძალზე მცირეა; ეს რიცხვები შედარებით ზომიერია ჩერნოგორიაში.

მთის თემების დემოგრაფიული სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ აქტიური მოსახლეობის პროცენტული წილი ცენტრალურ სერბეთში ყველაზე მაღალია, ხოლო კოსოვოსა და მეტოჰიაში - ყველაზე დაბალი.

მოსახლეობის 40,8% ქალაქებში ცხოვრობს; ოდნავ მეტი - ცენტრალურ სერბეთში და ოდნავ ნაკლები - კოსოვოსა და მეტოჰიაში. ცენტრალურ სერბეთში დასაქმების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო 1995 წელს (მოსახლეობის საერთო რაოდენობის 25,7%), შემდეგ ჩერნოგორიაში (14,7%), ხოლო კოსოვოსა და მეტოჰიაში - მხოლოდ 6,6%

მრეწველობა და წიაღისეულის მოპოვება უმთავრესი სამეურნეო საქმიანობაა (50%-ზე მეტი) კოსოვოსა და მეტოჰიაში, აგრეთვე ჩერნოგორიაშიც. მეტყევეობა შედარებით მცირე მასშტაბისაა, თუ არ ჩავთვლით ჩერნოგორიას, იგივე შეიძლება ითქვას სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სექტორზეც.

ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ცენტრალურ სერბეთში ყველაზე მაღალია, კოსოვოსა და მეტოჰიაში - უფრო დაბალი, ხოლო ჩერნოგორიაში - ყველაზე ნაკლები. ერთ სულზე იგი 593-დან 160 აშშ დოლარამდე მერყეობს, რაც ეკონომიკური განვითარების ძალზე დაბალ დონეზე მიგვანიშნებს, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც არ არის ურბანისტული ცენტრები. განვითარებულ თემებში ეროვნულ შემოსავალში მრეწველობის წილი დიდია, ხოლო განუვითარებელ რაიონებში მეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით კოსოვოსა და მეტოჰიაში. კერძო სექტორის წილი ეროვნულ შემოსავალში ყველაზე დიდია კოსოვოსა და მეტოჰიაში, საშუალო - ცენტრალურ სერბეთში და ძალზე დაბალი - ჩერნოგორიაში.

მთის თემების ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლებია:

- მეტყევეობისათვის დამახასიათებელია ბუნებრივი ტყეების ზრდა (ბოლო წლებში საშუალო წლიური მატებაა 1,5 - 4 $მ^3$/ჰა) და კაფვის ზრდა. მიღებული მერქნის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1991 წელს ჩერნოგორიაში, მაღალი ხარისხის ტყეებში იყო (1,54 $მ^3$/ჰა).

სოფლის მეურნეობა ხასიათდება ინტენსიური მეცხოველეობით და ხილის, ბოსტნეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებით. მთაში მეცხოველეობა მცირდება, 100 ჰა დამუშავებულ მიწაზე საქონლის რიცხვია 134,8 კოსოვოსა და მეტოჰიაში, 100,1 - ჩერნოგორიაში და 50,2 -ცენტრალურ სერბეთში. ცხვრის რაოდენობა პროპორციულად ნაკლებია (კოსოვოში 152,3 ას ჰა-ზე, ჩერნოგორიაში - 104,7 და ცენტრალურ სერბეთში - 72,4).

- ნელა ვითარდება წყლის რესურსების მართვა, მათ შორის

დაცვა ნიადაგის ეროზიისაგან, წყალდიდობებისაგან, წყლის დაბინძურებისაგან, აგრეთვე რეზერვუარების მშენებლობა. წყალმომარაგების შეიდი რეგიონალური სისტემიდან ცენტრალური სერბეთის, კოსოვოსა და ჰმეტოჰიის მთიან რეგიონებში 19 რეზერვუარია, ხოლო ჩერნოგორიაში - მხოლოდ ერთი.

განვითარებულ რაიონებში წიაღისეულის მოპოვება, ენერგიის წარმოება და მრეწველობა წამყვანი დარგებია. რკინის მადანი არის ტიმოკის, პოდრინიეს და კოპაონიკის რაიონებში, ხოლო ფერადი ლითონების მადანი - ზლატბორისა და სუმადიას ზონებში, ცენტრალურ სერბეთში. ჩერნოგორიაში შავი და ფერადი ლითონების მოპოვება ხდება მოიკოვაცში და გრადაცში.

- ელექტროენერგიას გამოიმუშავებს 14 ჰიდროელექტროსადგური ცენტრალურ სერბეთში და ერთი - კოსოვოსა და მეტოჰიაში, 3,7 ტერავატ.სთ პოტენციალით. ჩერნოგორიაში ერთი ჰიდროელექტროსადგური და ერთი თბოელექტროსადგურია. მრეწველობა კონცენტრირებულია ისეთ ინდუსტრიულ ცენტრებში, როგორებიცაა ვალიევო, უზიცე, კრაიევო, ვრანიე, და პიროტი; საშუალო სიდიდის ცენტრებია, გორნი მილანოვაკი, პრიბოი, პრიეპოლიე, ივანიცა, რასკა, ნოვი პაზარი და კნაიზევაკი; არის კიდევ რამდენიმე პატარა ცენტრი ცენტრალურ სერბეთსა და ჩერნოგორიაში. ისეთ ცენტრებში, როგორებიცაა პლიევლია, ბიელო, პოლიე ბერანე და მოიკოვაკი, დიდი კომპანიები ეკონომიკურ კრიზისს განიცდიან ეკონომიკური სანქციების და საბაზრო კონკურენტუნარიანობის ნაკლებობის გამო. ნატოს ბომბდამშენებმა დიდი ზარალი მიაყენა მათ. უფრო პატარა საწარმოები გაცილებით მოქნილია.

- ხელოსნობა და მეწარმეობა, თუ არ პროგრესირებს, თავს მაინც ინახავს.

- სახელმწიფო სექტორის ბაზრები გამოყოფილია კერძო ბაზრებისაგან და უკეთესად ამარაგებს მთიან რეგიონებს.

მთიან რეგიონებში ტურიზმი სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. იგი ყველაზე კარგად ცენტრალურ სერბეთშია განვითარებული, განსაკუთრებით კოპაონიკის მახლობლად, აგრეთვე ვრინიაკა ბანიასა და ზლატბორში. კოსოვოსა და მეტოჰიაში და განსაკუთრებით ჩერნოგორიაში ტურიზმს არ ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას.

საზოგადოებრივი სამსახურები

მთებში საზოგადოებრივი სამსახურების დონე სხვადასხვაგვარია. დაწყებითი და საშუალო განათლების დონე დამაკმაყოფილებელია, თუმცა, კოსოვოში და მეტოჰიასა და ცენტრალური სერბეთის ზოგიერთ ქალაქში სკოლები გადავსებულია. ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში სტანდარტები საშუალოზე დაბალია. ჯანდაცვის სამსახური შედარებით მწირია, განსაკუთრებით ურბანისტული ცენტრების გარეთ. ერთ ექიმზე პაციენტების საშუალო რაოდენობა ძალზე მაღალია (1 047) კოსოვოში და (804) ჩერნოგორიაში, რამდენადმე დაბალი ცენტრალურ სერბეთში (435). სოციალური დახმარება მხოლოდ ქალაქებშია. მისი არსებობა განსაკუთრებით საჭიროა, რადგან მთის დასახლებებში ბევრი მოხუცი ცხოვრობს. კულტურული დაწესებულებები კონცენტრირებულია ქალაქებში და უფრო პატარა ცენტრები და განსაკუთრებით სოფლები კულტურული დაწესებულებების გარეშეა დარჩენილი. მათ შეინარჩუნეს სოციალური დახმარების შეგროვების ტრადიცია. ადმინისტრაციული სამსახურები და ბანკები თავმოყრილია მუნიციპალურ ცენტრებში და მეორეხარისხოვან ცენტრებში.

სატრანსპორტო ქსელი არ არის სათანადოდ განვითარებული, განსაკუთრებით მუნიციპალურ ცენტრებსა და სოფლებს შორის. რაიონები, რომლებიც დიდ სიმაღლეებზე მდებარეობს, საერიოზულ რეგიონალურ სატრანსპორტო პრობლემებს განიცდის, განსაკუთრებით ზამთარში. სატელეფონო ხაზები აღწევს დასახლებათა უმეტესობამდე, მაგრამ მათი რაოდენობა არასაკმარისია (1995 წ. ცენტრალურ სერბეთში 100 მოსახლეზე 22,7 სატელეფონო ხაზი მოდიოდა, ჩერნოგორიაში - 10, ხოლო კოსოვოში - მხოლოდ 5,5). საფოსტო განყოფილებები მხოლოდ ქალაქებსა და მეორად ცენტრებშია. კომუნალური მომსახურების სხვა სისტემებიც განუვითარებელია, განსაკუთრებით წყალმომარაგება, კანალიზაცია და ნაგვის გატანა.

დაგეგმვა და მთიანი რეგიონების განვითარების ხელმძღვანელობისა და დაცვის სხვა კანონიერი საშუალებები

განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებებია მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური დახმარების ღონისძიებები, მთიანი რეგიონები, ჩვეულებრივ, ვერ იღებენ თავის წილ დახმარებას. სხვა საშუალებები უმეტესად უგულვებელყოფილია. ფორმალურად დაგეგმვა და პროგრამების განხორციელება რესპუბლიკის იურისდიქციაში შედის (რესპუბლიკის გეგმა, განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია), ქალაქის გეგმებთან ერთად (რაიონის იურისდიქცია). თუმცა, გადაწყვეტილების მიღების დონეს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხორციელდება რესპუბლიკის გეგმის მიხედვით, თუმცა შესრულების დონე ძალზე დაბალია.

1996 წელს მიღებული სერბეთის ტერიტორიული გეგმა უმთავრესი დოკუმენტია სერბეთის ტერიტორიული მოწყობისათვის. მთიანი რეგიონების განვითარება თანდათანობით განვითარების პრინციპებით ხდება. ტურიზმის დაგეგმვა უფრო შესაფერისია მთიანი რეგიონებისათვის, ვიდრე მეტყევეობის, მონადირეობის, სოფლის მეურნეობის, წყლის ეკონომიის ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი სიმდიდრის დაცვის გეგმები, სოფლის განვითარებასთან ერთად.

მთის ტურიზმი, დამატებით საქმიანობასთან ერთად მაღალი მთების განვითარების უმთავრესი ფაქტორია და შეიძლება დაუკავშირდეს სხვადასხვა სახის კულტურულ, სანადირო, სასოფლო ტურიზმს და მინერალურ წყლებზე დასვენებას. გეგმის მიხედვით ტურისტული მთიანი რეგიონები ექვს ტურისტულ ზონად და 16 ტურისტულ რეგიონად იყოფა და ცენტრალური სერბეთის და კოსოვოსა და მეტოჰიის მაღალ მთებს მოიცავს, აგრეთვე საშუალო სიმაღლის მთებს დასაელეთ სერბეთში და დაბალ, თუმცა მნიშვნელოვან მთებს პერიპანონის ზონაში. საგეგმო პერიოდში პრიორიტეტებია მაღალი და ზოგიერთი უკვე განვითარებული შედარებით დაბალი მთები.

სატყეო და სანადირო გეგმების რეკომენდაციით უნდა მოხდეს მოების ოპტიმალური გატყიანება, ხე-ტყისა და გარეული ბუნების რესურსების გაუმჯობესება, ეროზიისაგან დაცვა და ა. შ. სოფლის მეურნეობის გადეგმვაში მთიანი რეგიონები შედის, როგორც მესაქონლეობის რეგიონები. წყლისა და წყლის ინფრასტრუქტურის გეგმაში გათვალისწინებულია 11 წყალმომარაგების რეგიონალური სისტემის, 33 ახალი რეზერვუარის და 28 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ბუნებრივი მემკვიდრეობის გეგმა რეკომენდაციას უწევს ტარას და პროკლიატიეს ეროვნულ პარკებს იუნესკოს მსოფლიოს ბუნებრივი მემკვიდრეობის სიაში შესატანად, ხოლო სარპლანინა, კოპაონიკი და სტარა პლანინა პოტენციური ბიოსფერული რეზერვაციებია. სოფლის განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია მთის სოფლების რეაბილიტაცია ეკონომიკური სტიმულირების რადიკალური ზომების საშუალებით, აგრეთვე ინფრასტრუქტურის და სოციალური სტანდარტების შესაბამისი საშუალებებით, აგრეთვე ტურიზმის დახმარებით.

ტერიტორიული და ქალაქის გეგმები შემუშავდა 70-იანი წლების ბოლოს, ტურისტული რეგიონების უმეტესობისათვის, ზოგიერთი ეროვნული პარკის და ქალაქებისათვის - ეს გეგმები მეტ-ნაკლებად შეესაბამება რესპუბლიკის ტერიტორიულ გეგმებს. გეგმების უმეტესობა შეეხება კოპაიონიკს, სტარა პლანინას და სარპლანინას, ვლასინას კი - ნაკლებად.

1997 წელს მიღებული გეგმა ჩერნოგორიისათვის ითვალისწინებს ტერიტორიულ მოწყობას, რომელიც ხელს შეუწყობს მთებში გარემოს დაცვას, საზღვაო და მთის ტურიზმის ერომანეთთან დაკავშირების მიზნით. ამ გეგმაში მთიანი რეგიონები განსაზღვრულია, როგორც ჩრდილოეთ რეგიონის ნაწილი, განსაზღვრულია ფუნქციონალური ტერიტორიები ჩრდილოეთ რეგიონისათვის, ცეჰოტინას ველისა და დურმიტორის პლატოსათვის. განვითარების საფუძველი იქნება ელექტროენერგიის (განსაკუთრებით ჰიდროელექტროენერგიის) გამომუშავება, მრეწველობა, მეცხოველეობა, მეწარმეობა და ტურიზმი (საწოლების დაგეგმილი რაოდენობაა 2000, უმთავრეს ცენტრებში, როგორებიცაა ზაბლიაკი და კოლასინი),

ახალი გზების მშენებლობა და ა. შ. ბიოგრადსკა გორას მიეცა რეკომენდაცია იუნესკოს ბუნებრივი მემკვიდრეობის სიაში შესატანად, დაგეგმილია რვა ეროვნული პარკის შექმნა და სოფლებისა და სეზონური დასახლებების რეაბილიტაცია. ჩრდილოეთ რეგიონი თანამშრომლობს სერბეთთან, ელექტროენერგიის გამომუშავების, ტურიზმისა და გარემოს დაცვის სფეროებში. ტერიტორიული გეგმები შემუშავებულია დურმიტორის ეროვნული პარკის, ბიოგდანსკა გორისა და რიგი ქალაქის ცენტრებისათვის.

თანამშრომლობა იუგოსლავიის მთიან რეგიონებსა და მეზობელ ქვეყნებს შორის, ფედერაციისა და რესპუბლიკის იურისდიქციაშია, მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო და ექსპერტული დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები. ადგილი აქვს მნიშვნელოვან თანამშრომლობას სერბეთის რესპუბლიკასთან (მდ. დრინაზე ჰიდროელექტროსადგური), დაგეგმილია ბულგარეთთან (სტარა პლანინასა და იარმას კანიონის დაცვა) და მაკედონიის რესპუბლოკასთან (სარპლანინას დაცვა). ჩერნოგორია გეგმავს თანამშრომლობას სერბეთის რესპუბლიკასთან, ალბანეთთან, რუმინეთთან და ბულგარეთთან, უმთავრესად ტურიზმისა და ბუნების დაცვის სფეროებში.

მთიანი რეგიონების განვითარების პერსპექტივების შეფასება

იუგოსლავიის მთიანი რეგიონების უმეტესობას განვითარების კარგი შორეული პერსპექტივები გააჩნია. ისინი ტურიზმის ეფექტიანი განვითარების დიდ პოტენციალს ფლობენ, რაც ხელს შეუწყობს სხვა საქმიანობის განვითარებასაც, როგორებიცაა, ტრადიციული სოფლის მეურნეობა და მეწარმეობა. უმთავრესი პრობლემებია ინფრასტრუქტურის და მომსახურების განვითარების დაბალი დონე და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების ნაკლებობა და ფაქტი, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ სცნობს განვითარების პერსპექტივებს.

რამდენადაც ამ პრობლემების გადაჭრის პერსპექტივები ნაკლებად არის არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური

სიტუაციის დროს, ისინი ჯერაც მოუგვარებელია. კომერციულმა ტურიზმმა, სოფლის ტურიზმთან და დაბალ მთაში ტურისტების მოძრაობასთან ერთად, აგრეთვე შაბათ-კვირას სახლების დაქირავებამ გამოავლინა ტურიზმი, როგორც განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი. ადგილობრივი კვალიფიციური სამუშაო ძალების ნაკლებობის პრობლემა რამდენადმე მოგვარდა; მდგომარეობა ანალოგიურია სოფლის მეურნეობასა და მეწარმეობაშიც. თუმცა, არსებულ პირობებში (არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, ორგანიზებული მარკეტინგის არარსებობა და ა. შ.) ტურიზმის პრობლემა გადასაჭრელია.

ინფრასტრუქტურის განვითარება, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, სახელმწიფომ უნდა იკისროს, თუმცა დასაშვებია ალტერნატიული საინვესტიციო წყაროებიც, როგორებიცაა, კომერციული დაფინანსება და კონცესიები. დაფინანსება შეიძლება ნაწილობრივ ადგილობრივი ინიციატივის ხარჯზეც მოხდეს. ლეგალური ინვესტიციებისათვის დიდი შესაძლებლობები არსებობს, მაგრამ ეკონომიკურმა სანქციებმა შეაჩერა უცხოელი ინვესტორები.

მთიანი რეგიონების განვითარების ორგანიზების მცდელობამ სოფლის მეურნეობისა და მეწარმეობის რეაბილიტაციის გზით, შედეგები არ გამოიღო. ამგვარად, განვითარების ძირითად პერსპექტივად რჩება ტურიზმი დამატებით საქმიანობასთან ერთად.

რუმინეთი

რუმინეთის კარპატები ქვეყნის ტერიტორიის ერთ მესამედს ფარავს, რაც დაახლოებით 74 000 კვ. კმ-ს შეადგენს. მთები რკალად არის განლაგებული ქვეყნის ცენტრალური ნაწილის გარშემო და მთლიანი ქედის დაახლოებით ორი მესამედია. ძირითადი რესურსებია სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მინერალური წყლები, მინერალები, მდიდარი ფლორა და ფაუნა და ჯანსაღი, დინამიური და მრავალრიცხოვანი სოფლის მოსახლეობა.

სასოფლო-სამეურნეო მიწის საერთო ფართობიდან - 14 791

333 ha (ქვეყნის ტერიტორიის 62%) მთიანი ტერიტორიების ფართობი 22,5%-ს შეადგენს, იგი მოიცავს ქვეყნის სახნავი მიწის 9,2%-ს, საძოვრების 41%-ს, და სათიბების 67,4%-ს. მთებში მიწის 71,5% საძოვრები და სათიბებია, 25,6% -სახნავი მიწა და 2,7% - ბაღები და ვენახები. მთაში 950 000 მსხვილ-ფეხა რქოსანი პირუტყვი და 2 700 000 ცხვარია; აგრეთვე ღორები, თხები, შინაური ფრინველი და ცხენები. აქ მეფუტკრეობასაც ეწევიან. სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთაა, სარგებლობენ მხოლოდ ბუნებრივი სასუქებით.

ქვეყნის ტერიტორიის 27% ტყიანია; აქედან 25% ზეგნებსა, 8% დაბლობებზე, ხოლო 67% - მთაში. მთებშია 26 საგრაფოს ტერიტორიის 46% და მოიცავს 821 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელთაგან 729 თემია (2 000-დან 10 000-მდე მაცხოვრებლით), 84 პატარა ქალაქია (15 000-დან 25 000-მდე მაცხოვრებლით) და 8 დიდი ქალაქი. მთის სოფლების რიცხვი 3960-ს აღწევს.

რუმინეთის სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინის-ტროს მთიანი რეგიონების კომისიის მონაცემებით (1995), მთიანი რეგიონების 3 600 000 მაცხოვრებლიდან 2 100 000 ფერმერია; გლეხური დასახლების სიმჭიდროვეა 48 ადამი-ანი/კმ^2-ზე. აქ არის მილიონზე მეტი კერძო ფერმა (რომლებიც არასოდეს ყოფილა კოლექტიური), სადაც, ტრადიციული, დაბალტექნოლოგიური მეთოდები ნორმად ითვლება. სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ ტრადიციებს დიდი ყურადღება ეთმობა.

შემოსავლების 30 - 40% სოფლის მეურნეობაზე მოდის, აქ ეწევიან სამთო-მომპოვებლობას, ხეტყის დამზადებას, მშენე-ბლობას, გადამამუშავებელ მრეწველობას, მომსახურებას, ხე-ლოსნობას და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ კერძო ფერმები უმეტესად საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვისაა განკუთვნილი, მთიანი რეგიონები მნიშვნელოვანი საწარმოო რეგიონებია; საქონელი მაღალი ხარისხისაა ძათში ქიმიკატე-ბის რაოდენობა მცირეა და ენერგიის გამომუშავება ციკლუ-რად ხდება.

ადგილებზე ფუნქციონირებს ძირითადი ინფრასტრუქტურა

- ელექტროენერგიის მიწოდება, ავტომაგისტრალები, ტელეკომუნიკაციები, რადიო და ტელევიზია, სამედიცინო და ვეტერინარული სამსახურები, სკოლები. თუმცა, დაბალი ხარისხის, არაეფექტიანობის თუ საერთოდ არარსებობის გამო, გზების, ტელეკომუნიკაციების, წყლის მიწოდების, საკანალიზაციო სისტემის, სამედიცინო და ვეტერინარული სამსახურების, ხელოვნური განაყოფიერების სამსახურების და ზოგადად მომსახურების დონე საკმაოდ დაბალია. განათლების სისტემა არ არის კარგად ადაპტირებული მთის პირობებთან.

მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა და დაწესებულებები

პოლიტიკა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული რაიონულ დონეზე და ჯერ კიდევ არსებობს მთიანი რეგიონების უგულვებელყოფის პოლიტიკაც. 1990 წლის შემდეგ დასაქმების შესაძლებლობების მასობრივმა შემცირებამ მრეწველობასა და ქალაქებში ორი უმთავრესი შედეგი გამოიღო; მოსახლეობის შემცირება მთებში (იმ მთიან რეგიონებში, სადაც დემოგრაფიული ზრდის მაჩვენებელი დაბალი იყო) და ახალგაზრდა თაობების რაოდენობის მატება, რამაც მოსახლეობის სიჭარბე განაპირობა - ეს ახალი ტენდენციაა.

1990 წლის შემდეგ დაარსდა სპეციალიზირებული დაწესებულებები (რუმინეთის მთიანი რეგიონების კომისია, მთიანი რეგიონების ეროვნული სააგენტო და მთიანი რეგიონების კვლევითი ინსტიტუტი - სიბიუ), რომლებიც რუმინეთის სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შედის. თუმცა, მოხდა ყველა ამ დაწესებულების ძირეული გარდაქმნა და მკვეთრად შეიზღუდა ბიუჯეტი და თანამშრომლების რაოდენობა.

ხუთ უნივერსიტეტში (კლუი, იასი, კრაიოვა, ტარგოვიცე, სიბიუ) დაარსდა სამთო სასოფლო-სამეურნეო განათლების ქსელი. 1991 წელს, შეიქმნა სიბიუს კვლევითი ინსტიტუტი, მთიანი სასოფლო სამეურნეო ტერიტორიების შესწავლის მიზნით. საწყის ეტაპზე საფრანგეთის დახმარებით შეიქმნა კარპატების განვითარების ტრეინინგისა (სწავლების) და ინოვაციის ცენტრი (CEFIDEC ვატრა დომეი); ამ დაწესებუ-

ლებაში ტარდება ტრეინინგები მთიანი რეგიონების სასოფ-ლო-სამეურნეო საკითხების სპეციალიზაციით.

გერმანიის დახმარებით დაარსდა პროფესიული ორგანიზაცია - მთის ფერმერთა ფედერაცია „დორმა". ეს ორგანიზაცია მუშაობს როგორც თანამშრომლობის (კოოპერატიული) სამსახური და 2 300 წევრს აერთიანებს. სოფლის მეურნეობისა და სურსათის ეკონომიკის ორგანიზაცია, რეგიონში, სპეციალიზებული სამსახურია, რომელიც შვეიცის დახმარებით შეიქმნა და განახორციელა 260-ზე მეტი განვითარების პროექტი. ევროგაერთიანების დახმარებით მთაში სოფლის მეურნეობის განვითარების 54 საცდელი პროექტი შესრულდა (რძის, ხორცისა და ხე-ტყის გადამუშავება, სტაბილური მოდერნიზაცია, ხელოსნობა, აგროტურიზმი).

რუმინეთში მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის შემუშავების მცდელობა გრძელდება; ევროგაერთიანებაში შესვლის სურვილის გარდა საჭიროა ევროგაერთიანების მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის განვითარების, მოსახლეობისა და გარემოს დაცვის ამოცანების შესასრულებლად.

რუმინეთის კარპატების ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

კარპატების ზოგადი დახასიათება

კარპატები უფრო მოკლეა ვიდრე ალპები; კარპატები იწყება დუნაიდან, ვენის აუზიდან და მდინარე დუნაის სამხრეთით მთავრდება. კარპატების უმთავრესი ნაწილია რუმინეთის კარპატები (კარპატების ორი მესამედი რუმინეთის ტერიტორიაზეა), ტატრას მთები (სლოვაკიასა და პოლონეთში) და აღმოსავლეთ კარპატები (პოლონეთსა და უკრაინაში).

კარპატები ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მთებია ევროპაში. მათი შედარებით (ალპებთან) დაბალი საშუალო სიმაღლე, ტაფობებისა და დიდი ველების სიმრავლე კარგ საცხოვრებელ პირობებს უზრუნველყოფს და კარპატები „ევროპაში ყველაზე ინტენსიური მეცხვარეობის მთებად" ითვლება. ეს განსაკუთრებით შეეხება ძალზე დიდ შიდა პლატოს - ტრანსილვანიის პლატოს.

გეოლოგიურად ყველაზე დიდი სიმაღლეები აღინიშნება კრისტალური ფიქალებით №1 (როდნა, სუჰარდი, მარამურესი); დასავლეთში ვულკანური წარმოშობის მთებია (ოასი, გუტაი, ტიბლესი, კალიმანი, გურგიუ, ჰარგიტა), ზოგიერთი კარგად დაცული კრატერებით; აღმოსავლეთში უფრო დაბალი მთებია, რომლებიც დანაოჭებული სედიმენტური კლდოვანი ქანებისგანაა აგებული. ქედის დანაოჭებულ ნაწილში პირველი ორი ჯგუფი აღარ ჩანს.

თხემებისა და ველების გასასვლელების პარალელურობა ბიო-პედო-კლიმატურ განსხვავებებს განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, ბისტრიტას მთებში ზამთარი ერთი თვით უფრო მეტ ხანს გრძელდება, ვიდრე ველებზე (Ceahlau-Toaca-ის მეტეოროლოგიურ სადგურზე 66,6 დღის განმავლობაში ტემპერატურა -10^{0}C-ზე ნაკლებია; საშუალო წლიური ტემპერატურაა 0,7^{0}C). ადგილი აქვს ლანდშაფტის ინვერსიის მოვლენებსაც - როგორიცაა გიურგიუს ტაფობი, სადაც დაფიქსირდა მინიმალური ტემპერატურა -35^{0}C, (-38^{0}C ჯოსენიში, 11.1.1963) რაც განსაზღვრავს აგრეთვე მცენარეული საფარის ინვერსიასაც: ტაფობის ფსკერზე დომინირებს ნაძვები (Picea excelsa), ხოლო უფრო დიდ სიმაღლეებზე, სადაც ტაფობი მთის ფერდობებს უერთდება, ჩნდება ფიჭვები (Abies alba).

საშუალო სიმაღლე 1 025 მეტრია ზღვის დონიდან. უმაღლესი მწვერვალები (2 100 მ-ზე მაღალი) მთების ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს - პიეტროსუ, რონდას მთებში (2 303 მ) და პიეტროსუ კალიმანის მთებში (2 100 მ) - სამხრეთისაკენ მწვერვალების სიმაღლე 2 000 მეტრზე ქვემოთ ეცემა. მათი სიდიდე და სიმაღლე აძლიერებს კონტინენტურ ჰავას, რომელიც ხასიათდება მაღალი ტემპერატურით ზაფხულში და დაბალი ტემპერატურით ზამთარში, აგრეთვე თოვლის საფარის არსებობის ხანგრძლივი პერიოდით. კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა ტაფობების სიმრავლე, რომლებსაც მთების ტერიტორიის 25,6% უჭირავს.

აშკარად ჩანს ლანდშაფტების სხვადასხვაობა, რაც ადამი-

ანის ჩარევის ფიზიკურ-გეოგრაფიული ელემენტებითაა განპირობებული. ქვეყნის ტყეების 40% აღმოსავლეთ კარპატებშია და მოიცავს ტყის ყველაზე დიდ ფართობს რუმინეთში. საძოვრები გაბნეულია; ჩრდილოეთში ისინი 1 600 მეტრზე ზემოთაა, ხოლო სამხრეთში ისინი უფრო დაბლაა და ადამიანის ჩარევის შედეგად მათი ფართობებიც უფრო დიდია. ეს განსაზღვრავს იმ ფაქტს, რომ საზაფხულო საძოვრები ქედის იზოლირებულ, ჩრდილოეთ ნაწილშია, ხოლო ზამთრის საძოვრები მთების დანაოჭებულ მონაკვეთზეა.

ბაია-მარეს რეგიონში ფერადი ლითონების მადნის დიდი კონცენტრაციაა (სპილენძი, ტყვია, თუთია, ოქრო, ვერცხლი), ხოლო მდინარე ოქროს ბისტრიტას გასწვრივ მანგანუმის მადანია. ვულკანური წარმოშობის მთებში ბევრია მინერალური წყაროები.

სამხრეთ კარპატები

სამხრეთ კარპატები რუმინეთის კარპატების ყველაზე მაღალი და დიდი მასივია (დაახლ. 15 000 კმ^2). აღმოსავლეთიდან მათ პრაჰოვას ველი ესაზღვრება, ტიმისცერნას პასაჟი დასავლეთიდან. დასავლეთ საზღვრის მარცხნივ 1 000 მეტრზე დაბალი ბანატულუის მთებია, უმაღლესი მწვერვალებია მოლდოვეამუ (2 544 მ) და ნეგოიუ (2 535 მ). აქ ველები და პლატოები ნაკლებადაა. ყველაზე მაღალი თხემები გამყინვარების ნიშნებს ატარებს (კარები, მყინვარის ველები, მორენული ტერასები). მრავალ კარში გაყინული ტბებია, სამხრეთ კარპატებში ყველაზე ღრმა და ყველაზე დიდი გაყინული ტბებია (ზანოაგა 29 მ; ბუცურა 10 ჰა). ორივე მდებარეობს რეტეზატის მთებში, სადაც გაყინიული ტბების ყველაზე დიდი რაოდენობაა - 80-ზე მეტი.

სამხრეთ კარპატებისათვის დამახასიათებელია ლანდშაფტების დიდი მრავალფეროვნება, რაც განპირობებულია ფერდობების ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ ორიენტაციით და მათი სიგრძით - 300 კმ-ზე მეტი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მათი სიმაღლისა და თხემების სიგრძის გამო ისინი ჩრდილოეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ ან სამხრეთისაკენ

მოძრავი ჰაერის მასებისათვის „დამბასავით“ მოქმედებს. ჰაერის ცირკულაცია უმთავრესად დასავლეთიდან ხდება და ამიტომ ნალექების რაოდენობა მცირდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (პარანგის მთები 968 მ, ბუსეგის მასივი 869,6 მ).

მიუხედავად თავისი სიმაღლისა და მასიურობისა, ამ მთებში არის რამდენიმე დაბალი მთათაშორის გასასვლელი, როგორიცაა ტუმუ როსუ (400 მ) და კოზია (309 მ), ოლტის ველის გასწვრივ და ლანისი (450 მ) ჟიუს ველის გასწვრივ, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საგზაო და სარკინიგზო მიმოსვლისათვის. არის ორი სამანქანო გზა მაღლა (2000 მ სიმაღლეზე). ტრანსფეგერაშის გზა კვეთს ფეგერასის მთებს, ხოლო ტრანსალპური გზა - პარანგის მთებს.

ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ამ ტერიტორიების მჭიდროდ დასახლებას განაპირობებს. ოლტის ველზე და რუცარ-ბრანის გასასვლელში მუდმივად საცხოვრებელი სოფლებისა და სახნევი მიწების სიმაღლე ხშირად 800 900 მეტრს აღწევს, ხანდახან ფერმები 1 200 მეტრზე მაღლაც მდებარეობს. სამხრეთ კარპატებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, მწყემსების საქმიანობა (ყველაზე გავრცელებული საქმიანობა) ძალზე ინტენსიური გახდა. რეგიონის ორი მესამედი ტყიანია.

დასავლეთ კარპატები

დუნაიდან სომისა და ბარსაუს ველებამდე (დაახ. 370 კმ, ფართობი 17 300 კმ^2) გადაჭიმული ეს მთები შედარებით დაბალია (ბევრ ადგილას ისინი 100 მეტრზე დაბალია; საშუალო სიმაღლე კი 500 მეტრზე ნაკლებია). მაქსიმალური სიმაღლე 1 400 მეტრს აღწევს მდინარე მიურეს სამხრეთით და 1 800 მეტრს - მის ჩრდილოეთით.

დასავლეთ კარპატების ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა მთების სხვადასხვა ჯგუფებს შორის დიდი გასასვლელების არსებობა (ლუგოი პლაინ, მიურესის ველი) და ტაფობების სიმრავლე. აღინიშნება კლდოვანი ქანების მრავალფეროვნება: მაგმური და სედიმენტური ქანები ენაცვლება კრი-

სტალურსა და კირქვულს. ეს აისახება დიდ ტოპოგრაფიულ მრავალფეროვნებაში. ამ ადგილებისათვის დამახასიათებელია მინერალური რესურსებიც: შავი და ფერადი (მათ შორის ვერცხლისა და ოქროს, ბოქსიტის მადანი) ლითონების მადანი, ქვანახშირი, სხვადასხვა სამშენებლო და დეკორატიული ქვები (მარმარილო, ბაზალტი, ტრავერტინი [ტუფი]).

ის ფაქტი, რომ მთის ტაფობები გახსნილია დაბლობებისაკენ, ხელს უშლის კლიმატური ელემენტების ერთგვაროვნებას, რაც ნიადაგისა და მცენარეული საფარის ცვალებადობას განაპირობებს. დასავლეთ ფერდობზე, რომელიც უფრო დაბალია და რამდენიმე პლატო გააჩნია, გავლენას ახდენს დასავლეთიდან მოძრავი ჰაერის მასები. ზალაუ'ში წვიმების რაოდენობა 670 მმ-ია, ბაიტა'ში (1 000 მ) 1 000 მმ, ხოლო ბუდურეასაში 900 მმ. აღმოსავლეთ ფერდობი, რომელიც უფრო მაღალია და თითქმის სწორი, ხასიათდება ჰაერის ამ მასების ქვემოთ მიმართული მოძრაობით და წვიმების რაოდენობა აქ ნაკლებია (873 მმ კლუი ნაპოკაში).

მდინარე მიურეს აუზის სამხრეთ ნაწილი უფრო თბილი და ნესტიანია, ვიდრე მისი ჩრდილოეთ ნაწილი. მაგ. სემენიკის მეტეოროლოგიურ სადგურზე საშუალო წლიური ტემპერატურაა 3,7^{0}C, ხოლო წვიმების რაოდენობა 1 402 მმ, ხოლო ვლადეასას მეტეოროლოგიურ სადგურში (თუმცა იგი უფრო მაღლაა) საშუალო ტემპერატურაა 1,1^{0}C, ხოლო წვიმების რაოდენობა - 1 126 მმ. ფართო ველების არსებობა 1 000 მეტრამდე სიმაღლეზე მოსავლის მოყვანის შესაძლებლობას იძლევა, სოფლები 1 000 - 1 200 მეტრ სიმაღლეზეა, რუმინეთის ყველაზე მაღალი დასახლებაა სოფელი პიეტროასა, 1 600 მეტრზე.

ინფრასტრუქტურა

რუმინეთის მთები განვითარებული ინფრასტრუქტურით ხასიათდება. მაგისტრალები, რომლებიც მთის ქალაქებსა და თემების უმეტესობას აკავშირებს ასფალტისაა, თუმცა მათი ხარისხი საშუალოა. ხიდები ადექვატურია. არსებობს გარკვეული პრობლემები გზების მოვლასა და შეკეთებასთან

დაკავშირებით, რადგან 1990 წლის შემდეგ მოძრაობა მკვეთრად გაიზარდა. მთების გადაკვეთა მთათაშორისი გზებით შეიძლება, რომლებიც ტრადიციულ მარშრუტებს წარმოადგენს. მაგ. ტრანსფეგერასანის გზა შუა ტრანსილვანიას მუნტენიასთან აკავშირებს (სამხრეთ რუმინეთი), სამხრეთ კარპატების გავლით. ლოკალური გზები (განსაკუთრებით მეორეხარისხოვანი), რომლებიც სოფლებს აკავშირებს, გაცილებით უარეს მდგომარეობაშია.

სარკინიგზო ქსელი მთებში საკმაოდ კარგადაა განვითარებული და უმთავრესად ელექტროენერგიაზე მუშაობს. არის მეტყევეობის, მეშახტეობისა და სამგზავრო დანიშნულების მეორადი რკინიგზებიც. 1990 წლის შემდეგ ზოგიერთი ტრადიციული რკინიგზა ტურიზმს დაეთმო.

საზოგადოდ მთებში ელექტრიფიკაციის საკითხი კარგადაა მოგვარებული, რადგან იგი ქვეყნის ქსელის ნაწილია. ელექტროენერგიით მარაგდება ყველა 92 ქალაქი და 729 თემი. არის რამდენიმე გამონაკლისი პატარა, განცალკევებული სოფლებისა და ფერმების სახით, უმთავრესად აოპუსენის მთებში (დასავლეთ კარპატები). ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილის გამომუშავება მთებში ხდება, აქ ბევრია დიდი და საშუალო სიდიდის ჰიდროელექტროსადგური (ბისაზი აღმოსავლეთ კარპატებში, ლოტრუ, სადუ, ელექტროსადგურების მთელი ჯაჭვი მდინარე ოლტის გასწვრივ, ვიდრარუ სამხრეთ კარპატებში, აპუსენისა და ბანატის მთებში). პატარა მთის მდინარეების გასწვრივ ბევრი პატარა ჰიდროელექტროსადგური მუშაობს.

მთები უზრუნველყოფს მაღალი ხარისხისა და ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყლით მთების, ზეგნებისა და დაბლობების დასახლებებს - ბუქარესტსაც კი. მთის ქალაქებს გააჩნია საკანალიზაციო ქსელები, თუმცა, 729 მთის თემის წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემები არ არის საკმარისად განვითარებული. 3 960 სოფლიდან უმეტესობას არ გააჩნია წყლის კოლექტორი, გამანაწილებელი და საკანალიზაციო სისტემები (გამონაკლისია ზოგიერთი კომუნის ცენტრალური უბნები).

მთის ქალაქებში თანამედროვე სატელეფონო სისტემები და

სატელევიზიო ქსელებია. კავშირგაბმულობა, ფოსტა და ტელევიზია 729 თემიდან ყველაშია. თუმცა, იმ ადამიანებისა და განსაკუთრებით ფერმების რაოდენობა, რომლებსაც არ გააჩნიათ ტელეფონი, უფრო დიდია, ვიდრე შეიძლება ყოფილიყო, ხოლო ზოგიერთი სოფლები, რომლებიც ღრმადაა განლაგებული მთათაშორის ველებზე, ვერ იღებს სატელევიზიო გადაცემებს.

ეკოლოგიური ასპექტები

ზოგადად რუმინეთის მთები ეკოლოგიურად ჯანსაღია. ამ მდგომარეობას ხელი შემდეგმა ფაქტორებმა შეუწყო:

- ტყეების დიდი ფართობები (რუმინეთის ტყეების 67%), სადაც ბევრია ახალგაზრდა და დიდი ტყეები, აგრეთვე წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებს შორის წონასწორობა;

მეცხოველეობის ინტენსიური სისტემა, რომელიც ბუნებრივ საძოვრებზე და სათიბებზე არსებული ფლორის დაცვას უწყობს ხელს. ეს საძოვრები მდიდარია სხვადასხვა ჯიშებით და განსაკუთრებით სამკურნალო მცენარეებით;

ფურაჟის წარმოება ძირითადად ბუნებრივი სასუქებით სარგებლობს; ქიმიკატების გამოყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება;

მთის სასოფლო-სამეურნეო ფართობების 25%-ს სახნავი მიწა შეადგენს, ტრადიციულად მოხვნა ხდება ფერდობის მიმართულების პერპენდიკულარულად, მექანიზაციის ძალზე მცირე გამოყენებით; ეს ფაქტორები ამცირებს ეროზიას.

მთიან რეგიონებში მრეწველობა ნაკლებადაა განვითარებული, ამ ფაქტორმა, ისევე, როგორც „ფრთხილმა" ტურიზმმა, განაპირობა დაბინძურების დაბალი დონე როგორც წყლის რესურსებში, ასევე მთებში ზოგადად. თუმცა მომპოვებლობა ხშირად დაბინძურების წყაროა, განსაკუთრებით საწარმოო ნარჩენები და ცემენტის ქარხნები მთებში. ამის მაგალითებია ზლატნა, აპუსენის მთებში, ბისაზი აღმოსავლეთ კარპატებში, ან ვინ იცის, რა იქნებოდა კალიმანის მთებში არსებული გოგირდის საწარმო რომ არ დაეხურათ 1992 წელს? 1990 წლის შემდეგ სწრაფად გაიზარდა პატარა კერძო სამხერხაოების რიცხვი. ნახერხი უარყოფით ზეგავლე-

ნას ახდენს სოფლის მეურნეობაზე და აბინძურებს წყალს. ახალ პროექტებში ყოველთვის ითვალისწინებენ ეკოლოგიურ საკითხებს, მიმდინარეობს მუდმივი მუშაობა მოსახლეობის ეკოლოგიური განათლებისა და შეგნების ამაღლებისათვის.

სოციალური და ეკონომიკური ტენდენციები მთიან რეგიონებში

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა უმთავრესი და ტრადიციული საქმიანობაა დაახლოებით 1 036 000 კერძო ფერმისათვის. ეს ფერმები უმთავრესად საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვისაა განკუთვნილი, მათი საშუალო სიდიდეა 3 ჰა, ხოლო ფერმების 30% კომერციული დანიშნულებისაა, 5 30 ჰა საშუალო სიდიდით.

რუმინეთის მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობა მთლიანად კერძოა. დაახ. 2 100 000 ფერმერი მეცხოველეობას ეწევა, მათზე მოდის რუმინეთში წარმოებული რძის 30%, მატყლის 22%, ხორცის 15% და ხილის - 30%-ზე მეტი. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლები ფერმერების შემოსავლის მხოლოდ 30% - 40%-ს შეადგენს, უმთავრესად მეცხოველეობის, მატყლის დამზადების, ხე-ტყის გადამუშავების და მრავალდარგობრივი საქმიანობის ხარჯზე. დივერსიფიკაცია (ხელოსნობა, მეშახტეობა, მეტყევეობა, მშენებლობა და ა. შ.) მომავალი არსებობის პრობლემის გადაწყვეტაა.

მიწათსარგებლობა

რუმინეთის ტერიტორიას 7 990 000 ჰა უჭირავს, აქედან 3 330 000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწებია, 1 400 000 ჰა საძოვრები, 982 000 ჰა - სათიბები, 856 000 ჰა - სახნავი მიწა და 76 000 ჰა ბაღები. მთები ქვეყნის ტერიტორიის 33,5%-ს იკავებს და ამ ფართობის 22,5% სასოფლო-სამეურნეო მიწებია, 9,2% სახნავი მიწა, 41% საძოვრები, 67% სათიბები, 28% ბაღები და 3,5% ვენახები.

მემცენარეობა

მთის სოფლის მეურნეობაში ბუნებრივ სასუქებს იყენებენ (საქონლისა და ცხვრის ნაკელს), ხოლო საძოვრებისა და სათიბების ფლორა ძალზე მრავალფეროვანია. თივის საშუალო მოსავალია 2 3 000 კგ/ჰა ხაფხულში, ამას გარდა მოდის მეორე მოსავალიც 0,5 1 ტ/ჰა შემოდგომაზე, რომელიც ვიტამინებით უფრო მდიდარია. წლის განმავლობაში სამი მოსაველის აღება შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე ადგილას, სადაც საშუალო ტემპერატურა შედარებით მაღალია. მთის სოფლის მეურნეობაში ქიმიკატები თითქმის არ გამოიყენება, თუ არ ჩავთვლით კარტოფილისა და ხეხილის შეწამვლას. ცხოველების შარდი თითქმის არ გამოიყენება, შეგროვება არ არის ორგანიზებული და მისი გავრცელების (შეფრქვევის) საშუალებები ნაკლებადაა.

მთის მოსავალი მოიცავს კარტოფილს, სიმინდს, ჭვავს და სადაც ტემპერატურა უფრო ზომიერია, საგაზაფხულო ხორბალსაც კი. კარტოფილის გარდა მთელი მოსავალი ადამიანების მიერ მოხმარებისთვის და ცხოველების საკვებად გამოიყენება. კარტოფილის საშუალო მოსავალია 10 - 15 ტ/ჰა, ხორბლისა და ჭვავის - 2,5 ტ/ჰა სიმინდის - 3 - 4 ტ/ჰა, ქერის - 2,5 ტ/ჰა.

ვინაიდან ბოსტანი თითქმის ყველა ფერმაში აქვთ, სათბურში ბოსტნეული (პამიდორი, წიწაკა და ა. შ.) არ მოჰყავთ. ხილისა და სამკურნალო მცენარეების მოსავალი ყოველთვის არ მოდის - ეს დანერგვა-გაფართოებისათვის დიდ პოტენციალს წარმოადგენს. კერძო ფერმების აღჭურვილობა ძალზე მწირია; მექანიზაცია ჯერ არ გამოიყენება, თიბვისა თივის დამზადების პროცესები ძალზე ნელია, რაც უარყოფით გაელენას ახდენს მის კვებით ღირებულებაზე.

მეცხოველეობა

პირუტყვის რაოდენობა 934 000 სულს აღწევს, ამათგან 523 000 ძროხა და დეკეულია, ძირითადი ჯიშებია ყავისფერი (წაბლა), რუმინული ლაქებიანი (სიმენტალის ვარიანტი) და

პინზგაუ. აგრეთვე დიდი რაოდენობით ნარევი ჯიშები და ზოგიერთი ადგილობრივი ჯიშებიც კი (მაგალითად ლორნა) მთის საქონელი ქვეყების საქონლის 27%-ს შეადგენს.

2 700 000 ცხვრიდან 1 980 000 დედალია, უმთავრესი ჯიშებია ტურჩანა (ზომიერ ტემპერატურებზე) და ტიგაიე. ორივე ჯიში ხასიათდება სქელი და და ბევრად წმინდა მატყლის ბოჭკოთი, თუმცა მათი დიდი ნაწილი სარძევეა. ცხვარი ძალზე გამძლეა მკაცრი კლიმატისა და დიდი მანძილების მიმართ. 1990 წლის შემდეგ მთის მატყლით ვაჭრობას ხელი შეუშალა ავსტრალიური და სხვა დასავლური ტიპის მატყლის იმპორტმა. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა მეცხვარეების (ე. ი. მთის ფერმერთა უმრავლესობის) შემოსავლები, რადგან ტურჩანას ჯიშის მატყლით ნაკლებად იყო დაინტერესებული სართავი მრეწველობა. რუმინეთის მთის ცხვარს ამჟამად საფრთხე ემუქრება, ეს დიდი დანაკარგი იქნებოდა ევროპისათვის. რუმინეთი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვანი ქვეყნებიდან, სადაც მეცხვარეები თვითონ წველიან ცხვარს და სარგებლობენ ცხვრის ყველის წარმოების ტრადიციული მეთოდებით. კიდევ ერთი კრიტიკული მნიშვნელობის საკითხი ისაა, რომ ცხვარი სასუქებით უზრუნველყოფს მთის საძოვრებს.

ძროხის რძის საშუალო წარმოებაა 2 850 3 250 ლ/სული/წელიწადში, ბალახით და მარცვლეულის მინიმალური დამატებით კვებისას. ცხვრის რძის წარმოებაა საშუალოდ 40 - 5- ლ/სული/წელიწადში. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სისტემა ინტენსიურია, ბუნებრივ, დაუბინძურებელ გარემოში. თუმცა გამოშვებული პროდუქცია ნაკლებია სხვა ქვეყნებთან შედარებით, ეს სისტემა უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ხორცის, რძის და ყველის წარმოებას, პროდუქციის კარგ გემოსა და ამინომჟავების შემცველობას.

მთიან რეგიონებში პირუტყვის გაზრდის სისტემას „short swinging" ეწოდება; ზამთარში კვების საფუძველია თივა, ხოლო ზაფხულში პირუტყვი მაღალმთიან საძოვრებზე გაჰყავთ.

პირუტყვის სადგომები ტრადიციულია, (როგორიც მსოფლიო ომებს შორის პერიოდში იყო), განათება, ვენტილაცია

და სხვა ჰიგიენური საკითხები არ არის ადექვატურად მოგვარებული. მართალია ელექტრობა თითქმის ყველას აქვს, წყალმომარაგების სისტემები კი არა, ამდენად მექანიკური წველა და რძის გაციების სისტემები ჯერ არ არის დანერგილი.

მთებში ჰყავთ დიდი რაოდენობით ცხენები, ღორები, შინაური ფრინველი, ნაკლებ მნიშვნელოვანია თხები და კამეჩები, ბეწვიანი ცხოველები და მიორიტული და კარპატული ჯიშის მეცხვარე ძაღლები, ძალზე ეფექტიანია პატარა ძაღლები, რომლებსაც პუკლეუს სახელით იცნობენ. მნიშვნელოვანია ჰუტულას ჯიშის მთის ცხენი, ამ ცხენებს უფრო ხშირად ჩრდილოეთ რუმინეთში ნახავთ. 1990 წლის შემდეგ რუმინეთში ცხენების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, მათ იყენებენ როგორც ტრანსპორტს, ფერმებში, მეტყევეობაში, გასართობად (განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც სოფლის ტურიზმია განვითარებული).

ცხოველები ჯანმრთელია, ადაპტირებული ჯიშების ორგანული გამძლეობის და ცილებით, მინერალებითა და ვიტამინებით მდიდარი საკვებით განპირობებული იმუნიტეტის გამო.

მეტყევეობა

ტყეებს ქვეყნის ტერიტორიის 27% უჭირავს, რაც 6 363 000 ჰა-ს შეადგენს. მათგან 8% დაბლობებზეა, 25% - ზეგნებზე, ხოლო 67% - მთაში. მთლიანი მარაგის 30% წიწვოვანია (ლარიქსი, ფიჭვი და ნაძვი უმეტესად მთაში) და ფოთლოვანთ ტყეებთან მონაცვლეობს (წიფელა 36%, უმთავრესად მთაში, აგრეთვე მუხა 11% და არყის ხე 11%). რუმინეთის ხე-ტყის მარაგების მოცულობა 1 200 მლნ $მ^3$-ს შეადგენს. ტყეები ორ კატეგორიად იყოფა: სპეციალური დამცავი დანიშნულების ტყეები (22%) და დამცავი და საწარმოო დანიშნულების ტყეები - 78%). მთაში არასასოფლო-სამეურნეო ფართობებიდან (დაახ. 58%), 52% ტყიანია. მთის ტყეების დიდი წილი ახალგაზრდაა და ამჟამად არაპროდუქტიული, ტყეებში ბალახს შინაური და გარეული ცხოველები ძოვენ.

ტყის საერთო ფართობებიდან კერძოა მხოლოდ 6%. დანარჩენი (94%) ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია, მათ ეროვნული სატყეო ადმინისტრაცია წარმოადგენს. 2000 წლის დასაწყისში რუმინეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც 50 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწა და 10 ჰა-მდე ტყეები ოთავის ყოფილ მეპატრონეებს დაუბრუნდება.

მთის მოსახლეობის შემოსავალი დიდადაა დამოკიდებული ხე-ტყის რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობაზე - ამან შეიძლება ეკოლოგიურ ბალანსზე იმოქმედოს, თუ არ იქნება გარკვეული აკრძალვები და დასაქმების რაიმე სხვა ალტერნატივა მათთვის. 1989 წლამდე ხის ჩეხვას და გადამუშავებას მხოლოდ სახელმწიფო ქარხნები ეწეოდა, რომლებიც თანდათან გამოეარდა ამ ბიზნესიდან. ამჟამად ამ საქმიანობას დიდი რაოდენობით პატარა კერძო ფირმა (დაახლოებით 12000-მდე, უმეტესობა მთებში) ეწევა. მათი უმრავლესობა ხე-ტყესა და მერქანს გადამუშავების გარეშე ყიდის (განსაკუთრებით საექსპორტოდ), რაც ხე-ტყის ფასს გაზრდიდა. სახელმწიფოს მონაცემებით მოპოვებული მერქნის რაოდენობა 15,5 მლნ $მ^3$-ია წელიწადში.

მთის ტყეებში კაფვა ნებადართულია, რეგენერაციის წლიური მაჩვენებელია 3,6 $მ^3$/ჰა წელიწადში, მოცულობა, რომლის მოჭრაც შეიძლება - 22 $მ^3$-ია წელიწადში. 1987 წელს 23,3 $მ^3$ გაიჩეხა. 1990 - 1995 წწ. - საშუალოდ 14,5 მლნ $მ^3$ წელიწადში, რაც დასაშვები მოცულობის 66%-ს შეადგენს. 1998 წ. ეს მოცულობა 11,5 მლნ $მ^3$ იყო, რომელთაგან 52 - 54% სახელმწიფო საწარმოებმა გადაამუშავა, 30 - 40% - 400-ზე მეტმა მსხვილმა კერძო საწარმომ, ხოლო 7% - ეროვნულმა სატყეო ადმინისტრაციამ. სოფლოს მოსახლეობა, უმთავრესად მთაში, 4 მლნ. $მ^3$-ს მოიხმარს.

ხე-ტყის ტრანსპორტირების არასათანადო მეთოდების გამოყენების გამო ადრე კარგად განვითარებული სატყეო გზების ქსელი ძალზე დაზიანდა. მიუხედავად ამისა, ტყის კაფვისა და გადამუშავების პრივატიზებას დადებითი ეფექტი ჰქონდა შეიქმნა წვრილი ხე-ტყის გადამამუშავებელი სახელოსნოები. კერძო საწარმოებმა ხე-ტყის ფასი გაზარდა და მთის ხალხის დასაქმების შესაძლებლობები უფრო სტაბილ-

ური გახდა.

რუმინეთის ტყეები ასევე აღსანიშნაავია მეორადი პროდუქტებით, როგორებიცაა, კენკრა და სოკო, აგრეთვე მდიდარი ფაუნა ნადირობისათვის (ირემი, შველი, მგელი, ტახი, მელა და ა. შ.). მდინარეების დიდი სიმჭიდროვის ქსელი, რომლის ადმინისტრირებაზე სატყეო სამსახური ან მონადირეთა ასოციაციაა პასუხისმგებელი, და რომელშიც მრავლადაა თევზი, სპორტული თევზაობისათვის შესანიშნავ საფუძველს ქმნის. ადამიანის პერიოდული ჩარევის შედეგად ხდება ზოგიერთი თევზის რაოდენობის შევსება (უმთავრესად კალმახის).

ტურიზმი

მთის ტურიზმს როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია, მაგრამ 1990 წლის ეკონომიკური მდგომარეობის გამო დიდი ზარალი განიცადა. 1997 წელს, მთის ქალაქებში სასტუმროში გატარებული დღეების რაოდენობა 1 345 000 -ს აღწევს, 760 000 - მთის სოფლებსა და შალეებში და 3 430 000 - მინერალურ წყაროებზე. მონაცემები შაბათ-კვირას მთაში დასვენების შესახებ არ არსებობს.

რუმინეთში ბევრია მთის მინერალური წყაროები (ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ცნობილია - ჰერკულანი, ფელიქსი, ტუსანდი, ვატრა დორნეი, ბორსეკი, ოლანესტი, კალიმანესტი, კალციულატა, კოვასნა, სოვატა) და სათხილამურო კურორტები (პრედეალი, სინაია, პოიანა ბრასოვ, ვატრა დორნეი, ბორსა). ჰერკულანის მინერალური წყარო, კარას სევერინის მთებში, ჯერ კიდევ რომაელთა დროინდელია, აქ ბევრია მაღალი ღირებულების თერმული წყლები, რომლებიც რევმატიზმს კურნავს. იგი კარგადაა ცნობილი და აღჭურვილია ყველა საჭირო საშუალებებით; ტურისტების ნაკადი არ წყდება. მინერალური წყლების რესურსების გამო, წყარიების კიდევ ერთი ჯგუფი, როგორებიცაა ოლანესტი, კალიმანესტი, ცასიულატა, რომლებიც მდინარე ოლტზე მდებარეობს, სამხრეთ კარპატების სამხრეთ ნაწილში, სპეციალიზებულია კუჭ-ნაწლავისა და ღვიძლის დაავადებებზე. წყაროები, როგორებიცაა, ვატრა დორნეი (ჩრდილოეთ რუმინეთის მთებში),

ბორსეკი და კოვასნა, კარგია გ'ულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ. ვატრა დორნეიში წარმატებით მკურნალობენ რევმატიზმსაც. სოვატა, სლანიკ მოლდოვა და სლანიკ პრაჰოვა ცნობილია როგორც გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალო წყლები.

ამ მინერალურ წყლებსა და სათხილამურო კურორტებზე კარგადაა განვითარებული ინფრასტრუქტურა, სასტუმროებს შეუძლია მიიღოს 500-დან რამდენიმე ათას ტურისტამდე, ისინი აგრეთვე აღჭურვილია თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებებითაც, რომლებიც თოვლში მოძრაობისათვისაა განკუთვნილი.

თანდათან ძლიერდება სოფლისა და მთის აგროტ'ურიზმის განვითარების ტენდენცია. ამჟამად ფ'უნქციონირებს რამდენიმე ასეული პანსიონატი და აგრო-ტ'ურისტ'ული ფერმა. მთის ტ'ურისტ'ული პანსიონატების რიცხვის ზრდას შემდეგი მონაცემები გვიჩვენებს: 1993: 16; 1994: 116; 1995: 128; 1996: 155; 1997: 160. 1996 წელს იყო 61 აგროტ'ურისტ'ული პანსიონი, რომლებიც მთებში, სოფლად მდებარეობდა და ოფიციალურად იყო რეგისტრირებული. მათი რიცხვი 1997 წელს 155-მდე გაიზარდა. ეს პროცესი გრძელდება და 2000 წლის შემდეგ, პროგნოზის მიხედვით, კიდევ უფრო გაიზრდება (გარეშე ხელშეწ'ყობითაც, პროგრამა SAPARD-ის მხრიდან).

სოფლის სკოლებისა და პროფსასწავლებლების მაღალი კლასების პროგრამაში შეტანილია აგროტ'ურიზმის ტრეინინგისა და მთის აგრონომიის ტრეინინგის კურსი (CEFIDEC ვატრა დომეი, კლუის, იასის, სიბიუს, ტარგოვისტეს უნივერსიტეტები), დაარსდა რამდენიმე აგროტ'ურისტ'ული კოლეჯის (ვატრა დომეი, 1999).

მრეწველობა

რუმინეთის მთებში მრეწველობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები ძალზე მწირია. სამრეწველო საწარმოების მდებარეობა სხვადასხვაა, როგორც მთის ქალაქებში, ასევე სოფლადაც.

ქალაქის მრეწველობა მრავალფეროვანია და ფართოდ

იყენებს ადგილობრივ რესურსებს მერქანს, ავეჯის, რძის პროდუქტების, ხორცის გადამამუშავებელი ქარხნები და საცხობები თითქმის ყველა ქალაქშია; არის აგრეთვე ტყავის ფაბრიკები, სამთო-სამომპოვებლო კომპანიები, ცემენტის, ფეხსაცმელებისა და სართავი ფაბრიკები, ელექტრომოწყობილობის ქარხნები და ა. შ. ბევრი მათგანი ძლიერი დაბინძურების წყარო იყო (მაგალითად ზლატნა აპუსენის მთებში; ფიენი - სამხრეთ კარპატებში; ბიკაზი აღმოსავლეთ კარპატებში). 1990 წლის შემდეგ ამ ქარხნების უმეტესობა ან ძალზე შემცირდა, ან საერთოდ დაიხურა, რამაც მთებში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი განაპირობა.

სასოფლო მრეწველობა მთებში შედარებით ნაკლებადაა განვითარებული, გამონაკლისი მხოლოდ ხეტყის მრეწველობაა, რომელიც წარმოდგენილია პატარა ქარხნების დიდი რაოდენობით და კერძო კომერციული ფირმებით (7 000-ზე მეტი). ისინი 1990 წლის შემდეგ გაიხსნა, ისევე, როგორც მრავალი რძის პროდუქტებისა და ხორცის გადამამუშავებელი ქარხანა.

სამთო მრეწველობა ძალზე განვითარებული იყო და მრავალი ფერმერი მეშახტედ მუშაობდა, მაგრამ მაღაროების უმეტესობის დახურვამ პატარა ფერმებში მაცხოვრებელი ბევრი ოჯახის შემოსავალი შეამცირა. ჯერ კიდევ ფუნქციონირებს, თუმცა შემცირებული მასშტაბებით, რამდენიმე მარმარილოს კარიერი და იშვიათი ლითონების მაღარო.

მცირე მასშტაბის გადამამუშავებელი მრეწველობა (კერძოდ ხორცის, რძის პროდუქტებისა და ხეტყის გადამამუშავებელი ქარხნები) კარგადაა წარმოდგენილი კერძო სექტორის სახით, რომელიც ძალზე განვითარდა 1990 წლის შემდეგ. ამ პერიოდში გადამამუშავებელმა მრეწველობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, როდესაც სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია მოხდა. ახალი პატარა კერძო საწარმოების რიცხვი დიდია, ისინი ეფექტიანად მუშაობს, მსხვილი ინვესტორების რიცხვი კი მცირდება. დადებითი ძერები მოხდა მინერალური წყლის ჩამოსხმის მრეწველობაშიც, რომელიც ფართოდაა წარმოდგენილი მთიან რეგიონებში (მაგ. დორნა, ბუკოვინა, ბორსეკი, პერლა, ჰარგიტეი, კოვასნა, ბიბორტენი). მუდმივად ვითარდება ხელოსნობა და ხალხური რეწვაც.

კომერცია

1990 წლის შემდეგ, ისევე, როგორც მთელს რუმინეთში ვაჭრობა ყველაზე აქტიურად ვითარდებოდა. ქალაქებში კერძო კომერცია სწრაფად ცვლიდა ვაჭრობის სახელმწიფო სისტემას, გაიხსნა მრავალი კერძო მაღაზია და რესტორანი, მათგან ბევრი შპს და ოჯახური ასოციაცია იყო. ეს საწარმოები მოთხოვნების ფართო სპექტრს აკმაყოფილებდნენ. აშკარაა მომსახურების სფეროს განვითარება (სარემონტო, სატრანსპორტო, საკონსულტაციო, საინფორმაციო მომსახურება, ვალუტის გადაცვლა და ა. შ.). გაიხსნა აგრეთვე ბევრი კერძო ბენზინგასამართი სადგური.

მთის ყველა, 92 ქალაქს თავისი ბაზარი აქვს, სადაც ფერმერებს თუ სხვა მწარმოებლებს შეუძლიათ თავისუფლად გაჟოღინ თავიანთი პროდუქცია. ამ ქალაქების უნრავლესობაში საქონლის (ცხოველების) ბაზრობებიც ეწყობა, ბევრ მათგანს ძველი ტრადიციები გააჩნია. ვაჭრობა სოფლად განვითარდა მაღაზიების, პატარა რესტორნების, კაფეების, დისკოთეკების, მოტელების, ტურისტული პანსიონატების, აგრო-ტურისტული ფერმების და განახლებული (ან ახალი) სასტუმროების სახით. ამ განვითარებამ მწვავე კონკურენცია გამოიწვია, რის გამოც ხარისხის გაუმჯობესებით დაინტერესება დიდია, ესთეტიკასა და კლიენტის მოთხოვნებს მეტი ყურადღება ეთმობა. სამწუხაროდ, ალკოჰოლური სასმელების ბაზრის გაფართოებას ძალზე არასასიამოვნო შედეგები ჰქონდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობებისათვის.

საზოგადოებრივი სამსახურები

821 ადმინისტრაციული ერთეულიდან თითოეულში არის ჯანდაცვისა და ვეტერინარული სამსახურების სისტემები, ფოსტა, სატელეფონო ქსელი, ადგილობრივი სტრანსპორტო ქსელები და სავაჭრო ქსელები. მთის ყველა (92) ქალაქს აქვს საავადმყოფო, პოლიკლინიკა, სარკინიგზო სადგური, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები, სასურსათო ბაზრები, სარემონტო სამსახურები, წყლითა და ელექტროენერგიით

მომარაგების სისტემები, კანალიზაცია, სახანძრო სამსახური და ტაქსი. მთის ყველა ქალაქში და მოზრდილ თემებში არის სატყეო ადმინისტრაცია, პოლიცია, ჟანდარმერია, არიან აგრეთვე საზოგადოებრივი გვარდიელებიც. ყველა ქალაქსა და თემების უმეტესობაში არის კულტურის ცენტრები და ბიბლიოთეკები (თუმცა მათ რიცხვმა იკლო 1990 წლიდან). არის მუზეუმების მნიშვნელოვანი რაოდენობა, განსაკუთრებით ქალაქებში.

ძირითადი რელიგია მართლმადიდებლური ქრისტიანობაა, ბევრია ეკლესიები (1990 წლის შემდეგ მრავალი ეკლესია აშენდა). არის ბერძნული კათოლიკური მოსახლეობაც, სხვა რელიგიის წარმომადგენლებიც, ერთსა და იმავე თემებში. მათ თავისი ეკლესიები აქვთ. სხვადასხვა რელიგიის ადამიანებს შორის ძალზე ტოლერანტული დამოკიდებულებაა, რაც კარგი მაგალითი იქნებოდა მრავალი ქვეყნისათვის.

სკოლები

მთის ყველა დასახლებაში არის საბავშვო ბაღები, დაწყებითი და საშუალო სკოლები. სოფლად არსებული დაწყებითი სკოლების დაფინანსება ძალზე მწირია და ისინი კარგად არაა ადაპტირებული მთის პირობებთან. იგივე შეიძლება ითქვას პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შესახებაც. 1998 წელს განათლების რეფორმის დაწყების შემდეგ მდგომარეობის გაუმჯობესების მცდელობები იყო, განათლებისა და სურსათის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე.

1990 წლის შემდეგ დაარსდა რამდენიმე სამთო-სასოფლო სკოლა (მაგალითად დორნა კანდრენილორი, ვალეა დოფტანეი, ტირგუ ნეამტი, რასნოვი) და არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში გაიხსნა შესაბამისი პროფილის კურსები. ამ ახალი სახის განათლების უმთავრესი პრობლემაა პრაქტიკული საქმიანობისათვის მატერიალური ბაზის შექმნა და მომავალი სამთო ფერმერების სტიპენდიებით უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტებში სამი სამთო-სასოფლო განყოფილება და ორი ფაკულტეტია (კლუი, იასი, კრაიოვა, სიბიუ, ტიგროვი-

სტე), აგრეთვე აგროტურიზმის კოლეჯი და კარპატების განვითარების ტრეინინგისა და ინოვაციის ცენტრი (CEFIDEC ვატრა დორნეი), რომელიც რუმინეთის სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკუთვნის.

მოსახლეობა და ეკონომიკა

მთიანი რეგიონების 3,6 მილიონი მაცხოვრებლიდან 2,1 მილიონი ფერმერია, რომელთა უმეტესობას შემოსავლის სხვა წყაროებიც აქვს. მთის მოსახლეობის სიმჭიდროვეა 48 ადამიანი კმ^2-ზე.

თემები, რომლებიც ყველაზე პატარა ადმინისტრაციულ ერთეულებად ითვლება, საკმაოდ დიდია, 2 - 3 000 მოსახლეობით, ზოგჯერ მათი მოსახლეობა 7 - 10 000-მდეც კი აღწევს. ისინი უმთავრესად შედგება 4 - 10 მსხვილი სოფლისა და მრავალი პატარა, იზოლირებული სოფლისაგან. მათ ქონებას შეადგენს ფერმერული მიწის ნაკვეთები, რომლებშიც შედის მდინარის სანაპიროები, მთის ფერდობები და ხანდახან თხემებიც კი, ფერმების მდებარეობის მიხედვით. საცხოვრებელი სახლები იშვიათად არის დასამუშავებელი მიწისაგან მოშორებით.

მთის ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი 15 – 25 000-ს აღწევს. მათი შემოსავალი ჩვეულებრივ უფრო ნაკლებია, ვიდრე დაბლობის მაცხოვრებელთა შემოსავლები, უმეტესად გათბობისა და ტრანსპორტისათვის ენერგიის უფრო ინტენსიური მოხმარების გამო. მთის მოსახლეობის შემოსავლის წყაროა მომსაურება, სამრეწველო წარმოება, ვაჭრობა, ტრანსპორტი და სხვადასხვა სეზონური საქმიანობა, მათ შორის ტურიზმი, განსაკუთრებით მინერალური წყაროების და კურორტების მახლობლად. ზოგიერთი სოფელი ქალაქის საზღვართან მდებარეობს და გარდა იმისა, რომ სოფლის მეურნეობას ეწევიან, ამ სოფლის მაცხოვრებლები ქალაქში არსებული დასაქმების შესაძლებლობებით, უკეთესი ინფრასტრუქტურითა და კულტურული მომსახურებითაც სარგებლობენ.

1990 წლის შემდეგ მთიან რეგიონებზე ძალზე მკაცრი ზემოქმედება მოახდინა მრეწველობის (განსაკუთრებით მომპოვ-

ებლობის) და მომსახურების მკვეთრმა შემცირებამ, სამუშაოს და დამატებითი საქმიანობის ნაკლებობამ, რასაც თან დაერთო ტრანსპორტის, ენერგომატარებლებისა და საქონლის ფასების მატება, ხოლო ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა რძე, ხორცი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია - ფასების კლებამ. ამის შედეგად, თავი იჩინა სიღარიბემ და პერსპექტივები ახალგაზრდობისათვის ნაკლები იყო.

1998 წელს რუმინეთის მშპ ერთ სულზე 15 021 მლნ. ლეის ტოლი იყო (1427 აშშ დოლარი); მთიან რეგიონებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო. ადგილი ჰქონდა ორ პარალელურ პროცესს:

ა) მთების მოსახლეობის მკვეთრი შემცირება განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის საშუალო ასაკი მეტია, სიკვდილიანობა უფრო მეტი იყო ვიდრე შობადობა 1989 წლის რევოლუციის დროს (მაგალითად აპუსენის მთებში მოსახლეობა 50%-ით შემცირდა 200 დასახლებულ პუნქტში, დარჩენილი მოსახლეობის 25% მოხუცია, ხოლო 93 სოფელი თითქმის დაცარიელდა).

ბ) უმცროსი თაობების მატება, ჭარბი დასახლების ტენდენციით ეს საერთო ეკონომიკური ბლოკადის, სამრეწველო რეცესიისა და ქალაქებში დასაქმების მკვეთრად შემცირების პირდაპირი შედეგია, ამგვარად მთის მოსახლეობის მიგრაცია პრაქტიკულად შეჩერდა.

ამგვარად, მთიან რეგიონებში უმთავრესი პრობლემაა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, და სოციალური მხარდაჭერისა და დახმარების ღონისძიებების გატარება.

სპეციალური კანონმდებლობა მთიანი რეგიონების განვითარებისათვის

შეიქმნა „მთიანი რეგიონების კანონის" პროექტი საფრანგეთისა და იტალიის კანონების საფუძველზე, ევროსაბჭოს რეკომენდაციების მიხედვით. პროექტში გამოყენებულია იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც მთიანი რეგიონები კარგადაა განვითარებული, როგორებიცაა შვეიცარია, ავსტრია და იტალია, აგრეთვე „ევრომონტანას" და ზოგიერთი რუმინული

ორგანიზაციის გამოცდილება. დამთავრების შემდეგ ამ კანონ-პროექტს რუმინეთის პარლამენტს წარუდგენენ დასამტკიცებლად. „რუმინეთის მთიანი რეგიონების სახლვრები“ - დოკუმენტი, რომელსაც სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაამტკიცებს, განსაზღვრავს ამ კანონის მოქმედების არეს.

კანონში „მთიანი რეგიონების შესახებ“ ჩამოყალიბებულია პოლიტიკა მთიანი რეგიონების შესახებ და მხარს უჭერს მათი ხელშეწყობის ეროვნულ სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციას, რესურსების რაციონალურად გამოყენებას, გარემოს დაცვას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. პოლიტიკა გაითვალისწინებს აგრეთვე მთის მოსახლეობის საჭიროებებს, ტრადიციებს, სოციალური და კულტურული თავისებურებების შენარჩუნებას და სოფლის განვითარებას ეკოლოგიური სტანდარტების დაცვით. ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ რამდენადაც მთიან რეგიონებში ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით, აგრეთვე არაკონტროლირებადი ბუნებრივი ფაქტორებით განპირობებული მძიმე პირობებია, ადგილობრივ ჯგუფებს უნდა გადაუხადონ თანხები ეროვნული წყაროებიდან.

მთავრობამ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები მთიანი რეგიონების განვითარებისა და დაცვისათვის, განვითარების იმ ეკონომიკური პრინციპების შესაბამისად, რომლებიც მიღებულია როგორც ევროპის, ასევე გლობალურ დონეებზე. გეგმები შედგება ეროვნულ, რეგიონულ და საგრაფოს დონეებზე.

მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის პრინციპები და ამოცანები

უმთავრესი ამოცანაა მთიანი რეგიონების მაცხოვრებლებისთვის ისეთივე საცხოვრებელი პირობების შექმნა, როგორიც სხვა რეგიონებშია. მიზნები მოიცავს: ადგილობრივი რესურსების (სასოფლო-სამეურნეო, ხე-ტყის, საძოვრების, მრეწველობისა და ენერგეტიკის) სრულად და ბალანსირებულად ათვისებას; სოციალური და ეკონომიკური საქმიანობის მრავალფეროვნების გაზრდას; ტურიზმისა და აგრო-ტურიზმის გან-

ვითარებას; ადგილობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებას; აღჭურვილობისა და მომსახურების ადაპტირებას და გაუმჯობესებას; ინფრასტრუქტურის შექმნასა და მოდერნიზებას; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის და ხელოსნობის დაცვასა და მოდერნიზებას.

განხილული საკითხები შეეხებოდა: მთიანი რეგიონების დაცვასა და ორგანიზებას - ურბანიზმის წესების შემოღებას; მწყემსვისა და მეტყევეობის საქმიანობის განვითარებას; ხარისხიანი სასურსათო პროდუქციის გამოშვებას და მთის რესურსების დაცვას; განათლებასა და პროფესიულ სწავლებას წყალმომარაგების, ენერგეტიკის, სატრანსპორტო, სამრეწველო, ხელოსნობის, ვაჭრობის, აგროტურიზმის სფეროებში; მთიანი რეგიონების ფერმერულ ორგანიზაციებს; ფერმერებისა და ახალგაზრდა ოჯახების დახმარების სპეციალურ ღონისძიებებს; მთიანი რეგიონების პროფილის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მთიანი რეგიონების განვითარების პერსპექტივებისა და მომავლის შეფასება

რუმინეთში მთიანი რეგიონების განვითარება ეტაპობრივად უნდა მოხდეს, ინტეგრირებული და გლობალური მიდგომით. ნახევარსაუკუნოვანი ჩამორჩენის შემდეგ, ეკონომიკური რეცესიის პირობებში, განვითარების რეალური გეგმის შედგენა ადვილი არ არის, განსაკუთრებით მთიანი რეგიონებისათვის, რომლებიც, თავისი სიდიდის გამო, ხასიათდება უდიდესი სოციალური პრობლემებითა და შეზღუდვებით. თუმცა, ის ფაქტი, რომ რუმინეთის მთებმა შეინარჩუნა თავისი მოსახლეობა, კერძო საკუთრება, თავისებურებები და გარემო, ის დადებითი საფუძველია, საიდანაც უნდა დაიწყოს განვითარება.

განვითარების უმთავრესი მიმართულებები დამოკიდებულია ბუნებრივ რესურსებზე და აქტიურ შრომაზე და მოიცავს შემდეგს:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაუმჯობესება და დივერსიფიკაცია, ცალკეული ტრადიციული მეთოდების

შენარჩუნებით, ხოლო დანარჩენების მოდერნიზირებით, ეკოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად (ქიმიკატების ჭარბი რაოდენობით გამოყენების გარეშე);

- გაუმჯობესებული ჯიშების საქონლის, ცხვრის (და სხვა ცხოველების მოშენება) ინტენსიური სისტემით, მხოლოდ ბალახის საფუძველზე (და მხოლოდ ბუნებრივი სასუქების გამოყენებით);

სასოფლო-სამეურნეო და ზოოლოგიური ტექნოლოგიების თანდათან გაუმჯობესება, ევროპის გამოცდილების შესაბამისად;

მთიანი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო განათლების სისტემის განვითარება და ადაპტირება (უმთავრესად პროფესიული სწავლების სისტემის) და მუდმივი ტრეინინგი მთიანი რეგიონების ეკონომიკისა და ეკოლოგიის საკითხებში;

- ტყის განვითარება, კერძო საკუთრების გაფართოება რაც გულისხმობს ტყეების მეტ ხელმისაწვდომობას - და მზა პროდუქციის ღირებულების ამაღლება გადამუშავების საშუალებით;

მცირე და საშუალო სამრეწველო სექტორების (ეკოლოგიურად სუფთა) განვითარება როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში;

- მთის აგროტურიზმის მუდმივი განვითარება;

- მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება;

- შეთავსებით მომუშავე ფერმერებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

- მაღალხარისხოვანი მთის პროდუქციის წარმოების განვითარების უზრუნველყოფა;

- მთიანი რეგიონების ფერმერთა ასოციაციების და მიკროსაფინანსო სისტემების შექმნა, კრედიტებისა და მისაღები საპროცენტო განაკვეთის და გრანტების პოლიტიკის საფუძველზე, რაც განაპირობებს დაცვასა და განვითარებას;

- არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების საკომპენსაციო თანხების გადახდის პოლიტიკის თანდათან დანერგვა, ევროგაერთიანების დირექტივებისა და გამოცდილების საფუძველზე;

- კულტურული თავისებურებების დაცვა და ორიენტაცია

ევროპული ფასეულობების სისტემისაკენ, ევროგაერთიანებში რუმინეთის მიღების ხელშეწყობისათვის.

მთიანი რეგიონების შესაძლებლობების რეალიზაციის გზები ახალ ფილოსოფიას მოითხოვს, რომელიც მარქსისტული, სოციალისტური ან ჰეგელის სისტემების საპირისპიროა და ჩრდილო-ევროპულ მოდელს უახლოვდება.

საბერძნეთი

საბერძნეთის მთიანი სოფლების დანახვისას ადამიანი იფიქრებს, რომ აქ დრო უფრო ნელა გადის. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ დიდ პროგრესს მიაღწია და მოხდა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრები, რომლებმაც გასულ ათწლეულში ძალზე შეცვალეს მთელი მსოფლიო, შთაბეჭდილება ძალზე დიდია. წყნარი და მშვიდი, გამოზომილი ცხოვრების წესი მთის სოფლებში ამჟამად მათი განვითარებისათვის დაბრკოლებებს ქმნის.

ეს შეგრძნებები, რომელთა ინტერპრეტაცია არანაირად არ შეიძლება, არსებობს და მათ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მთის სოფლების მომავლისათვის. ეს ნიშნავს, რომ განვითარების პროექტების ექსპერტებმა უნდა აღიარონ, რომ მთების ჩართვა ახალ ეკონომიკურ და სოციალურ ტენდენციებში მოითხოვს სხვადასხვაგვარი ხარისხობრივი მონაცემების მოპოვებას, და მთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კონკრეტული წინადადებების გაგების უნარს. დადებითი შედეგების მისაღებად აუცილებელია მარტივი ეკონომიკური კრიტერიუმებისაგან საკმაოდ განსხვავებული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული კრიტერიუმების განხილვა.

თუ თვალს გადავავლებთ საბერძნეთის ისტორიას, დავინახავთ, რომ მთები არამარტო ბერძენი ხალხის საფუძველია, არამედ რთულ პერიოდებში მათ გადაარჩინეს ერი. მართლაც, „მთაში ლტოლვილის“ ცნებას არსად ისეთი მნიშვნელობა და გამოყენება არ ჰქონია, როგორიც საბერძნეთში. ძნელად მიღწევადი მიწებისა და თავისუფლების სიყვარულის გამო მთის ხალხი გარკვეულად ავტონომიურად ცხოვრობს, მათი სოციალური, ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა იმდ-

ენად მნიშვნელოვანი იყო, იმ რთულ პერიოდში, როდესაც საბერძნეთი თურქეთმა დაიპყრო, მთიელები მთელი მოსახლეობის მომმარაგებლები გახდნენ, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტებით. ბერძენმა ხალხმა, რომელმაც გააცნობიერა მთების მნიშვნელობა, თავისი ცხოვრება მათ დაუკავშირა მთა ბერძენ ხალხს თავისუფლებასა და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ჰპირდებოდა. ეს კავშირები აშკარად ჩანს დღესაც, განსაკუთრებით მოსახლეობის აღწერისას, როდესაც ბევრი ადამიანი ქალაქებიდან თავის მშობლიურ ადგილებში დაბრუნდა.

დღეს, როდესაც ბერძენმა ხალხმა სრული თავისუფლება მოიპოვა, სოფლის მეურნეობასა და საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც განპირობებულია ინდუსტრიალიზაციითა და ინფრასტრუქტურის განვითარებით, პოლიტიკური დირექტივები, რომლებიც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისაკენ და კონცენტრირებულია დაბლობებისა და სანაპირო რაიონების განვითარების მნიშვნელოვან პროექტებზე, მთის რეგიონებს, რომლებიც საბერძნეთის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, სრულიად უყურადღებოდ ტოვებს.

მთიანი რეგიონების მახასიათებლები

258/75 ევროპის დირექტივის მიხედვით მუნიციპალიტეტი, თემი ან დასახლება შეიძლება ჩაითვალოს მთიან ადგილად, თუ დამუშავებული მიწის 80% მაინც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

1. დამუშავებული ტერიტორია ზღვის დონიდან 800 მეტრზე ზემოთაა;

2. დამუშავებული ტერიტორიის სიმაღლე 600-დან 800 მეტრამდეა და ფერდობის დახრილობის კუთხე სულ მცირე 16%-ია;

3. დამუშავებული ტერიტორია 600 მეტრზე დაბლაა, ხოლო ფერდობის დახრილობის კუთხე სულ მცირე 20%-ია;

ან დამუშავებული მიწის 80% აკმაყოფილებს ამ სამი პირობის კომბინაციას.

საბერძნეთის ეროვნული სტატისტიკური სამსახურის კლასიფიკაციით სასოფლო-სამეურნეო მიწა დაბლობ, ნახევრად მთიან და მთიან ტერიტორიებად იყოფა. „ნახევრად მთიანი" გულისხმობს, რომ ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება დაბალი ფერდობების კატეგორიას, 500 მ-ზე ნაკლები სიმაღლით.

3. მოსახლეობის დახასიათება

1991 წ. მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით მთიანი რეგიონები ქვეყნის ტერიტორიის 42,3%-ს შეადგენს, მოსახლეობა კი - ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 9%-ს. ამგვარად დასახლების საშუალო სიმჭიდროვეა 17 ადამიანი/კმ^2, ქვეყანაში დასახლების საშუალო სიმჭიდროვეა 78 ადამიანი/კმ^2. რაც შეეხება ასაკობრივ სტრუქტურას, მთის მოსახლეობის 33% 65 წელზე მეტი ასაკისაა, ხოლო იგივე მაჩვენებელი მთლიანად ქვეყნისათვის - 14%.

ოთხი ათწლეულის განმავლობაში, 1951 1991 წწ. მთიან რეგიონებში, რომლებიც 500 - 999 მ. სიმაღლეზეა, მოსახლეობის რაოდენობა მუდმივად მცირდება. შემცირების ტენდენციის რიცხვითი მაჩვენებელი ცვალებადია, 1961 - 1971 წწ. იგი - 20%-ს აღწევდა, ხოლო 1981 - 1991 წწ. -1,7%-მდე შემცირდა. ყველაზე მაღალი უარყოფითი მაჩვენებელი ერთი ათწლეულის განმავლობაში -30% იყო, 1000 მ. სიმაღლეზე ზემოთ, 1961 - 1971 წწ. თუმცა, ამ სიმაღლეებზე შემცირება ყველაზე ნაკლები, 0,4% იყო 1981 - 1991 წწ.

მოსახლეობის მნიშვნელოვანი მატება მხოლოდ დაბლობებზე იყო, საკმაოდ დიდი 1951 1981 წწ და უფრო ნაკლები 1981 - 1991 წწ. 1000 მეტრზე მაღალი მთიანი რეგიონები მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა 1961 - 1971 წწ. პერიოდში მიატოვა; ამ პერიოდში მოსახლეობა მასობრივად ჩამოვიდა ქალაქებში ან წავიდა საზღვარგარეთ. თუმცა, მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა 1971 - 1981 წწ. და ოდნავ 1981 1991 წწ. პერიოდშიც. მაგრამ სტატისტიკური სამსახურის მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან საბერძნეთში უნიკალური თავისებურება აღინიშნა: მოს-

ახლეობის აღწერის დროს ამ ტერიტორიების მაცხოვრებლების რეგისტრაცია თავის დაბადების ადგილას მოხდა, ორი უმთავრესი მიზეზის გამო:

- კომპეტენტურ პირებზე ზეგავლენის მოსახდენად, რომლებიც ნახავდნენ რა, რომ არსებობს მოსახლეობის ზრდის ტენდენცია, შექმნიდნენ მათი არსებობისათვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას (გზების შეკეთება და გაყვანა, ელექტროენერგიის მიწოდება და ა. შ.);

- ბიუჯეტიდან მიეღოთ სუბსიდიები, რომლებიც გაიცემოდა ერთ სულ მოსახლეზე ან დასახლების სიდიდის მიხედვით.

ამ მონაცემების გარდა მოსახლეობის ზრდა თუ სტაბილიზაცია განპირობებულია იმ სოციალური მოვლენით, რომ ბერძენი ხალხი დაკავშირებულია თავის ფესვებთან, მაშინაც კი, როდესაც ისინი სხვაგან ცხოვრობენ ან მუშაობენ და ამდენად, სენტიმენტალური მოსაზრებების გამო, ურჩევნიათ აღწერის დროს რეგისტრაცია თავის მშობლიურ ადგილებში გაიარონ.

მთლიანად საბერძნეთში სოფლის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა 50-იან და 60-იან წლებში (-16% 1961-1971 წწ.), იმიგრაციისა და ურბანიზაციის გამო. სოფლების მიტოვება ისევ გრძელდება, მაგრამ უფრო დაბალი ტემპებით, 70-იან წლებში მაჩვენებელი უკვე -4% იყო, ხოლო 80-იან წლებში - მხოლოდ -2%. თუმცა ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან რეგიონალურ ცვლილლებებს. დაბლობებისა და ნახევრად მთიანი რეგიონების მოსახლეობა გაიზარდა 70-იან და 80-იან წლებში, ხოლო მთიან რეგიონებში მოსახლეობა შემცირდა. მთიანი ადგილებიდან მუდმივი ემიგრაცია უმთავრესი ფაქტორია მოსახლეობის საშუალო ასაკის ზრდისათვის, რადგან ემიგრანტების უმრავლესობა ახალგაზრდაა.

ბუნებრივი რესურსები

მთებში აღდგენადი ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი რაოდენობაა. სახელდობრ ისინი ქვეყნის სადრენაჟო აუზების უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს, ნალექების უდიდესი ნაწილი აქ იყრის თავს. ნალექების სხვადასხვა სახეობები

(წვიმა, სეტყვა, თოვლი), მათი წლიური განაწილება და ინტენსიურობა, აგრეთვე ნიადაგის ტიპები და მცენარეული საფარი (ტყეები, ბუჩქნარები და ა. შ.) უშუალო ზეგავლენას ახდენს გრუნტის წყლების მიწოდებაზე, დამუშავებული დაბლობების ირიგაციისათვის, და ქალაქების მოსამარაგებლად. ამგვარად, მთები შეიძლება ჩავთვალოთ უმთავრეს „წყალსაწნეე კოშკად" მთელი საბერძნეთისათვის. ინტენსიური წვიმები წყალდიდობების ძირითადი მიზეზია, ხანძრებთან ერთად, რომლებსაც ადგილი აქვს საბერძნეთში ყოველ ზაფხულს, ისინი ეკონომიკისა და ბუნებრივი რესურსებისათვის სერიოზულ პრობლემებს ქმნის, მათი კონტროლისათვის მნიშვნელოვანი ინვესტიციებია საჭირო.

რაც შეეხება კლიმატს, სამხრეთ და ცენტრალური საბერძნეთის მთებში ხმელთაშუა ზღვის კლიმატია, ხოლო დასავლეთ და ჩრდილოეთ საბერძნეთში - კონტინენტური.

ეკონომიკური მახასიათებლები

საბერძნეთის მთები მდიდარია მაღალი ღირებულების ბუნებრივი რესურსებით, რომლებიც განსაზღვრავს ამ რეგიონების ეკონომიკას. მიწათსარგებლობის თვალსაზრისით მთიანი ზონები მოიცავს საბერძნეთის ტყეების 64%-ს, საძოვრების 51%-ს და სასოფლო-სამეურნეო მიწის 18%-ს.

მიწათსარგებლობის სტრუქტურის ცვლილებები 1971 - 1991 წწ. პერიოდში შემდეგი ტენდენციებით ხასიათდებოდა:

1. დამუშავებული მიწის ფართობების მუდმივი შემცირება მთიან რეგიონებში: -6,67% 1971 - 1981 წწ. და -3,98% 1981 - 1991 წწ. დამუშავებული მიწის ფართობების შემცირება განპირობებულია იმით, რომ ფერმერების დიდმა რაოდენობამ მთები მიატოვა, ხოლო მოსახლეობამ უპირატესობა სხვა, უფრო ადვილ საქმიანობას მიანიჭა.

2. საძოვრების მაქსიმალურ შემცირებას (-18,67%) ადგილი ჰქონდა დაბლობებში, 1971 - 1981 წწ. პერიოდში, ხოლო მინიმალურს (-11,23%) - იმავე ზონაში, 1981 - 1991 წწ. პერიოდში.

3. ტყეების ფართობების მაქსიმალურ შემცირებას (-22,14%)

ადგილი ჰქონდა დაბლობებში, 1971 - 1981 წწ. პერიოდში, ხოლო მინიმალურ შემცირებას (-0,10%) ნახევრად მთიან ზონებში, 1981 - 1991 წწ. ნახევრად მთიან და მთიან ზონებში, 1971 1981 წწ. პერიოდში იყო მატება, 2,97% და 1,65%, შესაბამისად, ხოლო 1981 1991 წწ. პერიოდში მთიან რეგიონებში ადგილი ჰქონდა შემცირებას (-0,6%).

სასოფლო-სამეურნეო სექტორის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენცია იყო დასამუშავებელი მიწის ფართობების 13%-მდე შემცირება 1971 - 1981 წწ. პერიოდში (ამავე პერიოდში მთლიანად ქვეყანაში დასამუშავებელი ფართობები 5%-ით შემცირდა). 1981 1991 წწ. პერიოდში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა (-14%). ამავე დროს, მთიან რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები უფრო სწრაფად მცირდებოდა, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში. ამგვარად, ქვეყანაში მიწათმოქმედება შემცირდა.

დასახლების სტრუქტურა

რაც შეეხება დასახლებების სტრუქტურას, მთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელია პატარა დასახლებები, დასახლებათა 97,5%-ში 2 000-ზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობს, ხოლო მთიანი რეგიონების მუნიციპალიტეტებისა და თემების 2.5%-ში მოსახლეობის რიცხვი 2000-დან 5 000-მდე მერყეობს. მთის მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი პატარა თემებში ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი - უფრო დიდ დასახლებებში (2 000 - 10 000 მაცხოვრებელი). ისტორიული და კულტურული ფაქტორებით განპირობებული დასახლების ასეთი სტრუქტურის გამო, მთის მოსახლეობის უმეტესობა არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი მომსახურების ძირითადი სახეებით.

დასაქმება

დასაქმებული მოსახლეობის 48% დაკავებულია პირველად სექტორში (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა), 20% - მეორად სექტორში, ხოლო 32% - მესამე

სექტორში. მთიან რეგიონებში მეორადი სექტორი უმთავრესად პატარა, ოჯახური საწარმოებისაგან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი ერთეულებისაგან შედგება, ხოლო მომსახურების სექტორში ძირითადად არის პატარა მაღაზიები, რესტორნები და ტურისტული საწარმოები. საზოგადოებრივ სექტორში დასაქმება ძალზე შეზღუდულია, განსაკუთრებით სამეცნიერო და პროფესიონალური კადრებისათვის, რადგან მათ არ სურთ მთაში ცხოვრება.

სოფლის მეურნეობა - მესაქონლეობა

მთებში 186 000 სასოფლო-სამეურნეო საწარმოა: ისინი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა 22%-ს შეადგენს. მათი საშუალო ფართობია 3,5 ჰა, ხოლო საშუალოეროვნული მაჩვენებელია 4,0 ჰა. მთებში სასოფლო-სამეურნეო მიწის საერთო ფართობი, არასახნავი მიწის ჩათვლით, 710 000 ჰექტარია, რაც მთლიანად ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის 18%-ს შეადგენს. სახნავი მიწის ფართობია 550 000 ჰა, მათ შორის 23% სარწყავი მიწაა. სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ძირითადად მარცვლეული და საკვები კულტურები, სასოფლო-სამეურნეო მიწის 51%-ს იკავებს, შემდეგ მოდის მრავალწლიანი კულტურები (41%), ვენახების ფართობია 30 000 ჰა (6%), ხოლო ბაღებს 15 000 ჰა უჭირავს.

სოფლის მეურნეობა მთის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა. მისი მნიშვნელობა იზრდება ცალკეული ტერიტორიის ხარისხთან ერთად. ზოგიერთ რეგიონში, როგორებიცაა ევრიტანია და ცენტრალური საბერძნეთი, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან (ამ ცნების ფართო გაგებით) შემოსავლების წილი საერთო შემოსავლების 60%-ს შეადგენს.

მიუხედავად ამისა, მოსახლეობის უმეტესობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას სხვა საქმიანობასთან ათავსებს, როგორიცაა აგროტურიზმი და სხვა მომსახურება. უნაყოფო ნიადაგებით გამოწვეული დაბალი მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში დაბალ შემოსავლებს განაპირობებს, რაც საკმარისი არ არის სიცოცხლისუნარიანი საოჯახო მეურნეობის შესანახად, თუ დასაქმების დამატებითი შესაძლებლობები არ

გამოიძებნა. ამდენად მთიელი ხალხისათვის აუცილებელია ერთდროულად რამდენიმე საქმიანობას მისდიონ, რათა თავის სახლში დარჩნენ. საბერძნეთის ეროვნული სტატისტიკური სამსახურის აღწერაში აღნიშნულია ამგვარი „მრავალმიმართულებიანი" დასაქმების არსებობა, მონაცემები ამის შესახებ ქვეყნდება რეგიონალურ დონეზე და პრეფექტურების მიერ, მიუხედავად იმისა, რეგიონი მთიანია თუ არა. მთაში „მრავალმიმართულებიანი" დასაქმების ზუსტი ხარისხის დადგენა შეუძლებელია.

მესაქონლეობა მთაში ჯერაც ძირითად საქმიანობად რჩება განსაკუთრებით ცხვარი და თხა, რაც შეესაბამება ამ რეგიონებს. მთაში 5,7 მილიონი ცხვარი და თხაა: საერთოეროვნული მაჩვენებლის 43%, 1991 წლის მონაცემებით. ამას გარდა, მთაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 134 000 სულია, რაც ქვეყნის მაჩვენებლის 23%-ს შეადგენს.

საბერძნეთის მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა

ეროვნულ დონეზე, სახელმწიფო ორგანოებმა გააცნობიერეს, თუმცა ძალზე ნელა, რომ მთები ქვეყნის პროდუქტიული ნაწილია და აუცილებელია სხვადასხვა სახის ღონისძიებები ქვეყნის ყველა რეგიონში მოსახლეობის დასახმარებლად. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ოფიციალური პირი, ისევე, როგორც მრავალი მთიელი და ტურისტი, თვლის, რომ მთები უბრალოდ შეებულების გასატარებელი ადგილია ქალაქის მოსახლეობისათვის.

ყოველგვარი დახმარება მთიანი რეგიონებისათვის განიხილება და ხორციელდება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც განიხილება ქალაქის მოსახლეობის საჭიროებანი, რადგან იგი ქვეყნის მოსახლეობის უფრო ნაყოფიერ ნაწილად ითვლება, თანაც დანახარჯები მასზე ნაკლებია ვიდრე მთის მოსახლეობაზე, რომელიც ძირითადად სოფლის მეურნეობით ცხოვრობს, თუმცა ნაკლებ პროდუქტიული არის, ამასთან მას მუდმივად სჭირდება სუბსიდიები და დახმარება საარსებოდ. ეს პოზიცია ძლიერია და კიდევ უფრო ძლიერდება მკაცრი

ეკონომიკური კრიტერიუმებით, რომლებიც არ ითვალისწინებს ურბანიზმის სოციალურ ხარჯებს და მთაში მიწათსარგებლობის რესტრუქტურიზაციის ხარჯებს. მეტიც, ეს პოზიცია ითვალისწინებს, თუ რა უნდა მისცეს საზოგადოებამ მთიან რეგიონებსა და მათ მოსახლეობას, მაგრამ სრულებით უგულვებელყოფს იმას, თუ რას სთავაზობს, ან რისი მიცემა შეუძლია მთიან რეგიონებს საზოგადოებისა და ქვეყნის ეკონომიკისათვის.

თუ შესაძლებელია, რომ გავზომოთ მთის რესურსებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი, რომელიც სამწუხაროდ სხვა სფეროებშია დაბანდებული, შეუძლებელია გაიზომოს იმ მრავალი სარგებლობის თვისობრივი მახასიათებლები, რომლებსაც მთები გვაძლევს: წყლის რესურსების ხარისხი, უნიკალური სილამაზის ლანდშაფტები, ტრადიციული, ადგილობრივი პროდუქციის ხარისხი და განსაკუთრებით - ტურიზმის რესურსები. აქედან გამომდინარე, სტატისტიკური სამსახურისათვის ადვილია მთების შესახებ უარყოფითი შთაბეჭდილების შექმნა იმდენად, რომ შეუძლებელია მთების მნიშვნელობის შეფასება.

მთიანი რეგიონებისათვის მუდმივი დახმარების საჭიროება გაელენას ახდენს სოფლის მეურნეობის დაგეგმვაზე. სახელდობრ, სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პოლიტიკა ითვალისწინებს, რომ მთიან რეგიონებს არ შეუძლია კაპიტალდებენდებებიდან ისეთივე მოგება მოიტანოს, როგორიც დაბლობებს, სადაც სასოფლო სამეურნეო პოლიტიკისათვის აუცილებელი არ არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ტიპისა თუ ფართობების შესახებ ბევრი მსჯელობა. ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და განვითარების შესაბამისი გეგმები უნდა განიხილავდეს არა მარტო მთიან რეგიონებს, საზოგადოებასა და ეკონომიკას, არამედ მათ პრობლემებსაც და უნდა ითვალისწინებდეს მათ მოგვარებას.

რამდენადაც სახელმწიფო არ სცნობს, რომ მთიანი რეგიონები საჭიროებს მუდმივ დახმარებას დ` რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მთაში მხარდაჭერა სჭირდება, მთიანი რეგიონების ეკონომიკა უარესდება. ამ ტენდენციის შემობრუნება ადვილი არაა გაძლიერებული დახმარების გარეშე.

მთიანი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამატებითი ღირებულება მრავალი წლის მანძილზე მცირდებოდა, ხოლო სუბსიდიების ზრდა ძირითადად ამ შემცირების კომპენსაციას ახდენდა.

ბევრ შემთხვევაში მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკამ ფინანსური დახმარება უნდა უზრუნველყოს, ხოლო მთის ურბანიზაციის წესები, როგორც ჩანს, უმთავრესად მთის მოსახლეობისაგან მთების დასაცავადაა გამიზნული. ეს პოლიტიკა არასოდეს განუმარტავთ ამ მოსახლეობისათვის, არასოდეს უმსჯელიათ მის შესახებ, იგი „ზემოდანაა" ნაბრძანები, მას შემდეგ, რაც მიიღეს ტურიზმის განვითარების მოდელი, რომელიც ხშირად დასახლებების განვითარებასთანაა დაკავშირებული.

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და რეგიონალური პოლიტიკა ის ძირითადი პოლიტიკაა, რომელიც მთიან რეგიონებს შეეხება. ისტორიული თვალსაზრისით და იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ახორციელებდნენ ამ პოლიტიკას საბერძნეთში, ევროგაერთიანებაში შესვლამდე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ პოლიტიკაში არ იყო გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებიც მთიან რეგიონებს სხვა დანარჩენი რეგიონებისაგან განასხვავებდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1975 წელს დადგენილი სპეციალური ღონისძიებები მთიანი რეგიონებისა და კუნძულების ფერმერებისათვის, რომლებიც ითვალისწინებდა ხორბლისა და ქერის წვრილ მწარმოებელთა სუბსიდირებას და სპეციალურ სუბსიდიებს მთაში ცხვრისა და თხების მოშენებისათვის.

1981 წელს საბერძნეთის ევროგაერთიანებაში შესვლის და სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის მიღების შემდეგ, ძალაში შევიდა 268/75 დირექტივა „მთიანი და ჩამორჩენილი რეგიონების შესახებ". ამის საფუძველზე ხდება ამ რეგიონებში ფერმერების შემოსავლების სუბსიდირება, მათი შემოსავლების ბალანსირების მიზნით. ეს პოლიტიკა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო შემოსავლების გაუმჯობესებას და ემიგრაციის შეზღუდვას. საბერძნეთში ქვეყნის ტერიტორიების 78%-ზე ვრცელდება ეს სუბსიდიები, რომ-

ლებიც 1993 წელს 190 000 ფერმერზე გაიცა. ერთ ფერმერზე დახმარების რაოდენობა საშუალოდ 200 000 დრაჰმას შეადგენდა (625 ეკიუ), შდრ. 660 000 დრაჰმა (2 063 ეკიუ) გერმანიაში და 780 000 დრაჰმა (2 438 ეკიუ) ინგლისში (ევროკომისია, 1995).

განხორციელებული პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები, სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკისა და რეგიონალური პოლიტიკის თვალსაზრისით ისევ ისტორიული და განზოგადებული დარჩა, რადგან არ არის დიფერენცირებული მთიანი და დაბლობი რეგონები, არ არის დიფერენცირებული საინვესტიციო დახმარებაც. ამას გარდა, სტრუქტურული ფონდების მიერ გაცემული სუბსიდიების მონიტორინგის სისტემა არ მოიცავს ინფორმაციას მთიანი რეგიონებისათვის გამოყოფილი რესურსების წილის შესახებ.

ამგვარად, მთიანი რეგიონების შესახებ დირექტივების შექმნის პირობები ყოველთვის არ უწყობდა ხელს საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებას. ზომები, რომლებიც „ზემოდან" იყო მითითებული ყოველთვის არ ითვალისწინებდა შესაბამისი რეგიონების დინამიკას ან საჭიროებებს.

ამას გარდა, განვითარების მოდელი უნდა შეესაბამებოდეს იმ რეგიონს, სადაც მას გამოიყენებენ. სარისკოა გამოვიყენოთ რაიმე მოდელი ერთ რეგიონში, თუ ამ მოდელმა წარმატებას მეორე რეგიონში მიაღწია (მაგალითად არ შეიძლება ზამთრის სპორტული შეჯიბრის მოწყობა საბერძნეთში, იმიტომ, რომ იგი ტიროლში წარმატებით ჩატარდა). ცალკეული მთიანი რეგიონის ან ქვეყნის განვითარების პროცესი უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ დინამიკასა და საჭიროებებს, აგრეთვე ისტორიულ, გეოგრაფიულ, კლიმატურ, დემოგრაფიულ და ეკონომიკურ მახასიათებლებს, აგრეთვე განსხვავებებს იმ რეგიონებისაგან, სადაც მოცემული მოდელი წარმატებით იყო გამოყენებული.

დღემდე საბერძნეთის მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა უმთავრესად ცდილობდა სოციალურად მისაღები გაეხადა ის, რაც ფინანსურად იყო მისაღები, მაგრამ ასეთი პოლიტიკა ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, კარგს არაფერს მოუტანს საბერძნეთის მთიან რეგიონებს და ვერ

გამოასწორებს მარგინალიზაციის უარყოფით ზეგავლენას. მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა უნდა იყოს სპეციალიზებული და შეესაბამებოდეს ამ რეგიონების მახასიათებლებს, რაც განვითარების მაქსიმალურ შესაძლებელ დონეს უზრუნველყოფს, ამასთან, დაიზოგება ბუნებრივი რესურსები და გამოიძებნება პრობლემების გადაჭრის საუკეთესო გზები.

ევროპაში მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის რეგიონალური ასპექტები

სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში მთიანი რეგიონების განვითარების თავისებურებებზე ლაპარაკის დროს არ შეიძლება ევროპული განვითარების წამყვანი პრინციპის - ინტეგრაციის დავიწყება. ამ რთული და მრავალმხრივი პროცესის გამარტივებით, შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში (უპირველეს ყოვლისა ევროკავშირში) განვითარების ეროვნული პოლიტიკოსები ევროპული განვითარების ერთიანი ფილოსოფიის ფარგლებში ფორმირდებიან. განვითარების ეროვნული პროგრამები იგება მეზობელი ქვეყნების, რეგიონის და, მთლიანობაში, ევროპის ინტერესების გათვალისწინებით.

ევროპული განვითარების პროცესის ამ თავისებურების მხედველობაში მიღებით, მეტად საჭიროდ ჩავთვალეთ, გაგვეხილა მაგალითები ევროპის სივრცეში მთიანი რეგიონების ქვეყნების შეთანხმებული მოქმედებისა, განვითარების რეგიონალური პოლიტიკის ფორმირებისთვის:

ალპური კონვენცია

ალპებში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, გარემოს დაცვის და განვითარების ერთიანი პოლიტიკის შემუშავების იდეა, შეთანხმების დადების გზით, წარმოიშვა 1951 წელს, ალპური რეგიონების დაცვის საერთაშორისო კომისიის (Cipra) დაფუძნებისას. გაიარა 40 წელმა, ვიდრე ალპური რეგიონის ქვეყნებმა (გერმანია, საფრანგეთი, იტალია, სლოვენია, ლიხტენშტეინი, ავსტრია, შვეიცარია და ევროკავშირი) მოაწერეს ხელი ალპურ კონვენციას, რომლის

მიხედვითაც მონაწილე ქვეყნები მოვალენი იყვნენ შეესრულებინათ ყველა ნაკისრი ვალდებულება. საჭიროა განსაკუთრებით გაესვას ხაზი ამ „ვალდებულების პრინციპს“, რადგან ამგვარი სახის ბევრ ევროპულ დოკუმენტს მხოლოდ რეკომენდაციული ხასიათი აქვს.

ალპური კონვენცია წარმოადგენს პირველ ტრანსსაზღვრულ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ცენტრალურ ევროპულ ქვეყნებს და მოქმედებაშია ტერიტორიაზე, 7 მილიონზე მეტი მოსახლით. კონვენცია მიმართულია ორი მთავარი მიზნის მიღწევაზე:

- ბუნებრივი რესურსების და კულტურული ლანდშაფტების შენარჩუნების სისტემის სრულყოფა,

  განვითარება თანაბარ ყურადღებას დაუთმობს გარემოს და მოსახლეობის სოციალურ მოთხოვნებს.

რამ მოიტანა ალპური კონვენციის აუცილებლობის გაცნობიერება? 40-წლიანმა კვლევებმა და ალპური გარემოს მონიტორინგმა, კოორდინირებულმა Cipra-ს მიერ, მოიტანეს შემაშფოთებელი დასკვნები, ალპებში არჩეული განვითარების ეროვნული პოლიტიკების შედეგების შესახებ.

წყლის რესურსები. ალპებში პრაქტიკულად არ დარჩა „ხელუხლებელი“ მდინარეები. მათი ხეობების მხოლოდ 10% არ არის ტრანსფორმირებული. 79% ჰეს-ების ზემოქმედების ქვეშაა. 82% დაბინძურებულია. Cipra-მ წამოჭრა საკითხი ალპებში წყლის რესურსების გამოყენების პოლიტიკის კარდინალური შეცვლის, ბუნებრივი რეჟიმის დაცვისა და აღდგენისათვის ზომების მიღების შესახებ.

ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა. ალპები დაფარულია ავტო- და სარკინიგზო გზების მჭიდრო ქსელით, გაზის და ნავთობსადენებით, საწყველებით და ა.შ. დღეისათვის ძირითადი და მეორეხარისხოვანი გზების სიგრძე დაახლოებით 5000 კმ-ს შეადგენს. ალპებში გადის სატრანზიტო ტვირთის უზარმაზარი ნაკადები ჩრდილოეთიდან სამხრეთ ევროპაში. ყველაფერი ეს იწვევს მრავალ ნეგატიურ მოვლენას: ატმოსფერულ დაბინძურებას, მიწებზე ფერმერების უფლებების დარღვევას და ა.შ.

სამთო ფერმერობა და ბუნების დაცვა. ფერმერების შემ-

ოსავლების დაცემასთან ერთად მიწის რესურსებზე დატვირთვა სულ უფრო ინტენსიური ხდება. ფერმერები, კარგავენ რა შემოსავლებს წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან, იძულებულნი არიან დაარღვიონ მთიანი ეკოსისტემების სუსტი ეკოლოგიური ბალანსი.

ზამთრის სპორტი და ტურიზმი. 1992 წლის ოლიმპიურმა თამაშებმა ალბერვილში (საფოია, საფრანგეთი) მოიტანა ტერიტორიის როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური ზიანი. აშენებულ იქნა 65 კმ გზები, ტყის ფართობი შემცირებულ იქნა 33 ჰა-მდე, შეცვლილ იქნა მიწათსარგებლობის სისტემები 100 ჰა-ზე და ა.შ. Cipra-მ დასვა საკითხი, მომავალში მსგავსი ღონისძიებების ჩატარებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (როგორიც არის ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი და ალპური რეგიონების დაცვის კომისიები) თანხმობის მიღების აუცილებლობის შესახებ.

Cipra-მ დასვა საკითხი, სამთო-მოთხილამურეებისა და ტურისტების მთებში ასაყვანად ვერტმფრენების გამოყენების აკრძალვის შესახებ, სახმაურო დაბინძურების გამო.

ალპური კონვენცია მზადდებოდა ალპური ქვეყნების მთავრობების დონეზე, ბუნების დაცვის რწმუნებული სამინისტროების მეშვეობით და ხელმოწერილ იქნა ზალცბურგში (ავსტრია) 1991 წლის 7 ნოემბერს. კონვენციის 1 მუხლში მითითებულია, რომ შეთანხმების ობიექტს ალპები წარმოადგენს და, ასევე, მითითებულია ტერიტორიის, რომელზედაც ვრცელდება ამ კონვენციის დებულებები, საზღვრების შეცვლის პროცედურა.

მეორე მუხლში მოყვანილია მონაწილე ქვეყნების ვალდებულებები და დასახელებულია კონვენციის კომპეტენციაში შეტანილი დარგები (თემატური):

- მოსახლეობა და კულტურა - ეთნო-კულტურული ფასეულობების დაცვა,
- ტერიტორიის მართვა,
  ატმოსფეროს დაცვა დაბინძურებისგან,
  ნიადაგების დაცვა,
- წყლის რესურსების დაცვა,
- გარემოსა და ლანდშაფტების დაცვა,

- სამთო ფერმერობა მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის აუცილებელია ფერმერული მეურნეობის წარმართვის ტრადიციული კულტურის მხარდაჭერა,
- მთის ტყეები მთის ტყეების ბუნების დაცვითი ფუნქციების შენარჩუნება და მხარდაჭერა,
- ტურიზმი და რეკრეაცია,
- ტრანსპორტი,
- ენერგია,
- ნარჩენების მართვა.

დასახელებული დარგები შეთანხმებულ იქნებიან სპეციალური ოქმებით, რომლებიც მოიცავენ კონვენციის ფარგლებში მათი გამოყენების ყველა დეტალს. ამ მიზნებისთვის შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფები.

მე-3 მუხლში დაფიქსირებულია დებულება სამეცნიერო კვლევებისა და სისტემატური მონიტორინგის აუცილებლობის, რესურსების და გარემოს მდგომარეობის, სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ.

ამ მიმოხილვის კონტექსტში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მე-4 მუხლი, რომელშიც ჩაწერილია დებულება კონვენციის მონაწილე ქვეყნების შეთანხმებული საკანონმდებლო და სამეურნეო პოლიტიკის შესახებ.

კონვენციის რეალიზაციის პროცედურა ითვალისწინებს კონფერეციების (ალპური კონფერენცია) რეგულარულ ჩატარებას (არა უიშვიათეს, ვიდრე 2 წელიწადში ერთხელ), მონაწილე ქვეყნების რწმუნებული წარმომადგენლების მონაწილეობით (გარემის დაცვის მინისტრები) და თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. კონფერენციების ჩატარების ადგილი და თავმჯდომარე იცვლება, ასევე, 2 წელიწადში ერთხელ. გაერო-ს, მის სპეციალიზირებულ სააგენტოებს, ევროპის საბჭოს და ყველა ევროპულ ქვეყანას, ისევე როგორც სასაზღვრო ასოციაციებს, შეუძლიათ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, დამკვირვებლების სახით.

კონფერენცია, როგორც კონვენციის უმაღლესი ორგანო, ყველა აუცილებელ მოქმედებას ატარებს სამუშაო ჯგუფებისა და სეკრეტარიატის მიერ მომზადებული დოკუმენტებისა და

ოქმების მიხედვით.

გადაწყვეტილებათა მიღება ხორციელდება ყველა მონაწილე ქვეყნისა და ევროპული თანასაზოგადოების თანხმობით. კონფერენციებს შორის მიმდინარე მუშაობისათვის ფორმირდება მუდმივი კომიტეტი. ასევე, შესაძლოა ფორმირებულ იქნეს სეკრეტარიატი. კონვენცია ითვალისწინებს ოქმების რატიფიკაციის პროცედურას დარგების (განყოფილებების) მიხედვით, რის შემდეგაც ისინი ძალაში შედიან.

ალპური კონვენცია წარმოადგენს ევროპული ქვეყნების შესაძლებლობების ნათელ დადასტურებას, ჩამოაყალიბონ სახვადასხვა ქვეყნებში განლაგებული მთიანი რეგიონების განვითარების შეთანხმებული **რეგიონალური** პოლიტიკა. ამასთან, ოქმების მთელი რიგი ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული, მათზე კონსენსუსის მიუღწევლობის გამო. მაგალითად, ოქმი ტრანსპორტის შესახებ, სადაც შვეიცარიისა და ავსტრიის ინტერესები არ ემთხვევა იტალიის, საფრანგეთის და გერმანიის ინტერესებს სატრანზიტო გადაზიდვების პირობების თაობაზე. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომპრომისული გადაწყვეტილება აქაც იქნება ნაპოვნი.

პირენეების დაცვის ქარტია

პირენეების დაცვის საერთაშორისო ასოციაციის საბჭომ 1996 წელს გამოაქვეყნა პირენეების დაცვის ქარტია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მეორე ევროპულ მთიან მასივში პირენეებში - რეგიონალური კონვენციის შექმნის ახალი „ყლორტი". სამი ქვეყნის - საფრანგეთის, ესპანეთის და ანდორის - არასამთავრობო ორგანიზაციებმა განაცხადეს მათი მთიანი რეგიონების განვითარების მხარდასაჭერი მოქმედებების დაწყების შესახებ. ეს ქარტია, ალპური კონვენციისგან განსხვავებით, რეკომენდაციულ ხასიათს ატარებს.

ამ ქარტიის შექმნის ძირითად წამქეზებელ მიზეზებად დასახელებულია: გარემოს დაცვა, ვიზიტიორებისათვის ხელმისაწვდომლობა, გარემოს მიმართ გონივრული დამოკიდებულების პრინციპებთან შეთანხმებული ეკონომიკური განვითარება.

ქარტიაში ფორმულირებულია განვითარების შემდეგი წამყვანი პრინციპები:

1. პირენეები საჭიროებენ სასწრაფო დაცვას ექსტენსიური განვითარებისაგან,

2. მთიანი გარემოს და თანასაზოგადოებების დაცვის წამყვან ელემენტს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა და არა ტურიზმი,

3. აუცილებელია დიალოგის მოგვარება მათ შორის, ვინც დაკავებულია გარემოს და კულტურული მოსახლეობის დაცვით და ვინც განვითარების დაგეგმვის დოკუმენტებს ამზადებს,

4. მთიანი გარემოს დაცვის ასოციაციების როლი სამ დონეზე უნდა ვლინდებოდეს: საგანმანათლებლო, ტექნიკურ და პოლიტიკურ,

5. პირენეების დაცვა უნდა მოხდეს მანამ, სანამ დაინგრევა ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა.

ქარტიის ტექსტი, დეკლარაციული ხასიათის განცხადებების გარდა, შეიცავს კონკრეტულ წინადადებებსა და პროექტებს შემდეგი მიმართულებებით:

- ტურიზმი,
- ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება,
- მთის ტყეების მაროვა,
  წყლის რესურსები,
  სატრანსპორტო ქსელი,
  მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობა,
- ბუნებრივი და ადამიანის მიერ ინდუცირებული საშიშროებანი,
- მყარი განვითარება

ამ ქარტიის გამოჩენას წინ უძღოდა საფრანგეთის, ესპანეთის და ანდორის მთიანი პროვინციების პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია, პირენეების მთიანი რეგიონების განვითარებისათვის თანამშრომლობის გაღრმავების განცხადების შესახებ.

მოყვანილი მაგალითი აჩვენებს, თუ რანაირად ხორციელდება ევროპულ მთიან ქვეყნებში მთიანი რეგიონების განვითარების **რეგიონალური** პოლიტიკის ფორმირებისათვის თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა.

მთიანი რეგიონების განვითარების ევროპული პოლიტიკა

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ევროპულ ქვეყნებში განვითარების რეგიონალური პოლიტიკის დიდი ხნის ტრადიციები არსებობს. ეს ტრადიციები მთლიანად მემკვიდრეობით გადაცემულია ევროპის სხვადასხვა ინსტიტუტებისთვისაც: ევროპის საბჭოსა და ევროპული საბჭოსათვის. ამ ნაწილში მოყვანილ ორ მაგალითში ჩვენ შევეცდებით ორი მიდგომის მსგავსებისა და განსხვავების ჩვენებას, რაც განისაზღვრება ამ ორი ინსტიტუტის შინაარსით. თუკი ევროპის საბჭო ასრულებს ევროპული მთავრობის ფუნქციებს, ევროპული საბჭოსათვის უფრო საპარლამენტო ფუნქციებია დამახასიათებელი, რომლებიც ორიენტირებულია ადამიანის უფლებების დაცვასა და ეთნო-კულტურული ფასეულობების შენარჩუნებაზე.

ამ საბაზო პრინციპების განსხვავებიდან გამომდინარეობს მთიანი რეგიონების განვითარების მიმართ მათ რეგიონალურ მიდგომებში განსხვავებაც.

ევროპული კავშირის მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა

ევროპულმა თანასაზოგადოებამ დიდი ხანია გააცნობიერა მნიშვნელოვანი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული ფუნქციების შემსრულებელი მთიანი რეგიონების მნიშვნელობა.

1975 წელს ევროპის კავშირმა თავის 75/268 დირექტივაში დაამტკიცა არახელსაყრელი რაიონების განსაზღვრა, რომელთა შორის ხვდებიან მთიანი რეგიონებიც:

75/268 დირექტივის შესაბამისად, რომ მთიან რეგიონებს შეიძლება მიეკუთვნონ ადმინისტრაციული რაიონების და ქვერაიონების სამი ტიპი:

- რაიონები, სადაც სიმაღლე წარმოადგენს ძალიან მძიმე კლიმატური პირობების მიზეზს, რომლებიც ზღუდავენ ვეგეტაციური პერიოდის ხანგრძლივობას. (კომისია მინიმალურად თვლის სიმაღლეს 600-დან 1000 მ-მდე. ევროკავშირის ქვეყნებს

შორის განსხვავებების შეზღუდვები დამოკიდებულია არასუსხიანი დღეების რაოდენობაზე);

რაიონები, რომლებიც უფრო დაბალი სიმაღლეებით ხასიათდება, სადაც ფერდობების საშუალო დახრილობა (ჩვეულებრივ 30%-ზე მეტი) არ იძლევა მექანიკური საშუალებების გამოყენების საშუალებას, ან მათი ღირებულება ძალიან მაღალია;

რაიონები, რომლებსაც სიმაღლისა და დახრილობის იგივე მახასიათებლები აქვთ და სადაც, ორ სხვა რაიონში სიტუაციასთან შედარებით, ყოველი ამ ფაქტორთაგან ცალკე აღებული, ნაკლები დაბრკოლებების მიზეზს წარმოადგენს, მაგრამ მათი შეხამება ზრდის სირთულეებს.

ამასთან დამატებით, შვეიცისა და ფინეთის მთიანი რეგიონების კანონები ადგენს, რომ მაღალი განედი (რომელიც განსაზღვრავს ხანმოკლე საეგეტაციო პერიოდს) სიმაღლის კრიტერიუმის ექვივალენტურია. 62-ე პარალელის ზემოთ განლაგებული ოლქები და ზოგიერთი მსგავსი ტერიტორიები, რომლებიც განიცდიან მკაცრი კლიმატური პირობების ზემოქმედებას, მიეკუთვნებიან მთიან რეგიონებს, 75/268 დირექტივის განმარტების თანახმად.

ევროპის საბჭო: ევროპის მთიანი რეგიონების ქარტია

ქვეყნები, რომლებიც არ არიან ევროპული კავშირის წევრები, მონაწილეობენ მთიანი რეგიონების განვითარების საერთო ევროპულ პოლიტიკაში ევროპის საბჭოს „ქოლგის“ ქვეშ. ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების კონგრესის ინიციატივით (ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანო) მომზადებულ იქნა ევროპის მთიანი რეგიონების ქარტია (დანართი 6), რომელიც განსაზღვრავს მთიანი რეგიონების განვითარების ევროპული პოლიტიკის ძირითად პრინციპებს.

ქარტია მიმართულია ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანაზე და, გარკვეულწილად, წარმოადგენს ევროკავშირისა და რეგიონალური ალპური კონვენციის მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის პრინციპების გაფართოებას.

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები და ამ ქარტიის სხვა ხელმომწერნი:

ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი მიზანია წევრებს შორის სრული ეკონომიკური და სოციალური თანასწორობის მიღწევა;

აღნიშნავენ, რომ ევროპაში მთიანი რეგიონებს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უჭირავს და მას მნიშვნელოვან საზოგადო ინტერესებად მიიჩნევენ, სახელდობრ გარემოს დაცვით, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ თვისებებს;

აცნობიერებენ, რომ მიუხედავათ მათი განსხვავებულობისა, ევროპის მთიანი რეგიონები განიცდიან საერთო ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით პრობლემებს, რომლებიც წარმოიშობა სპეციალური გეომორფოლოგიური და კლიმატური პირობების შედეგად;

ანგარიშს უწევენ, ზოგიერთი მთიანი რეგიონის საზღვრებსგარეშე ხასიათს და საზღვრის ორივე მხარეს თანაბარი პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

სწამთ, რომ მთიან რეგიონებში შექმნილი პირობები ართულებს მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

დარწმუნებულნი არიან, რომ მთის მოსახლეობა და მისი ბუნებრივი გარემოცვა წარმოადგენს მთიანი რეგიონების უმთავრეს უპირატესობათა საფუძველს; და რომ, ეს რეგიონები საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ვერ შეასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, თუკი მათი ლანდშაფტები და ბუნებრივი რესურსები არ იქნება სათანადოდ დაცული, მოსახლეობა არ იქნება შენარჩუნებული, ეკონომიკური განვითარება არ იქნება უზრუნველყოფილი და არ იქნება გამოყენებული გარემოს დაცვისა და მენეჯმენტის ადეკვატური ზომები;

მოუწოდებენ მთის მოსახლეიბას მთაში ცხოვრებისა და მუშაობისაკენ, მათი ადგილობრივი გარემოს და მოწყობილობების დაცვისაკენ, საცხოვრებელი პირობებისა და ცხოვრების სტანდარტების ურბანიზებულ რეგიონებთან შესაბამისობისაკენ;

იციან, რომ მთიან რეგიონებში მოსახლეობის შენარჩუნება

პირდაპირ არის დამოკიდებული ეკონომიკური მოღვაწეობის ტრადიციულ და აუცილებლად სატყეო-სასოფლო მეურნეობას დაფუძნებული სფეროს მდგრადობაზე;

ითვალისწინებენ, რომ ევროპის მთები წარმოადგენს განსაკუთრებულ მემკვიდრეობას, რაც ექვემდებარება ჯეროვან დაცვასა და შთამომაელობებისთვის გადაცემას და რომ არსებობას საჭიროებს მათი განსხვავებულობის დაცვისა და წარმოჩენისა მანამ, სანამ მათი სოციალური ერთგვაროვნება, ტრადიციები და კულტურა არ იქნება სათანადოდ დაფასებული;

ითვალისწინებენ, რომ ამ მიზნისათვის მნიშვნელოვანია, პირველივე შემთხვევაში ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებებისათვის მიმართვა, რომლებიც უფრო ახლოს დგანან ტერიტორიებთან, მოსახლეობასთან და მთიანი რეგიონების პრობლემებთან, რათა წახალისდეს მათთან თანამშრომლობა და მათი ინიციატივების მხარდაჭერა;

ითვალისწინებენ რეკომენდაციებს და მოქმედებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ 1992 წლის რიო დე ჟანეიროს კონფერენციაზე გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ;

ითვალისწინებენ, რომ გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების ერთობლიობა, დაკავშირებული მთიან, სასოფლო და სამხარეო მოწყობის საკითხებთან და გარემოს დაცვასთან, რაც მიღებულია ევროპის მინისტრთა კონფერენციის, ევროპის რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მუდმივი კონფერენციის, საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ;

ითვალისწინებენ, რომ ევროპის რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მუდმივი კონფერენციის 202 რეზოლუცია მოუწოდებს ევროპის საბჭოს, მიიღოს ევროპის მთიანი რეგიონების ქარტია, რომელშიც ახალი იქნება ‘„ევროპის მთიანი რეგიონების“ კონცეფცია და იგი შეიცავს პრობლემების გადაწყვეტის ძირითად პოლიტიკურ მიმართულებებს და ამასთან იძლევა მთიანი რაგიონებისადმი ერთგვაროვანი მოპყრობის გარანტიას.

შეთანხმდნენ შემდეგზე

თავი I. ცნებები და მიზანი

მუხლი 1. მიზანი

ამ ქარტიის მიზანია იმ ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც საერთოა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის, მთიანი რეგიონების მართვის, განვითარებისა და დაცვის თვალსაზრისით.

მუხლი 2. მთიანი რეგიონების ცნება

ამ ქარტიის მიზნებისათვის, მხარეები ტერმინს „მთიანი რეგიონები" უწოდებენ იმ მხარეებს, რომელთა სიმაღლე და ჰავა ქმნიან ისეთ პირობებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ადამიანის მოღვაწეობაზე.

მუხლი 3. ტერიტორიული სპექტრი

ტერიტორიები

ტეროტორიები ითვლება მთიანად მომდევნო მუხლის შესაბამისად და აღინიშნება ქარტიის სახელით ამ ქარტიის 28-ე მუხლის თანახმად.

თავი II. „მთიანი რეგიონების" პრინციპები და მიზნები

მუხლი 4. ძირითადი პრინციპები

1. მთიანი ტერიტორიები მოითხოვენ განსაკუთრებული პოლიტიკის გატარებას, მდგრადი განვითარების პრინციპების ჩარჩოებში.

პოლიტიკა უნდა მოიცავდეს პრობლემების მთელ სპექტრს: ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და გარემოს დაცვის. ამ პოლიტიკის მიზანია აგრეთვე ექვივალენტური სასიცოცხლო პირობების უზრუნველყოფა ისევე, როგორც მთიანი რეგიონების მოსახლეობის, აგრეთვე ხელსაყრელი რეგიონების მოსახლეობისათვის, მათი განსხვავების გათვალისწინებით.

2. „მთიანი რეგიონების პოლიტიკა" ჩაითვლება ადგილობრივი და თვითმმართველობის ორგანოებად. ადგილობრივი

ორგანოები და თვითმმართველობის ორგანოები იქნებიან ჩართულნი.

ქარტიის ხელმომწერი ქვეყნები ხელს შეუწყობენ ადგილობრივ ორგანოებსა და რეგიონებს შორის ურთიერთობების განვითარებას სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე.

მუხლი 5. ძირითადი სექტორული პოლიტიკა.

1. წევრი-ქვეყნები მთიან რეგიონებში გაატარებენ კომპლექსურ პოლიტიკას, რეგიონალურ და მიზნობრივ დაგეგმვას. ამ პოლიტიკამ უნდა შეითავსოს ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტები, რომლებიც შეეფერება ყოველი რეგიონის სიტუაციას, რათა დაიცვან მოსახლეობის კულტურული, სოციალურ ინტერესები და გარემოს დაცვა.

მუხლი 6. მიზნები

ხელმომწერი მხარეები დააფუძნებენ თავიანთ პოლიტიკას, კანონმდებლობას და მოქმედებებს მთიანი რეგიონების მიმართ შემდეგ მიზნებს:

ა. მთიანი რეგიონებისა და მათი სპეციფიკური ბუნების გამოკვეთილ აღიარებას.

ბ. თითოეული მთიანი რეგიონის, როგორც გეოგრაფიული ერთეულის სათანადო განხილვასა და ცნობას, რათა აღკვეთილ იქნას ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მთიანი რეგიონების სასარგებლო პოლიტიკის უგულებელყოფა:

გ. მოსახლეობის არსებული სახით შენარჩუნებასა და ახალგაზრდა თაობის მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლას:

დ. იმ ინფრასტრუქტურის დაფუძნებასა და მოდერნიზაციას, რომელიც აუცილებელია მთიან რეგიონებში ცხოვრების ღირსეული პირობებისა და მათი განვითარებისათვის;

ე. ადგილობრივი საზოგადოებრივი სამსახურების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას;

ვ. სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაცვას და სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობის იმგვარ შენარჩუნებასა და სრულყოფას, როგორიც აუცილებელია სამთო მეურნეობასთან მიმართებით;

ზ. ენერგიის ენდოგენური რესურსების განვითარებას;

თ. არსებული ინდუსტრიული მოღვაწეობის კონსერვირებას და ახალ ტექნოლოგიებზე დამყარებული ინდუსტრიის შექმნას;

ი. მესამე სექტორის, განსაკუთრებით კი ტურიზმის, როგორც ტრადიციული საცხოვრებელი გარემოს დამხმარე საქმიანობის განვითარებას;

კ. მთისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კულტურული ღირებულებების გავრცობისა და ერთგვაროვანი რეგიონების იდენტურობის დაცვას;

2. ეს მიზნები მიიღწევა ადამიანური და ბუნებრივი რესურსების სრულყოფილი შეფასებით, რაც წარმოადგენს გარემოს დაცვისა და სათანადო მოპყრობის შედეგს.

თავი III. პოლიტიკური ღონისძიებები

მუხლი 7. პოლიტიკური მიმართულებები

1. რეგიონალური/სივრცითი დაგეგმვის პოლიტიკის განხორციელებამ მთიან რეგიონებში შესაძლებელი უნდა გახადოს ისეთი ტრადიციული საქმიანობის სფეროების განვითარება, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მცირე მეწარმეობა, რაც უზრუნველყოფს ბუნებრივი გარემოს დაცვას და ეკონომიკური მოღვაწეობის მხარდასაჭერად აუცილებელი ძირითადი ბაზისის წარმოქმნას.

ნებისმიერი რეგიონალური/სივრცითი დაგეგმვის პოლიტიკა, რომელიც მთიანი რეგიონების მიმართ გამოიყენება, უნდა ხორციელდებოდეს პირველ რიგში მთის მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ხელმომწერი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, ჩამოაყალიბონ რეგიონალური/სივრცითი დაგეგმვის პოლიტიკა მთიანი რეგიონებისათვის, რომელიც იქნება პირველ და მეორე პარაგრაფში წარმოდგენილი პრინციპების შესატყვისი და ხელს შეუწყობს უკეთეს ინტერმუნიციპალურ, ინტერრეგიონალურ და სასაზღვრო თანამშრომლობას, რესურსების ეფექტურ რებალანსირებას და მთიანი რეგიონების პრობლემების სპეციალური ხასიათის აღიარებას.

რეგიონალური/სივრცითი დაგეგმვის პოლიტიკა მთიან რეგიონებში უნდა შეესაბამებოდეს ზოგადი განვითარების გეგმებსა და პროგრამებს, ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებითაც ხდება მოცემული მთიანი რეგიონის ტიპირება და რომლებითაც შესაძლებელია დარგობრივი პოლიტიკის მიმართებით სტანდარტული პირობების ფორმირება.

რეგიონალური/სივრცითი დაგეგმვის პოლიტიკის განხორციელების მიზნებისათვის, ხელმომწერი მხარეები იღებენ სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, ფისკალურ, ეკონომიკურ და ფინანსურ ზომებს და შეიმუშავებენ დარგობრივ პოლიტიკას შემდეგ სფეროებში.

მუხლი 8. სოფლის მეურნეობა

მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც შეესატყვისება მთიანი რეგიონების პირობებს, მიაქცევენ რა განსაკუთრებულ ყურადღებას საოჯახო ფერმებსა და მცირემიწიანი რეგიონებისთვის განკუთვნილ სტანდარტებს:

მათ შეუძლიათ მიიღონ ზომები, რათა:

ა. დაიცვან სასოფლო-სამეურნეო და მესაქონლეობის მიზნებისთვის განკუთვნილი მიწა, განსაკუთრებით მაღალმთიან ადგილებში და განავითარონ ფერმერული მეურნეობები;

ბ. აანაზღაურონ ძირითადი ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული ზარალი, მათ შორის ზარალი, რომელიც გამოწვეულია მთიანი რეგიონებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი და ეკოლოგიური შეზღუდვებით;

გ. შექმნან დაცული ტერიტორიების შენარჩუნების, საძოვრებისა და სხვადასხვა მფლობელობათა არასწორად გამოყენების თავიდან აცილებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ასოციაციებისა და კონსორციუმების მფლობელობის ქვეშ მოქცევის საფუძვლები;

დ. განავითარონ რძის მწარმოებელი ინდუსტრია;

განასხვავონ, აწარმოონ და გაასაღონ ხარისხიანი პროდუქცია; შექმნან ხარისხის სტანდარტები მთაში წარმოებული პროდუქციისათვის;

ვ. განავითარონ სასოფლო ტურიზმი;

ზ. გაზარდონ პროდუქციისათვის დადგენილი ქვოტები, რათა გადაიჭრას წარმოების ალტერნატიული ფორმების არსებობის პრობლემა მთიან რეგიონებში;

თ. წაახალისონ ფერმერული საქმიანობა ახალგაზრდა ფერმერისათვის დახმარებების გაწევით და საგადასახადო მემკვიდრეობითი შეღავათების დაწესებით;

განავითარონ ფერმერებთან თანამშრომელი კოოპერაციული სტრუქტურები, ორგანიზაციები და ბიზნესი, რომელიც გათვლილია თითოეული რეგიონისათვის დამახასიათებელი პროდუქციის წარმოებაზე;

კ. ხელმომწერი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, მხარი დაუჭირონ სამეურნეო წამოწყებებს, რომლებსაც წვლილი შეაქვთ გარემოს დაცვასა და გაჯანსაღებაში.

მუხლი 9. მეტყევეობა.

მხარეები განახორციელებენ შემდეგ ღონისძიებებს:

ხე-ტყის მრეწველობის განვითარება;

მთის ტყეების გაფართოება, ტყის ლანდშაფტებისა და პლატფორმების დივერსიფიკაცია.

გ. ტყეების დაცვა ბუნების უბედურებებისაგან.

დ. ცეცხლის გამოყენების შეზღუდვისა და მასთან ბრძოლის პროგრამების შექმნა.

მუხლი 10. მრეწველობა და მომსახურება.

მთიანი რეგიონებში სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად მხარეები მიიღებენ შემდეგ ზომებს:

ხელს შეუწყობენ მრეწველობის ისეთი სახის დარგების განვითარებას, რომლებიც ზიანს არ მიაყენებენ გარემოს,

შექმნიან ხელსაყრელ პირობებს და სტრუქტურებს ბიზნესის წამოებისათვის,

გ. მოახდენენ საწარმოების დეცენტრალიზებას და კომუნალურ მომსახურებას, ხელს შეუწყობენ ნოვატორული და მაღალი ტექნოლოგიების ბიზნესს.

დ. ხელს შეუწყობენ ისეთი მრეწველობის განვითარებას მთიან რეგიონებში, რომელიც გააუმჯობესებს სოფლისა და

ტეის მეურნეობების პროდუქციის გადამუშავებას,

ე. ხელს შეუწყობენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და უზრუნველყოფენ პროდუქციის ხარისხს,

მუხლი 11. სანიმუშო შემთავსებლობა.

მხარეები მიიღებენ ზომებს, რათა გააადვილონ და ხელი შეუწყონ სამუშაო შემთავსებლობას, კერძოდ, გააუმჯობესებენ სოციალურ დაცვას, კანონს სამუშაოს შესახებ.

მუხლი 12 საბინაო საკითხი

მხარეები ვალდებულნი არიან:

ხელი შეუწყონ (ფინანსური დახმარება) საცხოვრებელი ბინების აღდგენასა მიტოვებული შენობების ამოქმედებას, გამოყენებაში ტრადიციული სტილის გათვალისწინებით,

უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ბინების ხარისხს (სტანდარტებს) და შესაფერის არქიტექტურულ დიზაინს.

მუხლი 13. ტურიზმი.

მხარეები ვალდებულნი არიან:

უზრუნველყონ ბალანსი ტურიზმსა და არსებულ ინფრასტრუქტურებს შორის, ლანდშაფტის დარღვევის გარეშე.

ხელი შეუწყონ და დახმარება გაუწიონ ტურიზმის განვითარებას სასოფლო მხარეებში ეკონომიკური და სოციალური პირობებისა და გარემოს გათვალისწინებით.

გ. ტურიზმისა და მომსახურების სფეროებში დასაქმებული პერსონალის სათანადო კვალიფიკაციის უზრუნველყოფა.

მუხლი 14. ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი.

მხარეები ვალდებულნი არიან ინფრასტრუქტურებისა და კომუნალური მომსახურების სფეროს შექმნისას არ განიხილონ მთიანი რეგიონები არახელსაყრელ პოზიციაში, სხვა რეგიონებთან შედარებით.

მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ სათანადო ზომები რათა გაამაგრონ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები მთიან რეგიონებში და გააუმჯობესონ ისეთი ინფრასტრუქტურები როგორიცაა: ავტომაგისტრალური ქსელი, ელექტრ-

ოენერგია, წყალმომარაგება, კანალიზაცია, სკოლები, საავადმყოფოები და ტელეკომუნიკაციები.

მუხლი 15. ენერგია.

მხარეები ვალდებულნი არიან:

მიიღონ და გამოიყენონ ელექტროენერგია ისეთ ფორმატში, რომელიც ასრულებს გარემოს დაცვის მოთხოვნებს,

ხელი შეუწყონ ალტერნატიული და განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებას,

მთიანი რეგიონების მოსახლეობას მიეცეს საშუალება მიიღონ სარგებლობა ჰიდროელექტრო რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლებისაგან.

მუხლი 16 განათლება.

მთიან რეგიონებში განათლების დონის უზრუნველყოფისათვის, მხარეები ვალდებულნი არიან შეინახონ სკოლები ბარის სტანდარტების შესაბამისად, განავითარონ და მიიღონ ახალი საგანმანათლებლო პრინციპები,

მხარეები ხელს შეუწყობენ პროფესიულ და ტექნიკურ განათლებას მთიანი რეგიონების საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში,

სადაც საჭიროა, მხარეები გაატარებენ სპეციალურ კვლევით პროგრამებს, განსაკუთრებით რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში,

მხარეები ვალდებულნი არიან შექმნან ინსტრუქტორების სპეციალიზირებული გუნდები და სპეციალიზირებული საგანმანათლებლო პროგრამები მთის სოფლების მეურნეობისა და მოწინავე ტექნოლოგიებისათვის.

მუხლი 17. კულტურა

მხარეები ვალდებულნი არიან:

მოახდინონ მთიანი რეგიონების ისტორიული მემკვიდრეობის კატალიზაცია;

დაიცვან მთიანი რეგიონების კულტურული ტრადიციები და ადგილობრივი მოსახლეობის ენა (დიალექტი) ევროპის უმცირესობების ენების ქარტიის თანახმად;

გ) გააძლიერონ მთიანი რეგიონების მოსახლეობის თვითმყოფადობა და ხელი შეუწყონ მოხალისეების ასოციაციების ჩამოყალიბებას.

მუხლი 18. გარემო.

მხარეები ვალდებულნი არიან:

მიიღონ ზომები ნიადაგის, წყლის და ჰაერის დასაცავად.

დაამყარონ საერთაშორისო, სამეცნიერო, ტექნიკური და პოლიტიკური ურთიერთობა, ევროპის მთიანი რეგიონების დასაცავად.

გ) წყლისმიერი ეროზიისა და ტყის ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის კონტროლის სისტემების შესწავლა და დანერგვა;

დ) ბუნებასათნ ყველაზე მეტად ჰარმონიაში მყოფი მთიანი რეგიონის განვითარების ღონისძიებებისა და პროექტების წახალისება;

ე) საერთაშორისო თანამშრომლობა წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის უზრუნველყოფის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მთის ტბებსა და მდინარეებში წყლის დაბალ დონეს.

მუხლი 19. სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა

მხარეები იღებენ ვალდებულებას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება სამეცნიერო და კვლევით სფეროში.

ორ ქვეყანას შორის შესაბამისი და ანალოგიური ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების სისტემის შექმნით და ამ სისტემის გაძლიებით;

მთიანი რეგიონების უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებს შორის თანამშრომლობის სტიმულირებით, კვლევისა და დაკვირვების (ზედამხედველობის) ცენტრების ევროპული ქსელის შექმნის ხელშეწყობით, რომელიც დაკავებული იქნება მთიანი რეგიონების სპეციფიკური პრობლემებით;

გ) ერთის მხრივ, მცირე და საშუალო ზომის ფირმებს შორის, და მეორეს მხრივ, ტრეინინგებისა და კვლევით ცენტრებს შორის რეგულარული კავშირების დამყარებით და ამ კავშირების ხელშეწყობით ახალი საინფორმაციო ტექნოლო-

ვიების, აგრეთვე საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებელი საშუალებების და სხვა სოციალური და კულტურული ფაქტორების შესწავლისა და ექსპლუატაციის მიზნით;

დ) იმ ტექნოლოგიების განვითარებისა და გაცვლის მხარდაჭერით, რომლებიც აკმაყოფილებს მთიანი რეგიონების მოთხოვნილებებს.

მხარეები იწვევენ ყველა დაინტერესებულ ორგანოს, მონაწილეობა მიიღოს ტექნოლოგიური თანამშრომლობისა და განვითარების ღონისძიებებში.

თავი IV რესურსები

მუხლი 20. პოლიტიკური მექანიზმები.

მთიანი რეგიონების განვითარების ზემოთ ჩამოყალიბებული პოლიტიკის განხორციელების მიზნით მხარეები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ მთიანი რეგიონების დახმარება ადექვატური მექანიზმებითა და სპეციფიკური ფორმებით, განსაკუთრებით ის რეგიონები, სადაც შემოსავლების განსაკუთრებით დაბალი დონეა.

ეს მექანიზმები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს რეგიონალური განვითარების პროგრამების ფარგლებში:

ეხება სივრცით დაგეგმვას, ბუნებისა და ლანდშაფტების დაცვას, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის განვითარებას, აგრეთვე სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას;

განისაზღვრება ყველაზე ხელმისაწვდომ ტერიტორიულ კონტექსტში ადგილობრივი ან რეგიონალური კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების მიერ ან მათთან თანამშრომლობით. საზოგადოებრივი, სოციალური და ეკონომიკური ორგანიზაციების მონაწილეობით და, თუ შესაძლებელია, მეზობელი რეგიონების ხელისუფლებასთან კონსულტაციების შედეგად. ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული ან/და ტრანსსასაზღვრო სქემის ფარგლებში;

გ) მოიცავს ტერიტორიებს, რომლებიც ფუნქციონალური თვალსაზრისით ჰომოგენური და ერთმანეთთან დაკავშირებულია (ან ერთმანეთის მსგავსია);

დ) წლის განსაზღვრულ პერიოდში მთიანი რეგიონის კონკრეტულ ტერიტორიაზე კოორდინაციას უწევს ხელისუფლების პასუხისმგებელი ორგანოების ქმედებებს და ხელისუფლების ინვესტიციებს.

2. ევროსაბჭოს ფარგლებში კონვენცია ტეროტორიული (ადგილობრივი) ჯგუფების ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსაზღვრო თანამშრომლობის შესახებ (მადრიდი, 21 მაისი 1980 წ.), რომელიც ცნობილია, როგორც მადრიდის კონვენცია, გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო ამ თვალსაზრისით.

3. მხარეები იღებენ ვალდებულებებს სრულად განავითარონ ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონალური ორგანოების როლი. ვინაიდან ისინი პირდაპირ კავშირში არიან მთიან რეგიონებთან და ყველაზე უკეთ იციან მათ მთების პრობლემები, ყველაზე უკეთ შეუძლიათ ადგილობრივი ძალების გამოყენება სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით. ამ თვალსაზრისით პირველ პუნქტში მითითებულია გეგმებისა და პროგრამული მართვისა განხორციელების ფუნქცია. რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა გადაეცეს ხელისუფლების დაინტერესებულ ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებს მათ უფლებამოსილების ფარგლებში და დახმარების პრინციპის შესაბამისად. ამასთანავე, როცა საჭიროა, ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონალური ორგანოების უფლებამოსილება და დაფინანსება უნდა გაძლიერდეს და განვითარდეს მთიან რეგიონებთან დაკავშირებული პოლიტიკის მხარდაჭერის მიზნით.

4. მხარეები იღებენ ვალდებულებას, მთიან რეგიონებში განახორციელონ ეკონომიკური და ფინანსური დახმარებისა და საგადასახადო სისიტემის სტიმულირების პოლიტიკა, რომლის მიზანია:

უზრუნველყოს გათანაბრების (გაწონასწორების) ღონისძიებების, მათ შორის, გადასახადების გათანაბრების ღონისძიებების განხორციელება ნაკლებად განვითარებული მთიანი რეგიონების სასარგებლოდ;

ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების

შენარჩუნებასა და შექმნას, ხალხურ რეწვას იმ კომერციული და ინდუსტრიული საწარმოების საქმიანობას, რომლებიც იყენებენ გარემოსათვის უსაფრთხო ტექნოლოგიებს;

გ) ხელი შეუწყოს ახალგაზრდების მთიან რეგიონებში დასახლებას, განსაკუთრებით მათ ჩართვას სოფლის მეურნეობაში, ხალხურ რეწვასა და ტურიზმში;

დ) მოახდინოს მთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი და ეკოლოგიური სიმდიდრეების, აგრეთვე კანონმდებლობით ან კონტრაქტებით განსაზღვრული ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის შეზღუდვების კომპენსირება;

ე) უზრუნველყოს მთის მოსახლეობის მიერ გაწეული ეკოლოგიური მომსახურების, განსაკუთრებით, ლანდშაფტების შენარჩუნებისა და სტიქიური მოვლენებისაგან დაცვისათვის გაწეული სამუშაობის ანაზღაურება.

მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას, ითანამშრომლონ იმ ინსტიტუტებთან, ორგანოებთან და ასოციაციებთან, რომლებიც ევროპის მასშტაბით დაკავშირებულნი არიან მთიანი რეგიონების რეგიონულ განვითარებასთან.

თავი V. მუდმივმოქმედი კომიტეტი

მუხლი 21. შემადგენლობა და ფუნქციონირება.

ქარტიის მიზნების განსახორციელებლად იქმნება მუდმივმოქმედი კომიტეტი.

ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე მუდმივმოქმედ კომიტეტში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს დელეგაციით, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მთიანი რეგიონების წარმომადგენლები. თითოეულ დელეგაციას აქვს ერთი ხმის უფლება. ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოების კონგრესი მონაწილეობს კომიტეტის მუშაობაში თავისი უფლებამოსილების შესაბამისად და სრული უფლებებით. თუ ევროკავშირი შეუერთდება ქარტიას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მას უფლება ექნება გამოიყენოს ხმის მიცემის უფლება. მას ექნება იმდენი ხმა, რამდენი მისი წევრი ქვეყანაც არის ამ ქარტიის ხელმომწერი მხარე. ევროკავშირს არ ექნება ხმის მიცემის უფლება იმ შემთხვევაში,

თუ მისი წევრი ქვეყანა თეითონ ახორციელებს ამ უფლებას, ან პირიქით.

ევროსაბჭოს ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის ამ ქარტიის ხელმომწერი მხარე, შეუძლია წარმოდგენილი იყოს კომიტეტში, როგორც დამკვირვებელი. მუდმივმოქმედ კომიტეტს შეუძლია, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით შეხვედრაზე მიიწვიოს იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც არ არის ევროსაბჭოს წევრი და ამ ქარტიის ხელშემკვრელი მხარე. ამ სფეროში კვალიფიციურ ნებისმიერ ორგანოს ან სააგენტოს შეუძლია მოითხოვოს დამკვირვებლის სტატუსი მუდმივმოქმედ კომიტეტ'ში. მუდმივმოქმედ კომიტეტს უფლება აქვს ხმათა უბრალო უმრავლესობით დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

მუდმივმოქმედი კომიტეტი მოიწვევა ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მიერ. მისი პირველი შეხვედრა გაიმართება ამ ქარტიის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლბა'ში. შემდგომში კომიტეტის წევრები უნდა შიკრიბონ სულ ცოტა 2 წელიწადში ერთხელ და როცა ამას მოითხოვს ქარტიის წევრი ქვეყნების უმრავლესობა.

ქარტიის წევრი ქვეყნების უმრავლესობა შეადგენს ქვორუმს მუდმივმოქმედი კომიტეტის შეხვედრის გასამართად.

მუდმივმოქმედი კომიტეტი შეიმუშავებს თავის რეგლამენტს და სამუშაო პროცედურებს ამ ქარტიის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 22. კომპეტენცია.

მუდმივმოქმედი კომიტეტი პასუხისმგებელია ამ ქარტიის გამოყენებისა და განხოციელების ზედამხედველობაზე, კერძოდ, მას შეუძლია:

— განიხილოს ქარტიის დებულებები;

— ხელმომწერი მხარეებისათვის შეიმუშაოს რეკომენდაციები ამ ქარტიის მიზნების განსახორციელებლად;

— შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები საზოგადოების ინფორმირების ღონისძიებების შესახებ, რათა საზოგადოება მუდმივად საქმის კურსში იყოს ამ ქარტიის შესასრულებლად განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

— მინისტრთა კომიტეტისათვის შეიმუშაოს რეკომენდა-

ციები ევროსაბჭოს არაწევრი ქვეყნების მოსაწვევად ამ ქარტიასთან შეერთებისათვის;

– წამოაყენოს წინადადება ამ ქარტიის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით;

2. მისი ფუნქციების განაწილების (ან შემსუბუქების) მიზნით, მუდმივმოქმედ კომიტეტს შეუძლია საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები.

მუხლი 23. მოხსენება ქარტიის გამოყენების შესახებ.

თითოეული შეხვედრის შემდეგ მუდმივმოქმედი კომიტეტი ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს უგზავნის მოხსენებას თავისი მუშაობის და ქარტიის ფინქციონირების შესახებ.

მუხლი 24. საქმიანობის საჯაროობა (ან ანგარიშის გამოქვეყნება).

მუდმივმოქმედი კომიტეტი პერიოდულად, სულ ცოტა 5 წელიწადში ერთხელ, ამზადებს დეტალურ მოხსენებას ამ ქარტიის გამოყენების შესახებ და უგზავნის მას საპარლამენტო ასამბლეასა და ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოების კონგრესს.

თავი VI დასკვნითი დებულებები

მუხლი 25. ხელმოწერა და რატიფიცირება

ეს ქარტია ღიაა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისათვის ხელმოსაწერად. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას და დამტკიცებას. სარატიფიკაციო სიგელი, მიღების ან დამტკიცების შესახებ დოკუმენტი შესანახად ეგზავნება ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს (დეპონირება ხდება ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან).

მუხლი 26. ძალაში შესვლა.

ქარტია ძალაში შედის მიღების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ დღეს, როცა ევროსაბჭოს ხუთმა ქვეყანამ 25-ე მუხლის დებულებების შესაბამისად გამოთქვა ქარტიის დებულების შესრულების თანხმობა.

ევროსაბჭოს იმ წევრი ქვეყნებისათვის, რომელთაც

შეუძლიათ გამოთქვან თანხმობა ამ ქარტიის შესრულების შესახებ, ქარტია ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელის მიღების ან დამტკიცების შესახებ დოკუმენტის დეპონირების თარიღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 27. ქარტიის იმ ქვეყნების შეერთება, რომლებიც არ არიან ევროსაბჭოს წევრები.

ამ ქარტიის ძალაში შესვლის შემდეგ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია ქარტიასთან შეერთება შესთავაზოს ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის ევროსაბჭოს წევრი.

ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომელიც ამ ქარტიას შეუერთდება, ქარტია ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელის მიღების და დამტკიცების შესახებ დოკუმენტის ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან დეპონირების დღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველი დღიდან.

მუხლი 28. ტერიტორიების შესახებ.

ნებისმიერ ქვეყანას, ხელმოწერის ან რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირების დროს დაინტერესებული მთიანი რეგიონების წარმომადგენლებთან კონსულატაციების შედეგად შეუძლია განსაზღვროს ტეროტორია ან ტეროტორიები, სადაც გავრცელდება ქარტიის მოქმედება.

ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირებისას ან დეპონირების შემდეგ, უფლება აქვს ევროსაბჭოს და გენერალურ მდივანს მიმართოს განცხადებით ამ ქარტიის მოქმედების ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე გავრცელების მოთხოვნით. ეს ტეროტორია მითითებული უნდა იქნეს განცხადებაში და განმცხადებელი მხარე პასუხისმგებელი უნდა იყოს ამ ტეროტორიის (რეგიონის) საერთაშორისო ურთიერთობაზე ან ჰქონდეს უფლებამოსილება განახორციელოს გარკვეული ღონისძიებები ამ ტერიტორიის სასარგებლოდ, ამ ქარტიის მე-3 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 29. დათქმა (გულისხმობს, რომელიმე მუხლის შემდეგომში გადახედვის უფლებას)

ნებისმიერი ქვეყნის სარატიფიკაციო სიგელის მიღების, დამტიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირებისას, შეუძლია გააკეთოს ერთი ან რამდენიმე დათქმა ამ ქარტიის მე-7-20 მუხლებთან დაკავშირებით. სხვა მუხლებთან დაკავშირებით დათქმა არ შეიძლება.

ნებისმიერ ხელმომწერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა დათქმა წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს ის ევროსაბჭოს მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით. ეს გაუქმება ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 30. დენონსაცია.

ნებისმიერი ხელშეკრულების მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ქარტიის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნით.

დენონსაცია ძალაში შევა დარჩენილი ექვსთვიანი პერიოდის პირველი თვის პირველ დღეს, მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს შეტყობინებას.

მუხლი 31. შეტყობინებანი

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ამ ქარტიას მიერთებულ ნებისმიერ სახელმწიფოს:

ყველა ხელმომწერის შესახებ;

სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების, მიღების, თანხმობის ამ მიერთების შესახებ;

გ) ამ კონვენციის ძალაში შესვლის ნებიესმიერი თარიღის შესახებ, რაც შეესაბამება ამ კონვენსიის 25 და 26 მუხლებს;

დ) ნებისმიერი რეპორტის შესახებ, რომელიც გაკეთდა 23 და 24 მუხლების დებულებათა შესაბამისად;

ე) ნებისმიერი სხვა მოქმედების, შეტყობინების, განცხადების ან კავშირის შესახებ, რაც განხორციელდა ამ ქარტიის შესაბამისად.

ევროპის მთიანი რეგიონების ასოციაცია „ევრომონტანა“

„ევრომონტანა“ არის ევროპის მთიან რეგიონებს შორის თანამშრომლობის ევროპული ასოციაცია, რომელიც 1966 წელს შეიქმნა, ევროპის 20-მდე ქვეყნის მთიანი რეგიონების წარმომადგენლობების მიერ.

იგი აერთიანებს მთის ხალხის რეგიონელურ და სახელმწიფო ორგანიზაციებს: სოციო-პროფესიული ორგანიზაციები, კერძოდ, სოფლის მეურნეობა, სოფლის განვითარების ცენტრები და სხვა. ის შეიცავს ორგანიზაციებს დასავლეთ ევროპიდან, ისევე როგორც, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მისაღწევად, ევროპული კავშირის გაფართოების მიზნით.

„ევრომონტანა“ მოქმედებს, რათა აამაღლოს მთის ბინადართა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და გარემო ინტერესები. ამ სახით მხარს უჭერს გლობალურ და მყარ სოფლის განვითარებას, რომელიც განუყოფელია სოფლის მეურნეობის განვითარებისგან ამ რეგიონებში.

1966-1995 წ.წ. „ევრომონტანა“ ჩვეულებრივად ატარებდა ევროპულ კონფერენციებს მთის ზონის ეკონომიკური და სოციალური პრობლემებისთვის ევროპული სოფლის მეურნეობის კონფედერაციის ფარგლებში, რომელიც ჩამოყალიბდა კვების დახმარების ორგანიზაციის ინიციატივით 1953 წელს და ორგანიზაბული იყო 3-კვირიანი სემინარით შვეიცარიაში მთის სოფლის მეურნეობის თემაზე.

1995 წ. - „ევრომონტანამ“ მოაწყო ევროპული კონფერენცია, სადაც პირველად შეიკრიბა ჩრდილოეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მთის რეგიონების წარმომადგენლები ქ. კრაკოვში. კრაკოვის კონფერენციის თემა იყო: ევროპის მთები, ახალი თანამშრომლობა (მოქმედებები) მყარი განვითარებისათვის.

1996 წ. „ევრომონტანამ“ მოაწყო კონფერენცია თესალონიკში (საბერძნეთი), თემაზე: „მთის მასივები, პრივილეგიური ადგილები თანამშრომლობისათვის“ და შესდგა მისი პირველი გენერალური ასამბლეა. ასოციაცია ლეგალურად

დაარსდა 1996 წლის მაისში.

1997 წ. - „ევრომონტანამ“ მოამზადა მნიშვნელოვანი გამოკვლევა ევრო კომიტეტის გარემოცვით. (25 მხარის, რაიონის შესწავლა 12 ქვეყანაში) „გარემოს კავშირის ინტეგრაცია მთის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში“. 25 სამეცნიერო ცენტრი მონაწილეობდა შესწავლაში.

1997-1998 წ.წ. „ევრომონტანამ“ მიიღო მთის რეგიონების შვეიცარიის ჯგუფის კოორდინატორობით (ქსელი რკინიგზებისა, არხებისა და ა.შ.) „მთის სოფლის მეურნეობა ალპური კონვენციის სოფლის მეურნეობის პროტოკოლის შესრულებისათვის“. დღესდღეობით ამ პროექტში 14 ალპური მიკრორეგიონი მონაწილეობს.

1998 წ. - „ევრომონტანამ“ განავითარა თავისი მუშაობა ინფორმაციის მიმოქცევისთვის და გაცვლისთვის, ჩამოაყალიბა შეხედულებები ევროპულ რეფორმებზე და მათ ზემოქმედებაზე მთის ზონაში.

პირველი ევროპული მთის კონვენცია შესდგა ლუბლიანაში (სლოვენია).

1999წ. - „ევრომონტანამ“ მიიწვია სხვადასხვა დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენლები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთის მოსახლეობის პირველ შეკრებაზე და შექმნა ახალი ქსელი ამ რეგიონში.

1999-2000 წ.წ. - „ევრომონტანა“ განიხილავდა შესაძლებელ მიმართულებებს განვითარებისთვის, ხარისხიანი პროდუქციიდან დაწყებული ტერიტორიებით დამთავრებული, რომელიც არსებობს მთის ზონაში. ეს მუშაობა დაიწყო სამი სემინარით 1999 წლის შემოდგომაზე შემდეგ თემებზე:

მთის ხარისხიანი პროდუქციის განვითარება და გავრცელება

- ხარისხი მომსახურების

ხარისხი და სოფლის მეურნეობის განვითარება მთის რეგიონებში.

2000 წ. - ექსპერტების ამ ანალიზებზე და წინადადებებზე დაყრდნობით „ევრომონტანამ“ მოიწვია წარმომადგენლები ევროპის მთიანი რეგიონების მეორე ევროპულ მთის კონვენციაზე (ტრენტო, იტალია) 17, 18 მარტი, 2000 წ.

„ევრომონტანა“-ს მე-2 ევროპული კონგრესი

ევროპის სამრეწველო რაიონთა მე-2 ევროპული კონგრესი, რომელიც „ევრომონტანას“ ეგიდით ჩატარდა ტრენტოში (იტალია), 2000 წლის 17 და 18 მარტს, განიხილა ევროპის სივრცის ქვეყნების მთის რეგიონებში „ხარისხი, მომავლის აღგილმდებარეობით სარგებლობა. სამთო მრეწველობის რაიონები, როგორც მუდმივი განვითარების პიონერები“. კონგრესზე აღინიშნა, რომ *ევროპის სამთო მრეწველობის რაიონები ჩვენი კონტინენტის კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც არ შეიძლება ისე გაიყიდოს, რომ ზიანი არ მიაყენოს საზოგადოებასა და ევროპას.* მათი განსაკუთრებულობა მგრძნობიარე სისტემებში მდგომარეობს (ეკოლოგიურად, ეკონომიკურად, სოციალურად). ბუნებრივი რესურსებით, ლამაზი ლანდშაფტით, მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით, განუმეორებელი ეკოსისტემებით, სატრაბახო პარკებით, წყლის, ჰაერის, მინერალების და ა.შ. სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსებით მდიდარი. მდიდარი მოსახლეობის კულტურითა და ისტორიით, რომელიც ხშირად ახერხებდა თავისი ჩვევების ახლებურად მოხმარებას და შესაშურ შედეგებსაც აღწევდა. დიახ, ეს მგრძნობიარე რეგიონებია. მათი ბუნებრივი წონასწორობა ისევეე შეიძლება დაარღვიოს ადამიანის მიერ გადაჭარბებულმა ათვისებადმ, როგორც გაუკაცრიელებამ. ამასთან, ამ რეგიონებს ბუნებრივი ბარიერებიც გააჩნია, როგორებიცაა კლიმატი, სიმაღლე, უსწორმასწორო რელიეფი, მოწყვეტილობა. ყოველი პირდაპირი ვაჭრობა მაღალშემოსავლიანი რაიონებით, ყოველგვარი მიუსადაგებელი პოლიტიკა საფრთხეს უქმნის მათ განვითარებას.

1995 წელს ქ. კრაკოვში (პოლონეთი) ევრომონტანას ერთ-ერთ შეკრებაზე ევროპის სამთო მრეწველობის რაიონთა წარმომადგენლებმა აიღეს ვალდებულება, გაძლიერებული სოლიდარობით დაეცვათ საგონებელში ჩავარდნილი მოსახლეობა ევროპის სხვადასხვა რეგიონებსა და მთიან მასივებში.

დღესდღეობით, 5-წლიანი აზრთა გაცვლებისა და ერთობლივი აქციების შემდეგ ევროპაში ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური შესაბამისობების გათვალისწინებით, რომლე-

ბშიც ევროკავშირის ორგანოები სცილდებიან სამთო მრეწველობის რაიონების სპეციფიურ პოლიტიკას, ევრომონტანას სურს საკუთარი ნების განმტკიცება და იმის ჩვენება, რომ მას შესწევს უნარი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ევროპული ტერიტორიის თანაბარ განვითარებაში, რამეთუ ეს რეგიონები წარმოადგენენ მრავალფეროვანი კულტურის, ჩვევების, ლანდშაფტის, ბუნებრივი სიმდიდრეების და პროდუქტის განუმეორებელ ევროპულ რესურსს. ისინი „ხარისხის" ზონებია.

ევროპის სამთო მრეწველობის რაიონების წარმომადგენელთა შეკრებით ევროპული სამთო მრეწველობის რაიონების მე-2 კონგრესზე იტალიის ქ. ტრენტოში „ევრომონტანას" წევრებს სურთ მათი ვალდებულება გადამწყვეტი ნაბიჯით წასწიონ წინ. მათი განცხადება ეფუძნება ამ სოლიდარობის და მათი უახლესი ნაშუშევრის დასკვნებს თემაზე - ხარისხი.

„ევრომონტანა" აცხადებს, რომ:

1. გასაღების ხარისხიანობა ევროპული სამთო მრეწველობის რაიონების განვითარებისათვის არის.

პასუხი ეკონომიკურ გამოწვევებზე

მთის მკვეთრადგამოხატული გეოგრაფიული პირობების საფუძველზე (უსწორმასწორო ლანდშაფტი, კლიმატი, რელიეფი, მოწყვეტილობა და ა.შ.) საქმიანობის უამრავ სფეროში სამთო მრეწველობის რაიონები ეწინააღმდეგებიან ეკონომიკურ ბარიერებს. სოფლის მეურნეობაში მაგ.: შრომისნაყოფიერება ყოველთვის უფრო დაბალია, ვიდრე სასარგებლო ადგილების აგრარულ მეურნეობაში. ამიტომაც, ფულადი კომპენსაციები ამ ნაკლისათვის ყოველთვის აუცილებელი იქნება. მოწყვეტილობის, ინფრასტრუქტურის ან სერვისული მომსახურების ნაკლებობის საფუძველზე გადამეტებული ხარჯვა ეკონომიკის სხვა სექტორებშიც არსებობს.

ამგვარად, ბაზრის გახსნის და ვაჭრობის შესაბამისობაში სხვადასხვა დარგები სამთო მრეწველობის რაიონებში მუქარის ქვეშ იმყოფება, მაშინ, როცა ეს საქმიანობათა მრავალფეროვნებაა, რომელსაც წვლილი შეაქვს სამთო მრეწველო-

ბის რაიონების სოციალურ, კულტურულ და ეკოლოგიურ წონასწორობაში, იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ღირებულებას, რომელსაც ეს რეგიონები ევროპას სთავაზობენ.

ერთადერთი საშუალება, რათა მოხდეს ამ სხვადასხვა ქმედებების კონსოლიდაცია გლობალურობასთან მიმართებაში, ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და მაღალხარისხიანი და მაღალი დამატებითი ღირებულების ნაწარმის და მომსახურების განვითარებაა.

სამთო მრეწველობის რაიონების ღირებული (ეკოლოგიური და კულტურული) რესურსების დაცვა და მათი ღირებულების გაზრდა

მაშინ, როცა გლობალიზებას რეგიონალური სპეციალიზირება და სექტორული განვითარება მოსდევს, სამთო მრეწველობის რაიონებს შეეძლოთ ზოგადად თავიანთი ორიგინალურობის, მრავალფეროვნებისა და ადგილობრივი იდენტურობის შენარჩუნება.

მათ გააჩნიათ „მრავალფეროვნების" ეკოლოგიური და კულტურული „მარაგი". ისინი მცირე მოცულობის უამრავი პროდუქტის წყაროებია, რომლებიც მუდმივად ასახავენ ამ ტიპიური წარმოების პირობებს, ამ კულტურულ მემკვიდრეობას და ამ სპეციფიურ ჩვევებს და ტექნოლოგიას. ამასთანავე ისინი ქმნიან ძალზედ ლამაზ და განუმეორებელ „კულტურულ ლანდშაფტს". ეს მათი კოზირია ხარისხიანი და სრულფასოვანი განვითარებისათვის და მათი პოტენციალი თავიდან აიცილონ გლობალიზების შედეგი უნიფორმირება და გაერთფეროვნება.

2. ევროპული სამთო მრეწველობის რაიონების წარმომადგენლებს სურთ ამ მიზნებს ერთობლივად მიაღწიონ

ერთობლივი მიზნები

იმისათვის, რომ მაღალი ხარისხის ნაწარმის, ჩატარებული სამუშაოების და ლანდშაფტების ხელშეწყობა შეესაბამებ-

ოდეს სამთო მრეწველობის რაიონების მუდმივ განვითარებას:

- სამთო მრეწველობის რაიონებმა უნდა შემოგვთავაზონ მომხმარებლისა და სტუმრების მიერ აღიარებული ხარისხის ნაწარმი და მომსახურება, ადგილობრივი იდენტურობით და წარმოების ისეთი მეთოდით, რომელიც გარემოს დაცვას უზრუნველყოფს.

- სამთო მრეწველობის რაიონებმა უნდა დაიცვან თავიანთი განუმეორებელი მრავალფეროვნება და ორიგინალურობა. ამ სტრატეგიამ შესაძლებლობა უნდა მისცეს მრავალრიცხოვან პატარა მწარმოებელს, მომსახურების შემომთავაზებელს, ასევე ტურიზმის ტრადიციულ ფორმებს, შესთავაზონ მომხმარებელს თავიანთი პროდუქტი და სამსახური.

სამთო მრეწველობის რაიონებს დადებითი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ისე, რომ არ მივიღოთ მთაში ერთფეროვანი და სტერეოტიპული სურათი. კომუნიკაციამ უნდა გაამყაროს კონტაქტი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის.

- სამთო მრეწველობის რაიონებმა ძალაუნებურად ერთობლივად უნდა იმოქმედონ, ამასთან ევროპული ხელისუფლების ორგანოების და სახელმწიფოების მხარდაჭერით.

ევროპული კოორდინაცია

მართალია ადგილობრივი აქციები და ინიციატივები ახლებური და ორიგინალური უნდა იყოს, მაგრამ ამასთან ისინი უნდა ჯდებოდეს ნორმის ფარგლებში, რათა გატარებული სიახლეები უკეთ ცნობილი და აღიარებული იქნეს. იმისათვის, რომ ამ მგრძნობიარე სფეროში ახალი ინიციატივები იქნას შემოღებული, საჭიროა ევროპული იმპულსი.

ევროპულ სფეროებში გაცვლებით, ერთობლივი განხილვებით და მტკიცე ნებით ადგილობრივი ინიციატივები მუდმივი განვითარებისათვის უფრო ძლიერ ეფექტს მიაღწევს. იქ, სადაც პოლიტიკური ნება სუსტია, სამთო მრეწველობის რაიონების მოსახლეობის ევროპულმა სოლიდარობამ შეიძლება დადებითი ზეგავლენა იქონიოს.

ამ საკვანძო სტრატეგიის წარმატებისათვის შემდეგი საშუალებები უნდა იქნას გამოყენებული:

- ***გამოცდილებების ფართოდ გაზიარება*** სხვადასხვა ევროპული სამთო მრეწველობის რაიონთა პროექტის განმახორციელებელთა და ადგილობრივი გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის. ეს გაზიარებები შესაძლებელს გახდის მთიან ზონებში პროექტების წარმატებით განხორციელების რეცეპტის უკეთ გაგებას, ადგილობრივ პასუხისმგებელ პირთა მიერ ამ საშუალებების ოპტიმალურად გამოყენებით, რაც თავისთავად გაკონტროლებასაც საჭიროებს.

შუა, აღმოსავლეთ და სამხრეთევროპულ ქვეყნებში გაზიარებაზე განსაკუთრებული მოთხოვნაა, ვინაიდან იმ პირებს, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ, არ აქვთ გამოცდილება ადგილობრივ და რეგიონალურ პროექტებში მოსახლეობის მონაწილეობით განხორციელებულ ინიციატივების საქმეებში. ამიტომაც, დასავლური სამთო მრეწველობის რაიონების ორგანიზაციებს და პასუხისმგებელ პირებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, გაუწიონ მათ დახმარება როგორც პროექტების განხორციელებისას, ასევე განვითარების გეგმებისა და ორგანიზაციების შექმნისას.

- ***ერთობლივი სტრატეგიების შემუშავება*** მთელს ევროპაში ჩატარებული გამოკვლევებისა და ანალიზების საფუძველზე. ამგვარად სამთო მრეწველობის რაიონებს შეეძლოთ შემოეთავაზებინათ სამთო მრეწველობის პროდუქტის ქარტია (ევრომონტანას ხარისხიანობის შესახებ სემინარის შემოთავაზება 1999), რათა მიეღწიათ სამთო მრეწველობის რაიონების დადებითი იმიჯისათვის და რათა უზრუნველეყოთ ისეთი ხარისხი, როგორსაც მომხმარებელი მოელის.

- ***ევროპულ ინიციატივებთან მუდმივი დიალოგის ორგანიზება*** აუცილებელია. ევროპის მიერ შემოთავაზებული ღონისძიებების და ინსტრუმენტების გონივრულად გამოყენება და სპეციფიურ მოთხოვნებზე დადგენილების მორგება ითვალისწინებს პოტენციური მიმღებების წარმომადგენლებთან მუდმივ მოლაპარაკებას.

რაც შეეხება კავშირის გაფართოებას, მიგვაჩნია, რომ მთელი ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდება, ამასთან ცხადია, რომ უნდა წარმოიშვას მრავალმხრივი ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნებსა და ევროპულ ინსტიტუციებს შორის. უპირატესობა მიენიჭება თემატურ დიალოგებს ქსელებს შორის, როგორიცაა მაგ.: ევრომონტანა, და. დიალოგებს სამხრეთევროპის ქვეყნებთან და შავი ზღვის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ქვეყნებთან და ა.შ.

ეს ერთობლივი ვალდებულება წვლილია ევროპული განვითარებისა კავშირის გაფართოების საქმეში

- ევროპული საზოგადოების სამსახურში და გლობალიზების საპასუხოდ ევროპამ უნდა შეარჩიოს ხარისხიანი ნაწარმი, მომსახურეობა და რეგიონი. იგი საჭიროებს პიონერ რეგიონებს.

ევროპული ქსელები გამოხატულებაა ნებისა, მონაწილეობა მიიღონ ევროპის ერთიან და მთლიან განვითარებაში და შესაძლებელი გახადონ ევროპულ სფეროებში ერთობლივი გამოცდილებების და წინადადებების წარმოჩენა.

- თანამშრომლობა და გამოცდილებების გაზიარება რეგიონებს შორის მათ განვითარებაზე ახდენს გავლენას, რაც ასევე მთელი ევროპისთვისაც გამოსადეგია.

3. რათა სამთო მრეწველობის რაიონებმა შეძლონ თავიანთი პოტენციალის ბოლომდე გამოყენება და შეიტანონ წვლილი ევროპულ გაერთიანებაში, ისინი საჭიროებენ ევროკავშირის და წევრსახელმწიფოების მხარდაჭერას

სამთო მრეწველობის რაიონების აღიარება ევროკავშირის მხარდაჭერით

ევროკავშირმა უნდა აღიაროს ის კულტურული მრავალფეროვნება და იდენტურობა, რომლებითაც ეს რეგიონები თავისებურად შეიტანს წვლილს ევროპაში გათანაბრებისათვის. კავშირის გავრცელება ამ ახალ სამთო მრეწველობის რაიონებზე ას-

ეეე ამყარებს ევროსაბჭოს მიერ დეკლარირებულ სტრატეგიას.

აი სტრატეგიამ შესაძლებლობა უნდა მისცეს სახელმწიფოებსა და რეგიონებს ის შესაფერისი „ინსტრუმენტები" იპოვოს მთიანი ზონების განვითარებისათვის, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას სუბსიდიალურობის ფარგლებში. ეს ინსტრუმენტები ეფექტურად იქნება ინტეგრირებული ტერიტორიალურ ევროპოლიტიკაში.

ეს აღიარება შეიძლება დადასტურებულ იქნას:

- სპეციფიური კვლევითი პროგრამის გამოყენებით, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის, გარემოს და პროდუქტის ხარისხიანობის სფეროებში,
- ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესახებ პროექტების მხარდაჭერით, თემაზე - მუდმივი განვითარება სამთო მრეწველობის რაიონებში.
- ერთიანი სივრცის განვითარების სტრატეგიაში სამთო მრეწველობის რაიონების გათვალისწინებით და მათი მნიშვნელობის წარმოჩენით შეკავშირების მომდევნო ანგარიშში.
- სამთო მრეწველობის რაიონების საკომუნიკაციო და კოოპერაციული ქსელების მუდმივი მხარდაჭერით.

სამთო მრეწველობის რაიონების საკოოპერაციო და გაცვლის სისტემებმა უნდა მიიღონ ფინანსური დახმარება

სპეციფიკური „ინსტრუმენტები" ამ კოოპერაციის დასახმარებლად მომავალში ევროპულ სფეროებში უნდა იქნეს დამზადებული.

ამგვარი ინსტრუმენტების ნაკლებობისას აშკამად საჭიროა ევროპული რეგიონების კოოპერაციისა და ქსელში გაერთიანებისათვის ერთობლივი ინიციატივების ქმედებაში მოყვანა, უპირატესად კი მგრძნობიარე სფეროებში, როგორიცაა სამთო მრეწველობის რაიონები. ეს პრიორიტეტები აბსოლუტურ კავშირში იქნებოდა იმ განზრახვასთან, ამ ერთობლივი ინიციატივებით გამოეცადათ ევროკავშირის სამომავლო შეკავშირების პოლიტიკა.

ამგვარად, შემდეგ პროექტებს სამთო მრეწველობის რაიონებისათვის და მათი განვითარებისათვის საჭირო მნიშვნ-

ელოვან სფეროებს ხელი უნდა შეეწყოთ:

- პროდუქტის ხარისხიანობა
- კომუნიკაცია და მომსახურეობა მოშორებულ რეგიონებში
  კულტურული მემკვიდრეობა
- გარემო, ტყისა და წყლის რესურსები

სპეციფილური ღონისძიებები სამთო მრეწველობის რაიონებისათვის კავშირის დაგეგმილი გაფართოებით.

სამთო მრეწველობის რაიონები ყველაზე მგრძნობიარე რეგიონებია შუა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ისინი ამ ქვეყნებში ინვესტიციების მოზღვავების მიღმა რჩებიან.

მუდმივი სტრატეგიის მხარდაჭერის გარეშე სამთო მრეწველობის რაიონები ხანმოკლე რენტაბელურობის მიზნით შემთხვევით იჩენენ ისეთ ინიციატივებს, რომლებითაც საფრთხეს უქმნიან თავიანთ კულტურულ და ეკოლოგიურ რესურსებს.

გაწევრიანებისათვის მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში უნდა შეიქმნას საფუძველი გაწონასწორებული ტერიტორიული განვითარებისათვის:

- განვითარების პროექტების შემუშავებას და რეალიზებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მგრძნობიარე სფეროებში, ამასთან ლაპარაკია პროგრამებზე.
- თანამშრომლობა და კომპეტენციის გადაცემა კონცენტრირებულ უნდა იქნას განსაკუთრებით მგრძნობიარე სფეროებზე, ისეთებზე როგორიცაა სამთო მრეწველობის რაიონები.

„პარტნიორობის“ შექმნა ევროპის ინსტიტუტებსა და სამთო მრეწველობის რაიონების წარმომადგენლებს შორის

ქსელ „ევრომონტანას“ შეუძლია ეფექტურად შეიტანოს წვლილი ევროპული სამთო მრეწველობის რაიონების ამ სასურველ განვითარებაში, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ ევროკავშირის და საერთაშორისო ორგანიზაციათა თანამშრომლების დახმარებით, რომლებიც სამთო მრეწველობის რაიონების განვითარებაზე მუშაობენ.

„ევრომონტანა“ ვალდებულებას იღებს, გამოიჩინოს ინიციატივა ამ გაგებით, მხარი დაუჭიროს მას და გაუწიოს კოორდინირება, რათა გაგრძელდეს ტრენტოს საქმე.

ძირითადი დებულებები სამთო მრეწველობის რაიონთა ეფექტური კოოპერაციისათვის

ერთობლივად მუშაობის მიზნით 1995 წლიდან სამთო მრეწველობის რაიონები და ორგანიზაციები სულ უფრო მჭიდროდ გაერთიანდნენ ევრომონტანას კავშირის ფარგლებში. ამჟამად ისინი წარმოადგენენ გამოცდილებათა რესურსებს პოლიტიკური განვითარებისა და სამთო მრეწველობის რაიონთა პროექტებისათვის, ისევე როგორც მთლიანი ევროპული კონტინენტის ექსპერტთა და სპეციალისტთათვის.

ყოველ მთიან მასივს თავისი ქსელი

ევროპული მთიანი რეგიონების მოსახლეობის წარმომადგენლები 1996 წელს შეიკრიბნენ „ევრომონტანა“-ს მოწვევით თესსალონიკში, რათა კონფერენციის წყალობით თემაზე „მთიანი მასივები, როგორც კოოპერაციის პრივილეგირებული ადგილები“, ჩაბმულიყვნენ ორგანიზებულ თანამშრომლობაში.

ამგვარად, ალპებში შეკრებილმა სამუშაო ჯგუფმა მიკრორეგიონებისაგან ჩამოაყალიბა ქსელი, რათა კონკრეტულ საქმიანობაში „გამოეცადათ“ ალპების კონვენციის ოქმი - სამთო სოფლის მეურნეობა. შვეიცარიასთან პარტნიორობით შეიქმნა კოოპერატიული ქსელი ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში (ბალკანეთის მასივი), მთიანი რეგიონების მოსახლეობის ორგანიზაციის მხარდასაჭერად და მათი განვითარებისათვის ინსტიტუციების ჩამოსაყალიბებლად.

ყველა მთიან მასივში სულ უფრო მეტს თანამშრომლობენ, რათა ხელი შეუწყონ განვითარების მორგებულ სტრატეგიას.

თემების ქსელი

კოორდინირებად ქსელს ამასთანავე გააჩნია ერთობლივი მუშაობის გამოცდილება სამთო მრეწველობის რაიონთა

ძირითადი თემების შესახებ, მაგ.:

- სამთო მრეწველობის რაიონთა სოფლის მეურნეობისა და გარემოს შორის კავშირის მეცნიერული კვლევის რეალიზაცია 12 ევროპულ ქვეყანაში 25 კვლევითი ცენტრის ქსელის საფუძველზე (1997),
- სემინარების პროგრამა თემაზე ხარისხიანობა სამთო მრეწველობის რაიონებში, სხვადასხვა ექსპერტების ქსელის (მეცნიერების, სპეციალისტების და ა.შ.) გამოყენებით.

ინფორმაციის გავრცელება

ამ ქსელის დაყოფა ქვექსელებად შესაძლებელს ხდის ინფორმაციის გადაცემას და გამრავლებას:

- „ევროპის სამთო მრეწველობის რაიონები"-ის განსაკუთრებული გვერდების გამოქვეყნება სახვადასხვა რეგიონალურ გაზეთებში,
- ევროპიდან მიღებული ინფორმაციის გავრცელება რეგიონალური და ნაციონალური ორგანიზაციების ნხარდასაჭერად ევრომონტანას ფარგლებში,
- ადგილობრივი და რეგიონალური ინფორმაციის შეგროვება ევროპულ დონეზე გაცვლებისათვის,
- ინტერნეტში გასვლა,
- კვლევების, სემინარების და კონფერენციების მასალების გამოქვეყნება საინფორმაციო საშუალებებში.

პარტნიორობა

იმდენად, რამდენადაც ეს საერთოევროპული სამთო მრეწველობის რაიონთა ქსელი ევროპაში განუმეორებელია, ამ კოოპერაციას ევროპის სფეროებში უამრავი პარტნიორი ჰყავს. მრავალი საერთაშორისო ინსტიტუტი და ორგანიზაცია არის დაინტერესებული სამთო მრეწველობის რაიონებით და მასთან დაკავშირებული სამუშაოებით. ამგვარად, ამ ქსელს შეუძლია მიმართოს მეცნიერულ და სპეციფიკურ გამოკვლევებს, ევროპული ორგანიზაციების პროფესიონალურ გამოცდილებებს, სხვა რეგიონების კოოპერაციულ ქსელებს და ა.შ.

ამგვარადვე მყარდება ურთიერთობები ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომლებიც სამთო მრეწველობის რაიონებს მოიცავენ.

საურთიერთობო პარტნიორი ევროპული ინსტიტუტებისათვის

ქ. ბრიუსელიდან ამ ქსელის კოორდინირება შესაძლებელს ხდის აზრთა და გამოცდილებების გაზიარებას ევროპულ ინსტიტუტებთან. „ევრომონტანა"-მ თავისი წვლილი შეიტანა რიტუალ 2000-ის მომზადებაში და სამთო მრეწველობის რაიონთა პირველ ევროპულ კონგრესზე ლუბლიანაში 1998 წლის ოქტომბერში შეიმუშავა სტრატეგიული ხედვა სამთო მრეწველობის რაიონთა მუდმივი განვითარების შესახებ.

საქართველო

ამ ნაწილში განხილულია ჩვენი ქვეყნის მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის ასპექტები.

საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი ბუნების მრავალფეროვნება. იგი მდებარეობს ევრაზიის ალპური დანაოჭების სარტყელში. საქართველოს რელიეფი წარმოდგენილია მაღალი, საშუალო და დაბალი მთების, ზეგნებისა და ვაკეების ერთობლიობით. საქართველო გამოირჩევა რთული რელიეფით, რასაც განაპირობებს პირველ რიგში, გეოტექტონიკური მდებარეობა. საქართველოს ძირითადი თანრიგის ოროგრაფიული ერთეულები მსხვილი ალპური მორფოსტრუქტურების ნაწილებია. ეს ერთეულებია: 1. კავკასიონის მთები, 2. საქართველოს მთათაშორისი ბარი, 3. მცირე კავკასიონის მთები, 4. სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთები.

საქართველოს ახასიათებს ბუნებრივი და მასთან დაკავშირებული სამეურნეო პირობების დიდი მრავალფეროვნება.

მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა წინასწარ განსაზღვრავს ქვეყნის შედარებით მცირე ტერიტორიაზე განსხვავებული გეომორფოლოგიური ელემენტების არსებობას; ასე მაგალითად, საქართველოს ტერიტორია სიმაღლის ზონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

ზღვის დონიდან 250-500 მ	26,7%
ზღვის დონიდან 500-1000 მ	21,7%
ზღვის დონიდან 1000-1500 მ	19,1%
ზღვის დონიდან 1500-3000 მ	31,0%
და ბოლოს,	
ზღვის დონიდან 3000 მ-ს ზევით	1,5%

საქართველოს ტერიტორიის ვერტიკალური-ზონალური განლაგება განსაზღვრავს მისი ბუნებრივი პირობების დიდ სხვადასხვაობას.

ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება, განსაზღვრავს რა ტერიტორიულ-სამეურნეო ათვისებისა და დასახლებულობის ხარისხს, განაპირობებს მოსახლეობის არათანაბარ სივრ-

ცობრივ განლაგებას. ქვეყნის ჩრდილოეთი მთიანი ზონა, რომელიც ქვეყნის საერთო ფართობის 1/3-ზე მეტს შეადგენს, ძირითადად კავკასიონის სამხრეთ კალთებს უკავია. აქ მეტად ღრმა ხეობები და ციცაბო ფერდობებია, რის გამოც იგი ყველაზე სუსტადაა დასახლებული. ტერიტორიით მასზე ნაკლებია სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, სადაც ხშირია ზეგნები და ქვაბულები, ამიტომ სამეურნეოდ იგი უკეთაა ათვისებული, მაგრამ აქაც ჭარბობს დაუსახლებელი ტერიტორია. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავმოყრილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადაჭიმულ მთათაშორის დადაბლებაში და შავიზღვისპირა ზოლში. ქვეყნის ამ ნაწილში მდებარეობს საქართველოში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები სასოფლო და საქალაქო განსახლების მთავარი არეალებით. აქ ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 87%, სამხრეთ მთიანეთში - 8%, ხოლო ჩრდილოეთ მთიან ზონაში - არაუმეტეს 5%-ისა.

მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაში მკვეთრადაა გამოხატული ვერტიკალური ზონალობა. ზღვის დონიდან 600 მ-ზე ზემოთ სიმაღლის მატებასთან ერთად მცირდება მოსახლეობის სიმჭიდროვე. დასახლებული ტერიტორიის ზედა საზღვარი გადის 2400 მ-ზე. 800 მ-მდე ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 85,1%, 800-1600 მ-ზე 11,8%, 1600-2400 მ-ზე 3,1%.

ამასთან ერთად, საქართველოსათვის ისევე, როგორც მისი კავკასიელი მეზობლებისათვის, მსგავსია ზოგიერთი საერთო სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემა. კავკასიის ყველა მთიანი რეგიონისათვის, გამონაკლისის გარეშე, ტიპიურია დეპოპულაციის პრობლემა, მთის მოსახლეობის გადინება ქალაქებსა და დაბლობ რაიონებში; სუსტად არის განვითარებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, მაღალია უმუშევრობის დონე. უკანასკნელ წლებში ახალ და განსაკუთრებულად მწვავე პრობლემად იქცა საქართველოში სამხედრო და ეთნოკონფლიქტების რაიონებიდან პოლიტიკური ლტოლვილებისა და მაღალმთიანეთში სტიქიური უბედურების შედეგად ათასობით დაზარალებულ ეკოლოგიურ მიგრანტთა პრობლემა.

ტიპიურია ეკოლოგიური პრობლემების სპექტრიც: ნიადაგური ეროზია, ნიადაგების პროდუქტიულობის დაქვეითება, მთიანი ბუნებრივი საძოვრების დეგრესია, სათიბების ხარისხის გაუარესება, მთის ტყეების ფართობის შემცირება და მათი მცენარეთა სახეობითი მრავალფეროვნების გაღარიბება; განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების დეფორმირებული სტრუქტურა, გადამეტებული სარეკრეაციო და ტურისტული დატვირთვები ცალკეულ ადგილებში.

ანთროპოგენული პირობების მიმართ მთიანი რეგიონების განსაკუთრებული მოწყვლადობის, მათი, როგორც ეთნო-კულტურული და ბიოლოგიური რესურსების საცავის ფასეულობის გათვალისწინებით, ჩვენს ქვეყანაში არაერთი საერთაშორისო თუ რესპუბლიკური მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა მთიანი რეგიონების უსაფრთხოებისა და ეკოლოგიის საკითხებს. მონაწილეებმა თავიანთ გადაწყვეტილებაში მოახდინეს მთელი რიგი რეკომენდაციების შემოთავაზება, მთიანი რეგიონების განვითარებისა და შენარჩუნების სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის.

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სამართლებრივი ბაზის განვითარება და სრულყოფა მთიანი რეგიონების განვითარების მხარდაჭერიხათვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მყარი განვითარება.

საქართველოს მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნული პოლიტიკა: მიზნები და პრიორიტეტები

საქართველოს ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია მოითხოვს მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკაში, მყარი განვითარების მოდელზე ქვეყნის გადასვლის კონცეფციასთან მისი კავშირის აქცენტებისა და პრიორიტეტების ახლებურად გააზრებას. იმ სამეურნეო ფუნქციებმა, რომლებიც დამახასიათებელი იყო და რეალიზებულ იქნა ქვეყნის მთიან რეგიონებში, არსებითი ცვლილებები განიცადეს: ერთნი, ობიექტური მიზეზების გამო, გადადიან მეორე პლანზე (მაგალითად, ინდუსტრიული განვითარება, სასარგებლო წია-

ღისეულის მოპოვება, ზოგიერთი სახეობის მინერალური რესურსის გამოფიტვის გამო), მეორენი - უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ. უკანასკნელს მიეკუთვნება „გეოგრაფიული ფაქტორის“ გამოყენება, ტერიტორიის სატრანსპორტო ტრანზიტული პოტენციალის განვითარება, ორიენტაცია მთიანი რეგიონების უდიდესი სარეკრეაციო პოტენციალის გამოყენებაზე (საკურორტო, ტურისტული და ა.შ.), აგრარული სექტორის აღდგენა.

ეს შეფასება ემყარება ქვეყნის მეცნიერებისა და სპეციალისტების მრავალრიცხოვან კვლევებსა და სამეცნიერო პუბლიკაციებს (გამსვლელი სამეცნიერო კონფერენცია „მთები - ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე“, თბილისი - მცხეთა - გ'უდაური, 19-20 მაისი, 2000 წ.), რომელზეც დაფიქსირდა არა მარტო მრავალი პრობლემა, არამედ განვითარების პრიორიტეტების შეცვლაც, რაც დიდ შესაძლებლობებს იძლევა, ქვეყნის განვითარების მომავალ პოლიტიკაში მეტად ნიშნადი პოზიციების მონიშვნისათვის, ინტეგრალური რეგიონალური მიდგომების საფუძველზე.

საქართველოს მთიანი რეგიონების პოლიტიკაში აქცენტების გადაადგილება მოითხოვს არა მარტო მკაფიო ეკონომიკურ გაანგარიშებას, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკოლოგიური მოთხოვნების მთელი სპექტრის ჩართვას, ტერიტორიის მართვის საორგანიზაციო-ფინანსური და სამართლებრივი მექანიზმების სისტემის შემუშავებას. ბევრი მთიანი ევროპული ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის დონის ამაღლება თავიანთი ტერიტორიების მართვაში, მთებში ცხოვრების პირობების გათანაბრების ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმების სისტემის შემუშავება, რაც სტიმულირებას გაუკეთებს სასოფლო საზოგადოების ტრადიციების აღზევებას, გახსნის საქმიანი აქტივობის ახალ შესაძლებლობებს ახალგაზრდობისათვის - ტურისტული ბიზნესი, ხალხური რეწვა და სხვა.

უდაოდ, ჩვენი ქვეყნის მთიანი რეგიონების განვითარების ზემოთაღნიშნული მიზნები და პრიორიტეტები არანაირად არ აცხადებს პრეტენზიას პრიორიტეტების უცილობლობასა და

დასაბუთებულობაზე. ჩვენ სავალდებულოდ ჩავთვალეთ, კიდევ ერთხელ გაგვესვა ხაზი აზრისათვის, *ქვეყნის მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნული პოლიტიკის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის შესახებ.*

ადრეულ წლებში ჩვენი მთიანი რეგიონების მიმართ გამოყენებულმა დეფორმირებულმა საინვესტიციო და არასწორმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ მიგვიყვანა მთის სოფლის მეურნეობის ტრადიციული და სისტემატიზირებული წარმართვის დაკარგვამდე. ეს მთელი სიმძაფრით სვამს საკითხს, ქვეყანაში მთიანი რეგიონების ბუნებრივი რესურსებისა და სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების სტრატეგიის გადახედვის შესახებ, მყარი განვითარების მიზნით. უკანასკნელი გულისხმობს ქვეყნის მთიანი რეგიონების განვითარების უზრუნველყოფისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობას. სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლობითმა ორგანომ - საქართველოს 1995-1999 წლების მოწვევის პარლამენტმა დაასაბუთა და მიიღო ქვეყნის მთიანი რეგიონების მხარდაჭერის სამართლებრივი კანონის ქართული მოდელი.

საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის, ევროპის მთიანი რეგიონების ქარტიისა და „ალპური კონვენციის“ საერთაშორისო წესდების შესაბამისად, საქართველოს 1995-1999 წლების მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული და საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1999 წლის 8 ივნისს ხელმოწერილი და გამოქვეყნებული საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ ითვალისწინებს საქართველოს მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მისი ეკოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაციას, სახელმწიფო პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარებას მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე მცხოვრები

და დასაქმებული მოსახლეობისა და სამეურნეო სუბიექტების მიმართ.

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონები სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით ჩამორჩებიან ბარის რაიონებს. ბოლო პერიოდის მოვლენებმა კიდევ უფრო გააუარესა მთიანეთში სოციალურ-ეკონომიკური ვითარება და გააძლიერა მოსახლეობის მიგრაცია მთიდან ბარში. ამას დაემატა ამ რეგიონებისათვის სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზიანი, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა მაღალმთიანეთის გარემოს ეკოლოგიური, მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ვითარება.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორებისა და მაღალმთიანი რეგიონების შემდგომი აღმავლობისათვის გადაუდებელია კომპლექსური ხასიათის კანონისმიერი პირობების შექმნა, რაც გააუმჯობესებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ და მატერიალურ-კულტურულ მდგომარეობას, მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე მცხოვრები და დასაქმებული მოსახლეობისა და სამეურნეო სუბიექტების მიმართ სახელმწიფოს მიერ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების გზით.

კანონი ითვალისწინებს მაღალმთიანი რეგიონების თავისებურებებს და, აქედან გამომდინარე, აწესრიგებს მიწათსარგებლობას, ბუნებრივი სათიბ-საძოვრებისა და ტყის მასივების ექსპლუატაციას, რელიეფის, ფაუნისა და ფლორის დაცვას, აწესებს შეღავათებს, როგორც სამეურნეო ობიექტების, ისე ფიზიკურ პირთა დაბეგვრის სფეროში, ხელს უწყობს საწარმოო პოტენციალის ამუშავებას, წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ინვესტიციების მოზიდვას, გასაღების ბაზრის გაფართოებას სამრეწველო და სოფლის მეურნეობის სფეროში ადგილზე წარმოებული პროდუქციის დაცვას საზღვარგარეთის ქვეყნებიდან იმპორტული ანალოგიური პროდუქციის ექსპანსიისაგან, წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

კანონი ავალდებულებს სახელმწიფოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი ადგ-

ილის მიხედვით უფასო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, სასწავლო დაწესებულებათა და მათში დასაქმებულ პირთა მატერიალურ-ფინანსურ მხარდასაჭერად, აგრეთვე სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის შესანარჩუნებლად და მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე მცხოვრები და დასაქმებული მოქალაქეების უფასო სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად.

კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ძალუძთ სასიკეთო გავლენა მოახდინონ მთიანი რეგიონების ეკონომიკურ-ეკოლოგიურ განვითარებაზე, მოსახლეობის დემოგრაფიულ მდგომარეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე.

ცხადია ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ პროტექციონისტული პოლიტიკის განხორციელება მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული, რაც განსაკუთრებით მტკივნეულია სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, მაგრამ, მეორე მხრით, სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერის თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანი ექნება ის დადებითი ძვრები, რომლებიც ამ კანონის განხორციელებას მოჰყვება.

აღსანიშნავია, რომ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ მთელი ქვეყნის სოფლების რაოდენობის 28%-ზე, ხოლო მათში მცხოვრები მოსახლეობის (5,5 მილიონი) 4%-ზე.

„მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების კანონის“ შექმნის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი ზურაბ ჟვანია. მისი დავალებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მაღალმთიანი რეგიონების კომპლექსური შესწავლის კომისიაში ჩამოყალიბდა კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფი, რომელსაც კოორდინაციას უწევდა აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე, 1995-1999 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი, აკადემიკოსი თენგიზ ონიანი.

საქართველოს კანონი
მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლისა და „ალპური კონვენციის“ საერთაშორისო წესდების შესაბამისად, ამ კანონის მიზანია:

ა) მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უ'ხრუნველყოფა;

ბ) მთიანი რეგიონების მდგრადი პოლიტიკის გატარება თანამედროვე მოთხოვნებისა და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;

გ) მაღალმთიან რეგიონებში სამეურნეო და სოციალურ-კულტურული აქტივობის გაძლიერება;

დ) მოსახლეობის სტიქიური მიგრაციის შეჩერება;

ე) დაცლილი და ნახევრად დაცლილი სოფლებისა და თემების რეანიმაცია;

ვ) ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენება; მრეწველობისა და სხვა სახის დასაქმების გადიდება;

ზ) სხვადასხვა წყაროებიდან (მათ შორის ევროკავშირის ფონდებიდან) ინვესტიციების მოზიდვა;

თ) ეროვნებათ'შორისი თანამშრომლობის განვითარება მთიანი სასაზღვრო ზონების საკითხთა გადაწყვეტის დროს;

ი) თვითმყოფადი ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების შენარჩუნება და მათი მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;

კ) გზათა მშენებლობის რეგულირება;

ლ) წიაღისეულით რაციონალური სარგებლობა; საწარმოო ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების პოლიტიკის შესაბამისად.

მუხლი 2

მაღალმთიან რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საფუძველს წარმოადგენს მეურნეობის შემდეგი სახეები:

ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოება, პირველ რიგში, მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, თევზის მოშენება, სამონადირეო მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და ტრადიციული ადგილობრივი ფერმერული მეურნეობის და სხვა დარგების განვითარება;

ბ) სამრეწველო წარმოება, პირველ რიგში, ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრის ათვისება „ალპური კონვენციის" წესდებით გათვალისწინებული ბუნების მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით, გადამამუშავებელი მრეწველობა, შინარეწვა, განახლებადი ენერგეტიკა, მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა;

გ) ტურიზმი, საკურორტო და რეკრეაციული მეურნეობა.

მუხლი 3

მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიზნით ხელისუფლება შეიმუშავებს შელავათიან საკრედიტო-საინვესტიციო ღონისძიებების პროგრამას, რომლის პარამეტრები ყოველწლიურად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში. პროგრამა ხელს უწყობს:

ა) ტურიზმისა და საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას;

ბ) ისტორიულ-არქიტექტურული და ბუნებრივი ძეგლების დაცვას, რესტავრაციას და მათ ჩართვას ტურიზმის სამსახურში;

გ) სამთო-სათხილამურო სპორტის და სპორტის სხვა სახეობების განვითარებას;

დ) არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმატებით წარმართვას;

ე) სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ტრადიციების აღორძინება-განვითარებას და შესაბამისი სამეცნიერო

ცენტრების შექმნას;

ვ) მთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული შინარეწვის სხვადასხვა დარგების (მეთუნეობა, ჭედურობა, ხეზე კვეთა, მეჭურჭლეობა, ქსოვა, ქარგვა, ნაბდის თელვა, ხალხური საკრავების წარმოება და სხვა) განვითარებას, სახალსო ოსტატებთან შეგირდულ სწავლებას;

ზ) მცირე და საშუალო ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარების ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით;

თ) მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქმიანობის ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად მიკროჰესების, მინიჰესებისა და ენერგიის განახლებადი წყაროების პროექტების დაფინანსებას;

ი) კადრების მომზადებას მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების დარგით.

მუხლი 4

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მაღალმთიან რეგიონებზე, რომლებიც თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით მთლიანად შეესაბამება მაღალმთიანი რეგიონების ცნებას.

2. ჰიფსომეტრული სიმაღლის მიხედვით, მაღალმთიან რეგიონებად ითვლება დასახლებული ტერიტორიები, რომლებიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზევით, მაგრამ სხვადასხვა პარამეტრების გათვალისწინებით (მთის ფერდობების და ზეგნების დახრილობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებანი, სახნავ-სათესი მიწის სიმცირე და სიმწირე, ტერიტორიის დემოგრაფიული ტევადობა, გამწვავებული მიგრაციული პროცესები, დაცლილი ტერიტორიების დაკარგვის საფრთხე ეკონომიკური თვალსაზრისით) მათი ქვედა ზღვარი დადის კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მდებარე რაიონებში ჯა აჭარა-გურიის მთიანეთში 1000 მეტრამდე (გამონაკლის შემთხვევაში - 800 მეტრამდეც კი), ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიანი რაიონებისათვის რჩება 1500 მეტრი.

მუხლი 5

1. ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიუხედავად ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მთლიანად მხოლოდ მთიულეთ, ხადა, გუდამაყრის ხეობაზე, ფშავ-ხევსურეთზე და თუშეთზე, რომლებიც დემოგრაფიული რეაბილიტაციის მწვავე ზონებად ითვლება.

2. დემოგრაფიული რეაბილიტაციის ზონებში სოფლის საკრებულო (სათემო საბჭო) ახლად დასახლებულებს უწევს ფინანსურ დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ფონდიდან, რომელიც იქმნება შემოწირულობების, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის, საძოვრების გაქირავების, სხვადასხვა საწარმოო საქმიანობის, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯზე.

მუხლი 6

სოფლების, დაბებისა და თემების ჩამონათვალი, რომელზეც ვრცელდება ამ კანონის მოქმედება, განისაზღვრება დანართით.

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 43-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილი:

4. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი) ფიზიკური პირი 3 000 ლარზე ნაკლები შემოსავლისას თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადის,

ხოლო 1-2 შვილიანებს საშემოსავლო გადასახადი უმცირდებათ 50%-ით.

2. 47-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები:

„კ) ენერგიის განახლებადი წყაროების (მზის, ქარის, გეოთერმული, ბიომასის და მცირე ჰიდროენერგია) ასათვისებელი მოწყობილობებისა და ენერგოდამზოგი (ენერგოდამზოგი ნათურები) საშუალებების წარმოებით და მიწოდებით მიღებული მოგება.

ლ) მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო საწარმოების მოგება“.

3. 143-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიებზე არსებული საწარმოებისა და მუდმივად მცხოვრებ ფიზიკურ პირთა ქონება“.

4. 158-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ და „ჟ“ ქვეპუნქტები:

პ) ენერგიის განახლებადი წყაროების (მზის, ქარის, გეოთერმული, ბიომასის და მცირე ჰიდროენერგია) ასათვისებელი მოწყობილობების და ენერგოდამზოგი (ენერგოდამზოგი ნათურების) საშუალებების წარმოებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთები.

ჟ) მიწის გადასახადისაგან მთლიანად თავისუფლდებიან საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ განსაზღვრული კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებთან მიმდებარე რაიონებსა და აჭარა-გურიის მთიანეთში მდებარე სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი, ხოლო სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთ მიწის გადასახადი უმცირდებათ 50%-ით.

საქართველოს კანონი
საქართველოს კანონში — სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს კანონში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ“ ქვეპუნქტი:

ბ. მაღალმთიან რეგიონებში მიწა შეიძლება იყოს კერძო, სათემო და სახელმწიფო საკუთრებაში.

2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

3. მაღალმთიანი რეგიონების სოფლებში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებში ჯერ კიდევ არსებობს სათემო ტრადიციები, შენარჩუნებულია საძოვრების ფლობის სათემო წესი.

4. საძოვრები მაღალმთიან რეგიონებში საერთო სასოფლო და სათემო საკუთრებას წარმოადგენს. სოფლებს შორის საძოვრების საზღვრები დგინდება ტრადიციულად არსებული მიჯნით, მოსაზღვრე სოფლების საკრებულოების შეთანხმების საფუძველზე. უთანხმოების შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

სათიბები წარმოადგენს საკომლო საკუთრებას, მათ კომლთა შეთანხმების საფუძველზე ანაწილებს საკრებულო.

3. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 და მე-7 პუნქტები:

6. სოფლის ყოფილი მკვიდრებიდან მსურველებს სოფელი თუ თემი აძლევს სოფლებში უკან დაბრუნების საშუალებას სახნავ-სათესი და სათიბი ფართობის გამოყოფით. დაცლილ სოფლებში დასახლების საკითხს ერთობლივად წყვეტენ სადაბო და სასოფლო თვითმმართველობის ორგანოები.

7. სოფლის საკრებულო (სათემო საბჭო) ახლად შემოსახლებულებს ფინანსურ დახმარებას უწევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ფონდიდან, რომელიც იქმნება შემოწირ-

ულების, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის, საძოვრების გაქირავების, სხვადასხვა საწარმოო საქმიანობის, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯზე.

4. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები:

3. ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციების, მომთაბარული მესაქონლეობის ჩვეულების და სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებით, ახმეტის რაიონს (ზემო და ქვემო ალვანი, ბაბანაური, ომალოს საკრებულო - მთათუშეთი) მუდმივ სარგებლობაში ეძლევა კასრისწყლის საგამგებლო ტერიტორია - 59619 ჰა და ტყე - 3138 ჰა. დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე, ზამთრის საძოვრებით მუდმივი სარგებლობისათვის.

4. დედოფლისწყაროსა და მარნეულის რაიონების ტერიტორიაზე, ზამთრის საძოვრების განსაზღვრული ფართობი მუდმივ სარგებლობაში ეძლევათ აგრეთვე დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებს.

5. მაღალმთიან რეგიონებში არსებული ეროზიული მიწების დაცვისა და აღდგენისათვის სახელმწიფო გამოყოფს მიზნობრივ თანხებს.

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონში განათლების შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს კანონში განათლების შესახებ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 და მე-10 პუნქტები:

9. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში სკოლამდელ და საბაზო განათლებასთან ერთად საშუალო ზოგადი განათლებაც უფასოა და ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე.

10. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები სკოლის ასაკის, ახალგაზრდები, რომლებსაც საცხოვრებელ ადგილზე შესაბამისი სასწავლებლის არარსებობის გამო სწავლა უხდებათ იმავე რაიონის ქვედა ზონის საშუალო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან.

შემდეგ კი შესაბამისად გაგრძელდეს ნუმერაცია.

2. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 და მე-12 პუნქტები:

11. მაღალმთიანი რეგიონების საშუალო სასკოლო პროგრამებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ეკოლოგიური განათლების უზრუნველყოფა.

12. მაღალმთიან რეგიონებში საბაზო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამხედრო მომზადების გაკვეთილები ტარდება მეშვიდე კლასიდან განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებული საგანმანათლებლო პროგრამით.

3. 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

4. მაღალმთიან რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს განათლების სამინისტროსთან ერთად განსაკუთრებულ კონტროლზე აჰყავთ მთიანი რეგიონების სასკოლო ასაკის მოზარდი თაობის და მოსწავლეთა კონტინგენტის აღრიცხვის, აგრეთვე სასწავლო დაწესებულებების მატერიალური ბაზის მდგომარეობის შესწავლის და შემდგომი განვითარების სტატისტიკური და საინფორმაციო მასალების მოძებნისა და შეკრების საკითხები.

4. 24-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები:

7. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოფლებში, დაბებსა და თემებში, თუკი არსებობს 3 მოსწავლე დაწყებითი სკოლისათვის, ხოლო 21 მოსწავლე საბაზო და საშუალო ზოგადი განათლების სკოლებისათვის, სახელმწიფო კანონის შესაბამისად, იქმნება დაწყებითი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

8. მაღალმთიან რეგიონებში ადგილობრივი შინარეწვის ტრადიციათა გათვალისწინებით, პროფესიული განათლებისათვის სახელმწიფო ქმნის სახელობო სასწავლებლებს, ხოლო იქ, სადაც შეუძლებელია ასეთი სასწავლებლის შექმნა, შინარეწვის ტრადიციების სწავლება შეთავსდეს სასკოლო პროგრამებთან.

5. 33-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

6. მაღალმთიან რეგიონებში განათლების და სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებს უნარჩუნდებათ ამ შენობა-ნაგებობებთან არსებული ეზოები და სასწავლო-საცდელი ნაკვეთები.

6. 38-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები:

2. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განათლების სისტემაში მომუშავე პედაგოგებს, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ მუშაკებს ენიშნებათ ხელფასის დანამატი ჰიფსომეტრული სიმაღლის მიხედვით 800-დან – 1200 მეტრამდე 50%, ხოლო 1200-ზე ზევით - 70% და უწესდებათ კომუნალური შეღავათები.

3. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების პენსიონერ მასწავლებლებს, რომლებიც აგრძელებენ პედაგოგიურ მოღვაწეობას, ხელფასთან ერთად მიეცემათ პენსია სრული ოდენობით.

4. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ განათლების, ჯანდაცვის და კულტურის მუშაკებს სახელმწიფოს დაკვეთით უტარდებათ მინსონრივი მომსადება.

საქართველოს კანონი

საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-80 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის პირველი პუნქტი:

1. მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე განლაგებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და უწყებებში, მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დასაქმებულ პირთა ხელფასების, მოსახლეობის პენსიებისა და სხვა სახის შემწეობის მიმართ წესდება დანამატი 50%.

2. 235-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის გ) პუნქტი:

გ) იმ პირთათვის, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ან არანაკლებ 10 წლისა უწყვეტად უმუშავიათ მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე, საპენსიო და სოციალური პენსიის (შემწეობის) დანიშვნის ასაკი მცირდება ხუთი წლით.

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეტანილ იქნას კანონში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 47-ე მუხლს დაემატოს შემდეგი აბზაცი:

მაღალმთიან რეგიონებში ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მომუშავე მედპერსონალს ენიშნება ხელფასის დანამატი ჰიფსომეტრული სიმაღლის მიხედვით, 800-დან – 1200 მეტრამდე 50%, 12000 მეტრის ზევით - 70%.

2. მე-60 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ქვეპუნქტი:

4. მაღალმთიან რეგიონებში ჯანმრთელობის დაცვა უფასოა და ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე. სახელმწიფო უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში სამედიცინო დაწესებულებათა შენარჩუნებასა და განვითარებას. პარალელურად დაშვებულია კერძო სამედიცინო მომსახურება და

მედიკამენტების რეალიზაცია.

3. 64-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა“ ქვეპუნქტი:

ა) მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსახლეობის მომარაგებას ნივთიერებათა ცვლის დარღვევებით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის საჭირო პრეპარატებით და იოდირებული მარილით.

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს კანონში სახელმწიფო საზღვრის შესახებ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-4 თავის 34-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

4. სასაზღვრო სოფლების მოსახლეობას უწესდება შეღავათები, როგორც საზღვრის დამცველებს.

5. მაღალმთიან რეგიონებში მუდმივად მცხოვრები ახალგაზრდობა სამხედრო სამსახურს გადის ადგილზე სასაზღვრო ჯარებში. მაღალმთიან რეგიონებში სამხედრო ვალდებულების მოხდის პრივილეგია ეძლევა აგრეთვე ამ რაიონებიდან ბარში ჩასახლებულ მოსახლეობას.

2. მე-4 თავის 35-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი „ჰ.გ.“:

ჰ.გ. საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი მონაწილეობს სასაზღვრო რეგიონებსა და სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ და მატერიალურ-კულტურულ განვითარებაში.

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონში „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ დამატებითი შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს კანონში სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსის შესახებ
შეტანილ იქნას შემდეგი დამატება:
1. 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტს დაემატოს წინადადება:
„სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის ზღვრული ასაკი მაღალმთიანი რეგიონების სასაზღვრო ზონაში მცხოვრებთათვის არის 60 წელი“.

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონში „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს კანონში „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ შეტანილ იქნას შემდეგი დამატება:

1. მესამე მუხლის მესამე პუნქტს დაემატოს მეორე აბზაცი:
„ერთჯერადი საჩდაურის გაორმაგება არ ეხებათ მაღალმთიან რეგიონებში განლაგებულ სოფლებში მცხოვრებ ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

დასკვნა

ბოლოს, გვსურს დავაფიქსიროთ მთიანი რეგიონების განვითარების ევროპული პოლიტიკის და მისი სამართლებრივი დაცულობის ფუძემდებელი კომპონენტები, მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნული პოლიტიკის ფორმირებასა და საქართველოში საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მდიდარი ევროპული გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობები.

ქვემოთ მოყვანილი დებულებები ემყარება დოკუმენტებს, რომელიც მიღებულია ევროპულ სამთავრობათაშორისო კონსულტაციებზე (ავიმორი, შოტლანდია, 1996 წლის აპრილი და ტრენტო, იტალია, 2000 წლის მარტი) და აქვს სიმბოლური სახელი: „ევროპაში მთიანი რეგიონების მყარი განვითარებისაკენ".

1. ევროპის მთის ხალხის, მისი კულტურის, თანასაზოგადოებების და ლანდშაფტების დიდი მრავალფეროვნება აღიარებულია უმნიშვნელოვანეს ფასეულობებად, რომლებსაც სჭირდება გაფრთხილება და დაცვა, მომავალი თაობების საკეთილდღეოდ. ევროპული მთები მთელი კონტინენტის სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსს წარმოადგენს. თუმცა, მთიანი რეგიონების განვითარების სიმყარე ჯერ არ არის მიღწეული. აუცილებელია ბალანსის გადაუდებელი დამყარება ეკონომიკურ განვითარებასა და მთიანი გარემოს დაცვას შორის, სადაც ადამიანს ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამაში იგულისხმება

მთის მოსახლეობის ტრადიცია და კულტურა,

გარემოს მგრძნობიარობა და მთის ეკოსისტემების დიდი მნიშვნელობა,

მთის მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების და გაჭირვების სპეციფიკა.

2. ევროპული თანასაზოგადოება მივიდა მთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის ფორმირების დიდი მნიშვნელობისა და აუცილებლობის გაცნობიერებამდე ევროპულ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე. არსებობს მთიანი რეგიონების განვითარების პროგრამების, პროექტების, შეთანხმებების და მთიანი რეგიონების მხარდაჭერის სხვა

ინსტრუმენტების განვითარებული და მრავალწახნაგოვანი ქსელი.

3. ბევრ ევროპულ ქვეყანაში, უპირველეს ყოვლისა, ალპურ ქვეყნებში, არსებობს ისტორიულ გამოცდილებასა და ტრადიციებზე დამყარებული მთიანი რეგიონების განვითარების ეროვნული პოლიტიკა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს სოლიდური სამართლებრივი ბაზის მთიანი რეგიონების კანონმდებლობის არსებობა.

CONCLUSION

Finally we should like to emphasize basic components of European mountain policies and their legal defense, also possibility of applying extensive European experience in setting national mountain policies and creating corresponding legal basis.

Presented provisions are based upon documents, adopted at European Intergovernmental Consultations (Avimore, Scotland, April 1996, Trento, Italy, March 2000), under symbolic title: "Towards Stable Development of Mountain Regions in Europe".

Great variety of European Mountain people, their culture, communities and landscapes is recognized to be most valuable and requires care and protection for the future generations. European mountains are significant resource for the whole continent, though stability of their development has not been reached yet. It is necessary to provide balance between economic development and environment and the role of humans is critical. It implies traditions and culture of mountain population, environment sensibility and great significance of mountain ecological systems, specific features of economic potential of mountain people and their needs.

European community recognizes critical significance of formation of right policies for development of mountain regions at European, regional and national levels. There is multisided, well-developed system of programs, projects, agreements and other instruments for support of mountain regions.

many European countries have developed national mountain policies, based upon historical experience and traditions. We should emphasize, that they have considerable legal basis – mountain laws.

გამოყენებული ლიტერატურა

1. A Policy for Upland Areas (1988) Rapporte ur A. Amato. European Communities. Economic and Social Committee. Brussels. CES 461/88

2. E. Martinengo (1984) A Policy for European Mountain Regions.

3. Recommendations Guidelines. Network 21. Special Supplement. 1995.

4. A Policy for Upland Areas. Brussels, 1988.

5. The Cork Declaration, 1996 (Urlandia).

6. The European Special Development Perspective and Europe 2000.

7. E. Loible. Mountain Areas. A challenge for Regional Policy. 1995.

8. La promotion des regions de montagne en Europe... et les cantons suisses, Brougg, 1992.

9. European Inter-Governmental Consultation. The Cairngorms. 1996.

10. European Inter-Governmental Consultation. 1996.

11. Государственный Закон "О статусе горных населенных пунктов на Украине (1995 г.).

12. Mountain Regions East and South of the Adriatic Sea. Editor: Martin Price, 2000.